ოთარ ბაქანიძე

ივან ფრანკო

თბილისი 1986

83.3Укр I
გ 32

წიგნი ეძღვნება უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის იუან ფრანკოს ცხოვრებასა და მოღვაწეობას. გაშუქებულია მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

განკუთვნილია სტუდენტების, ლიტერატურის მასწავლებლების და დიდი უკრაინელი მწერლის მოღვაწეობით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი რ. ხვედელიძე

რეცენზენტები: კ. კვაჭანტირაძე

ზ. მეძველია

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1986

Б 4702590100
М 608(06)86

შესავალი

ივან ფრანკო — უკრაინული მხატვრული სიტყვის სწორუპოვარი ოსტატი, ღრმა მოაზროვნე, უკრაინელი ხალხის სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი, მწერალი და მოქალაქე — უაღრესად ნაყოფიერი, ფართო მასშტაბისა და მრავალმხრივი მოღვაწე იყო. იგი წერდა ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, დრამატულ ნაწარმოებებს, იყო მრავალი კრიტიკული სტატიის, ფილოსოფიური წერილისა თუ ეთნოგრაფიული გამოკვლევის ავტორი.

რაზედაც არ უნდა ეწერა ივან ფრანკოს, ყოველი მისი ნაფიქრალი, ყოველი მისი სიტყვა ხალხს ეკუთვნოდა. მთელი თავისი სიცოცხლე, ნიჭი ამ დიდმა ადამიანმა ხალხის სამსახურს, ხალხის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლას მიუძღვნა.

ქედუხრელი შემოქმედი მეფის ხელისუფლების დამქაშებმა სამგზის ჩააგდეს საპყრობილეში, მაგრამ მაინც ვერ მოდრიკეს იგი, ვერ შეურყიეს რწმენა. ამიტომაც ეჩვენებოდა ლესია უკრაინკას ფრანკოს ლექსები წითლად შეფერილი — თითქოს ისინი მწერლის გულის სისხლით იყვნენო შეღებილი.

* * *

ივან ფრანკო დაიბადა 1856 წლის 27 აგვისტოს სოფელ ნაგუევიჩიში, დროგობიჩის მაზრაში, გალიციაში, რომელიც მაშინ ავსტრია-უნგრეთის მონარქიის შემადგენლობაში შედიოდა. მამამისი სოფლის მჭედელი იყო. პირველი ბავშვური შთაბეჭდილებანი დაკავშირებული იყო კარპატების თვალწარმტაც ბუნებასთან, მამის, იაცის (სიყვარულით ეძახდნენ მას თანასოფლელები) სამჭედლოსთან, სადაც ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. სწორედ მან. შრო-

მისმოყვარე და გულმართალმა ადამიანმა შთაუნერგა თავის შვილს ივასის შრომისა და მშრომელი ხალხის სიყვარული.

შემდგომში, უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი, არაერთგზის იხსენიებს მამას და იმ ჭკუისსასწავლებელ საუბრებს, რომლებიც სამშენდლოში იმართებოდა. ბავშვობის წლების ოცნება მწერალმა მთელი სიცოცხლის მანძილზე გულსა და გონებაში ფრთხილად შეინახა. 1902 წელს დაწერილ მოთხრობაში „სამშენდურში“ იგი საოცარი სითბოთი და სიყვარულით იგონებს მამის სამშენდლოს, იქ გატარებულ დღეებს და წერს: რომ მის მეხსიერებაში „დღემდე ანთია ის პატარა. მაგრამ ძლიერი ცეცხლი. იმ ცეცხლიდან გამოკრთიან ლურჯი, წითელი და თეთრად მოელვარე ოქროს სხივები. მასში გიზგიზებს თითქოს გამდნარი ნაკვერჩხალი და მნათობს სიღრმეში რაღაც უფრო დიდი, უფრო სხივოსანი რამ, საიდანაც წამდაუწუმ ამოსრიალდებიან შტოებგაზიდული მოკრიალე შუქნი. ეს — ცეცხლია მამაჩემის სამშენდურში“. პატარა ბიჭუნას ღრმად ჩარჩა გულში და სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა მამის სამშენდლოდან ცხოვრების მძიმე გზაზე „მარაგად წამოღებული“ სითბო.

ივასის ადრე დააწყებინეს ანბანის სწავლა, ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე პატარა ბიჭუნამ მოასწრო წაეკითხა იაკობ და ივან გოლოვაცკების მიერ უკრაინულ ენაზე გამოცემული კრებული, სადაც მოთავსებული იყო უკრაინელი მწერლების ნაწარმოებები, ხალხური სიმღერები, თქმულებები, ლეგენდები. ექვსი წლისა იყო ივასი, როცა სოფლის დაწყებით სკოლაში მიაბარეს. სწავლობდა იგი კარგად და უკვე ორი წლის შემდეგ თავისუფლად კითხულობდა და წერდა არა მხოლოდ უკრაინულ, არამედ პოლონურ და გერმანულ ენებზეც კი. ამან მისცა საშუალება მას 1864 წელს შესულიყო სამაზრო ქალაქის დროგობიჩის ე. წ. „ნორმალურ“ სკოლაში, სადაც სწავლა გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა. ეს იყო ოთხკლასიანი სკოლა. ვასილიანების ორდენის ამ სკოლაში ფრანკომ სამ წელიწადს დაჰყო და სხვა საგნებთან ერთად სრულყოფილად აითვისა გერმანული ენა.

„ნორმალური“ სკოლა ფაქტიურად არაადამიანურად მკაცრი აღმოჩნდა. შემდგომში ფრანკო თავის ნაწარმოებებში — „ფანჭარი“, „სუფთა წერის გაკვეთილი“, „მამაო — იუმორისტი“ და

სხვ. — მწარე გულისტკივილით მოგვითხრობს ამ სკოლაში გამეფებულ საშინელ „წესრიგზე“. „გაროზგვა, — იგონებს იგი, — დროგობიჩში მაშინ პედაგოგიკის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად იყო მიჩნეული“. კლასის ხელმძღვანელი — მამა ტელესნიცკი სცემდა, აწამებდა ბავშვებს. იგი ნამდვილი სადისტი იყო. როზგებს მას კორძიანი ჯოხი ერჩია, „რადგან კორძები მეტ ტკივილს აყენებდნენ, მისი დარტყმების გამო უფრო მეტი ყვირილი, წივილი, კვნესა ისმოდა, და მამა ტელესნიცკი ამ ხმაურსა და ყვირილში დარბოდა კლასში, იცინოდა, ხელებს იფშვნეტდა... ერთი ასეთი ეგზეკუცია ტრაგიკულად დასრულდა. უბედური ბავშვის არც კვნესა, არც ყვირილი, არც ღმუილი — მოგვითხრობს ივან ფრანკო, — არაფერი მოქმედებდა ჯალათზე.... ჯოხი სისხლში იყო მოსვრილი და მისი მოქნევის დროს სისხლიანი წვეთები კლასის თეთრ კედლებს ეშხეფებოდა. ვოლიანსკი იწვა წყნარად, გონებადაკარგული... ერთი კვირის შემდეგ იგი ტვინის ანთებით გარდაიცვალა. ასეთი საშინელი იყო სწავლის პირობები მაშინდელ სკოლებში.

მიუხედავად ამ მძიმე შთაბეჭდილებებისა — ბავშვობის წლები მაინც ბავშვობის წლებია. და ივან ფრანკოს არ მიაჩნდა, რომ ეს ხანა მისთვის მხოლოდ ჯოჯოხეთი. წუვდიადი იყო. მოგვიანებით მწერალმა საგანგებოდ განაცხადა, რომ ზოგიერთი ჩემი ბიოგრაფი შეეცადა ჩემივე ნოველებიდან მიეღო ამომწურავი პასუხი ჩემს ბავშვობაზე.

„ეს წლები, — წერდა ფრანკო. — თუ ზოგიერთ არასასიამოვნო ეპიზოდს გამოვთიშავთ, მაინც სასიხარულო წლები იყო ჩემი სიყმაწვილისა“. ყველაზე დიდი უბედურება, რაც მას თავს დაატყდა, იყო მამის გარდაცვალება. მამა გარდაეცვალა 1865 წელს.

მწერალი იმ დროის ზოგ მასწავლებელს კეთილად იხსენიებდა. ასეთი იყო მაგალითად ბერი კრუშელნიცკი, მამა კრასიცკი, მამა იღუმენი, ბარუსევიჩი და სხვები.

1868 წელს ივასი დროგობიჩის გიმნაზიაში შევიდა სასწავლებლად.

ფრანკომ ადრე დაკარგა მამა, მაგრამ მამინაცვალმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ გლეხის ბიჭს სწავლა განეგრძო. დაწყებით სკოლაში, გიმნაზიაშიც, მიუხედავად იმისა, რომ იქ

სწავლა ჯერ გერმანულ, ხოლო შემდეგ პოლონურ ენებზე მიმდინარეობდა, ივასი ბეჯითად სწავლობდა, ბევრს კითხულობდა უკრაინელი, რუსი, პოლონელი და სხვა ქვეყნის მწერლების ნაწარმოებებს. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მასზე მოახდინა ტარას შევჩენკოს „კობზარმა“, რომელიც თითქმის ზეპირად ისწავლა.

ლიტერატურული მოღვაწეობა ივან ფრანკომ ბავშვობაში დაიწყო. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს ფრანკო წერს ლექსებს, პროზაულსა და დრამატულ ნაწარმოებებს. 1873 წელს გიმნაზიის მეექვსე კლასში მან დაწერა ტრაგედია „იუგურტა“, რომლის სიუჟეტი რომის ისტორიიდან აიღო, შემდეგ თარგმნა სოფოკლეს „ანტიგონე“ და „ელექტრა“ და შეუდგა ტრაგედია „აქილევსის“ წერას, 1874 წელს შექმნა დრამა „სამი მთავარი ერთ ტახტზე“. სამწუხაროდ, არც ერთი დასახელებული ნაწარმოები ბეჭდური სახით არ გამოქვეყნებულა. თუმცა ეს უკანასკნელი ლვოვში დადგა სტუდენტთა მოყვარულთა წრემ. დრამა „სამი მთავარი ერთ ტახტზე“ იმითაც იყო საინტერესო, რომ მასში მწერალი პირველად ამუშავებდა თემას, რომელიც სლავების ისტორიიდან იყო აღებული. მომდევნო ნაწარმოებიც „სლავოი და ხრუდოში“ იმავე თემას ეხებოდა. ორივენი ერთად კი მწერლის მიერ 1873 წელს უკრაინულ ენაზე თარგმნილი ნაწარმოების „ამბავი იგორის ლაშქრობისას“ გავლენის კვალს ატარებდა.

ივან ფრანკო გაიტაცა ლიტერატურამ. იგი დაეწაფა ანტიკური ლიტერატურის კითხვას, შემდეგ შექსპირის, შილერის, გოეთესა და სხვა დასავლეთევროპელი მწერლების ნაწარმოებებს, პარალელურად მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. ბევრს თარგმნიდა პოლონურიდან, ჩეხურიდან, გერმანულიდან, ლათინური და ბერძნული ენებიდან. აი ზოგი მათგანი — კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, „სიმღერა ნიბელუნგებზე“ (ნაწყვეტები), ორი სიმღერა „ოდისეიდან“ და მრავალი სხვა.

ივან ფრანკო ბავშვობაშივე მიიზიდა ხალხურმა შემოქმედებამ. ჯერ კიდევ „ნორმალურ“ სკოლაში ყოფნის დროს ფრანკომ დაიწყო ხალხური სიმღერების შეგროვება; სულ მალე შეძლო 800 სიმღერის ჩაწერა. ხალხური სიმღერებისადმი ინტერესმა ხელი შეუწყო პოეზიით მის გატაცებას.

1874 წელს ლვოვის ჟურნალ „დრუგში“ დაიბეჭდა ივან ფრანკოს პირველი ლექსები. მომდევნო წლიდან იგი ამ ჟურნალის მუდმივი თანამშრომელი გახდა, ხოლო 1876 წელს გამოსცა თავისი ლექსების პირველი კრებული.

1875 წლის შემოდგომაზე იგი შედის ლვოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. გიმნაზიის მოსწავლე თავის ნაწარმოებებს სწორედ ამ უნივერსიტეტის ჟურნალში აგზავნიდა დასაბეჭდად. სტუდენტობის წლებში ფრანკო ახალი ძალითა და ენერგიით ჩაება უნივერსიტეტის ლიტერატურულ ცხოვრებაში. იგი შედის სტუდენტთა „აკადემიურ“ წრეში, ხდება ჟურნალ „დრუგის“ აქტიური თანამშრომელი და ავტორი, სადაც ბეჭდავს ლექსებსა და ვრცელ მოთხრობას „პეტრიები და დოვბუშჩუკები“, ნ. გ. ჩერნიშევსკის რომანს „რა ვაქეთოთ?“, პუშკინის ლექსების თარგმანებს და სხვ.

უნივერსიტეტში გატარებულ წლებს ასე იგონებს მწერალი: „გამიცრუვდა იმედები, ცოდნის ძიება უნივერსიტეტის გარეთ დავიწყე“.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ი. ფრანკო დაეწაფა რუსი მწერლების ა. პუშკინის, ლ. ტოლსტოის, ი. ტურგენევის, ნ. ჩერნიშევსკის, ა. გერცენის და სხვათა ნაწარმოებებს. სწორედ ტარას შევჩენკოსა და რუსი რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის ზეგავლენით ყალიბდება მწერლის იდეურ-ესთეტიკური შეხედულებანი. თანდათანობით ივან ფრანკო „ენობრივ კამათშიც“ ერევა, ილაშქრებს „მოსკოფილების“ წინააღმდეგ, მტკიცედ დგება ხალხურობისა და რეალიზმის, რევოლუციური დემოკრატიის პოზიციებზე.

ივან ფრანკოს აქტიური მოქმედება არ გამოპარვიათ გალიციელ რეაქციონერებს. ივან ფრანკო და ჟურნალ „დრუგის“ რედაქციის წევრები დააპატიმრეს 1877 წლის 12 ივნისს. დაპატიმრებისას მას აღმოუჩინეს კ. მარქსის „კაპიტალი“, ნ. ჩერნიშევსკის „რა ვაქეთოთ?“, ა. გერცენის „ნამყო და ნააზრევი“ და 180-ზე მეტი აკრძალული და „საეჭვო“ გამოცემა. მწერალს წაუყენეს ბრალდება — საიდუმლო სოციალისტური საზოგადოების წევრობა. სააგამომძიებლო საპყრობილეში 1878 წლის 21 იანვრამდე იჯდა.

თითქმის ცხრა თვე დაჰყო ფრანკომ ციხეში. საპყრობილეს ატმოსფერომ ვერ გასტეხა მწერლის ნებისყოფა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ იგი ებმება გალიციის სოციალისტურ და მუშათა მოძრაობაში. ივან ფრანკო მიხვდა, თუ რა საშიში იყო ხელისუფლებისათვის მისი და მისი ამხანაგების საქმიანობა. მ. პავლიკის შესახებ დაწერილ სტატიაში ი. ფრანკო იგონებს 1878 წლის პროცესს, როდესაც ერთმა პოლონელმა მემამულემ პროკურორს მოსთხოვა ჩამოეხრჩოთ ყველა მსჯავრდებული, ქვეყნის სიმშვიდისათვის.

ციხეშიც და ციხიდან გამოსვლისთანავე ივან ფრანკო წერს რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილ ლექსებს, რომლებშიც გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ რევოლუცია გაიმარჯვებს, და ხალხს რევოლუციის წმინდა საქმის სიკვდილამდე სამსახური აღუთქვა.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ იგი განაგრძობს სწავლას უნივერსიტეტში. ამ პერიოდში ქმნის მხატვრულ ნაწარმოებებს: ლექსებს. პუბლიცისტურ წერილებს. შრომებს პოლიტიკურ ეკონომიაში. თარგმნის სოციალიზმის შესახებ დაწერილ წიგნებს. ყველაფერი ერთ მიზანს — დასავლეთ უკრაინის გლეხებსა და მუშებში რევოლუციური პროტესტის სულისკვეთების გაღრმავებასა და რევოლუციური ძალების შეერთებულ, შეკავშირებული ორგანიზაციის აუცილებლობის იდეას, აზრის პროპაგანდას ემსახურებოდა.

ივან ფრანკო ხდება „მუშათა კომიტეტის“ წევრი. პოლონურ ენაზე გამომავალი მუშათა გაზეთის „Praca“ (შრომა) რედაქტორი. ეცნობა ბორისლავის, დროგობიჩის, ლვოვის მუშათა ყოფა-ცხოვრების პირობებს. მუშათა თვითგანვითარების წრეებში ეწევა პროპაგანდისტულ მუშაობას და სხვა: „იმ წლებში მუშებთან ჩემი კავშირი საკმაოდ ცოცხალი იყო, — იგონებს ივ. ფრანკო, —. 1878 წელს დავწერე ეკონომიკური სოციალიზმის მომცრო კატეხიზისი. რომელიც ლვოვის მუშებმა გამოსცეს კიდეც. 1879 და 1880 წლებში სხვა ნაცნობებთან (ებრაელებთან) ერთად პოლიტიკურ ეკონომიას ვასწავლიდი თვითგანვითარების მუშათა წრეებში. 1870 წელს მილის, ჩერნიშევსკისა და მარქსის ჰიხედვით დავწერე პოლიტიკური ეკონომიის მცირე მოცულობის ელემენტარული სახელმძღვანელო... 1881 წელს ამ წრეების მუშებთან კავშირის შე-

დეგად ჟენევაში გამოიცა ბროშურა „აღმოსავლეთ გალიციის პოლონელი და უკრაინელი სოციალისტების პროგრამა", რომელიც მე არ დამიწერია, მაგრამ ჩემი მონაწილეობით კი დაიწერა".

1878 წელს ივ. ფრანკო ნ. პავლიკთან ერთად ლვოვში იწყებს ჟურნალ „გრომადსკიი დრუგის" („საზოგადოების მეგობარი") გამოცემას. ამ ჟურნალში იგი ბეჭდავს ლექსებს — „ამხანაგებს საპყრობილედან". ნარკვევს „პატრიოტული აღტყინება", რომანს „მახრჩობელა გველის" დასაწყისს. როდესაც პოლიციამ მეორე ნომრის დაბეჭდვის შემდეგ მოახდინა ჟურნალის კოხფისკაცია, რედაქტორებმა შეცვალეს ჟურნალის დასახელება. ჟურნალს დაარქვეს „დზვინ" („ზარი"). მის ფურცლებზე ივ. ფრანკომ დაბეჭდა ცნობილი საპროგრამო ლექსი —„ქვისმტეხელნი" და მოთხრობა „ჩემი შეხვედრა ოლექსასთან".

სახელწოდების შეცვლამ მხოლოდ დროებით გაუხანგრძლივა სიცოცხლე ჟურნალს. რადგან გამომცემლებმა — ივან ფრანკომ და მისმა თანამებრძოლებმა იგი რევოლუციური პროპაგანდის ორგანოდ გადააქციეს. ამ ჟურნალში დაამთავრა მწერალმა „მახრჩობელა გველის" ბეჭდვა, გამოაქვეყნა სატირული ნაწარმოებები „ფიქრი ნაუმ ბეზუმოვიჩზე" და სტატია „ლიტერატურა, მისი დანიშნულება და უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებები", რომელიც არსებითად მიმართული იყო ნაროდოვცების ნაციონალისტური შეხედულებებისა და მათი ორგანოს „პრავდას" წინააღმდეგ.

ამ დროიდან იწყება ივან ფრანკოს საგამომცემლო და ჟურნალისტური მოღვაწეობა. იგი იყო უკრაინული, პოლონური თუ გერმანული მრავალი პერიოდული გამოცემის რედაქტორი და გამომცემელი, იბეჭდებოდა სხვა მრავალ გაზეთსა და ჟურნალში.

ამ წლებში ივან ფრანკო სწავლობს კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის შრომებს, მუშაობს „კაპიტალის" და „ანტი-დიურინგის" თარგმანზე. ივან ფრანკო „კაპიტალის" ერთ-ერთი განყოფილების („კაპიტალის პირველადი დაგროვება") თარგმანის შესავალში წერდა: „მარქსის წიგნის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი — შესანიშნავი კულტურულ-ისტორიული ნარკვევი — გვინდა გავაცნოთ ჩვენს საზოგადოებას როგორც თავისი დიდი სამეცნიერო ღირებულების გამო, აგრეთვე იმისთვისაც. რომ გავუღვიძოთ ყველას. ვინც კი ფლობს გერმანულ ენას, სურვილი წაიკითხოს

მარქსის მთელი წიგნი". მწერალი ინტერესდება რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის მატერიალისტური ესთეტიკით, მათი რევოლუციურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობით. ერთ-ერთ თავის წერილში მ. პავლიკისადმი ივ. ფრანკო წერდა: „მე კვლავ მთელი დღეები გატაცებული ვარ ჩერნიშევსკის ეკონომიკით... ეს — ბაჯაღლო ოქროა, სტატია კი არა".

თავისი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მუშაობით ივან ფრანკო ცდილობდა მიეტანა თავის ხალხამდე მოწინავე სოციალისტური იდეები, ემხილა ნაციონალისტი „ბურჯების" სულიერი გადაგვარება, იმ ერთი მუჭა საქმოსანი ინტელიგენტებისა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ ხელმძღვანელის როლზე.

1880 წლის მარტში ივან ფრანკო მიემგზავრება კოლომიის მაზრაში თავის ერთ მეგობართან. გზაში მწერალი დააპატიმრეს. ეს იყო მისი მეორე დაპატიმრება. იგი დააპატიმრეს სასამართლო პროცესთან დაკავშირებით, რომელიც ავსტრიის ხელისუფლებამ წამოიწყო კოლომიაში გლეხების წინააღმდეგ. გლეხობას ბრალად ედებოდა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლები, ივ. ფრანკოს კი — გლეხთა მოძრაობაში მონაწილეობა. თუმცა გლეხებს ჩხრეკის დროს აღმოუჩინეს ჟურნალები „გრომადსკიი ღრუგ" და „დზვინ", რომელთა გამომცემელიც ფრანკო იყო, ბრალდება მწერალს მაინც ვერ დაუმტკიცეს, მიუხედავად ამისა, სამ თვეს მაინც დააკავეს ციხეში, ხოლო შემდეგ პოლიციის ესკორტით გაამგზავრეს ნაგუევიჩიში. ნაგუევიჩიში იგი ერთ კვირას ციებ-ცხელებით ავადმყოფობდა, შემდეგ კვლავ გაემართა ბერეზოვოში, ფეხით. მაგრამ იგი ისევ „შენიშნეს" და ჟანდარმმა ავადმყოფი ფრანკო ფეხით წაიყვანა კოლომიაში, რათა მისი პასპორტი შეემოწმებინა.

ასეთი თავგადასავლის შემდეგ ლვოვს მობრუნებული მწერალი კვლავ იწყებს თანამშრომლობას გაზეთში „Praca"; წერს სოციალისტურ პროგრამას „რა სურს გალიციის მუშათა საზოგადოებას?"; „მუშათა საზოგადოებაში" მწერალი გულისხმობდა გლეხობასა და პროლეტარიატს, მოითხოვდა, რომ მიწა გლეხების ყოფილიყო, ფაბრიკა-ქარხნები—მუშების. „მთელი მიწა თავისი ტყეებითა და საძოვრებით, მდინარეებითა და ტბებით ეკუთვნოდეს იმ თემებს, რომლებიც მათზე მუშაობენ, — ეწერა პროგრა-

:მაში, — და აგრეთვე, ყველა ფაბრიკა და ქარხანა ეკუთვნოდეთ იმ მუშებს, რომლებიც იქ მუშაობენ“. ამავე გაზეთში ივან ფრანკომ დაბეჭდა თავისი ცნობილი ლექსი „ჰიმნი“ („მარად რევოლუციონერი“), პოლონელ პროგრესულ მოღვაწეებთან პოეტ ვ. ჩერვინსკისა და ინლენდერთან ერთად ქმნის „აღმოსავლეთ გალიციის პოლონელი და რუსი სოციალისტების პროგრამას“.

მძიმე მატერიალურმა პირობებმა ივან ფრანკო აიძულა ლვოვიდან სოფელში გამგზავრებულიყო. იგი ამ ხანებში უმთავრესად ნაგუევიჩიში ცხოვრობდა. 1880 წლის დასასრულისათვის მოხერხდა ჟურნალ „სვიტის“ გამოცემა. პირველი მისი ნომერი გამოვიდა 1881 წლის 10 იანვარს და მასში დაიწყო ივან ფრანკოს რომანის „ბორისლავი იცინის“ ბეჭდვა. „სვიტის“ გამოსვლით აღინიშნა ივან ფრანკოს ცხოვრება-მოღვაწეობის ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი.

ივან ფრანკო ჟურნალ „სვიტის“ ყოველ ნომერში ათავსებდა თავის ორიგინალურ ნაწარმოებებს, თარგმანსა თუ კრიტიკულ წერილებს. მწერალმა თარგმნა და გამოაქვეყნა ა. ნეკრასოვის „თავადის ქალი ტრუბეცკაია“, პომიალიავსკის „ბურსას ნარკვევებიდან“ რამდენიმე თავი, სტატია მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის, პიპინის შემოქმედების შესახებ და სხვ. ამავე ჟურნალში დაბეჭდა მან თავისი უკანასკნელი გამოკვლევა ტარას შევჩენკოს პროზაზე — „ტარას შევჩენკოს პოეზიის შეფასების საკითხისათვის“, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. აქვე დაბეჭდა მან სტატია „კათოლიკური პანსლავიზმი“, რომელიც მიმართული იყო რომის პაპის ბოროტი ჩანაფიქრის წინააღმდეგ — რუსეთისაგან მოეწყვიტა აღმოსავლეთი სლავები. ი. ფრანკო კათოლიციზმს „სლავების დაუძინებელ მტერს“ უწოდებს. როდესაც ჟურნალი „სვიტ“ დაიხურა (1882), ფრანკო იძულებული შეიქნა, რაკი ალარ ჰქონდა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო, ეთანამშრომლა ჟურნალში „ზორია“ და გაზეთში „დილო“. ფრანკოს შესთავაზეს „დილოს“ რედაქციის შემადგენლობაში შესვლა, მწერალი დათანხმდა. გარდა ამისა, 80-იანი წლების დამდეგს იგი თანამშრომლობს მწერლისა და მხატვრის კ. უსტიანოვიჩის ლიბერალურ-სატირულ ჟურნალში „ზერკალო“.

ივ. ფრანკოსათვის ბეჭდვა პრობლემას აღარ წარმოადგენს და იგი ამ შესაძლებლობას აქტიურად იყენებს.

ამ პერიოდში ფრანკოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების დასახასიათებლად ნიშანდობლივია გოეთეს „ფაუსტის" მისეული თარგმანის წინასიტყვაობა: წინასიტყვაობა იწყება ბ. ბელინსკის სიტყვებით: „ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურა". მწერალი გალიციაში ლიტერატურული ცხოვრების ჩამორჩენის თაობაზე მიუთითებს და ღრმად აანალიზებს ლიტერატურის ჩამორჩენის. მისი სისუსტის საზოგადოებრივ მიზეზებს. „გახრწნილი „საზოგადოება", — წერს იგი, — ვერ წამოაყენებს ჯანსაღ და მამაც მებრძოლებს, მწერლებს, პოეტებს და თუ ღვთის სასწაულით ასეთები მაინც გამოჩნდებიან, იგი არ მიიღებს მათ, ხელს კრავს, ანდა, რაც უფრო ცუდია, ფეხქვეშ გათელავს, ჩაახშობს". ასეთი თამამი რევოლუციური აზრებით იყო გამსჭვალული წინასიტყვაობის პირველი ვარიანტი, რომელიც ცენზურამ არ გაუშვა და ავტორი იძულებული გახდა ხელმეორედ დაეწერა იგი.

1883 წელს ივ. ფრანკომ დაასრულა და საკონკურსოდ გააგზავნა ჟურნალ „ზორიაში" რომანი „ზახარ ბერკუტი". 1885 და 1886 წლებში ივან ფრანკო ორგზის იყო კიევში საკუთარი ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებით. მაგრამ ჟურნალის გამოცემა ვერ მოხერხდა. კიევის ლიბერალებმა, რომლებიც გალიციელი ნაციონალისტების თანამზრახველები იყვნენ, მატერიალური დახმარება ფრანკოს კი არა, „ზორიას" გაუწიეს, 1887 წელს გამოსცა კრებული „მაღლობებიდან და დაბლობებიდან"; იმავე წელს იწყებს ინტენსიურ მუშაობას პოლონურ პროგრესულ პრესაში, სადაც ბეჭდავს სტატიებს უკრაინულ, რუსულ, პოლონურ, დასავლეთევროპულ და სხვა ლიტერატურაზე. გაზეთ „კურიერ ვარშავსკის" მიერ გამოცხადებულ კონკურსზე მან წარადგინა პოლონურ ენაზე დაწერილი რომანი „ლელი და პოლელი", გამოსცა ფილოსოფიური პოემა, „კაენის სიკვდილი", მოთხრობების დიდი კრებული (1890) და მრავალი სხვა.

1889 წლის 16 აგვისტოს ივან ფრანკო უკვე მესამედ დააპატიმრეს. გალიციაში საექსკურსიოდ ჩასულ კიეველ სტუდენტებთან ერთად. იმავე დღეს სოფელ ნაგუევიჩიში მის სახლში პოლიციამ მოაწყო ჩხრეკა, რომელმაც რამდენიმე საათს გასტანა, ხატებიც

კი ჩამოხსნეს კედლებიდან, გულმოდგინედ ეძებდნენ „პროპაგანდას“, დაპატიმრებულებს წაუყენეს ბრალდება ავსტრიის მფარველობისაგან გალიციის განთავისუფლებისა და რუსეთთან მისი შეერთების იდეის პროპაგანდა. ხელმოსაკიდებელი საბუთების უქონლობის გამო, მწერალი გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

პოლიციის „ზრუნვამ“ და სამგზის პატიმრობამ თავისი კვალი დაამჩნია უნივერსიტეტში ივ. ფრანკოს სწავლაზე. უნივერსიტეტში მისი ყოფნა პირველივე პატიმრობის შემდეგ მძიმე შეიქნა. სულ მალე მან, ისევე როგორც სხვა სოციალისტებმა, დაინახა, რომ გალიციისა და უკრაინის საზოგადოებაში შიში იყო გამეფებული, რომ მათ, როგორც ჰირიანებს. გაურბიან გუშინდელი ნაცნობები. საარსებო სახსარი მწერალს აღარ ჰქონდა. ამ დიდ ქალაქში უკვე ცნობილ მწერალს ერთი ბნელი კუთხის დაქირავებაც კი აღარ შეეძლო. ჯიბეში კაპიკი ფული არ გააჩნდა. იგი ერთხანს ამხანაგებთან ცხოვრობდა, მათთან ერთად შიმშილობდა და მათთან ერთად ოცნებობდა ნათელ მომავალზე.

მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი ორიენჯერ დაპატიმრების შემდეგ დაბრუნდა უნივერსიტეტში. მაგრამ კურსის დახურვა მან ლვოვის უნივერსიტეტში მაინც ვერ შეძლო. ამაში მას ხელს უშლიდა მისი ეკოხმიური მდგომარეობა, ავსტრიის პოლიცია და უნივერსიტეტის რეაქციული ხელმძღვანელობა. იმ დროისათვის უკვე ცნობილმა მწერალმა და მოღვაწემ, რამდენიმე სამეცნიერო შრომის ავტორმა, სწავლაში ათწლიანი „შესვენების“ შემდეგ, თხოვნით მიმართა უნივერსიტეტს დაეშვათ იგი ბოლო სემესტრის გამოცდების ჩასაბარებლად და სადოქტორო დისერტაციის დასაცავად, მაგრამ უნივერსიტეტის სენატისაგან უარი მიიღო. ივან ფრანკო იძულებული გახდა გამოცდები ჩერნივცის უნივერსიტეტში ჩაებარებინა (ეს იყო 1890 წელს).

რაც შეეხება სადოქტორო დისერტაციას, ივან ფრანკო იმ წლებში ბევრს მუშაობდა ტარას შევჩენკოს პოლიტიკურ პოეზიაზე; ლვოვის უნივერსიტეტის უკრაინული ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელს, პროფესორ ოგონოვსკის, რომელზედაც დამოკიდებული იყო დისერტაციის ბედი, ცეცხლივით ეშინოდა ამგვარი თემის. ივან ფრანკოც იძულებული გახდა დროებით მიეტოვებინა მუშაობა.

ივან ფრანკოს შესანიშნავად ესმოდა, რომ ლვოვის უნივერსიტეტის ნაციონალისტურ-რეტროგრადული ხელმძღვანელობა არ დაუშვებდა მას დისერტაციის დაცვავად. ამიტომ იგი მიემგზავრება ვენაში, სადაც 1886 წლიდან ლექციებს კითხულობს ოდესის და შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, გამოჩენილი მეცნიერი სლავისტი იგნატ ვიკენტის ძე იაგიჩი. 1893 წლის პირველ ივლისს სწორედ აქ ჩააბარა ფრანკომ სადოქტორო გამოცდები და დაიცვა დისერტაცია თემაზე — „ვარლაამი და იოასაფი“, ძველქრისტიანული სასულიერო რომანი“. მას მიანიჭეს „ვენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის“ სამეცნიერო ხარისხი. ივ. ფრანკოს ეს ნაშრომი 1895 წლიდან იბეჭდებოდა „შევჩენკოს სამეცნიერო საზოგადოების ჩანაწერებში“, ხოლო შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვიდა.

ვენაში გამგზავრებისთანავე ლვოვიდან პოლიციამ აფრინა საიდუმლო წერილები, რომლებითაც თავის ვენელ კოლეგებს ატყობინებდა, რომ ფრანკო საშიში რევოლუციონერია, რომელიც კარგად ფლობს კონსპირაციის წესებს, რომ მას ჰყავს დამხმარე ხალხი, რომლის მეშვეობითაც იგი ხალხში რევოლუციურ პროპაგანდას ეწევა. ავსტრიის პოლიცია ფეხზე დადგა, მწერალს მეთვალყურეები მიუჩინა და ფხიზლად იყო, რომ „რევოლუციონერს“ პროპაგანდა არ გაეჩაღებინა ვენაში. ამავე დროს რუსეთის მეფის ოხრანკა თავის კონსულს ლვოვში წინადადებას აძლევდა მოლაპარაკებოდა ავსტრიის ხელისუფლებას „ცნობილი გალიციელი სოციალისტის“ დაპატიმრების თაობაზე. ასეთ ვითარებაში მოუხდა სადოქტორო დისერტაციის დაცვა ივან ფრანკოს.

90-იან წლებში გამწვავდა ივან ფრანკოსა და გალიციის რეაქციული წრეების ურთიერთობა. „ნაროდოვცების“ ლიდერები ამ დროისათვის ახერხებენ შეთანხმების მიღწევასა და გარკვეული კავშირის დამყარებას ავსტრიის ხელისუფლების წარმომადგენელთან — გრაფ ბადენთან და პოლონელ შლიახტასთან გალიციაში ავსტრიის პოლიტიკისადმი სოლიდარობის თაობაზე. ამის სანაცვლოდ გრაფი ბადენი გალიციელ ნაციონალისტებს დაპირდა გარკვეულ შეღავათებს. ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა, „ნაროდოვცებმა“ 1890 წლის შეთანხმება მათსა და პოლონეთის შლიახტასა და ავსტრიის ხელისუფლებასთან ურთიერთობის სფეროში

„ახალ ერად“ გამოაცხადეს. „ნაროდოვცებს“ აქტიურად დაუჭირეს მხარი სხვა ჯურის რეაქციონერებმა. ივან ფრანკომ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და ეს შეთანხმება აღიარა გალიციის ფართო მშრომელი მასების ინტერესების ღალატად. ამავე 1890 წელს ფრანკომ ლვოვში ჩამოაყალიბა სამეცნიერო სამკითხველო, სადაც დაიწყო ლექციების კითხვა მეცნიერული სოციალიზმის თეორიაში, პოლიტეკონომიასა და რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში.

ივან ფრანკოს ჰქონდა სურვილი ლვოვის უნივერსიტეტში მოღვაწეობისა. 1894 წელს, პროფესორ ოგონოვსკის გარდაცვალების შემდეგ, მან სცადა კათედრაზე ადგილის მიღება. დიდი წარმატებით წაიკითხა კიდევაც საცდელი ლექცია თემაზე — „ტ. შევჩენკოს „მეშა-ქალი“, მაგრამ ნაციონალისტები ამჯერადაც წინააღუდგნენ მას. „ჩემი კანდიდატურა უკრაინული ლიტერატურის დოცენტად სამინისტრომ არ დაამტკიცა...“ მიზეზი კი ისევ ის იყო — პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობა. მწერალი თავის მეუღლეს სწერდა: „მე დანამდვილებით ვიცი და ვიცი სავსებით კომპეტენტური ადამიანებისაგან, რომ კათედრას ავსტრიის არცერთ უნივერსიტეტში არ მომცემენ — იმიტომ კი არა, რომ მე რუსინი (უკრაინელი — ო. ბ.) ვარ, არამედ იმიტომ, რომ „პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო“ ვარ. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა ავსტრია ავსტრია აღარ იქნება“. მიუხედავად ამ რწმენისა თუ აზრისა, ივან ფრანკო მაინც არ ამბობდა უარს თავის ოცნებაზე — გასულიყო სამასწავლებლო ასპარეზზე, დამდგარიყო კათედრაზე და ფართო აუდიტორიასთან ჰქონოდა კონტაქტი. ამიტომაც ცდილობდა იგი კონკურსის წესით ლვოვის უნივერსიტეტში დოცენტის ადგილის დაკავებას, მაგრამ არც რეაქციული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტები იყვნენ გულხელდაკრეფილნი და ყოველ ღონეს ხმარობდნენ „შფოთიანი“ „პროპაგანდისტის“ წინააღმდეგ.

არანაკლებ გულსატკენი და დრამატული იყო ივ. ფრანკოს მონაწილეობა არჩევნებში. გალიციის მშრომელებმა ივან ფრანკო სამგზის წარადგინეს ავსტრიის პარლამენტში, რეიხსტაგში და გალიციის სეიმში ასარჩევად. მაგრამ ათასგვარი მაქინაციებისა და

მთავრობის ტერორის მეშვეობით, გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივან ფრანკო არ აირჩიეს არც ერთხელ. განსაკუთრებით დამახასიათებელი ამ მხრივ იყო 1897 წლის არჩევნები. ეს იყო ე. წ. „სისხლიანი არჩევნები ან სხვაგვარად „ბადენის არჩევნები“. ასე მონათლეს იგი გალიციის ნამდვილი ჯალათის, ამ მხარის ყოფილი მეფისნაცვლის, იმ დროისათვის კი უკვე ავსტრიის ხელისუფლების პრემიერის გრაფ კაზიმირ ბადენის სახელით. სწორედ მისი „წყალობით“ სროლა აუტეხეს ამომრჩევლებს, რომლებიც მათთვის არახელსაყრელ კანდიდატს უჭერდნენ მხარს და სისხლი დაღვარეს არჩევნების დროს.

„ჩემი ცხოვრების შემდგომი გადმოცემა, — ამბობდა ივან ფრანკო, — შეიძლება შეცვალოს ჩემი შრომების ბიბლიოგრაფიულმა ნუსხამ“. მან თავისი მხატვრული ნაწარმოებები, პუბლიცისტური სტატიები, სამეცნიერო გამოკვლევები და საერთოდ მთელი თავისი მოღვაწეობა მიუძღვნა თავისი დროის პოლიტიკურ ბრძოლას და სიცოცხლის ბოლომდე დარჩა რევოლუციონერი.

სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ კიდევ უფრო გაფართოვდა მისი მეცნიერული კვლევის ინტერესების არე და შემოქმედებითი მოღვაწეობა. ივან ფრანკო ბევრს მუშაობს, წერს და აქვეყნებს ნაშრომებს ფილოლოგიის, სოციალური, ეკონომიკის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სფეროში. იკვლევს და აგროვებს უკრაინელი ხალხის სულიერი კულტურის ნიმუშებს. მრავალტომიანი კრებულები — „აპოკრიფები და ლეგენდები“, „გალიციურ-უკრაინული ხალხური ანდაზები“, გამოკვლევები ძველი რუსული და უკრაინული ლიტერატურის ისტორიიდან, „ნარკვევები უკრაინულ-რუსული ლიტერატურის ისტორიიდან“, „ივან ვიშენსკი და მისი თხზულებები“ და მრავალი სხვა ამშვენებს მწერლის იმ პერიოდის მემკვიდრეობას. მიუხედავად ამისა. მწერალი არ შემოიფარგლა კაბინეტური მკვლევრის პროფილით. განათლებისა და რევოლუციური იდეების პროპაგანდისათვის ფრანკომ ჩაიფიქრა ახალი ჟურნალების გამოცემა. მაგრამ პოლიციელთა სიფხიზლე და მასთან ერთად ეკონომიკური მდგომარეობა ფართო გაქანების საშუალებას არ აძლევს მწერალს, მისი ოცნებები ყინულზე დაწერილ ჩანაფიქრებად რჩება, ამიტომაც უხდება სხვა პოლიტიკური მიმართულების მქონე გამოცემებში თანა-

მშრომლობა. დიდი წვალების შემდეგ იგი 1894 წელს მაინც ახერხებს თავისი ჟურნალის „ჟიტე ი სლოვო“ („ცხოვრება და სიტყვა“) გამოცემას, სადაც ბეჭდავს პროზაულ, პოეტურ და სამეცნიერო-პუბლიცისტურ ნაწარმოებებს, აგრეთვე თარგმანებს, მათ შორის ნ. ჩერნიშევსკის პოემის თარგმანსაც. ფრანკომ ჟურნალის ირგვლივ თავი მოუყარა უკრაინული ლიტერატურის ყველაზე ნიჭიერ წარმომადგენლებს და დაიწყო მათი ნაწარმოებების ბეჭდვა ჟურნალში. პავლო გრაბოვსკი, ლესია უკრაინკა, მიხაილო კოციუბინსკი, მიხაილო პავლიკი, ვლადიმერ გნატიუკი, ოსიპ მაკოვეი, ოსტაპ ტერპეცკი და სხვანი ამშვენებდნენ ჟურნალის ფურცლებს. ჟურნალმა „ჟიტე ი სლოვო“ ფართო გამოხმაურება პოვა თანამედროვე პრესაში, საზოგადოებრიობაში. მისი გამოცემა საგანგებოდ აღნიშნა რუსულმა „ეთნოგრაფიულმა მიმოხილვამ“, მაგრამ სწორედ ამიტომაც მეფის პოლიციამ აკრძალა რუსეთის იმპერიის ფარგლებში მისი შეტანა. გალიციას კი არ შეეძლო ბევრი ხელისმომწერის უზრუნველყოფა. ჟურნალის გამოცემა ძირითადად პოლონურ გაზეთში მიღებული ჰონორარის მეშვეობით ხდებოდა. ასეთ ვითარებაში ჟურნალს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო დიდხანს ეარსებნა. იგი დაიხურა 1897 წელს.

ივ. ფრანკო მაინც ეძებს რუს და უკრაინელ ხალხთან კონტაქტის გზებს პრესის მეშვეობით. იგი უთანხმდება პეტერბურგის რადიკალურ გაზეთს „სევერნი კურიერს“ თანამშრომლობაზე, ოღონდ იმ პირობით, რომ სტატიები, სადაც ამხელდა ავსტრიის ხელისუფლების ორგანოების „მოღვაწეობას“ გალიციაში, ხელმოწერილი იქნებოდა კრიპტონიმით და ფსევდონიმით. მაგრამ მოულოდნელად პეტერბურგის რეაქციულმა ჟურნალმა „კრაიმ“ განზრახ გაშიფრა თავის ფურცლებზე ფრანკოს ფსევდონიმები. ამას საშინელი რეაქცია მოჰყვა გალიციაში და თუმცა ვარშავაში პროგრესულმა პოლონურმა საზოგადოებამ დაგმო „კრაის“ გამცემლობა, საქმეს აღარა ეშველა რა. გალიციის რეაქციულმა პრესამ, საზოგადოებამ, ახალი ძალით შეუტიეს ფრანკოს. „გალიციის პრესას საბაბი მიეცა კიდევ რამდენიმე ვედრო ლაფი გადაესხა ჩემთვის“, — წერდა ფრანკო.

1897 წელს პრესაში გამოსვლისა და განსაკუთრებით კი პოლემიკური სტატიების გამოქვეყნების შემდეგ კვლავ ახალი ძალით

იფეთქა პოლონელი ნაციონალისტების კამპანიამ ფრანკოს წინააღმდეგ. მათ უკრაინული ბურჟუაზიული ინტელიგენციაც ამოუდგა მხარში. იმავე წელს ერთ ავტობიოგრაფიულ შენიშვნაში ფრანკოს მიერ მათი შემთანხმებლობის მხილების გამო უკრაინული ბურჟუაზიული ნაციონალისტების გაზეთში „დილო“ დაიბეჭდა სტატია „სამწუხარო მოვლენა“, სადაც მწერალს პატრიოტული მოვალეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას აბრალებდნენ.

1897 წელს კრებულის „გალიციური სურათები“ — წინასიტყვაობაში „ზოგი რამ საკუთარ თავზე“ (დაწერა პოლონურ ენაზე) მწერალმა ამხილა უკრაინული ბურჟუაზიული ნაციონალისტების ყალბი. ფარისევლური სიყვარული ხალხისადმი. ამ ცრუ სიყვარულს მან დაუპირისპირა ჭეშმარიტი სიყვარული მშრომელებისადმი, რაც უწყვეტად იყო დაკავშირებული ხალხის ძალების განვითარებისათვის ხელის შემშლელი ყველა მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლასთან. ჭეშმარიტი პატრიოტიზმი, ფრანკოს აზრით, სენტიმენტალური ლაყბობა კი არაა, რომელიც თავისი ხალხის საქმის ღალატს ფარავს, არამედ მშრომელთა ინტერესების თავდადებული სამსახურია. „მე შემიძლია ვძრწოდე, შემიძლია ჩუმად ვწუევლიდე ჩემს ბედს, — წერდა ივ. ფრანკო, — რომელმაც ჩემს მხრებზე შეაგდო ეს ტვირთი, მაგრამ მისი ჩამოგდება არ შემიძლია, სხვა სამშობლოს ძებნა არ მსურს, რომ საკუთარი სინდისის წინაშე არამზადა ვიყო და თუ რაიმე შემიმსუბუქებს მის ტარებას, ეს ისაა. რომ ვხედავ უკრაინელი ხალხი, თუმცა დაბეჩავებული მრავალი საუკუნის განმავლობაში, ჩაძირული სიბნელესა და გაუნათლებლობაში, დღევანდელ დღეს ღატაკი, უუფლებო და დაღუშებული. მაინც თანდათანობით თავს მაღლა წევს, უფრო და უფრო ფართო მასებში გრძნობს სინათლის, სიმართლისა და სამართლიანობის წყურვილს და ეძიებს მათკენ გზებს“. ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა განგაში ატეხეს, „დილომ“ და „გალიჩანინმა“, ოფიციოზმა და კლერიკალურმა პრესამ ლანძღვა დაუწყო მწერალს, ხოლო „ნაროდოვცების“ ბელადმა იულიან რომანჩუკმა ისიც კი განაცხადა: „ფრანკოს საერთოდ არ ესმის, რას ნიშნავს სიყვარული“.

მწერალმა მწვავედ განიცადა ამგვარი დევნა. ამას ზედ მისი ავადმყოფობაც დაერთო. ფრანკოს სინათლე დააკლდა თვალებში,

მხედველობა დაუსუსტდა, უჭირდა კითხვა და წერა. მიუხედავად ამისა მას მაინც არ შეუნელებია მუშაობა შემოქმედებით ფრონტზე. 1897 წელს გამოქვეყნდა მისი ლექსების კრებული „დამჭკნარი ფოთლები", ხოლო 1898 წელს — „ჩემი იზმარაგდი".

ცხოვრების მძიმე წლებში ფრანკოს გვერდში ამოუდგნენ მისი მეგობრები, მისი ნიჭის თაყვანისმცემლები. სწორედ იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიული ნაციონალისტები ფრანკოს ცილს სწამებდნენ, რომ მას არ უყვარს უკრაინა, „ლანძღავს პოლონელ ხალხს". ოსიპ მაკოვეი გაზეთ „ბუკოვინაში" აქვეყნებს წერილს მწერლის დასაცავად, რომელსაც საინტერესო სათაურსაც არქმევს „უყვარს თუ არ უყვარს? (მეხი ივან ფრანკოს თავზე)".

მაკოვეი წერდა: „მეხი გავარდა ივან ფრანკოს თავზე პოლონური და უკრაინული პრესისა..." და იქვე შენიშნავდა, რომ ეს სავსებით ბუნებრივია: მეხი ყოველთვის ეცემა ყველაზე მაღალ ხეს და არა დაბალ ბუჩქს. ასეთი მაღალი მუხაა ჩვენს ლიტერატურაში ფრანკო.

იმავე დროს 22 პოლონელმა სტუდენტმა დაწერა პროტესტი ივ. ფრანკოს ასეთი დევნის წინააღმდეგ: „დ-რი ფრანკო — ერთ-ერთი ყველაზე მგზნებარე მქადაგებელია პროგრესისა ჩვენს ქვეყანაში. მრავალი რეაქციული გაზეთი ამისათვის დიდი ხანია სდევნის მას ნებისმიერი საბაბით".

22-ის პროტესტს კიდევ 57 სტუდენტი მიემატა და ეს მასალები ცალკე ბროშურად დაიბეჭდა პოლონურ ენაზე.

რეაქციონერებისა და ნაციონალისტების მიერ ფრანკოს დევნის საპასუხოდ დემოკრატიულმა წრეებმა გადაწყვიტეს საზეიმოდ აღენიშნათ მისი იუბილე — ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წელი, რომელიც 1898 წელს სრულდებოდა. ოქტომბერში შედგა დიდი საზეიმო სხდომა და კონცერტი. ივან ფრანკოს მისასალმებელი დეპეშები, ადრესები გამოუგზავნეს ცალკეულმა პირებმა და ორგანიზაციებმა პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, პრაღიდან, სოფიიდან, ვარშავიდან და სხვა ქალაქებიდან. საიუბილეო საღამოზე გლეხობის წარმომადგენელმა განაცხადა: „მთელი თავისი შრომა, მთელი სიცოცხლე მან გლეხებს მიუძღვნა, მძიმე დარტყმებმაც ვერ აიძულეს იგი ჩამოსცილებოდა სიმართლისათვის, სიკეთისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას". საიუბილეოდ მ. პავლიკმა

გამოსცა ივ. ფრანკოს ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია. გამოიცა საიუბილეო ალმანახი, რომელშიც მონაწილეობდნენ აღმოსავლეთ უკრაინის მწერლებიც; მათ შორის ლესია უკრაინკა, ივან კარპენკო-კარი და სხვები. პეტერბურგის წიგნის გამოცემაში „ზნანიე“ და რუსულ ჟურნალებში დაიბეჭდა ფრანკოს მოთხრობების რუსული თარგმანები.

შემდგომში ივ. ფრანკოს კავშირი რუსულ გამომცემლობასა და ჟურნალებთან თანდათანობით უფრო მტკიცე ხდება. ფრანკოს მოთხრობებს ბეჭდავს ჟურნალი „ჟიზნ“, გამოდის წიგნი, რომელშიც ოცი მისი მოთხრობაა მოთავსებული, ბროკჰაუზისა და ევფრონის „ენციკლოპედიური ლექსიკონი“ ადგილს უთმობს მწერლის დიდ სტატიას „სამხრეთ რუსული ლიტერატურა“, გალიციაში ქვეყნდება პოეტის ლექსების ახალი კრებულები და ფუნდამენტური გამოკვლევები მრავალ ტომად.

იმპერიალიზმის ეპოქაში მძაფრდება კლასობრივი წინააღმდეგობანი. ძლიერდება მუშათა მოძრაობა, მასებს უფრო და უფრო მეტად ეუფლება რევოლუციური პროლეტარიატის მებრძოლი იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი. მაგრამ გალიცია ამ დროისათვის ეკონომიკურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. ამასთანავე მწერალი ვერ ხედავდა, რომ ერთადერთი თანამიმდევრული, ბოლომდე რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი იყო. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ივან ფრანკო ვერ ამაღლდა იმ დროის ყველაზე მოწინავე იდეების, სოციალ-დემოკრატიის რევოლუციური იდეების დონემდე.

რუსეთში რევოლუციური მოძრაობის განვითარების ზეგავლენით ივან ფრანკო ძლევს თავის ძველ შეცდომასა და მერყეობას. მწერალი ეცნობა პლეხანოვის მოღვაწეობას, იყენებს მას თავის წერილებში. წერს მასზე პრესაში, სისტემატური მიმოწერა აქვს ზოგ რუს რევოლუციონერთან, ლეგალურ მარქსისტულ ჟურნალ „ჟიზნ“-ის რედაქციასთან. 1896 წელს ჟურნალში „ჟიტე ი სლოვო“, რომელსაც რედაქტორობდა ივ. ფრანკო, მოთავსებული იყო ცნობა პეტერბურგში „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ დაარსების შესახებ, ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) მოღვაწეობის შესახებ და სხვ.

ივ. ფრანკოს არქივში აღმოჩნდა 1904 წელს შედგენილი ლიტერატურის სია. ეს იყო ნუსხა რუსული და პოლონური აკრძალული წიგნებისა, რომელთა გავრცელებაშიც აქტიურად მონაწილეობდა ივ. ფრანკო. სიაში აღნიშნულ წიგნებს შორის იყო — კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსის, ლენინის („რა ვაკეთოთ?“, „ნაბიჯი წინ—ორი ნაბიჯი უკან“), პლეხანოვისა და სხვათა ნაშრომები, აგრეთვე ჟურნალი „ჟიზნ“ და გაზეთ „ისკრის“ ნომრები.

ივან ფრანკო აღფრთოვანებით შეეგება 1905 წლის რევოლუციას რუსეთში. „რუხეთში გაზაფხულის ამ ნიავს“ ფრანკომ უპასუხა თავისი ცნობილი პოემით „მოსე“, ლექსებით, სტატიებით მაქსიმ გორკის შესახებ. მწერალი აქებს და ადიდებს მაქსიმ გორკის და იმ მამაც ადამიანებს, რომლებიც რუსეთის იმპერიის საფუძვლებს არყევენ და არა მარტო რუსეთის, მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის იბრძვიან. იგი გამოდის მაქსიმ გორკის დასაცავად, რომელიც 9 იანვრის სისხლიანი ამბების შემდეგ დააპატიმრა მეფის ხელისუფლებამ. გორკის იგი „რუსი ხალხის ლამპარს“, „რუსული ლიტერატურის მშვენებას“ უწოდებს და მოითხოვს გაათავისუფლონ გორკი პეტრე-პავლეს ციხიდან, აფრთხილებს ცარიზმს, რომ გორკის დევნით ვერ ჩააქრობენ რევოლუციის ცეცხლს, იმ ხანძარს, რომელიც რუსეთში დაინთო.

ამავე პერიოდში ივ. ფრანკო წერს სტატიას „რუსული ლიტერატურის ახალი ისტორია“, რომელიც რეცენზიაა ბერლინში გერმანულ ენაზე გამოცემული წიგნისა „რუსული ლიტერატურის ისტორია“. ეს სტატია უშუალოდ ეპასუხება 1905 წლის რუსეთის რევოლუციურ მოვლენებს. „რუსი ხალხის მოთმინება ხელისუფლების შერყევით დაგვირგვინდა... ამ სიტყვებს ვწერთ იმ წუთებში, როდესაც ცნობა რუსული ავტოკრატიზმის, რუსული ლიტერატურის ასევე უსასტიკესი მტრის საბოლოოდ დაცემაზე სასიხარულო სუნთქვით ათბობს მთელი ცივილიზებული კაცობრიობის გულებს. და ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ახალი თავისუფლების ეს სუნთქვა იქნება დასაწყისი რუსული ლიტერატურის უფრო ნათელი ერასი“.

ივან ფრანკო უკვე 80-იანი წლებიდან უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა უკრაინაში და მიჩნეული იყო უკრაინელი პროგრესული მწერლების ერთ-ერთ მეთაურად, მისი გულწრფელი

პატივისმცემლები იყვნენ: პ. გრაბოვსკი, მ. კოციუბინსკი, ლესია უკრაინკა, ვ. სტეფანიკი, ლ. მარტოვიჩი და მრავალნი სხვანი. მწერალი-რევოლუციონერის უდიდეს მნიშვნელობაზე უკრაინული ლიტერატურის განვითარების საქმეში ილაპარაკა კოციუბინსკიმ 1908 წელს ჩერნიგოვში წაკითხულ მოხსენებაში. ივან ფრანკოს სახელი როგორც შემოქმედის, მკვლევრის, საზოგადო მოღვაწის, რევოლუციონერი მოქალაქისა ფართო აღიარებას პოულობს არა მარტო გალიციის, უკრაინის, არამედ რუსეთისა და მთელი მსოფლიოს ფართო საზოგადოებრიობაში.

რუსეთის მოწინავე მშრომელები, რუსეთის ინტელიგენცია, მწერლები თუ მეცნიერები ყურადღებით ეკიდებოდნენ დიდი უკრაინელი მწერლისა და მეცნიერის მოღვაწეობას. 1904 წელს სახელოვანმა რუსმა მეცნიერებმა შახმატოვმა და კორშმა ივან ფრანკოს კანდიდატურა წამოაყენეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. მეფის რუსეთის ხელისუფლების აქტიური ჩარევით აკადემიას არ მისცეს უკრაინელი მეცნიერის აკადემიაში არჩევის ნება. სამაგიეროდ, 1905 წელს ივან ფრანკო აირჩიეს პრაღის მეცნიერებათა აკადემიის წევრად, ხოლო 1906 წელს ხარკოვის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მას მიანიჭა რუსული სიტყვიერების დოქტორის საპატიო წოდება. ბროკჰაუზისა და ევფრონის „ენციკლოპედიური ლექსიკონის" რედაქციამ მწერალს შეუკვეთა ვრცელი სტატია უკრაინული ლიტერატურის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა კიდეც 1904 წელს 81-ე ტომში. 1913 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ გამოკვლევისათვის „უკრაინული ხალხური სიმღერები" — მიანიჭა პრემია.

რთული პირობები შეექმნა ივან ფრანკოს საკუთარ ოჯახში. მძიმე ავადმყოფობის გამო იგი იძულებული გახდა მეუღლე საავადმყოფოში დიდი ხნით მოეთავსებინა. 1913 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა მისი უფროსი ვაჟი ანდრეი, რომელიც მისი დაუცხრომელი მდივანი და მზრუნველი იყო. ფრანკოს ამარა დარჩა ორი მცირეწლოვანი ბავშვი.

მიუხედავად ავადმყოფობისა და გაჭირვებისა ივან ფრანკო შეუპოვრად განაგრძობდა შემოქმედებით მოღვაწეობას, თარგმნიდა რუსი და სხვა კლასიკოსების ნაწარმოებებს, წერდა ლექსებს, პროზაულ და ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ნაწარმოებებს, რო-

მლებშიც კვლავინდებური სიმამაცით და თანამიმდევრულად ილაშქრებდა ხალხის მტრების წინააღმდეგ, უკანდაუხევლად იბრძოდა ყველა ჯურის რეაქციონერის — ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა თუ ღვთისმოღალატე მსახურების წინააღმდეგ. 1910 წელს ცალკე წიგნად გამოიცა მისი გამოკვლევა „უკრაინულ-რუსული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები“. ივან ფრანკო, მწერალი და მოქალაქე ერთგული რჩებოდა თავისი დევიზისა — „მხოლოდ ბრძოლაა სიცოცხლის არსი“.

სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დიდი მგოსანი საშინელ მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდა. მიუხედავად ამისა, არც ნაციონალისტური „ტარას შევჩენკოს საზოგადოება“ და არც სხვა ბურჟუაზიულ-ლიბერალური ორგანიზაციები არც მატერიალურად არ ეხმარებოდნენ მწერალს და არც მორალურად უდგნენ მხარში. უფრო მეტიც. პოლიციის არქივში მკვლევრებმა აღმოაჩინეს სია იმ ხალხისა, რომლებიც შეწირულობას აგროვებდნენ ფრანკოს სახელობის ფონდისათვის. სიაში იყვნენ მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინიგზის მოსამსახურეები და გლეხები, რომლებიც პოლიციამ დააპატიმრა.

ავადმყოფობით შებოჭილი მწერალი მაინც ბევრს მოგზაურობდა ხალხში და უკითხავდა მათ „მოსეს“. შემონახულია მოგონება მწერლის ერთ ასეთ მოგზაურობაზე.

1911 წლის შემოდგომაზე მასწავლებელთა კავშირის ტარნოპოლის განყოფილებამ ივან ფრანკო მიიწვია შეხვედრაზე. გააკრეს აფიშები. დაიქირავეს დიდი დარბაზი, უამრავი ხალხი დახვდა მწერალს სადგურის მოედანზე და დარბაზში. მის გამოჩენას ხანგრძლივი და მჭუხარე ტაშით ხვდებოდნენ. ფრანკომ თავიდან ბოლომდე წაიკითხა „მოსე“. დარბაზში ჩამით გამეფებული სამარისებური სიჩუმე მჭეხარე ტაშმა დაარღვია. გაისმა შეძახილები „დიდება! დიდება!“

ხელებდაზიანებულ მწერალს მადლობის გადახდა მხოლოდ სიტყვით თუ შეეძლო მისი ნიჭის თაყვანისმცემელი საზოგადოებისათვის.

1913 წელს დაიწყო სამზადისი მწერლის მოღვაწეობის ორმოცი წლის აღსანიშნავად. მაგრამ პირველმა იმპერიალისტურმა ომმა

ხელი შეუშალა ამ გეგმის განხორციელებას. გამოიცა მხოლოდ კრებული „სალამი ივან ფრანკოს მისი სამწერლო მოღვაწეობის ორმოცი წლისთავზე. 1874—1914“ (კრებული გამოიცა ქ. ლვოვში 1916 წელს): მონაწილეობდა მრავალი სახელოვანი უკრაინელი მწერალი, რუსებიდან — მაქსიმ გორკი და ვლადიმერ კოროლენკო. ამას გარდა მწერალმა იმოგზაურა დასავლეთ უკრაინაში და ხალხს თავის პოემას „მოსეს“ უკითხავდა.

მწერლის ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა, ხელები სრულებით აღარ ემორჩილებოდა. იგი იძულებული იყო ეკარნახა და ისე ეწერა თავისი ნაწარმოებები, მაგრამ მაინც არ თმობდა თავის ძირითად საქმეს — შემოქმედებას და თავაუღებლივ, დაუცხრომლად და დაჟინებით მუშაობდა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მხოლოდ 1914 წელს მან უკრაინულ ენაზე თარგმნა ალექსანდრე პუშკინის ყველა დრამატული თხზულება; დაწერა და თარგმანს დაურთო დიდი სტატია პუშკინის შემოქმედებაზე, აგრეთვე ყოველი დრამის ვრცელი განმარტებები. დაწერა სტატია „ტარას შევჩენკო“, შექმნა ორი პოემა და მრავალი ლექსი, რომლებშიც გამოთქვამს რწმენას კაცობრიობის უკეთეს მერმისზე, ნათელ მომავალზე, რწმენას ხალხის პროგრესული, რევოლუციური ძალებისადმი.

უმძიმესი იყო სიცოცხლის ბოლო ორი წელი მისთვის. სრულიად მარტო დარჩა იგი სინათლისა და სიბნელის საზღვარზე: მეუღლე — საავადმყოფოში, ვაჟიშვილები — ომში, ქალიშვილები — სამშობლოს გარეთ.

1915 წელს ივან ფრანკო ჰოსპიტალში მკურნალობს. სიცოცხლის ბოლო თვეებს იგი მოჩუცების სახლში ატარებს და მხოლოდ სიკვდილის წინა დღეებში უბრუნდება თავის სახლს ლვოვში. მწერალი გრძნობს სიკვდილის მოახლოებას და უშიშრად ეგებება მას; 9 მარტს ადგენს ანდერძს და მთელ თავის ხელნაწერ მემკვიდრეობას და ბიბლიოთეკას უანდერძებს ტ. გ. შევჩენკოს სახელობის სამეცნიერო საზოგადოებას.

1916 წლის 28 მაისს დიდი რევოლუციონერი-დემოკრატი ივან ფრანკო გარდაიცვალა. სიღარიბესა და გაჭირვებაში, დევნასა და პატიმრობაში გაატარა მან თითქმის მთელი თავისი ცხოვრება. ხალხის კეთილდღეობისათვის ეწამა იგი და ხალხმაც არ დაივიწყა

მისი ერთგულება და თავდადება. მწერლის დაკრძალვა ლიჩაკოვსკის სასაფლაოზე არნახულ დემონსტრაციად იქცა. ზღვა ხალხმა გააცილა გენიალური ადამიანის ცხედარი მის უკანასკნელ სამყოფელამდე. მრავალი მაღალპათეტიკური სიტყვა ითქვა. გენიალური მოაზროვნე და მხატვარი აღარ სუნთქავდა და აღარაფერი ესმოდა ამა ქვეყნისა. მხოლოდ ხალხი, მადლიერი ხალხი გრძნობდა, თუ რა ბურჯი გაწოცალა მას ფეხქვეშ. და ამიტომაც გულდამწვარი, თავდახრილი იდგა იგი მისთვის მებრძოლი და მისთვის შეწირული დიდი კამენიარის საფლავთან.

მოგვიანებით ივან ფრანკოს საფლავზე აღიმართა ნაცრისფერი გრანიტისაგან გამოთლილი ქვისმტეხელის მონოლითური ძეგლი.

* * *

ივან ფრანკოს რევოლუციური შეხედულებების ჩამოყალიბება განპირობებული იყო გალიციისა და უკრაინის რთული სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობით, მშრომელთა გამათავისუფლებელი მოძრაობით. მისი რევოლუციური მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა რუსი რევოლუციონერი-დემოკრატების იდეებისა და ტარას შევჩენკოს შემოქმედების გავლენით, მნიშვნელოვანი როლი გამოჩენილი შემოქმედისა და მოაზროვნის განვითარებაში შეასრულეს კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის შრომებმა.

კაპიტალიზმის განვითარების მაღალმა ტემპებმა, მუშათა მოძრაობის წარმატებებმა დასავლეთ ევროპაში. მწერალში გამოიწვიეს ინტერესი სოციალისტური თეორიისადმი, განსაკუთრებით კი მარქსიზმისადმი. 70-იანი წლების დასასრულს იგი დაინტერესდა გალიციაში მუშათა მოძრაობით და დაუახლოვდა მუშათა პირველ წრეებს. მწერალი უფრო ღრმად ჩაუჯდა მარქსისა და ენგელსის შრომების შესწავლას. თარგმნა „კაპიტალის“ პირველი ტომის 24-ე თავი, „ანტი-დიურინგის“ ცალკეული ნაკვეთები. თავის ეკონომიკურ თუ ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებში იგი ხშირად ეყრდნობოდა მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას, იხსენებდა „კაპიტალს“, „ანტი-დიურინგს“, „კომუნისტური პარტიის მანი-

ფესტს“ და სხვა შრომებს, იცავდა სოციალისტურ თეორიას, ხოლო აგრარულ საკითხში თვითონ შეეცადა გამოეყენებია იგი გალიციის პირობების შესაბამისად. 1876—1881 წლებში ფრანკო თანამშრომლობს პოლონურ მუშურ გაზეთში „Praca“ („შრომა“), მონაწილეობს „აღმოსავლეთ გალიციის პოლონელი და უკრაინელი სოციალისტების პროგრამის“ შედგენაში და სხვ.

მიუხედავად ამისა, ივან ფრანკო მეცნიერული სოციალიზმის, გამათავისუფლებელ ბრძოლაში პროლეტარიატის როგორც ჰეგემონის ისტორიული როლის სრულ გაგებამდე ვერ ამაღლდა.

ივან ფრანკო ამჩნევდა, რომ გალიციის მუშათა კლასი და მუშათა მოძრაობა ნაკლებად ორგანიზებული იყო, ვიდრე დასავლეთისა. თავის წერილებსა თუ სტატიებში იგი აღნიშნავდა პროლეტარიატის ზრდა-განვითარებას, კაპიტალის კონცენტრაციის პროცესს და მუშათა კლასის დაუზოგავ ექსპლუატაციას კაპიტალისტების მიერ. „პროლეტარები, — აღნიშნავდა იგი თავის სტატიაში „აზრები ევოლუციის შესახებ კაცობრიობის ისტორიაში“,— უფრო მჭიდროდ და მჭიდროდ ერთდებიან. ფაბრიკა, ყოველდღიური შრომა აჩვევს მათ ერთობას, თანასწორობას, მეგობრობას; მუშათა საზოგადოებები, ადგილობრივი, სამხარეო, ნაციონალური და საერთაშორისო, ხდება მუშათა აზრისა და მუშათა ძმობის ცენტრი და მამოძრავებელი“. მუშათა კლასის ცხოვრების პირობები, მისი სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა კაპიტალიზმის განვითარების პირობებზე უბიძგებენ მუშებს თანამეგობრობის. შეკავშირებული მოქმედებისაკენ, „ერთიანი მოქმედებისა და ამხანაგობისაკენ“, „ერთიანი და შეუპოვარი ბრძოლისაკენ“. ამ აზრების გამოთქმისას. შენიშნული აქვთ მკვლევრებს, მწერალი კარლ მარქსის ციტირებას ახდენდა.

ივან ფრანკოს ეს შეხედულებანი ყოველთვის როდი ვრცელდებოდა ყველა ქვეყანაზე. გალიციაზე მსჯელობისას იგი ხანდახან სხვა შეხედულებისაც იყო. გალიციაში სოციალური, ნაციონალურ-პოლიტიკური ვითარება ძალზე რთული იყო. ცალკე ეკონომიკური ჩამორჩენილობა გალიციისა, ცალკე ნაციონალური ჩაგვრა ავსტრია-უნგრეთის ხელისუფალთაგან, რა თქმა უნდა, კაპიტალისტური განვითარების რაღაც დამატებით ნიუანსებს, თავისებურებებს ქმნიდნენ ამ ქვეყანაში. ივან ფრანკომ ვერ გაართვა თავი

შექმნილ ვითარებას და თავის სტატიაში „ავსტრიაში მუშათა მოძრაობის ისტორიიდან“ (1886) იმ მცდარ დასკვნამდე მივიდა, რომ გალიციასა და მის მსგავს მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებისათვის, სადაც ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასი გლეხობაა, რევოლუციური მოძრაობის მარქსისტული კონცეფცია განუხრელად როდია მისაღები.

ესა და ამგვარი ხასიათის შეცდომები, რა თქმა უნდა, მისი რევოლუციური პოზიციის ხარვეზებია. მიუხედავად ამისა, რევოლუციის იდეა უწყვეტად იყო მისი შემოქმედების უმთავრესი მაცოცხლებელი ძარღვი. მწერალს სწამდა, რომ „დიადი მსოფლიო რევოლუცია დაამსხვრევს ახლანდელ წესრიგს და შექმნის ახალს“. ივან ფრანკო არსებული დესპოტიზმის, პოლიტიკური კაბალის წინააღმდეგ ყოველთვის იმაღლებდა ხმას და სხვებსაც მოუწოდებდა ებრძოლათ უკრაინელი ხალხის ამგვარი მონობიდან განთავისუფლებისათვის. იგი ლვოვის ნაციონალისტური ჟურნალის „პრავდას“ რედაქციას აკრიტიკებდა იმის გამო, რომ დესპოტიზმის წინააღმდეგ ამ ჟურნალს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების მეტი არაფერი წარმოუთქვამს და „არასოდეს არ დაუსვამს საკითხი, თუ რა უნდა ქნან უკრაინელებმა დესპოტიზმი რომ დაამხონ და მოიპოვონ პოლიტიკური თავისუფლება. სხვა შემთხვევაში მწერალი კიდევ უფრო გარკვევით გვეუბნება, რომ „უარი არ უნდა ვთქვათ არავითარ, ყველაზე რადიკალურ საშუალებაზეც კი... უარი არ უნდა ვთქვათ სოციალურ რევოლუციაზეც კი“ და ხალხს შეუპოვარი ბრძოლისაკენ, რევოლუციისაკენ მოუწოდებს.

ივან ფრანკო თავგანწირულობამდე იბრძოდა უკრაინული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, როგორც უკრაინელი ხალხის ვერაგი მტრის წინააღმდეგ. იგი დაუნდობლად ამხელდა ნაციონალისტების „პატრიოტიზმის“ არსს, მათ ცრუპატრიოტობას. თავის პუბლიცისტურ სტატიებსა თუ მხატვრულ ნაწერებში გვიჩვენებდა და გვისაბუთებდა, რომ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ინტერესები ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოა. ამ მძაფრ, დაუნდობელ ბრძოლაში ხანდახან, მგზნებარე პუბლიცისტი და ხელოვანი სცდებოდა საზოგადოებრივი მოვლენების შეფასების სწორ გზას, მაგრამ მისი პუბლიცისტიკისათვის განმსაზღვრელი როდი იყო ეს შეცდომები, ივ. ფრანკოს პუბლიცისტიკა თავისი იდეური მიმარ-

თულებით საერთოდ ღრმა ხალხური იყო, შინაარსი კი — განსაზღვრული ხალხის ცხოვრების მდგომარეობით, ხალხის ცხოვრების მოთხოვნილებებით, კლასობრივი ბრძოლის განვითარებით.

ივ. ფრანკო ჭეშმარიტად ხალხის ერთგული დამცველი გმირი იყო. ეს გამოსჭვიოდა მის პუბლიცისტურ თუ მხატვრულ ნაწერებში.

ივან ფრანკო იბრძოდა კანტიანობის, რელიგიური დოგმატიზმისა და სხვა ე. წ. „თეორიებისა“ თუ მიმართულებების წინააღმდეგ, რომლებიც თავისი არსით მშრომელი ადამიანების კეთილდღეობის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. ფრანკოს მსოფლმხედველობის ფილოსოფიური საფუძველი მატერიალიზმია. მისი სტატიები, თუ მხატვრული ნაწარმოებები: „აზრები ევოლუციის შესახებ კაცობრიობის ისტორიაში“ (1881), „Ex nihilo“ („არაფრისაგან“, 1885) და სხვები იდეალიზმისა და რელიგიის მხილებას. მატერიალიზმისა და მეცნიერების დაცვას ემსახურებოდა. კლერიკალებმა, ბნელეთის მოციქულებმა მწერალს საუბილეო წელს მის საწინააღმდეგოდ, საგანგებოდ გამოცემულ ბროშურა-პროკლამაციაში „ქრისტეს მტერიც“ კი უწოდეს.

ხალხის, საზოგადოების განვითარების მთავარ ძალად მწერალი მშრომელ მასებს თვლიდა. წარსულის მაგალითებზე დაყრდნობით იგი მიუთითებდა, რომ რევოლუციების დროს ხალხი იბრძოდა თავისუფლების, თანასწორუფლებიანობის, ძმობისათვის. მაგრამ მონაპოვრით ისარგებლა ბურჟუაზიამ, ხელთ ჩაიგდო ხელისუფლება და მუშებს „შავი პურის ნატეხი, სულისა და ხორცის სიღატაკე, პროლეტარიზაცია და სიმუნჯე“ გადაუგდო. ამიტომაც წერდა მწერალი, რომ უბრალო რეფორმა კი არა, გადატრიალებაა საჭირო.

რევოლუციური ბრძოლის პროცესში ივან ფრანკომ შეიგნო, რომ მისი თანამედროვე სამყაროს გმირი მუშა იყო, თავის ნაშრომში „სამრეწველო მუშები დასავლეთ გალიციაში“ მოგვცა საილუსტრაციო მასალა კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშათა კლასის მდგომარეობის მარქსისტული დახასიათებისათვის. უკრაინელი მწერლებიდან იგი პირველი მივიდა იმ აზრამდე, რომ სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში ორგანიზებული მუშები საიმედო ძალას წარმოადგენდნენ, აქედან გასაგე-

ბია მისი პრაქტიკული ინტერესი მუშათა პარტიის შექმნისადმი.

რევოლუციონერი-მგოსანი და მოღვაწე პროპაგანდას ეწეოდა, რომ მხოლოდ სოციალიზმი იხსნის კაცობრიობას დაღუპვისაგან: „სოციალიზმის იდეა, — წერდა ივ. ფრანკო, — საბოლოო ანგარიშში ციმართულია უმჯიდროესი თანამეგობრობისაკენ (ფედერაციისაკენ) ადამიანებისა — ადამიანებთან და ხალხებისა — ხალხებთან, როგორც თავისუფლებისა — თავისუფლებასთან, თანასწორებისა — თანასწორებთან, მიმართულია, ამგვარად, ყოველგვარი ქვეშევრდომობის, ყოველგვარი პოლიტიკური დაქვემდებარების, ხალხის მიერ ხალხის ყოველგვარი დამონების წინააღმდეგ და ადამიანური ბუნებისათვის უცხო, პროგრესის გამანადგურებელი, ადამიანის ველურად გადამქცევი ომების უარყოფისაკენ“.

ივან ფრანკო მტკიცედ იდგა რუსი რევოლუციონერი-დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ტარას შევჩენკოს მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპებზე დაფუძნებული რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკის პოზიციებზე. იგი მკლავდაუღლელი იბრძოდა უკრაინულ ლიტერატურაში რეალიზმის, იდეურობისა და ხალხურობისათვის.

უკრაინელი მწერალი ამხელდა და აკრიტიკებდა ყალბ შეხედულებებს ლიტერატურის არაკლასობრიობის შესახებ. იგი ილაშქრებდა სხვადასხვა ჯურის მეტაფიზიკური თუ იდეალისტური თეორიების წინააღმდეგ, რომელთა მიხედვითაც მხატვრული ლიტერატურა აღიარებული იყო ზეკლასობრივ კატეგორიად. „ლიტერატურა, რომელიც პარტიებზე მაღლა დგას — ეპაექრებოდა იგი თავის სტატიაში — „ლიტერატურა, მისი ამოცანები და უმნიშვნელოვანესი თვისებები“ — ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, — ეს მხოლოდ თქვენი სიზმარია, ეს თქვენი ფანტაზიაა, ხოლო სინამდვილეში ასეთი ლიტერატურა არ ყოფილა არასდროს. თქვენი მარადიული კანონები ესთეტიკისა კი, ეს, დაე შეგვიძლოს უზენაესმა მეცა და თქვენც თავაზიანნო, — ძველი ხარახურაა, რომელიც წუნარად იხრწნება ისტორიის სანაგვეზე... ჩვენი ერთადერთი ესთეტიკური კოდექსი — ცხოვრებაა“.

ლიტერატურა ივან ფრანკოს მიაჩნია მებრძოლ იარაღად უსამართლობისა და ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ. მისთვის ხელოვნება მოწინავე რევოლუციური იდეოლოგიით გამსჭვალულ-

ტენდენციური დარგია, რომელიც ხალხს უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად ეძახის. ამიტომაც ხელოვანის მოწოდება მისი მტკიცე რწმენით, ხალხის სამსახურია. „ლიტერატურის ამოცანა ხალხის სამსახურია“, — ასე აცხადებს მწერალი. მაშასადამე, ხელოვანმა ეს ამოცანა მხოლოდ მაშინ შეიძლება შეასრულოს მოწოდების სიმაღლეზე, როდესაც იგი ცხოვრებასთან, ხალხთან უწყვეტ კავშირშია.

ივან ფრანკოს მიაჩნდა, რომ ყოველი მწერალი თავისი ხალხის, მშობლიური კულტურის მონაპოვარზე უნდა იზრდებოდეს და მისი სულის გამომხატველი უნდა იყოს. ამასთანავე ეროვნული მწერლის შემოქმედება ინტერნაციონალურიც უნდა იყოს თავისი დანიშნულებითა თუ შინაარსით.

„ყოველი მოწინავე მწერალი, — წერდა ივან ფრანკო სტატიაში „სხვათა ლიტერატურიდან“ (1898—1899), — სლავი, გერმანელი, ფრანგი თუ სკანდინავიელი, — ერთგვარად წარმოადგენს ხეს, თავისი ფესვებით რაც შეიძლება ღრმად და მტკიცედ რომ არის დაკავშირებული მშობლიურ ეროვნულ ნიადაგთან და რომელიც ცდილობს შეიწოვოს და გადაამუშაოს რაც შეიძლება მეტი მისი მაცოცხლებელი ძალა, ხოლო თავისი ტანითა და კრონათი ჩაფლული უნდა იყოს იდეური ინტერესების, სამეცნიერო, საზოგადოებრივი, ესთეტიკური და მორალური მიზანსწრაფვის ინტერნაციონალურ ატმოსფეროში“.

ივან ფრანკო ხაზგასმით მიუთითებდა სხვადასხვა ხალხების საუკეთესო მხატვრული ქმნილებების ინტერნაციონალურ ხასიათზე და აღნიშნავდა, რომ ხელოვნება მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ამ ხასიათისა და მასშტაბისა, თუ აღმოცენებული იქნება წმინდა ეროვნულ ნიადაგზე.

ივ. ფრანკოს როგორც მოღვაწისა და შემოქმედის დამახასიათებელი თვისებაა — ინტერნაციონალიზმი. მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლაში ინტერნაციონალური ერთიანობისაკენ მოუწოდებდა მწერალი დაჩაგრულ ადამიანებს, ხალხებს. რევოლუციო-

ნერი-დემოკრატი მწერალი ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთსიყვარულის ჰეშმარიტი მომღერალი იყო:

ვისაც არ უყვარს სხვა თანამოძმე
ისე ვით მზეღმერთს თავისი მრეველი,
ო, უკრაინავ, ის ვერასოდეს
გახდება შენი დუშმანის მძლეველი.

(თარგმნა ქეთევან დუმბაძემ)

უკრაინელი და რუსი ხალხების ძმობა მისთვის წმიდათაწმიდაა, ამ ძმობას ქადაგებდა და უმღეროდა იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე; ამიტომაც წერდა დიდი სიყვარულით ა. პუშკინის, ა. გერცენის, ი. ტურგენევის, ა. ხეკრასოვის, გლებ უსპენსკის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვის, მაქსიმ გორკისა და სხვათა შესახებ. უკრაინელი მოღვაწე რუსეთის რევოლუციას მიესალმა და როდესაც მაქსიმ გორკი მეფის სატრაპებმა დააპატიმრეს, მან გორკის დასაცავად მგზნებარე პუბლიცისტური სტატია დაწერა. მაქსიმ გორკის მან თავისუფლების შუქურა უწოდა და გამოთქვა იმედი, რომ მწერლის დაპატიმრება ის ნაპერწკალი იქნება, რომელიც „სახალხო აჯანყების დიად ცეცხლს“ დაანთებს.

ივან ფრანკოს სწამდა რუსული ლიტერატურის სიბრძნისა. მას მსოფლიო ლიტერატურის მიღწევად მიაჩნდა რუსული რეალიზმი. ამიტომაც ეხმარებოდა იგი თავის ხალხს მშობლიურ ენაზე გაეცნო ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის, ნეკრასოვისა თუ შჩედრინის და სხვათა ნაწარმოებები და თარგმნიდა მათ უკრაინულ ენაზე.

რაც შეეხება „წმინდა ხელოვნების“ მქადაგებლებს, რომლებიც არსებითად რეაქციული ხელისუფლების, გაბატონებული კლასების ინტერესების გამომხატველი იყვნენ, მათზე ივ. ფრანკო საუბრობდა როგორც პათოლოგიურ მოვლენაზე, რომელიც ბურჟუაზიული ლიტერატურის დაცემასა და გახრწნაზე მეტყველებდა. ცნობილ სტატიაში „სხვათა ლიტერატურიდან“ ფრანკო აკრიტიკებდა ამ ჯურის ლიტერატორებს და წერდა: „უნიჭობა, რომელიც გახვეულია ყველა პესიმისტისა და „ზეადამიანის“ ფილოსოფიაში, ყველა სიმბოლისტის და ერთად აღებული ყველა დეკადენტის ბუნდოვან ფრაზებსა და ხმებში, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ლი-

ტერატურას და ვერაფერს მოიპოვებს საკუთარი თავისათვის, გარდა წუთიერი ეფექტისა.“

სუბიექტივიზმის, ინდივიდუალიზმის, ნიცშეანური „ზეადამიანის“ კულტის ქადაგების წინააღმდეგ გალაშქრების დროს ივან ფრანკო იბრძოდა ჭეშმარიტად რეალისტური ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის. ამ ბრძოლაში იგი შემოქმედებითად იყენებდა უკრაინულ, რუსულ, პოლონურ, ჩეხურ თუ სხვა პროგრესულ ლიტერატურათა მიღწევებს.

ივან ფრანკოს ცხოვრება-მოღვაწეობა მეტად რთულ პირობებში მოუხდა და ამავე დროს ისტორიამ მას დააკისრა დიდი ხელოვანის როლი. ამ ურთულეს ვითარებაში, ლიტერატურისა და ხელოვნების როლისა მთლიანად თუ ზოგი ცალკეული შემოხვევის შეფასების დროს, იგი ყოველთვის როდი იდგა მართებულ პოზიციაზე. მაგალითად, თავის სტატიაში „პოეტური ხელოვნების საიდუმლოებებიდან“, მან დაუშვა იდეალისტური ხასიათის შეცდომები, როდესაც მის მიერვე მრავალგზის გამოთქმული სწორი აზრის საწინააღმდეგოდ შეეცადა პოეზიაში შემოქმედის სუბიექტური შთაბეჭდილებებისათვის მიენიჭებინა უპირატესობა; მან ბოლომდე მართებულად ვერ შეაფასა ტარას შევჩენკოს „გაიდამაკები“ და სხვა. მწერლის ეს წინააღმდეგობანი მის მსოფლმხედველობაში არსებული წინააღმდეგობებით იყო გამოწვეული.

ივან ფრანკო რევოლუციურ-მატერიალისტურ ესთეტიკაზე აღზრდილი უკრაინელი მწერალი და მოღვაწე იყო, რომელმაც განიცადა მეცნიერული სოციალიზმის იდეების ზეგავლენა, იგი თანმიმდევრულად იცავდა რეალისტურ, მაღალიდეურ ხელოვნებას.

ამის მაგალითია მისი უზარმაზარი მხატვრული შემოქმედება, პოეტური, პროზაული, დრამატული მემკვიდრეობა.

პოეზია

ივან ფრანკოს პოეტური მემკვიდრეობა მეტად უხვი და მრავალფეროვანია. იგი გვხიბლავს იდეური მიზანდასახულობითა თუ თემისა და სიუჟეტის ნაირფეროვნებით, მხატვრული გაბედსახვრს ხერხებისა და ფორმის სიმდიდრით. ივ. ფრანკომ თავის პოეტურ შემოქმედებაში ჩააქსოვა სანუკვარი ოცნებები, მშრომელი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის, თვითმპყრობელობის, არსებული სისტემის წინააღმდეგ შეუდრეკელი ბრძოლის იდეები. ასეთ ვითარებაში შექმნილ მის პოეტურ ნაწარმოებებს ენიჭებოდათ სამოქალაქო პოეზიის ხასიათი, სოციალურ-ფილოსოფიური განზოგადებების მქონე პოეზიის ხასიათი. თავისი პოლიტიკური მგზნებარებით ივ. ფრანკოს პოეზია დიდი კობზარის ტარას შევჩენკოს პოეზიას უტოლდება, რომელმაც ჯერ კიდევ მოსწავლეს მგოსნის ნიჭი გაუღვიძა და შემოქმედის ცხოვრების სიტკბო-სიმწარეს აზიარა.

ივ. ფრანკოს პირველი პოეტური ნაწარმოები მამის სიკვდილის გამო დაწერილი ლექსი იყო. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა ჟურნალ „დრუგში“ (1874—1876) და ნაწილობრივ შევიდა კრებულში „ბალადები და მოთხრობები“, რომელიც 1876 წელს გამოიცა. ამ პერიოდის მისი ლექსები უმეტესად რომანტიკული ხასიათისა იყო. კრებულში მოთავსებულ ნაწარმოებებს შორის გვხვდება ხალხის მძიმე ცხოვრების ამსახველი რეალისტური სურათები. არსებითად კი ახალგაზრდა მგოსანს იტაცებდა თავისი ხალხის გმირული წარსული, მამაცი, გაბედული ადამიანები და უმღეროდა მას ლექსებში: „სვიატოსლავი“, „ჩიგირინის ჯვარი“, „მეთევზე ზღვაში“ და სხვ. ამ კრებულში ივ. ფრანკომ მოათავსა აგრეთვე მის მიერ თარგმნილი რამდენიმე ნაწარმოები.

„მაღლობებიდან და დაბლობებიდან“. 1887 წელს

ქ. ლვოვში გამოიცა ივ. ფრანკოს ლექსების კრებული „მაღლობებიდან და დაბლობებიდან". კრებულის გამოცემამდე კი წინა ათეული წლის განმავლობაში ივ. ფრანკო თავის პოეტურ ნაწარმოებებს ბეჭდავდა სხვადასხვა ჟურნალში. ამ დროს გამოაქვეყნა მან თავისი ცნობილი ლექსები: „მსახური" (ჟურნალში „დრუგ", 1876), „ამხანაგებს საპყრობილედან", „ფიქრი საპყრობილეში" (ჟურნალში „გრომადსკი დრუგ", 1878), „ქვისმტეხელნი" (ჟურნალში „დზვინ", 1878), „გალაგანი", „მაქსიმ ციუნიკი", „საგაზაფხულო", „შემოდგომის ფიქრები" (ჟურნალში „სვიტ", 1881—1882), „ღამის ფიქრები", „სიმღერა და შრომა", „Vivere memento" (ჟურნალში „ზორია", 1883—1886) და სხვ.

70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ივ. ფრანკოს პოეზიაში მკვეთრად გაისმის სოციალური უსამართლობისა და ხალხის ჩაგვრით გამოწვეული მწერლის აღშფოთების ხმა. მგოსანი ილაშქრებს მჩაგვრელებისა და ექსპლუატატორების წინააღმდეგ. ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებას თანდათანობით ეძლევა და უმტკიცდება მებრძოლი, რევოლუციური ხასიათი, იკვეთება პოეტის იდეალების სოციალისტური ხედვა, შეიმჩნევა მისი ინტერესი და კავშირი პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობასთან.

კრებულში „მაღლობებიდან და დაბლობებიდან" შევიდა განვლილი ათი წლის განმავლობაში პოეტის მიერ შექმნილი თითქმის ყველა საუკეთესო ნაწარმოები. აღიარებულია, რომ შევჩენკოს „კობზარის" შემდეგ ეს კრებული ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო უკრაინულ პოეზიაში" [1].

მ. პაველიკისათვის გაგზავნილ ბარათში კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით ივან ფრანკო აღნიშნავს, რომ მისი ამოცანა იყო ეჩვენებინა „პირველი ცდა რეალური, ცოცხალ ფაქტებზე დაფუძნებული და რეალური ხერხებით დამუშავებული პოეზიისა". ეს კრებული იძლევა ივან ფრანკოს პოეტური შემოქმედების გასაღებს. გვაძლევს საშუალებას ღრმად ჩავწვდეთ მის იდეურ თუ მხატვრულ პრინციპებს.

---

[1] იხ. უკრაინული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, გვ. 532; ი. კობილეცკი, ივან ფრანკო, მ., 1960; მ. პარხომენკო, ი. ფრანკო — დიდი უკრაინელი მწერალი, მ., 1956, გვ. 24 და ა. შ.

კრებულში გამოჩნდა ივან ფრანკოს რევოლუციური სულისკვეთება, რევოლუციურ-დემოკრატიული მიზანდასახულობა, მისი შეურიგებელი პოზიცია ავსტრია-გერმანული მონარქიის მიერ უკრაინელი ხალხის სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის მიმართ, ნაციონალისტური ბურჟუაზიის მიმართ. კრებულში ნათლად გამოვლინდა, რომ ივან ფრანკო მშრომელი ხალხის მომღერალი მგოსანი იყო, მშრომელი, ჩაგვრისაგან თავისუფალი ადამიანის ბედნიერი ხვალინდელი დღისათვის მებრძოლი.

1893 წელს გამოვიდა ამ კრებულის მეორე შევსებული გამოცემა. სამწუხაროდ, მგოსნის მიერ დაახლოებით ორი ათეული წლის განმავლობაში შექმნილი და გამოქვეყნებული ყველა ლექსი არ მოხვედრილა. ამის შესახებ თვით ავტორი წერს კრებულის შესავალ წერილში: „ჩემი მწერლური შრომის ოცი წლის განმავლობაში ლექსის ფორმით დაწერილი ყველა ჩემი ნაწარმოების თავმოყრა ამ წიგნში მე არც მიფიქრია და არც მსურდა“.

კრებულის მეორე გამოცემას, რაც თითქმის ოთხჯერ უფრო მეტია პირველზე, აქვს შემდეგი განყოფილებები: I. „De Profundis“ („სიღრმიდან“), რომელიც იყოფა ციკლებად — „საგაზაფხულო“, „შემოდგომის ფიქრები“, „მწუხარე სიმღერები“, „ღამის ფიქრები“, „პროლეტარის ფიქრები“, „Excelsior“ („ზევით“): II. „პროფილები და ნიღბები“, რომელიც იყოფა ციკლებად — „პოეზია“, „პოეტი“, „უკრაინა,“ „სიყვარულის ბარათი“, „ნაცნობებს და უცნობებს“, „დამჭკნარი ფოთლები“, „კრაზანები“; III. „სონეტები“, რომელიც იყოფა ციკლებად — „თავისუფალი სონეტები“ და „საპატიმროს სონეტები“; IV. „გალიციური სურათები“; V. „ებრაული მელოდიები“; VI. პოემა „პანის გასართობი“; VII. „ლეგენდები“.

კრებულში შევიდა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები: ლირიკული, პუბლიცისტური, მძაფრი სატირული ლექსები თუ დიდი მოცულობის პოემები. ისინი ცალკე ციკლებად არიან გაერთიანებული და ემსახურებიან ერთიან იდეას.

კრებული იხსნება საპროგრამო ლექსით — „ჰიმნი“ („მარად რევოლუციონერი“). პირველად ეს ნაწარმოები დაიბეჭდა ლვოვის მუშათა გაზეთში „ტრუდ“, რომელიც უკრაინულ ენაზე გამოდიოდა, თუმცა ლათინური შრიფტით. დაიწერა კი იგი საპატიმ-

რომში. 1880 წლის ზამთარში. დააპატიმრეს იგი სრულიად უმიზეზოდ. თვითონ მწერალი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: „1880 წლის ზამთარში, რადგან არავითარი სახსარი არ მქონდა ლვოვში რომ შეცხოვრა, გავემგზავრე სოფელში, კოლომიას ძაზრაში, სადაც კერძო ლექციები უნდა მოეცათ. ჩემი მომავალი ადგილსამყოფელისაკენ გამგზავრების დროს იაბლონევოში ჟანდარმერებმა დამაკავეს და გამამგზავრეს კოლომიაში. რატომ? იქვე მახლობლად, კოსოვოში, მოხდა დანაშაული: გლეხმა მამასახლისს ესროლა, მართალია, არ მოუკლავს იგი, მაგრამ დაჭრა კი. გლეხი და მისი თანამონაწილენი დააპატიმრეს... და მხოლოდ იმიტომ, რომ შემთხვევით მოვხვდი მაზრაში, თუმცა კოსოვოდან საკმაოდ მოცილებულ მხარეს, ამ ბატონებისათვის სავსებით ბუნებრივი იყო, მეც გავეხვიე კოლომიის ისტორიაში, თუმცა არავითარი წარმოდგენა მასზე არ მქონდა. მეც ხომ სოციალისტი ვიყავი! და ამგვარად, კვლავ აღმოვჩნდი სისხლის სამართლის დამნაშავედ“ [1].

პატიმრობაში ყოფნის დროს შექმნილ ამ ლექსში აისახა მგოსნის დაუდგრომელი და დაუმორჩილებელი, მებრძოლი რევოლუციური სულისკვეთება. მარად რევოლუციონერის ალეგორიულ მხატვრულ სახეში ავტორი უმღერის ხალხის შემოქმედებით რევოლუციურ ძალებს, უკვდავ რევოლუციურ სულისკვეთებას „მარად მებრძოლსა და მეამბოხეს“, მედგარსა და უტეხს. მგოსანი ადიდებს ხალხის ათასწლოვან ბრძოლას მჩაგვრელების წინააღმდეგ, რომელმაც მილიონობით ადამიანი მოიმხრო და აამხედრა უსამართლობის წინააღმდეგ.

სცოცხლობს, სამარეს არ ჩაბარდება
ათას წლის წინათ დაბადებული,
იზრდება ისევ თავდადებული
და ამაყ ძალით მოემართება!

.

ძლიერი სიტყვით, თითქოს საყვირით,
თვისკენ ეძახის ხალხს, მილიონებს, —
მოსდევს ხალისით მილიონებიც,
ხმა რომ მოესმით გულსჩამგონები.

(თარგმნა ირ. აბაშიძემ)

---

[1] ი. ფრანკო, თხზ., ტ. 1, გვ. 417—418.

ხალხის სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ კლასობრივი საზოგადოების აღმოცენებასთან ერთად ჩაისახა. საზოგადოების განვითარებასთან ერთად განვითარდა და განსაკუთრებულად გამოიკვეთა პროლეტარიატის კლასის ჩამოყალიბების შემდეგ. რევოლუციურ მოძრაობაში მუშებთან ერთად ღატაკი გლეხებიც ჩაებნენ. რევოლუციური „სულის" ხმა ყველა კუთხე-კუნჭულს მისწვდა და მშრომელი მასები ბრძოლაში ჩაება:

ამ ხმას სცოდნია ქვეყნად მოდება:
იგი გლეხკაცის ჭოხებს დასძებნის,
მას ხელოსანთა ისმენს დაზგები,
სადაც ცრემლია, ჭვა და გოდება.

წერს ავტორი. ივ. ფრანკო რევოლუციურ ბრძოლას ხალხის მხსნელ მოვლენად სახავს, რადგან მას ხალხისათვის მოაქვს შვება და სიხარული, და სადაც მისი ისმის ქუხილი —

ჰქრება ვაება, დარდი, წუხილი,
სიმხნე, სიმტკიცე დაიბადება.

რევოლუციური ბრძოლა იმედიანი, პერსპექტიულია. იგი აღაგზნებს ადამიანებს უკეთესი მერმისის მოსაპოვებლად შეუპოვარი შერკინებისათვის თვითმპყრობელობასთან.

მოთქმა კი არა. დღეს თავდადება,
რომ შვილებს მაინც, თვითონ თუ არა
შვება ელირსოთ ბრძოლაში მარად.

მგოსანი მოუწოდებს ადამიანებს ქედი კი არ მოიხარონ გაჭირვების წინაშე, კი არ დამორჩილდნენ მჩაგვრელებს, არამედ იბრძოლონ შეუპოვრად, თავდადებულად და თუ თავისთვის ვეო მოიპოვებენ თავისუფლებას „მომავალ თაობას მაინც გამოუჭედონ ბედნიერება ბრძოლაში".

ლექსი „ჰიმნი" ჰეშმარიტად პოლიტიკური მოწოდება იყო უკრაინელი და პოლონელი მუშებისადმი მიმართული. უკრაინულ პოეზიაში პირველად გამოჩნდა სიტყვა რევოლუციონერი, რომელშიც თავისუფლებისათვის ბრძოლის ასეთი ღრმა შინაარსი იყო ჩადებული და ხალხთა უძლეველი რევოლუციური მოძრაობის სი-

დიადე აირეკლა. იგი აჟღერდა როგორც თავისუფლებისათვის თავდადებული ხალხის საბრძოლო ჰიმნი.

უთუოა, რომ „ჰიმნის“ ავტორი იცნობდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“, იცნობდა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების ამ საპროგრამო ნაწარმოებს. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, სწორედ ამან განაპირობა ლექსის პოლიტიკური მიზანდასახულობა (ი. კობილეცკი).

ივან ფრანკოს სწამს, რომ „თავისუფლების, შვების მძებნელი“ რევოლუციური სული დაუძლეველია. ვერავითარმა ტანჯვამ, წვალებამ, დევნამ ვერ გასტეხეს იგი, ვერ დათრგუნეს საბოლოოდ.

ვერც მღვდლისგან ტანჯვამ განუწყვეტელმა,
ვერც ბოროტ მეფის ციხის კედელმა,
ჯარმა მრისხანემ, რკინის მკვნეტელმა,
ქვემეხმა, კაცთა ხორცის მფლეთელმა,
და ვერც ჯაშუშის შავმა ხელობამ
ვერ მოახერხეს მისი მკვლელობა.

პოეტი უარყოფს ძველ სამყაროს და მიესალმება ახალ, ბედნიერ მომავალს, რომელსაც მოიპოვებს ხალხი რევოლუციური ბრძოლით, რევოლუცია კი

მოდის, მეწყერად მოეზვინება,
ქვეყნად რა ძალა შეერკინება,
რომ შეაჩეროს მისი დინება,
და რამ ჩააქროს ცეცხლი დიადი,
ამომავალი დღის განთიადი?...

პოლიტიკური მგზნებარებით გამსჭვალული ლექსი მშვენივრად გადაიტანა მუსიკაში ცნობილმა უკრაინელმა კომპოზიტორმა მ. ლისენკომ 1905 წელს.

„ჰიმნს“ წამძღვარებული აქვს მეტად სიმბოლური მნიშვნელობის ქვესათაური — „პროლოგის მაგივრად“. ლექსში წამოყენებული იდეა, იდეური მიზანდასახულობა მართლაც განმსაზღვრელი ხდება კრებულში მოთავსებული ნაწარმოებების საერთო ხასიათისა.

კრებულში „ჰიმნს“ უშუალოდ მოსდევს ციკლი „საგაზაფხულო“. ამ ციკლში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პეიზაჟს. როგორც ცნობილია, უკრაინულ ლიტერატურაში სოციალური პეიზაჟური ლირიკა ტარას შევჩენკომ შემოიტანა. შევჩენკოსთან კონტრასტი ბუნების სილამაზესა და ადამიანის ტანჯულ მდგომარეობას შორის მკვეთრად ხაზგასმული და წინა პლანზე წამოწეული იყო. ივან ფრანკოსთანაც იგრძნობა დიდი სიყვარული მშობლიური მიწისადმი, დიდებული ბუნებისადმი და სწორედ მის ფონზეა ნაჩვენები ავსტრია-გერმანიის მიერ დაჩაგრული ხალხის ცხოვრების მძიმე სურათები.

პეიზაჟურ ლირიკაში ივან ფრანკომ შემოიტანა ალეგორიულობის ხერხი. ეს ხერხი მან გამოიყენა ბუნების მოვლენების დახატვისას. ზამთარია, ყინავს. მაგრამ ქარბუქსა და სიცივეს არ შეუძლია შეაჩეროს „ყვავილთა სუსტთა ამოსვლა თოვლში“, არ შეუძლია გაზაფხულის მოახლოება შეაჩეროს. თურმე „ამ უღვთო ზამთარს... არ ჰქონია ძალა“ ებრძოლოს სუსტ ყვავილებს. ალეგორია სავსებით ნათელია: ხალხში ახალი, თავისუფალი ცხოვრების ყლორტებს თვითმპყრობელობის ვერავითარი სუსხი ვერ ჩაკლავს.

გაზაფხულს, გაზაფხულის მომასწავებელ გრგვინვას მწერალი ადარებს ადამიანის, კაცობრიობის გამოღვიძებას. გაზაფხულის გრგვინვა რევოლუციური ძვრების მომასწავებელია, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს.

გრგვინავს! მადლიანი დრო უდგება მიწას,
და ბუნება უხვი მკვანე სამოსს იცვამს,

. . . . .

გრგვინავს! ხალხებს იტანს ჟრჟოლა იდუმალი, —
აღბათ, შვების ტალღა მოახლოვდა მალი...

(თარგმნა ირ. აბაშიძემ)

უნდა აღინიშნოს, რომ გრგვინვის ალეგორიული ხატი ივან ფრანკომ შემდგომშიც გამოიყენა ცნობილ ლექსში „ქვისმტეხელნი“ და „ბერკუტი“ როგორც რევოლუციური გადატრიალების სიმბოლო.

ლექსი „დედაო მიწავ, მშობელო ყოვლის“ ფრანკოს პოეზიის ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებია. პოეტი მიმართავს მშობელ ხალხს, მიწას — მისცეს მას, შემატოს ძალა, რწმენა ბრძოლისა, რათა „დაამსხვრიოს ხუნდები“, შეეჭიდოს „სიბნელეს ღამის“. მგოსნის მხატვრულ სიტყვას ძალას მხოლოდ ხალხი აძლევს, ხალხი ასაზრდოებს: „მაჩუქე ცეცხლი, — მიმართავს იგი მშობელ ხალხს, — რომ დავმუხტო სიტყვები ალით, სული მეხთა ხმით ვაზანზარო მომეცი ძალი“.

ლექსი „მზე დაგვქათქათებს!“ კოლომიის ციხეშია დაწერილი. ამ ლექსში პოეტი მიმართავს მთესველებს: „ადექ მთესველო! ჩადგნენ ქარები, გაჰქრა ზამთარი სუსხით, სიავით!“. იგი მოუწოდებს მათ თესონ „აზრები თავისუფალი“, გულში — ცეცხლი, რომ სიკეთისათვის, სიყვარულისა და თავისუფლებისათვის იბრძოდეს ხალხი.

ძმებო! ვისაც გაქვთ მკლავი ძლიერი,
ვისაც წმინდა გაქვთ ძგერა გულისა,
გამოიღვიძეთ!
ნახეთ, ისმინეთ
ხმები უძლეველ გაზაფხულისა!
თავში ჩაიდეთ აზრი კეთილი,
გულში—წყურვილი კაცთმოყვარების,
მკერდში — საბრძოლო გამბედაობა
თავისუფლების და გახარების!

(თარგმნა ირ. აბაშიძემ)

ციკლს „საგაზაფხულო“ ამთავრებს ლექსი „Vivere memento!“, რომელშიც ხალხთა ძმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის იდეაა გატარებული. „ხალხნო, ხალხნო! გესმით ჩემი? ძმა ვარ თქვენი! სიცოცხლე თქვენთვის მინდა, ვცხოვრობ მხოლოდ თქვენით. ჩემი გულის სისხლით მინდა ჩამოვრეცხო თქვენი სიმწარე“, მიმართავს იგი ხალხს. ლექსის ბოლო სტრიქონები მოისმის როგორც მოწოდება რევოლუციური ბრძოლისაკენ — „მხოლოდ ბრძოლაა სიცოცხლის არსი“. ამ ბრძოლისაკენ მოუხმობს იგი ხალხს.

ციკლი „საგაზაფხულო“ მთავრდება იმავე აზრის გატარებით, როგორც შესავალში წამოაყენა ავტორმა — რწმენა კაცობრიობის

შომავალი ბედნიერი გაზაფხულის. ივი მზადაა იბრძოლოს ხალხის ბედნიერი მომავლისათვის, მზადაა გაიღოს სისხლი გამარჯვებისათვის, ცეცხლს მისცეს ყველაფერი, რაც წინ გადაეღობება ადამიანებს ნათელი მომავლისაკენ მიმავალ გზაზე.

„საგაზაფხულოს“ მისდევს ციკლი „შემოდგომის ფიქრები“. ციკლში მოთავსებულ ლექსებში პოეტი გვიხატავს შემოდგომის სურათს, როდესაც ფოთოლგაცვენილ „ტყეს და ნაპურალს, სუსხისაგან მჭკნარს დაუნდობლად“ „მწუხარე მოთქმის სევდიანი ჰანგები ავსებს“. ბუნება თითქოს დამწუხრებულია, „ცვივა ფოთლები ცივ მიწაზე მჭკნარი თხემლების. ცვივა შრიალით, განუწყვეტლივ და სევდიანად“ (თარგმანი ყველგან ს. ფაშალიშვილისაა). „სად ხარ ზაფხულო? სუსხმა გული დაგვიზიანა“. — კვნესით კითხულობს არყის ფურცელი და ამ შეკითხვაში ავტორის გულის დარდიც მოჩანს. გაძვალტყავებული და შიშველი ადამიანები, „ცრემლების გარდა რომ არავინ ჰყავთ თანამგრძნობლად...“ იმედის თვალს ადევნებენ წეროების გუნდს:

საით მიფრინავთ — გვირისტივით გამწკრივებულნი.
ნეთუ სხვა მხარე იცით სადმე აყვავებული,
მზის შუქით სავსე. გაფურჩქნილი, გაშლილი მშვანედ?

(თარგმნა ს. ფაშალიშვილმა)

პოეტს გაუჩნდება სურვილი გაჰყვეს თან წეროებს. მაგრამ განა არის კი ისეთი კუთხე, სადაც უბედურებას არ დაუდევს ბინა? ქარი გლეჯს ხეებს ფოთლებს, სიცივეს და შიმშილს დაუსადგურებია ყველგან. მაგრამ შავი სურათების ფონზე წარმოჩნდება ფესვმაგარი მუხა, „უძლეველი და რკომდიდარი“, რომელსაც არ აშფოთებს ქარიშხლის შემოტევა. ივი „დინჯად გასცქერის სივრცეს“ და გულს არ იტეხს:

გაზაფხული კვლავ გათენდება,
მისი ნაყოფი კვლავ მის ძირში აღმოცენდება.

(თარგმნა ს. ფაშალიშვილმა)

მუხის მხატვრული სახე სიმბოლოა ხალხის უშრეტი ძალის, გმირი ადამიანის, მოქალაქის, რომელსაც ძალუძს გაუძლოს ცხოვ-

რების ბედუკუღმართობას, მის ყოველგვარ შემოტევას. პოეტს სჯერა, რომ შემოდგომა გაივლის და გაზაფხული, ბუნების აყვავების ჟამი დადგება.

ლირიკული შეფერილობით, შემოდგომისა და ხალხის ტანჯული ცხოვრების სურათებით, საერთო განწყობილებით ლექსების ციკლი „შემოდგომის ფიქრები“ მკვლევრებს აგონებენ ტარას შევჩენკოს ცნობილ ლექსს „მიდიან დღენი“ ..

მეორედ დაპატიმრების შემდეგ მგოსნის მდგომარეობა აუტანელი გახდა. მაგრამ ივან ფრანკოს ფარ-ხმალი არ დაუყრია, მან დაწერა ლექსების ციკლი „პროლეტარის ფიქრები“, რომელშიც აისახა ფრანკოს რევოლუციური მრწამსი, მისი კავშირი მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან. ნიშანდობლივია ციკლის თვით დასათაურება — „პროლეტარის ფიქრები“, რამაც პირველად უკრაინულ პოეზიაში საგანგებოდ მიუთითა მუშათა კლასის შესახებ შექმნილ პოეტურ ნაწარმოებთა ციკლზე.

ციკლი იწყება ლექსით „სასამართლოში“. ეს ნაწარმოები პოლიტიკური ლირიკის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშადაა მიჩნეული. იგი დაწერილია როგორც ბრალმდებლის სიტყვა სასამართლოზე. ფიქრობენ, რომ ეს ლექსი 1877 წელს სასამართლოში მუშა-რევოლუციონერის პეტრე ალექსეევის მიერ წარმოთქმული სიტყვის, საერთო სულისკვეთებით, აზრით არის გამსჭვალული.

„პროლეტარის ფიქრების“ გამომხატველი ლექსის ლირიკული გმირი ამხელს კაპიტალისტურ სამყაროს, მთელ სისტემას:

მსაჯეთ მე, ჩემო მსაჯულნო,
ცრულმობიერი გრძნობებით!
ნუ ფიქრობთ გადავუხვიო
ქვეყნის გზას მისი „ცოდვებით“,
ნუ ფიქრობთ, რომ თქვენ წინაშე
დავდგე მე ქედმოდრეკილი.
ერთი წუთითაც არა მწამს
მე თქვენგან რამე კეთილი.

.

მსაჯეთ, როგორც გსურთ, მფარველად
უფლება ხომ გეგულებათ.
ერთნი ხართ, ერთი მანქანის
ბორბლები — თქვენ და უფლება.

(თარგმნა იასამანმა)

ლექსში გამოყენებული ორატორულ-პოლემიკური ხერხები, რიტორიკული მიმართვები და სხვა საშუალებანი ნათლად გამოკვეთენ მკითხველის წინაშე ავტორის მიზანს, მის იდეურ ჩანაფიქრს. ლექსი ისეა აგებული, რომ პროლეტარიატის სახელით, მუშების სახელით მოპასუხე ლექსის ლირიკული გმირი ლოგიკური მსჯელობით აშიშვლებს თვითმპყრობელური წყობილების ბუნებას. იგი ეკითხება მოსამართლეებს — „რა ბრალს გვდებთ — ან მე ან ამათ?“, რატომ გვინდა „სრულად გარდაქმნა საერთო წყობილებისა!“ და თვითონ პასუხობს მათ:

მისთვის, რომ პანობს მდიდარი,
ღარიბი მის მსახერია,
მისთვის, რომ წმინდა შრომასა
ახშობს და ქელავს ეს წყობა,
თუმცა ამ შრომით არსებობს,
თუმცა იმაზე ეყრდნობა.

ნაწარმოებში უხვადაა წარმოჩენილი სოციალური კონტრასტები, ნაჩვენებია ორი სამყარო, მჩაგვრელთა და ჩაგრულთა სამყარო, ნათქვამია, რომ მუქთახორების ხროვა, გაბატონებული კლასი „სწოვს მუშახელს სისხლს და ოფლს“. ხალხის დამონებაში პანებს სამღვდელოება უდგას გვერდში და „კათედრა ამბიონებიდან სიბნელეს თესავს, აზრს ახშობს“. სწორედ გაქსუებული და ცხოვრების სათავეში წამოსკუპებული ბატონების „წყალობაა“ უბედური ყოფა, რომელიც ღარიბ-ღატაკი მშრომელის ხვედრია. ხალხის ტანჯვას თვით მეფე უდგას სათავეში და „პანის და მეფის ჟინითა იღვრება სისხლი ხალხისა“.

ბრალდებულის მსჯელობის ლოგიკა აგებულია ემოციურ, აფორისტულ გამოთქმებზე, კონკრეტულ და ამავე დროს განზოგადებულ აზრებზე, ფაქტორებზე. იგი დამაჯერებელი და შთამბეჭდავია, რადგან ცხოვრებისეულ ფაქტებზეა აგებული და რეალურ, ყოფის ყოველდღიურ სურათს ძალზე მარტივად და გასაგებად აწვდის მკითხველს.

ივან ფრანკო ნაწარმოებში გაბედულად ამხელს და ბრალს დებს არა მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებას, არამედ მთელს სახელმწიფოებრივ მანქანას. იგი აშიშვლებს ექსპლუატატორული

საზოგადოების წინააღმდეგობებს, სადაც „ზოგი ჯალათობს, ღმერთია“, ხოლო მშრომელი ხალხი დაბეჩავებული და განადგურებულია, „ბედი ხვდათ ძაღლისა“. ნაწარმოებს მწვავე სოციალურ ხასიათთან ერთად მძაფრი პოლიტიკური ხმოვანება აქვს. თუმცა ლექსში ერთგან ივ. ფრანკო გამოთქვამს აზრს სოციალური უსამართლობის კულტურული პროგრესის გზით დაძლევის შესაძლებლობის შესახებ. იგი თავიდანვე სისხლისღვრით არ ემუქრება ცხოვრების გამგებლებს. მას არ სურს ხალხის სისხლისღვრა, მაგრამ ეტყობა, მწერალს არ სჯერა, რომ ამ კონფლიქტის გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით მოხერხდება. ამიტომაც არის, რომ ნაწარმოები მთავრდება თვითმპყრობელობის, წყობილების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისაკენ, რევოლუციური გადატრიალებისაკენ მოწოდებით:

და თუ ვიქნებით რჩევაში,
თუ იარაღი დაგვჭირდა
ბრალი არ დაგვდოთ ჩვენ მაშინ.

ასეთივე აზრია გატარებული ლექსში „ამხანაგებს“, რომელშიც პოეტი მოგვიწოდებს ვიბრძოლოთ სიმართლისათვის. „გასწმინდეთ სიმართლის გზა“, ამოძირკვეთ ეკალბარდი და მთელ ქვეყანას მოუტანეთ სიმართლე — მოგვიხმობს იგი.

ივან ფრანკოს მაღალი იდეური პრინციპულობა და სიფხიზლე გამოჩნდა ნაწარმოებებში — „სიმშვიდე“ და სხვ. იგი ამ ლექსებში ამათრახებს, გმობს ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოღვაწეების საქმიანობას, რომლებიც ცდილობენ ჩამოაცილონ რევოლუციურ ბრძოლას მშრომელი ხალხი და „მშვიდი“ ცხოვრებისაკენ მოუწოდებენ მათ. „ვინც ბრძოლისა და ომის დროს მშვიდობისაკენ მოგვიწოდებს — იგი მშიშარა და მოღალატეა“, — აცხადებს პოეტი. პოლიტიკური შემთანხმებლების საპირისპიროდ ივან ფრანკო თვითმპყრობელობის, კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის იდეას ქადაგებს. პოეტი გვეუბნება, რომ სოციალური უსამართლობა ცალკეულ ადამიანთა ბოროტი ნება-სურვილით კი არ არის გამოწვეული, არამედ ადამიანთა ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, იმ კაპიტალისტური წყობილებით. რომელმაც თავის თათებში მოიმწყვდია ხალ-

ხი და ახრჩობს როგორც ძველბერძენ ლაოკოონს შემოჭდობილი გველი. პოეტს სწამს, რომ დადგება დრო და ხალხი ჩამოიგლეჯს მძიმე უღელს:

ვით გველებს შორის ლაოკოონი,
ხალხი ფართხალებს უჩინარ ქსელში,
მე ვნატრობ დევგმირს, ვის ბადის რგოლი
შემოაწყდება გოლიათს ხელში.

(თარგმნა ქ. ბურჯანაძემ)

გამარჯვების მტკიცე რწმენა აისახა პოეტის პირველი დაპატიმრებისას ლვოვის ციხეში დაწერილ ლექსში „ამხანაგებს საპყრობილედან", რომელიც აღერდა როგორც რევოლუციური ახალგაზრდობის მანიფესტი. როგორც აღნიშნავენ, ამ ლექსს ეტყობა „კომუნისტური პარტიის მანიფესტისა" და პროლეტარიატის საბრძოლო ჰიმნის „ინტერნაციონალის" იდეის ზეგავლენა. პოეტი ილაშქრებს ძველი — ექსპლუატატორთა სამყაროს, მეფის ტირანიის. ვერაგ პანთა ბატონობის წინააღმდეგ. მის გულს და გონებას არ ეკარება ბურჟუაზიულ-კლერიკალური მოძღვრება მჩაგვრელურ წყობილებასთან შეგუებისა და ბედის მორჩილებისა.

ჩვენ ვებრძვით ძველსა და ახალს ველტვით.
ჩვენ გვძულს მეფობა გულქვა ტირანთა,
გვძულს ეკლესია, ხუცები, ღმერთი
და ბატონობა იმ ვერაგ პანთა.

(თარგმნა იასამანმა)

აცხადებს მგოსანი. მას სწამს „ქვეყნისათვის გზა ბედნიერი, სიყვარული, ერთობა, ძმობა" და სჯერა მტკიცედ, რომ მისი მოპოვებისათვის საჭიროა მხოლოდ „ბრძოლა ძლიერი". პოეტმა იცის, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მსხვერპლი მოჰყვება. მაგრამ მისი სწრაფვა-უძლეველია. ხალხი „ბრძოლაში კიდეც თუ დაიღუპა, — გვამებზე ვივლით — ერთის ნაბიჯით ალარ დავიხევთ მებრძოლნი უკან". ნაწარმოებში გამოკვეთილად გაისმის პროლეტარიატის საბრძოლო ჰიმნის მოწოდება „უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლაზე":

ამ უკანასკნელ ბრძოლაში მოსპობს
კაცობრიობა საერთო ჭირსა.
თავისუფლება შთანთქავს მონობას
და დამკვიდრდება „სუფევა ღვთისა“.

ეს შეუდრეკელობა, სულის სიმტკიცე გამოხატა პოეტმა ლექსში „Semper idem“ („მარად იგივე“) და ადამიანებს მოუწოდა: „დაჰკარ ბუკსა და ნაღარას, რომ მიდამო ზანზარებდეს“, „შეაგებე ძალადობას სიმართლე და ბრძოლის ალი“ (თარგმნა გია კვალიაშვილმა).

თავისი იდეური შინაარსით „პროლეტარის ფიქრებთან“ ახლოს დგას ციკლი „Excelsior“ (ზევით). „მსახური“, „ბერკუტი“, „იდილია“, „ქვისმტეხელნი“ საპროგრამო ლექსებია არა მარტო ამ კრებულისათვის, არამედ ივან ფრანკოს მთელი შემოქმედებისათვის.

1876 წელს დაწერილ ლექსში „მსახური“ პოეტი გვიხატავს მსახურს, რომელსაც „გაჭირვება, მძიმე შრომა და ცხოვრება ავი, შუბლს უღარავდა დაღლილს“ (თარგმნა ს. ჩიქოვანმა). მსახურის სახით მწერალი სიმბოლურად წარმოადგენს უკრაინელ ხალხს, რომელიც დღედაღამ შრომობს, ოფლს ღვრის მებატონის მამულებში, თვითონ კი მშიერ-მწყურვალია.

ეს მონაა, ჩვენი ხალხი, მოსდის ოფლის ღვარი,
ნამავს სხვების ყანას.

(თარგმნა ს. ჩიქოვანმა)

წერს ავტორი და თავის ნაწარმოებში გვაძლევს ხალხის სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის რეალისტურ სურათს. ფრანკო დატანჯულ მსახურს ადარებს ტიტანების ანტიკურ სახეებს. მას სწამს, რომ შრომისმოყვარე ხალხი დაამსხვრევს საუკუნო მონობას და განთავისუფლებულ მიწაზე თავისი შრომის, ბედის, ყოფის გამგებელი თვითონ იქნება.

მართლაც, ვიცით, გაიმარჯვებ, წარსულს მოსპობ აგრე
და საკუთრად გაშლილ მინდორს, თუ საყანეს ფართოს,
თვითონ დახნავ თვისი შრომის პატრონი და გამგე,
და მშობლიურ ქვეყანაში იბატონებ მარტოდ.

ივან ფრანკოს სწამდა ხალხის, ჰქონდა რწმენა მისი ძალებისა და სწორედ ეს იყო მისი პოეტური შემოქმედების, მისი ენერგიის უშრეტი წყარო ყველა ჯურის ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლის დროს. შესანიშნავ ლექსში „ბერკუტი“, რომელშიც თვალისმომჭრელად გაიელვა ფრანკოს პოეტურმა ნიჭმა და რევოლუციურმა მრწამსმა. მთის მტაცებელ ფრინველში განსახიერებულია ავსტრია-გერმანული სისხლისმღვრელი ხელისუფლება, რომელიც „როგორც სიკვდილი მოდარაჯე და გალურსული მრუმე საავდრო ღრუბელივით რომ იზმორება“. ბერკუტი

აჰა, ფრთებს წურავს,
დაფეთებულ თვალებს აცეცებს,
მზად არი მოწყდეს.
შეღიღინებით თავზე დაგეცეს

(თარგმნა შოთა ნიშნიანიძემ)

„სისხლისმღვრელი, ულმობელი, გულქვა, ვერაგი“, კაცთმოძულეა ბერკუტი. ამისათვის ეზიზღება და ებრძვის მას პოეტი.

ფრინველთა მეფევ.
მეზიზღები მთელი არსებით,
მეზიზღებიან კაცთა შორის შენი მსგავსები.

ამიტომაც შემართავს იგი თოფს და ემზადება ჩახმახის დასაცემად. ნაწარმოები გამსჭვალულია ყველა ჯურის მჩაგვრელებისადმი ზიზღის გრძნობით და ამასთანავე რწმენით ამ ბრძოლაში მშრომელი ხალხის უთუო გამარჯვებისა:

მე ყველა ჯურის მტაცებლისათვის მზადა მაქვს ტყვია,
მხარს მოვტეხ ყველა მოძალადეს ადრე თუ გვიან
ყველა მტაცებელს,
ყველა მჩაგვრელს,
ყველა სისხლისმღვრელს
და სანატრელი მომავალიც მალე იცისკრებს.

საყოველთაოდ ცნობილ ლექსში „ქვისმტეხელნი“ ივან ფრანკო უკვე მარტო კი აღარ იბრძვის თოფით ხელში მჩაგვრელების წინააღმდეგ, არამედ ათასობით მის მსგავს ადამიანთან ერთად

ხელთ იღებს უროს, რათა კაპიტალიზმის, ძალადობის კლდე დაამსხვრიოს. გაკაფოს გზა სიმართლისა და თავისუფლებისაკენ.

დაჰკარით ამ კლდეს! ნუ დაიმჩნევთ ავდრისგან კრთომას,
ნუ შეუდრკებით ნურც შიმშილს, ნურც წყურვილს, შრომას,
რადგან დანგრევა მთელი ამ კლდის თქვენ გერგოთ ყველას
(თარგმნა იასამანმა)

გაისმის მძლავრი მოწოდება ლექსში. ეს იყო ჭეშმარიტად მუშური პოეზიის ნაჭედი სტრიქონები. საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპზე ფრანკოს პოეტური მრწამსი ახალ შინაარსს ეძებდა მხატვრულ სახეში, ფრაზასა თუ სიტყვაში. ავსტრიის მონარქიის სალი კლდის დასამსხვრევად მან დარაზმა მშრომელი ხალხი, თავისუფლებისმოყვარე ადამიანები ორგანიზებულად აამხედრა თავისუფლების მოსაპოვებლად. რა თქმა უნდა, ფრანკოს ჰყავდა წინამორბედები, რომლებიც რევოლუციისაკენ მოუწოდებდნენ გლეხებს. დიდი წინაპრები — ტარას შევჩენკოს თუ გერცენის, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა თუ რევოლუციონერი უკრაინელი მწერლების სახით. მაგრამ ფრანკოსთან რევოლუციისაკენ მოწოდება უკვე მხოლოდ ნაჯახის შემართვასთან აღარაა დაკავშირებული და პოეტის ლექსი ისე ახმიანდა თითქოს „მგრგვინავი ხმა ისმის, თითქოს მოყვაო ელვას"! „ვით ჩანჩქერის ღრიალი, როგორც ბრძოლის გუგუნი და ყიჟინა", — გაისმა პოეტის მოწოდება.

ქვისმტეხელები — მშრომელთა მასაა. რომლებსაც აერთიანებთ კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილი. ისინი მშრომელები არიან, მაგრამ ერთიან, გაერთიანებულ ძალას წარმოადგენენ. ისინი ცალ-ცალკე მებრძოლი გმირები კი არ არიან, რომლებიც მასისაგან განზე არიან გამდგარნი და ზოგჯერ ზემოდან დასცქერიან ხალხს, არამედ ერთი სულისკვეთებით გაერთიანებული, ერთ რკინის მუშტად შეკრული. რევოლუციის დიადი და სპეტაკი იდეით გამსჭვალული ათასობით მებრძოლი რევოლუციონერია. „ჩვენ აღვმართეთ ყველამ ერთად ზევით ხელები", „ჩვენ ... მხნედ, გამეტებით კლდეს შევუტიეთ და ვუმსხვრევდით მაგარ შუბლს კლდესა", „ჩვენ წინ ვიწევდით და თანდათან გზას ვიკაფავდით", — ასეთ ერთიან, ორგანიზებულ მასად არის წარმოდგენილი ხალხი, ქვისმტეხელები ნაწარმოებში.

ეს მშრომელი კლასის შვილების სურათია, ამავე დროს ესაა მარადი რევოლუციური სულის ალეგორიული სახე, რაც ქვისმტეხელების კონკრეტულ მხატვრულ სახეებში გადატყდა, განსახიერდა. ეს მებრძოლები, თუმცა ისინი თავის თავზე ამბობენ, — „ჩვენ გმირნი არ ვართ, გოლიათნი", ჭეშმარიტად გმირი-გოლიათები არიან, რომლებიც თავიანთ სიცოცხლის ფასად, უფრო სწორად, სიცოცხლის შეწირვით, იპოვებენ მომავალს, ანგრევენ კლდეს და უკაფავენ გზას მომავალს. ბედნიერ მომავალს. თავისუფალ ხვალინდელ დღეს.

ლექსის ალეგორია მძლავრდება და მეტ დამაჯერებლობას იძენს აფორისტული მოწოდებებისა და დასაბუთებების წყალობით.

ივან ფრანკო მგზნებარედ ლაპარაკობს ხალხის წინაშე მოვალეობის გრძნობაზე. მაღალი იდეალებისათვის ბრძოლის გარდუვალობაზე და სწორედ ამით იგი შევჩენკოს ტრადიციას აგრძელებს და უკრაინულ პოეზიაში ავითარებს საბრძოლო-სამოქალაქო პოლიტიკურ ლირიკას.

ივან ფრანკო ჯერ კიდევ მის პირველ დაპატიმრებამდე ავლენდა სიმპათიებს სოციალისტებისადმი. იგი ენერგიულად იწყებდა ბრძოლას ავსტრიის მონარქიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ახალი გზებისა და საშუალებების ძიებამ იგი მუშათა კლასთან მოიყვანა.

„სოციალიზმი — ესაა ყოველგვარი საზოგადოებრივი უთანასწორობის, ყოველგვარი ექსპლუატაციისა და ყოველგვარი უგვანობის მოსპობისათვის ბრძოლა. ბრძოლა სამართლიანი, უფრო ბედნიერი, ვიდრე თანამედროვეა, წყობილების დასამყარებლად, სახელდობრ ისეთი საშუალებებით, რომ ახლანდელი სამრეწველო კაპიტალი, ე. ი. მიწები, ფაბრიკები, მანქანები და შრომის სხვა იარაღები, ზუსტად ასევე ყოველგვარი ნედლეული, ნაცვლად იმისა, რომ იყოს რამდენიმე ადამიანის კერძო საკუთრება, საზოგადოების მფლობელობაში უნდა გადავიდეს", აღნიშნავდა ივან ფრანკო თავის ნაშრომში „ეკონომიკური სოციალიზმის კატეხიზისი" და აცხადებდა, რომ სოციალიზმი სრულიადაც არაა ახალი მოვლენა, რადგან მთელი საზოგადოებრივი პროგრესი ნაწილობრივ სოციალიზმს წარმოადგენსო. ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის გზების ძიების დროს იგი მუშათა კლასთან. პროლეტარიატს

რევოლუციური ძალის აღიარებასთან მივიდა. ამ თვალსაზრისით მისი ლექსი „ქვისმტეხელნი“, როგორც მხატვრულად, ისე იდეური მიზანდასახულობით, უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა უკრაინულ ლიტერატურაში.

დესპოტიზმისა და ძალადობის „კლდის“ დანგრევის „წმინდა აზრით“ გაერთიანებული მებრძოლი-რევოლუციონერები, ხალხთა თავისუფლებისა და ძმობისათვის თავგანწირული ათასობით ადამიანი ერთ მონოლითურ ძალად შეიკრა, ერთიანი ნებისყოფითა და სწრაფვით განიმსჭვალა. ივან ფრანკო ჭშეენივრად ახერხებს ამ მოვლენის გადმოცემას თავის ლექსში სხვადასხვა პოეტური ხერხებით.

პოეტმა იცის, რომ ადამიანები ბედნიერებას მხოლოდ მაშინ მიაღწევენ, როდესაც დაამსხვრევენ გრანიტის კლდეს.

ვიცოდით, ხალხი ამ გზით მხოლოდ მაშინ იცლიდა,
როს გაჰკრებოდა გრანიტის კლდე მიწის პირიდან,

წერს იგი. მას სჯერა, რომ „ღონით საკუთარით ჩვენ კლდეს დავძლევდით“, ამიტომაც „არ გაუგდია არვის ურო თავის ხელიდან“. პოეტს მტკიცედ სწამს, რომ ქვისმტეხელი რევოლუციონერები დაამსხვრევენ კაპიტალიზმის გრანიტის კლდეს და „საკუთარი სისხლით“ გაკაფავენ გზას მომავლისაკენ.

სულ წინ მივდივართ, ერთობაცა ძალას გვიმატებს,
ურო გვიპყრია და სიძნელე ვეღარ გვერევა.
დე, დაგვიწყონ, დაე, გვწყევლონ, ნურავინ გვაქებს,
ჩვენ კლდეს დავანგრევთ, გაუკაფავთ გზასაც სიმართლეს,
მხოლოდ ჩვენს ბეღლებზე გადაივლის ბედნიერება.

ლექსი „ქვისმტეხელნი“ უკრაინული კლასიკური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშია.

ივან ფრანკოს მიაჩნდა, რომ პოეზია საიმედო იარაღია ხალხის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში. ამ თემას მან ლექსების მთელი ციკლი „პროფილები და ნიღბები“ მიუძღვნა. ამ ლექსების ციკლში პოეტი წარმოგვიჩენს თავის რევოლუციურ-დემოკრატიულ ესთეტიკურ შეხედულებებს პოეზიაზე. იგი უმღერის იმ პოეზიას, რომელიც ხალხს ეხმარება წინააღმდეგობების დაძლე-

ვაში, მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ხალხის გულის მესაიდუმლე, მისი კეთილი მრჩეველი და მეგობარია. იგი გვეუბნება, რომ „სიმღერაში მხოლოდ ის ცოცხლობს, რაც მას ცხოვრებამ მისცა“ („რით ცოცხლობს სიმღერა?“). ბუკოვინელ პოეტ ვორობკევიჩთან კამათის დროს ივან ფრანკომ გამოთქვა აზრი, რომ ცხოვრების ზღვაში მგოსანი მესაშე უნდა იყოს, ხალხს უნდა სწვდეს მისი და მასში გზისმკვლეველს ხედავდეს. მხოლოდ მაშინაა გამართლებული პოეტის არსებობა ამ ქვეყანაზე. პოეტის, მისი შემოქმედების კავშირს ხალხურ შემოქმედებასთან, შრომასთან უმღერის მგოსანი ლექსში „სიმღერა და შრომა“. „შრომა და სიმღერა ყოფილან ძმები“, აცხადებს პოეტი. — ორივე უდიდესი ძალაა.

ციკლი „პროფილები და ნიღბები“ მრავალფეროვანია როგორც მასალის შერჩევის, ისე ჟანრობრივი თუ თემატიკური ხასიათის მიხედვით. ციკლში შევიდა ლექსები და პოემები როგორც სატირული, ისე პოლემიკური და პატრიოტული ლირიკის ნიმუშები. ივან ფრანკო სატირული პოეზიის ოსტატი იყო. ჯერ კიდევ ახალგაზრდობის ჟამს, როდესაც კალამს მოჰკიდა ხელი, მომავალმა დიდმა მგოსანმა შექმნა შესანიშნავი სატირული ნაწარმოებები „ფიქრი ნაუმ ბეზუმოვიჩზე“, „ფიქრი მალედიკტ პლოსკოლობიზე“ და სხვები, რომლებშიც გაილაშქრა რეაქციული ძალების წინააღმდეგ. სატირა იყო მისი იარაღი პოლონური შლიახტის, ავსტრიის მონარქიის, უკრაინული ბურჟუაზიის, ერთი სიტყვით, ყველა იმ ნაძირალას წინააღმდეგ ბრძოლისას, რომლებიც ყველაფერს თავის ერს, მშრომელ ხალხს. პოეტი ამხელდა გალიციელ რეაქციონერებს, სამღვდელოებას, სატირულ ცეცხლში ატარებდა მათ მლიქვნელობას, მეშჩანობას, პროვინციულ შეზღუდულობას და სხვ.

პოეზიის სამოქალაქო როლსა და მნიშვნელობაზე საუბრობს მგოსანი კრებულის მომდევნო განყოფილებაში — „სონეტები“. „სონეტებში“ მწერალმა თავი მოუყარა უმთავრესად 1880—1884 წწ. დაწერილ ლექსებს, ივან ფრანკომ პირველმა მიმართა, შემოიტანა სონეტის ჟანრი უკრაინულ პოეზიაში. ფრანკო თავისებურად მიუდგა სონეტს. მან გააფართოვა და გაამდიდრა ამ ჟანრის გამომსახველობითი საშუალებანი. კრებულში მოთავსებული სონეტები მან ორ ჯგუფად დაჰყო: „თავისუფალ სონეტებად“ და „საპატიმ-

როს სონეტებად". „თავისუფალ სონეტებში" მან „გაგლიჯა", როგორც თვითონ ამბობს, „ფორმის ხუნდები" და ლექსის სტრიქონებში გამოხატა რისხვა, სიძულვილი, ირონია და სარკაზმი უსამართლობისა და მჩაგვრელობის წინააღმდეგ, რაც ამ ჟანრისათვის არ იყო დამახასიათებელი. ეს იყო სონეტებისათვის ფაქტიურად სრულიად ახალი ამოცანა, პოლიტიკური პროტესტისა და უღმობელი მხილების ამოცანა, რაც ამ ჟანრისათვის არ იყო დამახასიათებელი.

სონეტების კლასიკოსებს დანტეს, პეტრარკას, შექსპირს, სპენსერს, — ამბობს ფრანკო, — მშვენიერების საოცრება აქვთ ასახული. აი ეს კლასიკური ფორმა სონეტისა, აცხადებს ფრანკო, პოეტი-რევოლუციონერის ხელში შეიძლება საბრძოლო იარაღად გადაიქცეს, ისეთად, როგორიცაა „მძიმე ურო ქვისმტეხელისა".

„საპატიმროს სონეტებში" პოეტმა თავის ხმას მისცა პოლიტიკური პროტესტის ტონალობა. ილაშქრებს ავსტრიის მონარქიის მჩაგვრელური სისტემის წინააღმდეგ, გვიხატავს ავსტრიის საპატიმროს რეჟიმს, საპატიმროს ყოფის, ნესტიან და ბნელ საკნებში ჩაგდებული პატიმრების ფიზიკური და მორალური წამების რეალისტურ სურათებს, ილაშქრებს ადამიანის ჩაგვრის, ძალადობის წინააღმდეგ. ამ კონკრეტული სურათებიდან მწერალი ფართო პოლიტიკურ განზოგადებაზე გადადის და ციხეს, საპატიმროს წარმოგვიდგენს როგორც მთელი ავსტრიის სიმბოლოს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ავსტრიის „ხალხთა საპყრობილის" სიმბოლოს.

ხარ საპყრობილე და ხალხების შავი საკანი,
სიხსრები ცოცხლად შეუბოჭე მძიმე ბორკილით,
რომ მათი სისხლით გაასუქო ყველა ორპირი,
ყველა მლიქვნელი — არამზადა, ბოროტთაგანი,

(თარგმნა ი. მოსაშვილმა)

წერს პოეტი და მოუწოდებს ადამიანებს:

მათი მსხვერპლი ვართ... საფლავიდან გიხმობთ ჩრდილები:
გამხნევდით: მტკიცედ! სულით ადრე ნუ დაეცემით!
შეებრძოლეთ ნადირს, დაჰკარით და გლიჯეთ კბილებით!

(თარგმნა ი. მოსაშვილმა)

ივან ფრანკო თავისი რევოლუციური მოწოდებებისათვის იყენებდა კლასიკური სონეტის ფორმას. სონეტში ჩაქედილ მწყობრ სტრიქონებში მგოსანი ხედავდა რევოლუციური არმიის ჯარისკაცებს:

სონეტი-მონა შეკრულია წყობის ბორკილით,
თავისუფალი აზრი მასში შეზღუდულია.
სალდათებურად მისი სიტყვაც ბორგავს სრულიად,
თავის შესალტულ ფარაჯაში გამოწყობილი.

„მწკრივში გასწორდით!“ მხარი მხართან განეყოფელი
გჭონდეთ. სონეტსაც მალე დასძრავს ერთი მიზანი,
მარად დიადი, მრისხანე და ცხოველმყოფელი...

(თარგმნა ი. მოსაშვილმა)

ერთი მიზანი ასულდგმულებდა და ამოქმედებდა მგოსანს — ხალხის ბედნიერება და ამ ბედნიერების მოსაპოვებლად ბრძოლა, დაუნდობელი ბრძოლა.

ამიტომ იყო შეშფოთებული ყველა ჯურის რეაქციონერი. ისინი ივან ფრანკოში ხედავდნენ დიდ პოეტს და დიდ რევოლუციონერს ერთდროულად.

ივან ფრანკო, წერდა გრიგორი ცეგლინსკი, იხსენებს „ამ სამყაროს ყველა ცოდვასა და ბოროტებას: შიმშილს, სიცივეს, კვნესას, შრომას, მონობას. ბორკილებს, გაღატაკებას, მკვლელობებს, წყენას. გადასახადებს და ბეგარას... მას ყველაფრის ამის უნივერსალური წამალი აქვს, ერთადერთი ჯადოსნური თილისმა... კაცობრიობის ყოველგვარი უბედურების წინააღმდეგ ეს უნივერსალური საშუალებაა: რე... ვო... ლუ... ცი...ა!“. ცეგლინსკის ვერ მოუნელებია ფრანკოს რევოლუციონერობა და გაღიზიანებული განაგრძობს: „პოეტს უყვარს ეს სიტყვა თავის როგორც პროზაულ, ისე პოეტურ ნაწარმოებებში, იგი ესიყვარულება მას, ეთამაშება, როგორც პატარა ბავშვი თოფს. მას, როგორც ბავშვს, თავში აზრადაც არ მოსდის, რომ ამ რევოლუციამ შეიძლება მისი მეგობრებიც დაღუპოს... სისხლის დაღვრა არ აშინებს მას“...

სავსებით სწორად შენიშნა ივან ფრანკოს ეს თვისება ცეგლინსკიმ — პოეტი უშიშრად უტევდა ხალხის მჩაგვრელებს და ხალხის

ტანჯული. მონური მდგომარეობიდან ხსნას მხოლოდ რევოლუციაში ხედავდა. ამ ბრძოლაში მან იცოდა, რომ მსხვერპლის გაღება იყო საჭირო. იცოდა, რომ ბევრი დაეცემოდა. მაგრამ ისიც იცოდა, რომ მსხვერპლის გარეშე მომავლისაკენ გზის გაკაფვა შეუძლებელი იყო. აკი წერდა პოეტი თავის საპროგრამო ლექსში, „ქვისმტეხელნი“: „ჩვენ კლდეს დავანგრევთ, გავუკაფავთ გზასაც სიმართლეს, მხოლოდ ჩვენს ძვლებზე გადაივლის ბედნიერება“.

1881 წლის აპრილში ფრანკო ნაგუევიჩში გაემგზავრა. სოფელში ცხოვრებამ მწერალი კიდევ უფრო დააახლოვა გლეხებს და უფრო ღრმად ჩაახედა მათ სავალალო ყოფის მიზეზებში. გულის ტკივილით ასახა მწერალმა მევახშისა და კულაკის ხელში ჩავარდნილი ღარიბი გლეხების ცხოვრება. ყველაფერი, რაც თავისი თვალით იხილა ნაგუევიჩიში, მან ქაღალდზე გადაიტანა და მკითხველებს მოუთხრო. ნაგუევიჩიში შექმნა მგოსანმა „გალიციური სურათები“, რომლებშიც შევიდა ლექსები „სამიკიტნოში“, „აღდგომა“, „დედაკაცი მიტრიხა“, „ფიქრები მიჯნაზე“, „ფიქრები გლეხის ყანაზე“ და სხვ.

ღატაკი გლეხი ბობოლა გლეხს ედავება, ვერ შეძლო „მდუმარედ ყოფნა“, „როცა ბობოლა იკლებდა სოფელს“. ბატონებმა წაართვეს მას ყანა, ყველაფერი, რაც გააჩნდა და „ულუკმაპუროდ გააგდეს კარში“.

ცოლი შინ კვდება, შვილები გარეთ...
ზის დუქანში და ცარიელ არყით
მშიერ გულ-მუცელს იდაგავს მწარედ.

(თარგმნა ი. მოსაშვილმა)

ნაწარმოებში „სამიკიტნოში“ გადმოცემული გლეხის მძიმე ცხოვრების სურათი ტიპური იყო იმ დროის გალიციის სოფლისათვის. ასეა ლექსში „აღდგომა“. დიდი დღესასწაულია. რეკავენ ზარები. ყველა სახლისაკენ მიიჩქარის. საწყალ მსახურს კი არსად შეუძლია თავი შეაფაროს დუქნის გარდა და ისიც დუქანში მიდის და სისხლად ნაშოვნ გროშებს არაყში ხარჯავს. უფრო ტრაგიკულად ამთავრებს სიცოცხლეს ნაწარმოების „მიხაილო“-ს გმირი. მოიჯარადრე ვალში გაუყიდის სახლ-კარს გლეხს და მის ცოლ-შვილს გააგდებს ქუჩაში. გლეხი ვერ იტანს ასეთ ფიზიკურ და

მორალურ შეურაცხყოფას და თავს ჩამოიხრჩობს. ასეთივე ტრაგიკული დასასრული აქვს ლექსს „დედაკაცი მიტრიხა“ და სხვებს, რომლებშიც მწერალმა გლეხის არაადამიანური შრომა, გაჭირვება, ცრემლი და ვაება, მისი სიბნელე და უძირო ტანჯვა ასახა.

ივან ფრანკო სოფლის მშრომელი გლეხობის ცხოვრების ძალზე რეალურ ჩანახატებს იძლევა. ლექსებში თითქმის არ არის პეიზაჟი, არ არის ავტორისეული წიაღსვლები და სხვ.. მაგრამ ფრანკო მხატვრულ ზემოქმედებას, ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენას სწორედ იმით ახერხებს, რომ მშრომელი კაცის მძიმე ცხოვრებაზე ბევრს არ ლაპარაკობს, თითქმის ოქმის სტილში ასახავს მას. ლაკონიზმი — ესაა ამ შემთხვევაში ფრანკოსათვის დამახასიათებელი. ივან ფრანკოს ესმოდა, რომ მშრომელი კაცის უბედურების მიზეზი თვით კაპიტალისტური სისტემა და კერძო-მესაკუთრეობაა. უმთავრესი სოციალური ბოროტება მშრომელი კაცის ხელით სიმდიდრის მოხვეჭა იყო. სოფლის ბობოლები და კაპიტალისტები სულს ხდიდნენ გლეხებს, უკანასკნელ საშუალებამდე უწევდნენ მათ ექსპლუატაციას და გლეხების შრომის წყალობით ისქელებდნენ ჯიბეს, იზრდიდნენ შემოსავალს, მამულებს. ფრანკოს აწუხებს გლეხის მეურნეობის პრობლემა და ეძიებს შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს. ამგვარი ძიების მაგალითი გვაქვს მის ნაწარმოებებში „ფიქრები მიჯნაზე“ და „ფიქრები გლეხის ყანაზე“.

მწერალმა იცის, რომ გლეხის სიღატაკეს არ მოეღება ბოლო, სანამ სოფელში მიწა მიჯნებით იქნება დაყოფილი, სანამ არ მოისპობა წვრილი მესაკუთრეობა. ხოლო მიჯნა — კერძო საკუთრების სიმბოლოა, გლეხობის ეკონომიკური ჩამორჩენილობის უტყუარი მაჩვენებელი. ეს მიჯნა იყო მიზეზი არა მარტო თანასოფლელებს შორის, არამედ ძმებსა და დებს შორის, მამასა და შვილს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლებისა და სანამ იქნება ეს მიზეზი ადამიანების, ერთი ოჯახის წევრების ერთმანეთზე სასიკვდილოდ გამეტებისა, სანამ იქნება მიჯნა, იქნება წვრილი მესაკუთრეობა მიწაზე, გლეხი ვერ აიშვებს, ვერ ამოისუნთქავს შვებით.

ჰეი, მიჯნებო, ვიწრო კვალად რომ მისდევთ ყანებს,
თქვენ უმეცარი ხალხის ფიქრი სად წაიყვანეთ?
შედის ბურუსში დაკლაკნილი პატარა კვალი.
ო, ვინ გვიჩვენოს გზა ფართო და თავისუფალი?

(თარგმნა დ. გაჩეჩილაძემ)

ამბობს პოეტი. ზოგს მიაჩნია, რომ ლექსში „ფიქრები მიჯნაზე" აირეკლა ივან ფრანკოს ნაროდნიკული შეხედულებანი სოფლის თემაზე. მაგრამ პოეტი არ რჩება ნაროდნიკობის პოზიციაზე და წინ მიიწევს. მგოსანი ფიქრობს, რომ ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია მიჯნების გადახვნა, გლეხების გაერთიანება ერთ შრომით კოლექტივში, პაწია მიწის ნაკვეთების ერთ მთლიან მეურნეობად გაერთიანება და ერთად შრომა. ეს აზრები ებადება მგოსანს ღატაკი გლეხის ყანის ხილვისას. პოეტის ოცნებები, მისი აზრები უსახავენ მას იმ ბედნიერ მომავალს, სოციალისტურ საზოგადოებას, როდესაც არ იქნება კერძო საკუთრება მიწაზე, სადაც ყველა იმუშავებს და იმუშავებს ერთ კოლექტივში:

მე ხალხის ბრძობას ვუმღეროდი დიადს და ახალს,
და ვოცნებობდი ქვეყანაზე მის ჩქარა ნახვას.
მე ოცნებაში აყვავებულს საერთო შრომით
ველებს, უმიჯნოდ გადაშლილებს ვხედავდი შორით.
ვიხილე ხალხიც, მზის ნათელში მან გაიღვიძა...
ეს ხომ შენ იყავ, უკრაინავ, მშობელო მიწავ?
ყველას ნაჯიჯგნი, ყველასაგან დაგიწყებული,
თვალს წამოუდექ შენ ახალი, გალაღებული!
თითქოს მიყუჩდა მაშინ გულში მძაფრი ნაღველი.

(თარგმნა დ. გაჩეჩილაძემ)

ასეთივე მძიმეა ბორისლაველი მუშების ცხოვრება. ლექსში „მაქსიმ ციუნიკი" პოეტი გვიჩვენებს მუშა-კაცის ტრაგიკულ ცხოვრებას. ლექსისთვის დართულ შენიშვნაში ავტორი მიგვითითებს, რომ ფაქტი სინამდვილიდანაა აღებული. „ასე ერქვა მუშას ნაგუევიჩიდან, რომელიც ბორისლავში დაიღუპა მაღაროში, მუშაობის დროს. ცუდად აგებული შტოლნია ჩაინგრა შუაში ისე, რომ მის ქვეშ მოყოლილი მუშის ირგვლივ ცოტა თავისუფალი ადგილი დარჩა. ცხრა საათის განმავლობაში ისმოდა იქიდან იმ უბედურის

ყვირილი და ცხრა საათს ესმოდათ ის ყვირილი, ზედამხედველებს“ [1]. არავინ კი ხელი არ გაანძრია მის საშველად და დაიღუპა კიდეც.

ციკლი „გალიციური სურათები“ ავსტრიის ბატონობის ქვეშ მყოფი გლეხების ბედითაა ნაკარნახევი. ამ დროისათვის პოეტი ინტერესდება სოფლის, გლეხის თემაზე შექმნილი რუსი მწერლების ნაწარმოებებით, განსაკუთრებით გლებ უსპენსკის შემოქმედებით.

გლეხურ თემაზე შექმნილი ნაწარმოებებით ივან ფრანკო აგრძელებს რუსი რეალისტი მწერალი-დემოკრატების ტრადიციებს, განსაკუთრებით კი გლებ უსპენსკის ტრადიციებს. რომლის ბრწყინვალე ნარკვევებს გლეხთა ცხოვრებაზე თავისი მხატვრული თუ იდეური ღირებულებებით არ ჩამოუვარდება ივან ფრანკოს ნაწარმოებები: ისიც უნდა აღინიშნოს. რომ რეალისტური ასახვის სიძლიერითა თუ ხასიათით ფრანკოს ლექსები ეხმაურება რუსი რევოლუციონერ-დემოკრატის ნეკრასოვის პოეზიას.

ივან ფრანკო მგზნებარე პატრიოტი იყო. მას თავდავიწყებამდე უყვარდა თავისი ქვეყანა — უკრაინა და მშობელი ხალხი. პოეტის მთელი შემოქმედება ამისი დასტურია. მაგრამ იმ ნაწარმოებებს შორის, რომლებშიც აირეკლა მწერლის სიყვარული თავისი სამშობლოსადმი, მაინც გამოირჩევა რამდენიმე, რომლებშიც უფრო გამოკვეთილად გამოჩნდა ეს თემა. ასეთია, მაგალითად, ლექსი „ჩემი სიყვარული“. ამ ლექსის თვით სათაურში ჩანს პოეტის პოზიცია. იგი უმღერის „მას, საოცნებოს“, საოცრად კარგსა და მიმზიდველს, მაგრამ ამავე დროს ნატანჯსა და ჭირნახულ სამშობლოს, რომლის „დარდიან ჰანგებში დღესაც უსიხარულო მოჩანს წარსული“. ლირიკული გმირი ყველაფერს ანაცვალებს მის ბედნიერებას, „ამ წრფელ სიყვარულს რა შეედრება“. — აცხადებს მგოსანი. მაგრამ პოეტს გულს უსერავს მშრომელი ხალხის დაბეჩავებული მდგომარეობა, „ვინც ოფლს და სისხლს ღვრის მძიმე ბორკილქვეშ გმინავს და ბორგავს.“ ამიტომაცაა, რომ ლექსის ლირიკული გმირი მზადაა უარი თქვას საკუთარ ბედნიერებაზე.

---

[1] ი. ფ რ ა ნ კ ო, რჩეული თხზ., ტ. I, გვ. 530.

ლექსი „ჩემი სიყვარული“ ყურადღებას იმსახურებს იმითაც, რომ დიდმა პოეტმა და მოქალაქემ სამშობლოს სიყვარულისადმი მიძღვნილ ლექსში საგანგებოდ გამოკვეთა აზრი უდიდესი სიყვარულისა ყველა მშრომელისადმი, რომელი ერის შვილიც არ უნდა ყოფილიყო იგი. ჰეშმარიტი რევოლუციონერის სიყვარული მშრომელი ხალხისადმი ორგანულადაა გადაქსოვილი სხვა ერის შვილების სიყვარულთან. „ვისაც არ უყვარს, ყველა ძმა“, კატეგორიულად წერს პოეტი ლექსში „ჩემი სიყვარული“, „იგი გულწრფელად ვერ შეგიყვარებს შენ, საყვარელო უკრაინავ!“ პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი ივან ფრანკოსთან ასეთ განუყოფელ მთლიანობაში იყო წარმოდგენილი. ამაშია ივან ფრანკოს სიდიადე. კრებულის „მაღლობებიდან და დაბლობებიდან“ მეორე შევსებულ და პირველთან შედარებით საკმაოდ გავრცობილ გამოცემაში (1893) წარმოდგენილია აგრეთვე 1887 წელს დაწერილი ი. ფრანკოს პოემა „პანის გასართობი“.

უკრაინულ პოეზიაში ტარას შევჩენკოს შემდეგ პოემის ჟანრი შედარებით ღარიბულად არის წარმოდგენილი. სწორეპოვარი კობზარის შემდეგ, ალბათ, ჰეშმარიტად ეროვნულ, დიდი შინაგანი ექსპრესიის და მხატვრული ნიჭის პოეტს თუ შეეძლებოდა შეექმნა ამ ჟანრში ეპოქალური ხასიათის ნაწარმოები, რომელშიც საზოგადოებრივი ტკივილები, ქვეყნის ჭირ-ვარამი აისახებოდა. ფრანკო აღმოჩნდა სწორედ ასეთი პოეტი. მისმა კალამმა კვლავ ააღორძინა პოემის ჟანრი. მან შექმნა ეპიკური და ლირიკულ-ეპიკური პოემები, რომლებმაც ღირსეულად დაიკავეს ადგილი უკრაინულ კლასიკურ ლიტერატურაში.

პოემებში ივან ფრანკომ გააღრმავა და განავითარა თავისი პოეზიის ძირითადი მოტივები. პოემების — „პანის გასართობი“ (1887) თუ „კაინის სიკვდილი“ (1889), „ივან ვიშენსკი“ (1900) თუ „წმინდა იურის მთაზე“ (1900), „დაკრძალვა“ (1899) თუ „მოსე“ (1905) და სხვების მთავარი თემა კვლავ და კვლავ ხალხის ბედი და მისი მომავალი იყო.

ძალზე ფართო იყო ივან ფრანკოს პოემების თემატური ჰორიზონტი. მათში აისახა უკრაინელი ხალხის ცხოვრება ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, აირეკლა ბიბლიური ლეგენდა კაინზე, აკიაფდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხალხების, განსაკუთრებით ინდო–

.ეთის პოეტური მარგალიტების ათინათი. პოეტი ქმნიდა ორიგინალურ პოემებს, გადააკეთებდა ან თავისუფლად თარგმნიდა ნაწარმოებებს.

ივან ფრანკოს ერთ-ერთი ადრინდელი პოემა იყო „პანის გასართობი", რომელშიც აისახა გალიციაში ბატონყმობის გაუქმების ხანა. ეს იყო XIX საუკუნის 40-იანი წლები. ნაწარმოების მთავარი გმირი მდიდარი მემამულე მოგუცკი ავტორმა გამოიყვანა სასტიკ, ულმობელ და თავისთავზე შეყვარებულ მებატონედ, რომელიც დასცინის, ტანჯავს და აბუჩად იგდებს გლეხობას, არ ცნობს მათ ადამიანებად და, რაც მთავარია, წარმოუდგენლადაც კი მიაჩნია, რომ მისმა „საკუთრებამ" — გლეხებმა — თავისუფლება მიიღონ. თავის სადისტურ საქციელს, დესპოტიზმს მოგუცკი უწოდებს „გასართობს". პანის „გართობა" თუ „გასართობი" გლეხობას ძალზე ძვირად უჯდება.

ნაწარმოების ძალა, ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების მძაფრი კრიტიკა, ადამიანის უტეხი, დაუმორჩილებელი სულის არსებობის აღიარებაა, მისი სუსტი მხარე კი, როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, ცხოვრების ზოგიერთი არატიპური მოვლენისა თუ არატიპური პერსონაჟის ჩვენება პოემაში, როგორიცაა მაგალითად, მემამულე მოგუცკისა და სახელმწიფო მოხელეების ურთიერთობა, მოგუცკის სახე, თვით ნაწარმოების ფინალი — ბატონყმობის გადავარდნის შედეგად მემამულის გაღატაკება და სხვ.

პოემის დაწერის დროს მასში ასახული მოვლენები თითქოს ისტორიას იყო უკვე ჩაბარებული. მაგრამ ის ნახევარი საუკუნე, რომელმაც ბატონყმობის გადავარდნის დროიდან განვლო, სრულიადაც არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ წაშლილიყო ბატონყმობის მიერ ადამიანის მეხსიერებაში და შეგნებაში დატოვებული სისხლიანი კვალი. ავსტრია-უნგრეთის მონარქიის პირობებში ჯერ კიდევ საკმაოდ იყო შემორჩენილი ბატონყმური გადმონაშთები, მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული დესპოტიზმი, პოლონური შლიახტის თავგასულობა. ამიტომაც ნაწარმოებს აქტუალური პოლიტიკური ჟღერა უფრო ჰქონდა, ვიდრე ისტორიული წარსულის გახსენებით გამოწვეული ტკივილების გაღვივების ფუნქცია.

კრებულით „მაღლობებიდან და დაბლობებიდან" ივან ფრანკო აგრძელებს და ავითარებს, როგორც პოეტი და როგორც მოქალაქე.

რუსული და უკრაინული რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს. ივან ფრანკომ ამ კრებულით დასავლეთი უკრაინის პოეზია ფართო ასპარეზზე გამოიყვანა და გზა გაუკაფა მომდევნო თაობას. მარტოვიჩი თუ ჩერემშინა, სტეფანიკი თუ ოლგა კობილიანსკა მის კვალზე რევოლუციურ-დემოკრატიული განვითარების გზას დაადგნენ.

ფრანკოს დიდი დამსახურებაა ისიც, რომ თავის მხატვრულ ნაწარმოებებს იგი ქმნიდა საერთო-სახალხო ენის მეშვეობით. ფრანკო წერდა: „ჰეშმარიტ პოეტებს შესწევთ უნარი მშობლიური ენის მდიდარი მარაგიდან აირჩიონ სწორედ ისეთი სიტყვები, რომლებიც ყველაზე სწრაფად და იოლად იწვევენ ჩვენს სულში კონკრეტულ ემოციებს". ივ. ფრანკო სალიტერატურო ენას დიდებულად ფლობდა. ხალხური ენის საფუძველზე იგი ამდიდრებდა ლექსიკურ ფონდს.

კრებულისათვის დამახასიათებელია ფრანკოს ფართო კულტურული ჰორიზონტი. მწერალი კარგად იცნობდა მხატვრული ლიტერატურის მიღწევებს, პროგრესულ, რევოლუციურ ლიტერატურას და იყენებდა მათ თავის მხატვრულ ლიტერატურაში. მწერალი შესანიშნავად იცნობდა ხალხურ შემოქმედებას და უხვად იყენებდა მის შედევრებს ორიგინალური მხატვრული ნაწარმოების შექმნის დროს.

კრებულს ეტყობა ფრანკო-პუბლიცისტის ხელი. პუბლიცისტი და მხატვარი ორგანულადაა ავტორში შერწყმული. ივან ფრანკო შესანიშნავად ახერხებს თავისი იდეური მრწამსის მხატვრულ ქსელში წარმოჩენას. მისი ნაწარმოებები მაღალი იდეურობის სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენენ. მწერლისათვის „ყველაფერი, რაც ბრწყინავს — ოქრო როდია. ყველაფერი, რაც გარითმულია — ლექსი როდია". მგოსანი ლექსის გარეგნული ფორმის თვალსაზრისით, მხატვრულ სრულყოფილობასთან ერთად, განუყოფელ ფუნქციას, მნიშვნელობას ანიჭებს ნაწარმოების იდეურ მხარეს. შეიძლება ითქვას, რომ ივან ფრანკოსათვის პოეზიის არსი მის იდეურობაში მდგომარეობს, იდეურობა კი, მისი წარმოდგენით, ეს არის ავტორის უნარი—გამოიწვიოს მკითხველში ასასახავი საგნის, ფაქტის თუ მოვლენის რეალისტური სურათი და მისი მეშვეობით გადასცეს მკითხველს თავისი იდეები. „პოეტურ ნაწარმოებს

ვუწოდებ იდეურს მაშინ, როდესაც მის საფუძველში ძევს რომელიმე ცოცხალი სახე, ფაქტი, შთაბეჭდილება, გრძნობა ავტორისა“ [1], — წერდა ივან ფრანკო.

მხატვრული გამოსახვის ტექნიკას ფრანკო სრულყოფილად ფლობდა. ამ კრებულში გამოჩნდა იგი როგორც ლაკონიური სიტყვის ოსტატი, ამბის შეკუმშულად გადმოცემის, რელიეფური გამოსახვის ხელოვანი; მისი ლექსებისათვის დამახასიათებელია ლოგიკურად ნათელი და ამავე დროს მძაფრი დიალოგები, ულმობელი სატირისა და ამასთანავე თავისებური ლირიკა, ზოგადსაკაცობრიო ფილოსოფიური საკითხები და მათი განზოგადებანი.

კრებული „მაღლობებიდან და დაბლობებიდან“ უკრაინულმა ბურჟუაზიულმა კრიტიკამ მიიღო როგორც გამოწვევა. იგი რეაქციის ბანაკში აფეთქდა როგორც ყუმბარა. რეაქციული პრესის ფურცლებზე გამოჩნდა რეცენზიები, რომლებშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული წიგნის ავტორი. „ნაროდოვცების“ ჟურნალში „ზორია“ დაიბეჭდა გ. ცეგლინსკის „გამანადგურებელი“ რეცენზია ივ. ფრანკოს ამ კრებულზე. ვ. ცეგლინსკი ბრალს დებდა და ცილს წამებდა ფრანკოს, თითქოს პოეტს სურდა სისხლის მორევში ჩაეხრჩო მთელი ხალხი, თითქოს, მას სულაც არ ენაღვლებოდა ადამიანები და ამიტომაც მოუწოდებდა ხალხს სისხლისმღვრელი რევოლუციისაკენ და სხვ. განსაკუთრებით აცოფებდა მას ლექსები: „ჰიმნი“, „სონეტები“, „პროლეტარის ფიქრები“, „ბერკუტი“ და სხვები, რომლებშიც მგოსანი მისი თანამედროვე გალიციის ხალხის აუტანელ ტანჯვას ხატავდა [2].

გ. ცეგლინსკი ცდილობდა დაემცირებინა ხალხის თვალში ივან ფრანკო, დაემცირებინა მისი ლექსების საზოგადოებრივი და მხატვრული მნიშვნელობა.

კრებულს მტრულად შეხვდა მეფის რუსეთის ოფიციალური წრეები. მეფის ცენზურამ აკრძალა წიგნის გავრცელება რუსეთსა და უკრაინაში. „ავტორი მალოროსების მდგომარეობას ავსტრიასა და რუსეთში ასახიერებს ძალზე მუქ ფერებში, როგორც ტყვეობაში, საპყრობილეში, ბორკილებში და შიმშილით სიკვდილს

[1] ივ. ფრანკო, ლესია უკრაინკა, თხზ., ტ. V, გვ. 254.
[2] „ზორია“, 1887, № 14, გვ. 241.

პირამდე მიყვანილ მდგომარეობაში მყოფებს. იგი იწვევს მათ „დათესონ ფიქრები თავისუფალი“, გამოვიდნენ თავიანთ მჩაგვრელებთან საბრძოლველად, ესე იგი ხელისუფლებისა და ყველა ძლიერ და მდიდარ ხალხთან საბრძოლველად, „თავისუფლების მოსაპოვებლად“, გასწირონ თავი ხალხისათვის და ცეცხლით დასწვან ყოველივე, რაც სისხლით არ შეიძლება მობანილ იქნეს... გამოდის იმ პირების თავგამოდებულ დამცველად, რომლებიც ძალმომრეობით გადატრიალების გზით ცდილობენ შეცვალონ არსებული საზოგადოებრივი წყობილება. მეფეს იგი ადარებს მტაცებელ ბერკუტს, რომელიც თვითონაც უნდა დაიღუპოს იმათი ხელით, ვის სისხლსაც იგი სვამს“ [1].

კრებულმა ასეთი აურზაური გამოიწვია მტრების ბანაკში, ხოლო ასეთივე ძალის სიხარული და აღტაცება — პროგრესულ წრეებში. აღმოსავლეთ გალიციისა და საერთოდ მთელი უკრაინის, რუსეთის მოწინავე საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა წიგნს. როგორც აღნიშნავდნენ, კრებული „მაღლობებიდან და დაბლობებიდან“ არა მარტო საყვარელი წიგნი, არამედ სულიერი საზრდო, იდეური იარაღი გახდა პროგრესული, დემოკრატიული ახალგაზრდობისათვის. მასში დაინახეს მშრომელმა ხალხმა, დაჩაგრულმა ადამიანებმა რეალურად ასახული თავიანთი ყოფა, მასში გამოჩნდა ნათელი სხივი — ბრძოლის გზა, რევოლუციური გადატრიალების გზა, რომელსაც ტანჯული ხალხი ბედნიერ მომავლამდე უნდა მიეყვანა. კრებულში აისახა ხალხის იდეალები, ინტერესები, მისწრაფებანი, კვნესა დღევანდელ დღეზე და მტკიცე რწმენა ნათელი ხვალისა.

კრებული სწრაფად გავრცელდა და მიუხედავად ცენზურის მკაცრი განკარგულებისა მისი აკრძალვის შესახებ, მალე მისწვდა უკრაინასაც და რუსეთსაც. ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც იგი ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა. „ლექსთა კრებული „მაღლობებიდან და დაბლობებიდან“, — იგონებდა ივან ფრანკოს თანამედროვე, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი

---

[1] ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 779, აღწერილობა 4, № 252, ფ. 550.

წევრი აგათანგელ კრიმსკი, — მრავალმა ხელით გადაწერა და ზეპირად შეისწავლა".[1] უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსი მიხაილო კოციუბინსკი ივ. ფრანკოს პოეზიის შესახებ წერდა: „ფრანკოს სულში ადამიანისადმი რწმენასთან ერთად ცოცხლობს ჩვენი სამყაროს ნათელი მომავლისადმი რწმენა. იგი მოვა, ეს ახალი ცხოვრება, მოვა ამ ქვეყნად ახალი სიკეთე. საჭიროა მხოლოდ სიცრუის მტკიცე კლდის დამსხვრევა და სინათლისაკენ გაჭრა, თუნდაც ძვლებით რომ მოგვიხდეს ახალი ცხოვრებისაკენ მიმავალი გზის მოფენა. მძლავრ აკორდად ჟღერს ეს წმინდა რწმენა ფრანკოს ლექსში „ქვისმტეხელნი".[2]

ასე შეაფასეს ივან ფრანკოს ლექსების პირველი კრებული. აღიარებულია, რომ კრებული „მაღლობებიდან და დაბლობებიდან" დიდი მოვლენა იყო მთელს უკრაინულ ლიტერატურაში. მასზე აღიზარდა მრავალი წარმომადგენელი იმ მომავალი თაობისა, რომელსაც უნდა განეგრძო და განევითარებინა უკრაინული კლასიკური ლიტერატურის პროგრესული ტრადიციები.

„დამჭკნარი ფოთლები". ლექსების მეორე კრებული — „დამჭკნარი ფოთლები" — გამოვიდა 1896 წელს. იგი შედგება სამი ნაწილისაგან. რომლებსაც ავტორი კონას უწოდებს და რომლებიც დათარიღებულია 1886—1893, 1895 და 1896 წლებით. აქ მოთავსებულ ლექსებში მძლავრად გაისმა პირადი დრამის, გაუზიარებელი სიყვარულის, საყვარელი არსების დაკარგვის მწვავე მოტივები. მან პოეტის მხატვრული ნიჭის წყალობით დიდი შთამაგონებელი ძალა შეიძინა. ამიტომაც იყო, რომ ზოგმა კრიტიკოსმა ამ კრებულს უკრაინული „სიმღერების წიგნი" უწოდა.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ კრებულში მხოლოდ პირადი განცდები იყო წარმოდგენილი. აქ თავისი ადგილი ჰქონდა დაკავებული საზოგადოებრივ მოტივსაც.

წიგნმა გამოსვლისთანავე მიიქცია ყურადღება და აზრთა გაცვლა-გამოცვლის ობიექტი გახდა.

ლექსების პირველი „კონა" ოცი ლექსისა და ეპილოგისაგან შედგება. სწორედ ამ „კონაში" გამოვლინდა უმეტესად მარტო-

---

[1] ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ტ. 71, გვ. 474.
[2] მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 3, 1951, გვ. 48—49.

ობისა და სევდის. მგოსნის მძიმე სულიერი ტკივილების მოტივები, პოეტის პირადი განცდები, რომელთაც ახსნა საზოგადოებრივ მოვლენებში დაეძებნებათ. ეს იყო ის რეაქციული გარემოცვა, რომლის წინააღმდეგაც ფრანკოს ძნელი ბრძოლების გადატანა მოუხდა.

90-იან წლებში ავსტრიის იმპერიის ხელისუფლებამ და რეაქციულმა ძალებმა გააააქტიურეს ივან ფრანკოს დევნა. უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტები და პოლონური შლიახტა, ავსტრიის იმპერატორის ნაცვალი გალიციაში, გრაფი ბადენი ზიზღითა და შიშით უყურებდნენ ფრანკოს როგორც მშრომელი ხალხის, დაჩაგრული უკრაინელი ხალხის ინტერესების დამცველსა და გამომხატველს. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ არ დაეშვათ ივან ფრანკოს როგორც მოქალაქის, მოღვაწისა და შემოქმედის აღიარება.

რეაქციამ სამგზის — 1895. 1897 და 1898 წლებში ბრძოლა გააჩაღა ფრანკოს წინააღმდეგ და ათასნაირი დაშინებით, მუქარით, მაქინაციებით. თვით ამომრჩევლების მოსყიდვით, მათ მიმართ ფიზიკური ძალისა და იარაღის გამოყენებითაც ცდილობდა ფრანკოსათვის გალიციის სეიმში და ავსტრიის პარლამენტში არჩევის გზები გადაეკეტა.

რეაქციული ძალები და მეფის ხელისუფლება ცდილობდნენ დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე პრესიდანაც განედევნათ. 1897 წელს უკრაინელმა ნაციონალისტებმა იგი თავიანთ „ზორიადან" გააძევეს, პოლონელმა ნაციონალისტებმა კი — გაზეთ „კურიერ ლვოვსკიდან".

ყოველივე ამას თუ თან ზედ დაერთვება მწერლის ავადმყოფობა, უიღბლო სიყვარული, მუდმივი მატერიალური ხელმოკლეობა და კიდევ სხვა უამრავი პირადი უსიამოვნება, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მძიმე ვითარებაში უხდებოდა შემოქმედებითი მოღვაწეობა ივან ფრანკოს.

რა თქმა უნდა, შექმნილმა ვითარებამ თავისებური კვალი დააჩნია მწერლის შემოქმედებას.

პოეტის ნაღველისა და სევდის დიდებული გამომხატველია

შესანიშნავი ლირიკული ლექსი „ეპილოგი“, რომლითაც მთავრდება „პირველი კონა“.

მშვნარო ფოთლებო, გაფრინდით ქარში,
და გრძნობის ფერფლი წაიღეთ ფრენით,
სიშანელში თუ პრიალობის ღარში
ჩაყინულია მშვენება შენი.
დამშვნარ ფოთლებში ვინ გაარჩიოს
შენი მშვენება, სიტკბოფის ფერი,
ვინღა გაიგოს რა გრძნობას სითბოს
ჰქმნიდა ღარიბი სიმღერა ჩემი?
ნორჩი სული და მშვენება ერთად
ესიხარულოდ დავხარჯე ფუჭად.
ობლად, საწყალი, ბედის საძებრად
წავალ, გადავჭრი სევდიან ქეჩას.

(თარგმნა სიმონ ჩიქოვანმა)

ივან ფრანკო თავს მარტოდ გრძნობდა ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და სხვა რეაქციონერების გარემოცვაში. მისთვის დამამცირებელი და მძიმე იყო ურთიერთობა „დაქირავებულ ლიტერატორებთან“, რომელთა ნაწარმოებების შესახებაც ლესია უკრაინკა ამბობდა: „... როდესაც მათ კითხულობ, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ნარშავს ჭამდეო“.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ივან ფრანკო არ თმობდა თავის პოზიციებს და უკან არ იხევდა შექმნილი მძიმე ვითარების წინაშე.

„დამშვნარ ფოთლებში“ ივან ფრანკომ გამოავლინა პოეტური ნიჭის ახალი ჰორიზონტები. იგი მკითხველთან წარსდგა როგორც ინტიმური ლირიკის დიდებული ოსტატი. ლექსები „რად მირღვევ ღამის მყუდროებას“, „მე რომ მქონდეს რამე ჯადო, აჩერებდეს ღრუბელს“, „თუ მოგესმა, ღამით თითქოს ვიღაც ტირის“, „არ ვიცი შენსკენ რა მომიწოდებს“ და სხვები გვაოცებენ თავიანთი სილრმითა და ძალით.

ლექსების „პირველი კონის“ ინტიმური სასიყვარულო ლირიკა შეიძლება ითქვას, იმავე დროს საზოგადოებრივიც არის, ეს არის ლირიკის მეშვეობით პოეტი-მოქალაქის განცდების მკითხველამდე მიტანის შესანიშნავი ცდა. მიხაილო კოციუბინსკი ფრანკოს შესა-

ხებ დაწერილ რეფერატში მიუთითებდა, რომ „რაგინდ ძლიერი არ უნდა იყოს ადამიანი, მას არ შეუძლია მხოლოდ ბრძოლით, მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესებით ცხოვრება. პირადი ცხოვრების ტრაგიზმი ხშირად ხალხის ცხოვრების „წამების გვირგვინს ექსოვება“ და ასკვნის — „ფრანკოს აქვს შესანიშნავი რამ — ლირიკული დრამა „დამჭკნარი ფოთლები“. ეს ისეთი ჰაეროვანი, ნაზი ლექსებია. გრძნობათა ისეთი ფართო გამით, ადამიანის სულის გაგებით, რომ მათი წაკითხვისას არ იცი, ვის მიანიჭო უპირატესობა: პოეტ-მებრძოლს თუ პოეტ-ლირიკოსს, სიყვარულისა და განწყობილების მომღერალს“.[1]

მ. კოციუბინსკიმ მშვენივრად მიაგნო ფრანკოს ბოლო პერიოდის შემოქმედების გასაღებს და დამაჯერებლად განმარტა პოეტის შემოქმედებაში გაჩენილი ახალი მოტივების, ხმების, ჰანგების მიზეზი და ხასიათი.

თვით პოეტი „დამჭკნარ ფოთლებს“ ახასიათებს როგორც კრებულს „ლირიკული სიმღერებისა“, ყველაზე მეტად სუბიექტურს ყველა იმ ნაწარმოებიდან, რომლებიც შევჩენკოს ავტობიოგრაფიული ლექსების შემდეგ გამოჩნდა, და ამასთანავე ყველაზე მეტად ობიექტურს რთული ადამიანური გრძნობების ასახვის ხერხების მიხედვით. მწერალი ფიქრობდა, რომ მისი თანამედროვე თაობა კრებულში „პოვებდა ბევრ ისეთს რამეს, რომელიც მის სულში ახმიანდებოდა არაპესიმისტური ტონებით“.

კრებულში მოთავსებული ლექსებიდან ბევრი იყო ისეთი, რომელშიც, მ. კოციუბინსკის მოხდენილი მიგნებით, ავტორის პირადი ტრაგიზმი ხალხის წამების გვირგვინს ექსოვებოდა და რომელიც მგოსნის ოპტიმისტურ ხედვას, მის პრინციპულ შეუპოვრობას გამოხატავდა. ასეთ ლექსებს განეკუთვნება ხალხური სიმღერების სტილში შექმნილი ლექსები: „მწვანე ნეკერჩხალი, მწვანე ნეკერჩხალი“, „წითელო ძახველო, რად იხრებოდი...“, „გაიკვალა ბილიკი“, „ოი, შენ, ქოჩორა მუხავ“ და მრავალი სხვა.

„ზორიაში“ პირველი „კონის“ ლექსების გამოქვეყნების შემდეგ „ხალხსნურმა“ კრიტიკამ ფრანკო პესიმისტად და დეკადენტად გამოაცხადა. 1896 წელს ამავე ჟურნალის მეორე ნომერში

[1] მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 3, გვ. 49—50.

დაიბეჭდა ვ. შჩურატის სტატია, რომელშიც ეს ლექსები პოეტის დაცემულობის ხასიათის ლექსებად იყო გამოცხადებული, თვითონ ფრანკო კი — პოეტ-დეკადენტად.

ბურჟუაზიული ინტელიგენცია, „ხალხოსნები“ ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ ფრანკო „მოტყდა“, განერიდა თავის საზოგადოებრივ იდეალებს, ლირიკოსმა პოეტმა დაკარგა მებრძოლი პოეტი, კრებული „დამჭკნარი ფოთლები“ გაჟღენთილია პესიმიზმითა და უიმედობით და სხვ.

რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული ინტელიგენციის მიერ წამოყენებული ბრალდება მტკნარი სიცრუე იყო. მართალია, მწერალი მტკივნეულად განიცდიდა პირად ტრაგედიას, მაგრამ უკან დახევა მას არც უფიქრია:

მე არ მაშინებს ღმერთი თუ ეშმა,
და გული ჩემი სუფთაა ვიცი.
არ შეეშინდები, მგლის ხმაც რომ მესმა!,
თუმც მონადირის არა მაქვს ნიჭი.

წერდა პოეტი და უფრო აკონკრეტებდა თავისი ლექსის მისამართს:

არ მეშინია სასტიკ მეფეთა,
მათი ზარბაზნის და მათი ჯარის.
ხალხის პორებიც თუ შემეფეთა,
ვერ დამატეხოს ვერც იმან ზარი.

(თარგმნა გ. გაჩეჩილაძემ)

ვასილი შჩურატის ცილისწამებამ ფრანკო აღაშფოთა და საკადრისი პასუხი გასცა „ხალხის მსახურებს“: „მე დეკადენტი ვარ? აი ეს მართლაც ახალი რამაა! — აცხადებდა პოეტი, — რა დეკადენტი ვარ? მე შვილი ვარ ხალხის, რომელიც ბუნაგიდან სინათლისაკენ გაჭრას ცდილობს. ჩემი დევიზია: „შრომა, ბედნიერება, თავისუფლება“. მე თვითონ გლეხი ვარ, „მე ვერ ვითმენ უმიზნო სევდას“ და კატეგორიულად ასკვნიდა: „სანამ ცოცხალი ვარ, მე საქმისათვის მინდა ვიცოცხლო, სიცოცხლისათვის ბრძოლა მე არ შემაშინებს“ (ლექსი „დეკადენტი“).

„მეორე კონაში“ სიყვარულის მოტივი ერთგვარად უკანა პლანზე გადადის. მგოსანი მოხერხებულად იყენებს ხალხურ სიმღერებს თავისი ნაწარმოებების ქარგისათვის. ფრანკო საგანგებოდ მიუთითებს თავისი პოეზიის კავშირზე ხალხურ შემოქმედებასთან, პოეტური შთაგონების წყაროსთან. ერთ-ერთ ლექსში, მაგალითად, სალამურის ნაღვლიანი ხმები, რომლებიც განასახიერებენ ხალხურ სიმღერას და პოეტის სულს მალამოდ ედებიან, მგოსანს ათქმევინებენ:

შეუერთდება ხალხის სიმღერას
სიმღერა ჩემი ლაღად საფრენად
გამზადებული

(„შუადღეა. ფართო მინდორი ცარიელია“)

პოეტი ეძებს სიმშვიდეს ამწვანებულ ბუნებაში. იგი გვიხატავს მწვანედ მობიბინე ფართო ველს და მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ უამებს სულის ტკივილებს ყვავილთა სურნელება. სალამურის კვნესა პოეტს საკუთარ უბედურებაზე ჩააფიქრებს. სალამურის ხმას იგი თავისას შეუერთებს:

ხალხურ სიმღერას
აჰყვა
ჩემი ძახილი,

ამბობს მგოსანი.

„მეორე კონა“ ინტიმური და ამავე დროს ჰეშმარიტად ხალხური ლირიკის ნიმუშია. ისეთი ლექსები, როგორიცაა „მე რომ მჭონდეს რამე ჯადო, აჩერებდეს ღრუბლებს“, „თუ მოგესმა, ღამით თითქოს ვიღაც ტირის“ და სხვები არა მარტო უკრაინული პოეზიის, არამედ მსოფლიო პოეზიის მშვენებაა. გამოჩენილი საბჭოთა მწერალი ა. კორნეიჩუკი აღნიშნავდა, რომ ფრანკოს ლირიკული ლექსები „მსოფლიო პოეზიის შედევრების დონეზე დგანანო“.

მძიმე პირადი განცდებითაა დატვირთული კრებულის მესამე ციკლი „მესამე კონა“. განსხვავებით წინა კონისაგან ამჯერად მისთვის სასიყვარულო ლირიკა როდია განმსაზღვრელი. აქ წარმოდგენილია პოეტის განსჯა საკუთარ ბედზე: დედამ იგი ობოლი დატოვა, მემკვიდრეობად კი დაუტოვა ნაზი გული, ამაყი სული და სიღატაკე. ცხოვრების ავბედობამ, ადამიანთა სიხარბემ და გაუტანლობამ, შავ-

ბნელმა სამყარომ დიდი ზიანი და ტკივილები მიაყენეს მის ფაქიზ სულს, მაგრამ ჩიხში მიმწყვდეული მგოსანი, ცხოვრების გზაჯვარედინზე მყოფი, მაშინაც კი, როდესაც მეხიც მას ემუქრება, წვიმაც ასხამს თავზე და ქარბუქი სულის შემხუთავად გრიალებს მის ირგვლივ, იგი არ კარგავს სინათლის ხილვის იმედს და ამბობს, რომ ყოველგვარი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი მაინც არსებობსო. პოეტს არ სურს სიკვდილი, მას სჯერა სიცოცხლის, ნათელი დღის.

ფრანკოს დიადი სული ვერ გატეხა თვითმპყრობელობის რეაქციის სუსხმა. ამიტომაც არის შეუძლებელი პოეტის გაიგივება კრებულის ლირიკულ გმირთან, მის იდეალებთან, გმირთან, რომელმაც უიღბლო სიყვარულის გამო თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. ავტორი დამაჯერებლად ამტკიცებს სწორედ პესიმიზმის საწინააღმდეგო იდეებს, ამხელს პესიმისტური მსოფლგაგების უნიადაგობას. ეს აირეკლა თვით „ლირიკული დრამის“ გმირის არსში. ქიევან ფრანკო უარყოფს განდეგილ გმირს, ხალხისაგან მოწყვეტილსა და მარტომხედველს, მებრძოლს, მკვეთრად ემიჯნება და გმობს ინდივიდუალიზმს. მისი იდეალი არის ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი გმირი, რომელიც ხალხის ინტერესებით ცხოვრობს. მწერალს მიაჩნია, რომ სულიერი ცხოვრების სიმდიდრე შესაძლებელია მხოლოდ ხალხთან ურთიერთობაში, მასთან ერთად შრომაში და ცხოვრებაში, მხოლოდ ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში, საზოგადოებრივი იდეალებისათვის თავდადებაში. მგოსანი ქმნის ლექსებს, რომლებშიც ავითარებს და ამტკიცებს ასეთ ფილოსოფიას, სამყაროსთან ასეთ ურთიერთობას, რეალურ ურთიერთობას. ეს ურთიერთობა ჭეშმარიტი მშრომელის, მოქალაქის, მოღვაწისა და მებრძოლის ურთიერთობაა.

„დამჭკნარ ფოთლებში“ პოეტიზირებულია საყვარელი ქალის იდეალი და, რაც მთავარია, დანახულია, რომ სულ სხვაა მგოსნის იდეალი და სულ სხვაა იმ სამყაროში ქალის რეალური მდგომარეობა. პოეტის ლირიკული გმირი მკაცრ სინამდვილეში ყოველთვის აწყდება წინააღმდეგობას ოცნებასა და რეალობას შორის. ამიტომაცაა, რომ ნაწარმოებში საოცრად ხშირი და უეცარია განცდათა ცვლა. იმედს ენაცვლება სევდა და უიმედობა, შემდეგ ისევ ისადგურებს სიმშვიდე და კვლავ პოვებს ადგილს აღმაფრენა, სწრაფვა ბედნიერებისაკენ.

მგოსანს ეხერხება თავისი გმირის სულიერი ღელვის უფაქიზესი ნიუანსების გადმოცემა. მისი კალამი ოსტატურად ქმნის მკვეთრ ემოციურ მხატვრულ სახეებს და ყოველივე ამაში მოჩანს გულის კეთილშობილური აღმაფრენა.

მგოსნის გონების თვალი თავს ევლება საყვარელ არსებას. ათასგვარ ვითარებაში და ათასგვარ ჰიდილში ხედავს იგი მას. საყვარელი არსების თვალები მისთვის წმინდა წყაროა, რომლის ფსკერზეც იმედი ციმციმებს

ზღვისფერი თვალები შენი
მშვიდია, ნათლის მფენ-,
გულს ჩემსას დარდი ჰკლავს ძველი,
თვალებში ქრება ვით მტვერი.
თვალები მარგალიტის ფსკერი,
მასში ციმციმებს იმედი ჩემი —
შორეული აისის ფერი.

(თარგმნა ნანა გაფრინდაშვილმა)

საყვარელი არსება მას ესახება ხან ამაყ უკარება ქალად. ულამაზეს და უტურფეს ქმნილებად, ხანაც ოცნების ჩვენებად, უსხეულო მოჩვენებად თუ ცივ, უგრძნობ სხეულად.

მგოსანი სიყვარულს ხან დაუამებელ სევდას, ხანაც ოცნებას დაუშრეტელ წყაროს ადარებს. კრებულში საყვარელი არსების კონკრეტული სახე ხანდახან გადაზრდილია საერთოდ შეყვარებულის განზოგადებულ სახეში. მგოსანი დარწმუნებით გვეუბნება, რომ სიყვარულს ცხოველმყოფელი გავლენა აქვს მის მებრძოლ, საზოგადოებრივ ენერგიაზე და „გმირულ აღმაფრენაზე".

კრებული გვაოცებს პოეტური მრავალფეროვნებით. ჩვენს თვალწინაა სახეთა კონტრასტულობა — ლოგიკური, ხედვითი, გრძნობადი. ნაწარმოებები გამოირჩევა საოცარი პოეტური რიტმიკით, ხალხური სასიმღერო პარალელებით, და შედარებების სიუხვით. ამიტომაცაა, რომ ლექსების ხმოვანება ძალზე ახლოსაა ხალხური სიმღერების ხმოვანებასთან.

კრებულში მოთავსებული ლექსები ფორმის თვალსაზრისით სრულყოფილი და დახვეწილია. მათში იხატება ფსიქოლოგიური

განცდების უმდიდრესი მრავალფეროვნება, სულის მოძრაობის უფა-ქიზესი ნიუანსების არაჩვეულებრივი სიუხვე.

„სამივე კონის“ ერთ კრებულად გამოცემის შემდეგ ვასილ შჩურატმა კვლავ დაბეჭდა რეცენზია, ამჯერად მთელ კრებულზე. მან მაღალი შეფასება მისცა ფრანკოს პოეტურ ხელოვნებას, მაგრამ დარჩა თავის წინანდელ პოზიციაზე. ივან ფრანკოს ეს კრებული მან „პესიმიზმის პოეზიად“ მიიჩნია. ი. იარემა ვ. შჩურატის ამ რეცენზიის გამო აღნიშნავდა: „აკრიტიკებდა რა „დამჭკნარი ფოთლების“ პოეზიას როგორც პესიმიზმის გამოვლენას, ვ. შჩურატმა უყურადღებოდ დატოვა ფრანკოს წინასიტყვაობა, რომელიც მიზნად ისახავდა კრიტიკულად განეწყო მკითხველი დრამის გმირისადმი“ [1].

კრებული „დამჭკნარი ფოთლები“ არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ავტობიოგრაფიული ლირიკა. ფრანკომ განსაზღვრა კრებული როგორც „ლირიკული დრამა“ და წიგნს საგანგებო განმარტება წაუმძღვარა, რათა მკითხველს ერთმანეთისაგან განეცალკევებინა დრამის ლირიკული გმირისა და თვით პოეტის აზრები და გრძნობები. ივან ფრანკომ შესავალ წერილში მიუთითა, რომ ლექსები მას არ ეკუთვნის, ლექსების ავტორმა თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე უბედური სიყვარულის გამო და მას წილად ხვდა მხოლოდ აღედგინა „სუსტი ნებისყოფის, მაგრამ მღელვარე ფანტაზიის, ღრმა გრძნობის, მაგრამ პრაქტიკული საქმისათვის ნაკლებად გამოსადეგი“ კაცის დღიური. ღირდა კია ყოველივე ამის დაბეჭდვა? — წერს შემდეგ პოეტი. „ჩვენ უამისოდაც ამგვარი სიკეთე ისედაც ბევრი გვაქვს! მაგრამ ვინ იცის,—ვფიქრობდი მე,—შესაძლოა, ეს უბედურება ჩუტყვავილას გავს, რომელსაც აცრით მკურნალობენ? შესაძლოა, ავადმყოფი სულის ტანჯვისა და წამების მხატვრულმა სახემ გამოაჯანსაღოს რომელიმე ავადმყოფი სული ჩვენს საზოგადოებაში?“ ფრანკო იგონებს გოეთეს ვერტერს და გოეთეს სიტყვებს, რომლებიც მან თავისი ხელით წააწერა წიგნის ერთ ეგზემპლარს და ასკვნის: „იმავე სიტყვებით ვთავაზობ ამ ლექსებს ჩვენს ახალგაზრდობას: „Sei ein Mann und folge mir nicht nach“ („იყავ ვაჟკაცი და მე ნუ გამომყვები“).

[1] ი. იარემა, ივან ფრანკოს „ლირიკული დრამის“ „დამჭკნარი ფოთლების“ იდეური შინაარსის პრობლემისათვის, კრებულში — „ივან ფრანკო. სტატიები და მასალები“. კრებული პირველი, ლვოვი, 1948, გვ. 94.

1910 წელს კრებულის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ფრანკომ აღნიშნა, თითქოს „დამჭკნარ ფოთლებში“ გადმოცემული თვითმკვლელობა ლიტერატურული ხერხი, ლიტერატურული მისტიკაცია იყო. „მხოლოდ მე კი არა, არამედ საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა სრულიად სხვაგვარად გაიგო ეს ლექსები და ვიმედოვნებ, რომ ახლანდელი თაობაც მასში ბევრს ისეთს ნახავს, რაც მის სულში პოეტებს გამოხმაურებას სრულიადაც არაპესიმისტური ტონებით“.

იმ წელს, როდესაც გამოქვეყნდა „დამჭკნარი ფოთლები“, ივან ფრანკომ დაბეჭდა სტატია „სიტყვა კრიტიკაზე“. ამ წერილში ფრანკო ილაშქრებს პოეზიაში ფორმალიზმისა და სქოლასტიკის წინააღმდეგ, მოითხოვს, რომ პოეტის მსოფლმხედველობა, სამყაროს აღქმის მისი პოზიცია, მისი სტილი თუ მთლიანად მისი პიროვნება გამოვლინდეს ნაწარმოებში რაც შეიძლება სრულყოფილად, მთელი სისავსით: „მხოლოდ მაშინ, — წერდა ივან ფრანკო, — იქნება ეს ცოცხალი და თანამედროვე ნაწარმოები, თანამედროვე ადამიანის ყველაზე სანუკვარი განცდებისა და გრძნობათა ჭეშმარიტი დოკუმენტი“, იგი გვეუბნება, რომ არ არსებობს ადამიანი საზოგადოების გარეშე. სუბიექტური უიდეო ლირიკა უთუოდ ატარებს ავტორის სოციალური მდგომარეობის დაღს და აგრეთვე იმ სოციალური მიზეზების კვალს, რომელმაც იგი წარმოქმნა.

ივან ფრანკოს ეს სტატია გვეხმარება უფრო ღრმად და სწორად გავიგოთ პოეტის იდეურ-მხატვრული პოზიციები იმ დროისათვის. მწერალი მართებულ შეფასებას აძლევს „უიდეო, წმინდა ხელოვნებას“. პოლიტიკურად სწორად აფასებს დეკადენტობას. ამ მასალების მოშველიებით უფრო ნათლდება ფრანკოს პოზიცია და გასაგები ხდება, რომ მისთვის ბრალის დადება იმაში, რის წინააღმდეგაც თვითონ ილაშქრებს, შეუძლებელია. ეს ძალიან კარგად გაიგო მოწინავე უკრაინელმა ინტელიგენციამ, უკრაინული პროგრესული მწერლობის წარმომადგენლებმა.

უკრაინელი მწერლები და დემოკრატიული ინტელიგენცია მიესალმა კრებულის გამოცემას. მათი აზრით, კრებულმა დაამშვენა უკრაინული პოეზიის საგანძური. მიხაილო კოციუბინსკი აღნიშნავდა: „სახეებითა და იდეებით მდიდარი, კოლორიტული და სურნელოვანი, როგორც აყვავებული ველი, ფრანკოს პოეზია მოიცავს გრძნობის

სხვადასხვა სფეროებს, ბრწყინავს ორიგინალობითა და თავისი სიძლიერით“ [1]. მაღალი შეფასება მისცა „დამჭკნარ ფოთლებს“ ლესია უკრაინკამ 1903 წლის იანვარში ივან ფრანკოსათვის გაგზავნილ ბარათში.

„ჩემი იზმარაგდი“. ამ კრებულს განსაკუთრებული ადგილი უკავია ფრანკოს შემოქმედებაში. მასში პოვა შემდგომი განვითარება მწერლის საზოგადოებრივმა მოტივებმა.

1895 წელს ჟურნალში „ჟიტე ი სლოვო“ ფრანკომ დაბეჭდა ლექსების ციკლი „სხვათა საუვაილედან: იზმარაგდიდან“. ეს ნაწარმოებები შემდგომში შევიდა 1898 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „ჩემი იზმარაგდი“. დასახელებული კრებული ახალი ნაწარმოებებით შევსებული 1911 წელს გამოიცა ქ. ლვოვში სახელწოდებით „ძველი და ახალი“.

კრებულის „ჩემი იზმარაგდი“ შესავალ წერილში ივან ფრანკო მიუთითებდა, რომ იგი აღნიშნული წიგნისათვის მასალებს აგროვებდა თხუთმეტი წლის განმავლობაში. „მსოფლიო ისტორიისა და ლიტერატურის გზაჯვარედინებზე ხეტიალის დროს, — წერდა იგი, — კარგა ხნის წინ დავიწყე თანდათანობით შეგროვება ან მინიშნება შემდგომში გამოსაყენებლად ცალკეული კენჭებისა, რომლებიც ჩემი შენობისათვის გამომადგებოდა. ამ წიგნში მოთავსებული ყველაზე ძველი ეტიუდები უკვე თხუთმეტი წლის სიძველისანი არიან. მაგრამ მხოლოდ ბოლო დროს მძიმე ავადმყოფობამ, რომელმაც რამდენიმე თვით წამართვა სხვა სამუშაოს შესრულების უნარი, შესაძლებლობა მომცა დამეწერა აქ დაბეჭდილის უმეტესი ნაწილი. აქ მოთავსებული ლექსების მნიშვნელოვანი წილი ნამდვილადაა schmerzenskinder[2]. მათ ვწერდი ბნელ ოთახში, თვალმოხუჭული. ავადმყოფი თვალებით. შესაძლოა, ჩემი ამგვარი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა აისახა კიდეც ამ წიგნის ფიზიონომიაზე“ [3].

მწერალმა კრებულის შესავალში მკითხველს მოუთხრო თავის მძიმე მორალურ მდგომარეობაზე, მუშაობის, არსებობის პირობებ-

---

[1] მ. კოციუბინსკი, თხზ. სრული კრებული, ტ. 3, გვ. 27.

[2] ტანჯვის შვილები (გერმანულად).

[3] ივან ფრანკო. რჩეული თხზ., ტ. 1, გვ. 584—585.

ზე, რომლებიც გალიციის რეაქციის, უკრაინელი ნაციონალისტების, პოლიციის სისტემატური დევნით ხასიათდებოდა.

სახელწოდება „იზმარაგდი“ აღებულია ძველი რუსული ლიტერატურიდან. ესაა ძველი რუსული ლიტერატურის ძეგლის, რელიგიურ-დიდაქტიური შინაარსის კრებულის სახელწოდება.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას ივან ფრანკო გატაცებული იყო ფოლკლორული თუ ძველი რუსული ლიტერატურის ძეგლებით, ხოლო შემოქმედებითი სიმწიფის ხანს კიდევ უფრო გაძლიერდა მისი ინტერესი ამ ხასიათის ძეგლებისადმი. იგი საგანგებოდ სწავლობდა ძველ რუსულ ლიტერატურას. წერდა შრომებს ძველ ლიტერატურასა თუ ფოლკლორზე. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომები: „აპოკრიფები და ლეგენდები“, „ივან ვიშენსკი და მისი ნაწარმოებები“ (მონოგრაფია), „ვარლაამი და იოასაფი“ (სადოქტორო დისერტაცია), „სიტყვიერება სიმართლესა და სიცრუეზე“ და სხვ. 1885—1890 წლებში ამზადებდა ნაშრომს ხუთ ტომად „აპოკრიფები და ლეგენდები უკრაინული ხელნაწერებიდან“, უკრაინულ ენაზე თარგმნიდა ძეგლებს ძველი მსოფლიოს ლიტერატურიდან და ა. შ.

გასაგები უნდა იყოს, რომ კრებულით „ჩემი იზმარაგდი“ ივან ფრანკო მოგვევლინა არა როგორც ძველი სიუჟეტების, ლეგენდების, თქმულებებისა თუ შეგონებების პროპაგანდისტი-პოპულარიზატორი, არამედ როგორც ორიგინალური შემოქმედი, რომელმაც მისთვის საყვარელ თემებზე ააგო ორიგინალური პოეტური ნაწარმოებები. მწერალმა ეს ფორმები, მხატვრული ხერხები თუ მოტივები, რომლებსაც იგი ძველი რუსული ლიტერატურისა და ფოლკლორის შესწავლის დროს წააწყდა, გამოიყენა მისი თანამედროვე სინამდვილის, რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ასასახავად. კრებული ძველი იგავებისა თუ ლეგენდების, სახეებისა თუ მოტივების თავისებური, ხელახალი გააზრების ნაყოფია. ფრანკო თვით ამბობს: „სხვის საფუძველზე მე ჩემს საკუთარ ქარგას ვჭრიდიო“.

კრებულის სახელწოდება „ჩემი იზმარაგდი“ უკვე იმაზე მიუთითებდა, რომ ავტორს სურდა ძველრუსულ კრებულებში დასმული საკითხების, პრობლემების, თემების მიმართ თავისი საკუთარი პოზიცია ეჩვენებინა, შეხედულება და აზრი გამოეთქვა, თანამედროვე სინამდვილისადმი თავისი დამოკიდებულება დაენახვებინა და გარკვეული დასკვნებიც მოეცა. „რა თქმა უნდა, — წერდა იგი, — ჩემი

მორალი მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ კატეხიზმური, დოგმატიკური მორალისაგან“ [1].

მწერალი უპირისპირებს თავის წმინდა ხმას იმ დროის პოლონელი და უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტების მოღალატურ ჭირქილს. იგი გაბედულად წერს იმ უსასტიკეს დროზე, რომელმაც „ზიზღი და კლასობრივი ანტაგონიზმი დაბადა“, ღაღადებს ადამიანის სიყვარულს. მთელი კრებული გამსჭვალულია პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის იდეებით. მასში ნათლად ჩანს, თუ როგორ სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ფრანკო თავის ხალხთან, სამშობლოსთან და რომ მისი ლექსები იმ დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების და კლასობრივი ბრძოლის უშუალო გამოძახილი იყო.

კრებულის შესავალში ფრანკოს მოჰყავს აპოკრიფული თქმულება იზმარაგდზე: „იზმარაგდი ისე ბრწყინავს, რომ მასში ადამიანის სახე ჩანს, როგორც სარკეში“. მგოსანს სურს, რომ მისი სიტყვა იყოს ისეთი ნათელი და წმინდა, რომ მასში, როგორც სარკეში გამოჩნდეს ჭეშმარიტი გული კაცისა და დიადი სიყვარული ადამიანისა.

კრებული შედგება ექვსი ციკლისაგან: „მისალმებანი“, „პარენეტიკონი“ („თქმულება“), „იგავები“, „ლეგენდები“, „სოფელ-სოფელ“, „ბრაზილიისაკენ“.

„ჩემი იზმარაგდის“ მეორე გავრცობილი გამოცემის წინასიტყვაობაში ფრანკო წერდა, რომ წიგნის ძირითად განყოფილებებად იგი თვლის ციკლებს „მისალმებანი“, „სოფელ-სოფელ“ და „ბრაზილიისაკენ“. ამ განყოფილებებში მწერალმა ის ლექსები მოათავსა, რომლებიც მტკივნეულ და აქტუალურ თანამედროვე პოლიტიკურ მოვლენებს ეხმაურებოდნენ. ამით მწერალმა გამოკვეთა კრებულის იდეური მიმართულება.

ციკლით „მისალმებანი“ იხსნება კრებული. იგი ასახავს ფრანკოს ბრძოლას უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ. მათში კვლავ დასტურდება მწერლის პრინციპული შეურიგებელი პოზიცია ხალხთა ინტერესების გამყიდველებისადმი. ნათლად ჩანს მისი რევოლუციური პატრიოტიზმი. ნაწარმოები „შეევერცხლილ თმიანს“ მიმართულია ბურჟუაზიული ნაციონალისტების ერთ-

[1] ივან ფრანკო, რჩეული თხზ. ტ. 1, გვ. 584—585.

ერთი ბელადის, რომანჩუკისადმი, რომელმაც რეაქციულ გაზეთში ცილისმწამებლური გამოხდომებით მოინდომა ხალხის თვალში ფრანკოს „გაშავება“. პოეტი ლექსში ამხელს რომანჩუკისა და მისი მსგავსი ვაჟბატონების ცრუ პატრიოტიზმს, ფარისევლობას. მგოსანი ამბობს, რომ ცრუპატრიოტებს „უყვართ“ უკრაინა, როგორც მხოლოდ „პური და ქონი“, როგორც თავიანთი სახლი თუ საქონელი, უყვართ ქვეყანაში „მთავრებისა და გეტმანების ბატონობა“. იგი ნაციონალისტების ყალბ სიყვარულს ხალხისადმი უპირისპირებს ჭეშმარიტ პატრიოტიზმს, უანგარო სიყვარულს მშობელი ხალხისა და ქვეყნისადმი, რაც ხალხის საკეთილდღეოდ თავდადებულ შრომაში გამოიხატება.

შენი პატრიოტიზმი ხომ
სამოსია უცხო,
ჩემი — შრომაა მძიმე
საუკუნო, უღვთო.
შენ გიტაცებს მისი
ბრწყინვალება, ბზინვა, —
მე კი მტანჯავს ხალხის
საუკუნო გმინვა —

წერს პოეტი. ჩემთვის, ამბობს მგოსანი, სამშობლო სიცოცხლეა, შენთვის კი — „დიდი შემოსავლის წყარო“. მთელი ლექსი ამ ურთიერთდაპირისპირებაზეა აგებული. ყოველ სტროფში გამოკვეთილია ანტითეზები.

ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს ამხელს პოეტი აგრეთვე ლექსში „ლაპარაკობს უკრაინა“.

ის პატრიოტთა მიცვნია დასი,
ვიცი ამ ღამაზ სიტყვების ფასი.

(თარგმნა დ. გაჩეჩილაძემ)

ამბობს ლექსში „უკრაინა“. „სჯობს მიაფურთხო მათ შვილო ჩქარა!“ — ასე მიმართავს იგი პოეტს.

შტრებისადმი ზიზღითაა გამსჭვალული სატირული ლექსი „დეკადენტი“, ივან ფრანკოს ერთ-ერთი საპროგრამო ნაწარმოები, რო-

მელშიც იგი დაცემულობის პოეზიის, გადაგვარების გზაზე დამდგარი ბურჟუაზიის მომღერლების წინააღმდეგ ილაშქრებს.

კრებულში მოთავსებული მრავალი ლექსი გალიციელი გლეხის მძიმე ცხოვრებას ასახავს. მათში ნაჩვენები ხალხთა მასების სიღატაკის სურათები მოგვაგონებენ პოეტის ადრეულ ციკლს „გალიციური სურათები“.

ციკლში „სოფელ-სოფელ“ რეალისტურადაა დახატული ღარიბ-ღატაკი გლეხების ცხოვრება, გაჩანაგებული უკრაინული სოფელი. პოეტი ნაწარმოებში მთავარ ყურადღებას კარპატების მომხიბლავ ბუნებას კი არ უთმობს. არამედ ხალხის ყოფა-ცხოვრების დეტალებზე ამახვილებს, რაც მას და პოეტურ შედარებებს სოციალურ ელფერს აძლევს.

მწირ, ღატაკ სოფლებს ვეცქერი სევდით,
ვხეოავ ქოხმახებს ვაკე-მინდვრებზე,
თითქოს გზის პირად საწყალ მათხოვრებს
ჩაეძინიათ ხალთებით მხრებზე.

(თარგმნა გრ. ცეცხლაძემ და მ. პატარიძემ)

ასე იწყებს თავის ნაწარმოებს მწერალი.

დამახასიათებელია, რომ ივან ფრანკო ამ ციკლში მიგვითითებს სოფლის კლასობრივ დიფერენციაციაზე და, რაც მთავარია, ჭმნის სოფლის წურბელას, კულაკის სახეს. თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში მწერალი გალიციელი გლეხების მორალური თუ ფიზიკური ჩაგვრის, ეკონომიკური გაჩანაგების სურათს კაპიტალისტური განვითარების ფონზე, ბორისლავში ნავთის საბადოს აღმოჩენის ფონზე გვიხატავდა. ციკლში „სოფელ-სოფელ“ ავტორი გვეუბნება, რომ კაპიტალიზაციის შავი ხელები სოფელსაც მისწვდა. სოფლად გაჩნდა ახალი წურბელა, ლექსში იგი მან წარმოაჩინა პაზიუკის სახით.

სამიკიტნოში ისმის ხმაური,
სოფლად ამტყდარა აურზაური.
მკითხავთ — რა მოხდა, აი პასუხი:
არაყს სვამს, მღერის ჩვენი პაზიუკი.
მესამე დღეა სვამს, ისმის შფოთი,
მაგრამ არ არის პაზიუკი ლოთი.

ერთ გროშს არ მისცემს იგი მიკიტანს
ღუმც არ გამოდის სამ დღეს იქიდან.
ჰკუას უქებენ ამ მოხუც პაზიუკს:
ჰინჯრიდანაც კი ის აცხობს ნაზუკს.
ის არის სოფლად დევ-გმირი კაცი,
დიდი, მდიდარი, მევახშე მკაცრი.

აი ეს პაზიუკი, რომელსაც სიმდიდრით მოაქვს თავი, მაგიდაზე აწყობს ფულებს და ამბობს:

აი გუთანი და ჩემი ყანა
ჩემი ზვინები, ბეღელი თანაც,
ჩემი ხარები და ჩემი კალო...
არ მომწყინდება დღედაღამ ვთვალო!

ღატაკი გლეხი ფულს სესხად სთხოვს პაზიუკს და პირდება, რომ შემოდგომისათვის ვალს დაუბრუნებს. სწორედ ამის გამო უმასპინძლდება იგი ამ წურბელას მოგროვილი უკანასკნელი კაპიკებით. პაზიუკი კი დინჯად ჩაილაგებს ფულებს ჯიბეში და დასაძინებლად დაწვება, ხოლო მეორე დილით გლეხს ფულის მოპარვას დააბრალებს. უდანაშაულო ადამიანს ციხეში უკრავენ თავს. არავინ არ დაიცვა იგი, თუმცა ყველამ იცოდა, რომ ფული პაზიუკს მისმა საკუთარმა შვილმა მოპარა.

სიღატაკე, შიმშილი და სიცივე, დევნა და შევიწროება აიძულებს ათასობით გლეხის ოჯახს ცხრა ზღვის იქით ეძიოს სამუშაო. ამ თემას მიუძღვნა მწერალმა ციკლი „ბრაზილიისაკენ“. ლექსებში მწარე ირონია ერწყმის პოეტის გულისტკივილს, გულწრფელ თანაგრძნობას საკუთარი სახლ-კარიდან გამოყრილი და მტვრიან ქუჩას დამდგარი ბედის მაძიებელი გლეხებისადმი. ციკლის ხუთი ლექსი გვიხატავს ხალხის წამების საშინელ სურათს.

როს საბრალო ხალხს მიაპყრობ თვალებს,
ხედავ კუთხეში, ბაქანზე ჰყრიან,
ხედავ დაქანცულ მძინარე ქალებს,
კაცებს, ბარბაცით რომ ძლივს დადიან,
ჰაღარა მამებს, ბავშვებს... ძველ ბოხჩას,
რაშიც გრძნობ არ დევს ბრილიანტები.
სჭვრეტ სიღატაკეს, ნათლად რომ მოჩანს,
ხედავ სახეებს მოცულთ დარდებით, —
მიხვდი — არიან ემიგრანტები.

(თარგმნა გრ. ცეცხლაძემ)

ნაწარმოებში მოთხრობილია უკრაინელი ემიგრანტი გლეხების მწარე ხვედრზე. ბრაზილიიდან თანამემამულეებისადმი გამოგზავნილი წერილების ფორმით მგოსანი მოგვითხრობს იმ გაჭირვებაზე, რომელიც გზაში გადახდათ თავს სამშობლოდან საშოვარზე წასულ გლეხებს და იმ გაცრუებულ იმედებზე, ილუზიებზე, რომლებითაც კვებავდნენ მათ ავანტიურისტები. ერთი ჯოჯოხეთიდან ღატაკი გლეხები მეორე უფრო უარეს და საშინელ ჯოჯოხეთში მოხვდნენ. განწირული კივილი ისმის უბედური ხალხის სიტყვებში: ეგებ ღმერთმა გვიშველოს ფეხზე დადგომა, ორმოცნი ვიყავით, ჩვიდმეტიღა ვართ მხოლოდ.

ციკლში „პარენეტიკონი“ გაერთიანებულია ოცდაოთხი ლექსი, რომლებიც ძველრუსულ და აღმოსავლურ მოტივებზეა აგებული. ავტორმა ისინი მიმართა ყალბი რელიგიური და ბურჟუაზიული მორალის კანონების წინააღმდეგ. ეს ლექსები ხშირად აფორიზმების სახითაა წარმოდგენილი.

ციკლში „იგავები“ მგოსანი ავითარებს „პარენეტიკონში“ გამოთქმულ აზრებს. ასეთებია, მაგალითად, ნაწარმოებები: „იგავი ცხოკრებაზე“, „იგავი სილამაზეზე“, „იგავი შეგობრობაზე“, „იგავი სიკვდილზე“ და სხვა. „იგავი ცხოვრებაზე“ ფრანკოს ღრმა ფილოსოფიური ნაწარმოებია. ამბავი ხდება ინდოეთში. კაცს თავს დაესხა ლომი. კაცმა თავს უშველა და სირბილის დროს უფსკრულის კიდეზე ამოსულ არყის ხეს დაეკიდა. დაბლა დაიხედა, ხედავს, რომ ხის სუსტ ფესვებს თეთრი და შავი თაგვები „დაუღლელად, სწრაფად, შეუჩერებლად ღრღნიან“, ხოლო უფსკრულის ფსკერზე გველეშაპია გაწოლილი და ხახადაღებული ელოდება იმ წუთს, როდესაც „ის კაცი პირში ჩაუვარდება“. ამ დროს კაცმა იგრძნო, რომ ის, რაზედაც იყო ჩამოკიდებული იწყებს ძვრას. ეს თურმე გველი ყოფილა. მაგრამ აი, „პაწაწინა ნაჩვრეტში შეამჩნია თაფლი მცირეოდენი“, მოიკრიბა ძალ-ღონე, „აწვდა ნაჩვრეტს და თაფლს წოვა დაუწყო“. შვება იგრძნო და გულზე მოეშვა. „თაფლის სიტკბომ, განცდილმა ნეტარებამ დაავიწყა კაცს თითქოს ყველაფერი“.

იგავის სახეები ასე აქვთ გახსნილი მკვლევრებს: ლომი სიკვდილია, გველეშაპი — მარადი თავდავიწყება, თაგვები — დღე და ღამე, რომლებიც შეუნელებლად გვიმოკლებენ სიცოცხლის დღეს; გველი — საკუთარი სხეული, რომელმაც ყოველთვის შეიძლება გი-

ღალატოს, არყის ხე — ადამიანური ხსოვნა, ხოლო თაფლი — მოძმის სიყვარული, ადამიანის შვების მომგვრელი. როგორც ვხედავთ, დაჩაგრული და დევნილი კაცის, ხალხის ერთადერთი ხსნის და შვების წყაროდ ივან ფრანკო მოძმის სიყვარულს მიიჩნევს.

კრებულის საინტერესო განყოფილებაა „ლეგენდები“, რომლებშიც ავტორი იყენებს ცნობილ ლეგენდებს და მათ მიუსადაგებს თანამედროვეობას.

ივან ფრანკოს ზოგიერთი აგიოგრაფიული ცხოვრების მოტივები სატირულ პლანში აქვს წარმოდგენილი. ასეთებია „წმინდა დომინიკა“ და „ცხოვრება და ტანჯვა, დატყვევება, სიკვდილი და განდიდება წმინდა სელედიისა“. ესაა მწვავე პაროდიები, მწვავე სატირა რელიგიური კანონების მიმართ. ამ ნაწარმოებში რევოლუციონერი მგოსანი იბრძოდა რელიგიის იდეალიზმის წინააღმდეგ, ამხელდა და აკრიტიკებდა ექსპლუატატორულ წყობილებას და განადიდებდა ყველა მშრომელი ხალხის თავისუფლებას, ძმობას და ერთობას.

ძველებური იგავები და ლეგენდები ივან ფრანკომ თავისებურად გაიაზრა და გამოიყენა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „გაათანამედროვა“. ძველი მოტივების თუ სახეების თანამედროვეობასთან დაკავშირების დროს მწერალი ცდილობს მათში სოციალური ხასიათის გამოკვეთას და ნაწარმოებისათვის რევოლუციური, დემოკრატიული ხმოვანების მიცემას. პოეტი ქრისტიანულ აფორიზმში ხშირად თავის აზრობრივ ქვეტექსტს ათავსებს, იგავის თუ ლეგენდის დინჯ კილოს სატირულ ხმიანებას ანიჭებს, ფართოდ იყენებს ხატოვანი თუ აზრობრივი შეპირისპირების ხერხს („შენი პატრიოტიზმი ხომ სამოსია უცხო, ჩემი კი შრომაა მძიმე საუკუნო, უღვთო“). კრებულის ლექსებში გვხვდება კითხვა-პასუხის პოლემიკური ხერხიც.

კრებული „ჩემი იზმარაგდი“ სტუდენტი ახალგაზრდების მიერ შეგროვილი ფულით გამოიცა. ახალგაზრდობა ემზადებოდა 1898 წელს ივან ფრანკოს ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავად.

„მ წ უ ხ ა რ ე დ ღ ე ე ბ ი“. კრებული გამოქვეყნდა 1900 წელს. მასში პოეტმა მოათავსა ლექსები, რომლებსაც 1897—1900 წლებში ქმნიდა. კრებული ორი განყოფილებისაგან შედგება. პირველ მათგანში ლირიკული ლექსების სამი ციკლია — „მწუხარე დღეები“,

„მოგონებები“ და „ღია ცის ქვეშ“, მეორეში — პოემები „ივან ვიშენსკი“ და „წმინდა იურის მთაზე“.

ამ კრებულში მგოსანი დაუბრუნდა სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ ლირიკას, რომელიც დამახასიათებელი იყო „დამშვიდარი ფოთლებისათვის“. მისი ლექსები — „ბაღში ერთი ბილიკია“, „უკვე სამი წელია ვემზადები“ და სხვები ინტიმური ლირიკის შესანიშნავი ნიმუშებია.

ფრანკო ამ კრებულითაც განაგრძობდა ბრძოლას „წმინდა ხელოვნების“ თეორიის მომხრეთა წინააღმდეგ და თავის ლექსებში ახალი ძალით იცავდა ლიტერატურის საზოგადოებრივ მნიშვნელობას. საზოგადოებრივი შრომა მას ადამიანის ცხოვრების საფუძვლად მიაჩნია. ფრანკო თავისი პოეზიის ადგილს ცხოვრებისა და რევოლუციური ბრძოლის შუაგულში ხედავს.

ლექსში „ისევ რეფლექსიები“ ფრანკო მშრომელ ხალხს მიმართავს:

თქვენ სისხლი გინდათ — თქვენთვის დაღვრი სისხლს!
შრომა? — ძლიერი ვარ მე, დიდ ღიდებს
მწვერვალებიდან მოვწყვეტ და მწარეზე დავანარცხებ.

პოეტს მიაჩნია, რომ მხოლოდ „საზოგადოებრივი საქმე“, ხალხის სამსახური ანიჭებს ადამიანს ბედნიერებას, მის სიცოცხლეს აზრს აძლევს. იგი ავსებს ადამიანის „მთელ ცხოვრებას, მთელ გზნებას. ახალგაზრდობის მთელი ძალები, მისი აზრი მხოლოდ მას შეუძლია ბოლომდე ამოქაჩოს. ხოლო რაც ამ საზოგადოებრივი საქმის, ხალხისათვის შრომის იქითაა მიმალული — „ყალბი ფული და ყრუ ჩიხებია“, მას შეუძლია ადამიანი ჩაითრიოს „ნიჰილიზმში, მისტიკურ ჭაობში, რაც ღამის ოცნებებს ყოფას უწოდებს, ხოლო ცხოვრებას, ბუნებას — ოცნებად ნათლავს“.

ბეჯითი შრომა, ხალხის სასიკეთოდ გამიზნული შრომა დაეხმარა პოეტს რეაქციის მწვავე სუსხის მიუხედავად შეენარჩუნებინა თავისი ფაქიზი გრძნობები ხელოვნებისადმი, პოეზიისადმი და მტკიცედ მდგარიყო თავის მართებულ პოზიციებზე.

კრებულზე მუშაობის დროს რეაქციულ ძალებს ერთი წუთითაც

არ შეუნელებიათ ფრანკოს წინააღმდეგ ბრძოლა, მისი დევნა. თავისუფლებისათვის მებრძოლ პოეტს თავდასხმაც კი მოუწყეს. მწეოლის ქალიშვილი ანა ფრანკო იგონებს, რომ ერთხელ სოფელში გამგზავრებისას მოხდა ივან ფრანკოზე თავდასხმა.

მიუხედავად ასეთი დევნისა, პოეტს არ დაუყრია ფარ-ხმალი და არ გადაუხვევია ჭეშმარიტი გზიდან.

ნეერასთენიით შეპყრობილნო აზიზ-მაზიზნო,
მიდით, იქექეთ, იფათურეთ საკუთარ გულში.
ნაოცნებარი ნაყარნუყარი ერთად შეკუჭეთ,
სხვისთვის უხილავ გრძნობებს მიწვდით, სულში შეჩურთეთ!
აი ეს არის თქვენი საქმე, სხვა არა უწყით.

. . . .

სახალხო საქმე სულ სხვა არის, მეტად საძნელო,
მაგრამ საზეო, მადლიანი, კეთილშობლური,
მთელი ცხოვრების მომცველია, სულის აღმსები,
ახალგაზრდული ოცნებებით, ენებით, განცდებით
მისთვის იცოცხლებ, იბრძოლებ და მისთვის მოკვდები.

(„მწუხარე დღეები“ — თარგმნა რ. ჭანტურიშვილმა)

მეორე ციკლი იწყება სუბიექტურ-ლირიკული ლექსით „მოგონებები“. მგოსანი რეალისტურად აგვისახავს გალიციურ სოფელს, სადაც ლაღად მხოლოდ მემამულე ცხოვრობდა. მხოლოდ მისი ბუნაგი „ყვაოდა და ამაყად წუწნიდა ჩვენს სოფელს“, შრომით წელში გატეხილ გლეხებს.

პოეტი გვიხატავს სიღატაკესა და უვიცობაში ჩაფლული გალიციელი გლეხების ყოფა-ცხოვრების შემაძრწუნებელ რეალისტურ სურათებს. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ფრანკომ სოფელი დატოვა და ქალაქს მიაშურა სიმართლის საძებრად. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მან შეუპოვრად შეუტია წყობილებას, პანებს გლეხის დასაცავად, მისი ტანჯვის შესამსუბუქებლად. დიდი ძალა და ენერგია შეალია სიმართლისათვის ბრძოლას. მაგრამ, ცხოვრების დაღმართზე დამდგარი მგოსანი ვერ ხედავს, რომ გლეხის ცხოვრებაში გარდატეხა მომხდარიყოს. გლეხი ისევ დაჩაგრულ, ღატაკ და დაბეჩავებულ მშრომელად დარჩა, მისი ქოხი, ისე როგორც ადრე, ფერდებგამონგრეული და წასაქცევად გამზადებულია, ოჯახი, ცოლშვილი შიშველ-ტიტველი დაუდის, ლუკმა-პური კვლავ საძიებელი

და სამათხოვრო აქვს. ხოლო პანები სასახლეებში ნებივრობენ და კვლავინდებურად სისხლს სწოვენ გლეხებს, უკანასკნელ ამოკვნესამდე თავაუღებლივ ამუშავებენ მათ. ასეთია მისი ლექსები: „სოფელში ვიყავ“, „აი ბატონის სახლი“, „საუბარი ტყეში“ და სხვ.

„მწუხარე დღეების“ ციკლი „მოგონებები“ ერთგვარად პოეტის კრებულის „ჩემი იზმარაგდი“ ცნობილი ციკლის „სოფელ-სოფელ“ ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს. „მოგონებების“ საუკეთესო ლექსები მკვლევრებს ტარას შევჩენკოს ლექსებს მოაგონებენ, რომლებშიც უკრაინული სოფლის, უკრაინელი გლეხის მძიმე ხვედრი საოცარი მხატვრული ოსტატობით იყო წარმოჩენილი.

კრებულის მესამე ციკლში „ღია ცის ქვეშ“ კვლავ მოჩანს მოღუშული შემოდგომის პეიზაჟი. შავი, ტყვიისფერი ღრუბლები გაწოლილან ცაზე და ცივი ქარი სისინით ყინავს სულს. პოეტი მომხიბლავი ბუნების ფონზე გვიხატავს „დაღლილი ხალხის“ უსიხარულო ცხოვრებას. ლექსში „ქრიან ქარნი“, ქარი დაჰქრის გლეხის ღარიბულ ყანაში და იცავს მას ავდრისაგან. მაგრამ მისი შრომა წყალშია გადაყრილი. მას არ შეუძლია გლეხს აარიდოს ჟანდარმი, მღვდელი, მევახშე და სხვა სოფლის წურბელა. ამიტომაცაა სოფელი ნაღვლიანი. მგოსანი თავთავებისა და ქარის „საუბარში“ გლეხების სიღატაკის, მათი ჩაგვრის საშინელ სურათს გვიხატავს.

ნაწარმოებში „თვლემენ სოფლები“ ავტორი სოფლის იდილიურ სურათს ხატავს. თვლემენ სოფლები, მიწას ჯერ კიდევ შემოდგომის მზე ათბობს. მწვანედ დაბურულ ხეხილსაც ჩაუთვლემია, ტირიფები კი მზეზე თბებიან. ნალიები და ზვინები „დგანან, როგორც კოშკები მშვიდად“. ძროხები წვანან და იცოხნებიან, „მსუქნები ნაპურალში“.

არის სიჩუმე... თითქოს მძინარე
ზღვა დედამიწას ჰფარავს,
თითქოს შორს, ტყეში, სევდა მძვინვარე
ძილს მისცემია მარადს.

მგოსანი სთხოვს ღრუბლებს, შემოდგომის ქარს, ნუ გააღვიძებთო ხალხის მძიმე დარდსა და უბედურებას:

ღე, დაცადეთ, დე, თქვემდეს ხალხი,
წაგებულ დაიძინებს.
დაე, მოშორდეს, მათს ქედებს დახრილს
წუთით უღელი მძიმე.

(თარგმნა დ. გაჩეჩილაძემ)

ყურადღებას იპყრობს ლექსი „გაშლილ ველზე სოფელია“. გორაკზე, სოფლის გვერდით, სამჭედლო მოჩანს, სადაც მჭედელი „ბორკილების ნაცვლად ნათელ იარაღს“ ჭედავს. ლექსში სამჭედლო წარმოდგენილია ნათელი მომავლის სიმბოლოდ. იქ გაჩაღებული ცეცხლის ალი გაგლეჯს შემოდგომის წყვდიადს. მჭედელი, რომელშიც დემოკრატიული, რევოლუციური მოღვაწეებია განსახიერებული, ხალხს მოუწოდებს:

ბი რჩეულ ბედს ვჭედავ ახლა,
ჰე, აჰოდით ხალხნო მაღლა.
ხალხნო მოდით გარიერაჟზე
გაარღვიეთ ნისლი გზაზე.

(თარგმნა დ. გაჩეჩილაძემ)

პოემა „ივან ვიშენსკი“ ივან ფრანკომ დაწერა 1900 წელს. მასში პოეტმა განადიდა სამშობლოს სიყვარული, უმღერა ისტორიული პერის, განდეგილი-სქიმოსან ივან ვიშენსკის პატრიოტულ საქციელს, პირადი ინტერესების მსხვერპლად გაღებას საზოგადოებრივის სასარგებლოდ.

პოემის გმირია XVI საუკუნის დასასრულისა და XVII საუკუნის დამდეგის უკრაინელი მწერალი-პოლემისტი, ავტორი კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული წერილებისა. თავისი ხალხისათვის თავდადებული მწერალი, ათონის მონასტრის ბერი ცხოვრებაზე იმედგაცრუებული, ათონის კლდეში გამოკვეთილ გამოქვაბულში სამუდამოდ დაიდებს ბინას და ყოველგვარ კავშირს წყვეტს სამყაროსთან, ადამიანებთან. იგი განდეგილი-სქიმოსანი ხდება, უარს აცსადებს ყოველგვარ ბრძოლაზე და ეძებს გზას ჭეშმარიტებისაკენ.

ცხოვრება კი თავისი გზით მიდის. მწერალი ხატავს ბუნების დიდებულ სურათებს, აყვავებულ ზაფხულს, ბუნებას, სადაც არ წყდება მარადიული ბრძოლა და განვითარება. აყვავებული ალუბლის ფოთლები შემთხვევით შეფრინდება მის გამოქვაბულში და განდგომილ მოხუცს საყვარელ უკრაინას გაახსენებს. ბერს უკრაინიდან წარმოგზავნილები ესტუმრებიან, წერილს ჩამოუტანენ და სთხოვენ სამშობლოში დაბრუნებას, მშობელი ხალხის, ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში დასახმარებლად.

მოხუცს აგონდება შლიახტასა და იეზუიტების მიერ დაჩაგრული თავისი ხალხი. განდეგილში საშინელი ბრძოლა გაიმართება ასკეტიზმსა და პატრიოტიზმს შორის. დაძაბული შინაგანი ბრძოლის შედეგად მოხუცი იოანი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ხსნა თავისა“ არაფერია ხალხის ხსნასთან შედარებით, რომ ცხოვრების არსი სამშობლოს, მშრომელი ხალხის უანგარო სამსახურშია:

უფლება გაქვს უბედურო,
შენ ჯერჯელა დამსხვრეულო,
რომ იფიქრო მხოლოდ თავზე.
საკუთარზე, არა ხალხზე
დასაღუპად განწირულზე?

იოანში იმარჯვებს მშრომელი ხალხისათვის სამსახურის, დაჩაგრული ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მისი მონაწილეობის გრძნობა, სამშობლოს წინაშე მისი მოვალეობის გრძნობა. სამშობლოს სიყვარულითაა გამთბარი პოემის ფინალი: ბერი ვიშენსკი მიისწრაფვის „საყვარელი მშობლიური მხარისაკენ“, რათა იბრძოლოს, „მშობელი ხალხისათვის გასწიროს სიცოცხლე“.

ივან ფრანკომ მხოლოდ მხატვრული ნაწარმოები როდი მიუძღვნა ივან ვიშენსკის. მას ეკუთვნის გამოკვლევები ცნობილი პოლემისტისა და მწერლის ცხოვრება-მოღვაწეობაზე. თავის ნაშრომში ფრანკომ არსებითად სწორად შეაფასა ვიშენსკის შემოქმედება. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ვიშენსკის „მიმართვები“ ამხელდა არა მხოლოდ უკრაინელი ხალხის რელიგიურ მტრებს, უნიას, არამედ შლიახტას ექსპანსიას. ფრანკო ვიშენსკის ნიჭიერ პოლემისტად თვლის, მოსწონს მის მიერ ნიჭიერად დახატული ცხოვრების სატირული სურათები, იმდროის სოციალური ურთიერთობის სატირული წარმოსახვა. ივან ფრანკომ ვიშენსკიში დაინახა ადამიანი, მოქალაქე, რი-

მელმაც საზოგადოებრივი, საერთო-სახალხო საქმე უყოყმანოდ დააყენა პირადულზე მაღლა, პატრიოტულ იდეალებს ანაცვალა პირადი ინტერესები. ასევე აქვს გახსნილი მისი სახე ფრანკოს თავის პოემაში.

კრებულში „მწუხარე დღეები“ დაიბეჭდა აგრეთვე პოემა „წმინდა იურის მთაზე“. ნაწარმოებში პოეტურად არის ასახული პოლონური ჩაგვრის წინააღმდეგ უკრაინელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი, 1655 წელს ბოგდან ხმელნიცკის ჯარების მიერ ქალაქ ლვოვის ალყაში შოქცევა.

პოემაში ავტორი უმღერის სახელგანთქმულ უკრაინელ გეტმანს ბოგდან ხმელნიცკის, რომელიც წარმატებით იბრძვის უნიის წასისიანებით უკრაინელი ხალხისა და ქვეყნის დასამონებლად ამხედრებული იეზუიტ-მაგნატების წინააღმდეგ. პოეტი ადიდებს ბოგდან ხმელნიცკის, როგორც სარდალს და ამავე დროს ბრძენ პოლიტიკოსს და ცდილობს ღრმად ჩაგვახედოს პოლონელი პანების მიერ უკრაინელი ხალხის ჩაგვრის წინააღმდეგ მთელი ხალხის ბრძოლის გამომწვევ მიზეზებში. მწერალი გარკვევით მიუთითებს ბოგდან ხმელნიცკის მიერ ხალხის თანხმობითა და მხარდაჭერით გადადგმული ნაბიჯის პროგრესულობაზე, რაც რუსეთთან უკრაინის შეერთების განხორციელებაში გამოიხატა.

ივან ფრანკომ პირველად უკრაინულ ლიტერატურაში შექმნა ბოგდან ხმელნიცკის რეალისტური მხატვრული სახე და გვიჩვენა იგი როგორც ხალხის ინტერესების გამომხატველი და დამცველი მოღვაწე.

კრებულში ავტორმა მიგვითითა არსებული სოციალური უსამართლობის ჰეშმარიტ სოციალურ მიზეზებზე. „მწუხარე დღეებში“ მოთავსებული ნაწარმოებები გამსჭვალულია უკრაინელი ხალხის ერთიანობის, სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან მისი განთავისუფლების იდეით. მათში ავტორმა ახალი ძალით ამხილა დეკადენტობა და პოეტის უმთავრეს მიზნად ხალხის სამსახური დასახა.

კრებულში ნათლად გამოჩნდა, რომ პოეტმა არ უღალატა პოეტდემოკრატის იდეებს, ნიჭი მისი გამდიდრდა და დაიხვეწა. როგორც სამართლიანად თქვა ამ წიგნის შესახებ დიდმა საბჭოთა პოეტმა მაქსიმ რილსკიმ: „კრებული „მწუხარე დღეები“ სევდითაა გამსჭვალული, მაგრამ ძლიერი, მამაცი ადამიანის ნაღველი, სევდა, დარდია“.

„Semper tiro“[1]. კრებული გამოიცა 1906 წელს. მასში უმეტესად თავმოყრილია მგოსნის ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშები. პოეტმა კრებულში გააერთიანა 1901—1905 წლებში დაწერილი და გამოქვეყნებული ლექსები. ეს იყო რუსული რევოლუციის მოახლოებისა და აფეთქების პერიოდი. ღელავდა რუსეთი, უკრაინა... მასობრივი გაფიცვების ტალღამ გადაუარა რუსეთის სახელმწიფოს. რევოლუციური ტალღა მისწვდა გალიციის მშრომელებს, დასავლეთ უკრაინის მუშათა კლასს.

ივან ფრანკო მოწყურებული თვალით გასცქეროდა რუსეთს. მან გამოიყენა რედაქტორის უფლებები და ჟურნალ „ნაროდს“ („ხალხს“) შეუქმნა დამატება „რუსეთიდან და რუსეთისათვის“, რომელსაც რეგულარულად სცემდა. ხოლო ჟურნალში „ჟიტე ი სლოვო“ („ცხოვრება და სიტყვა“), რომელსაც ფრანკო სცემდა, ქვეყნდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცნობები, როგორიც იყო, მაგალითად, ინფორმაცია რუსეთში „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ შექმნის შესახებ. ვ. ი. ლენინის ნაშრომების ბიბლიოგრაფია, ზოგიერთი ნაშრომის შინაარსიც კი და სხვ.

1905 წლის რუსეთის რევოლუციას პოეტი მიესალმა როგორც „რუსეთში გაზაფხულის შეჭრას“. ფრანკომ, როგორც რევოლუციონერმა პოეტმა და მოქალაქემ აქტიურად დაუჭირა მხარი რუსეთის რევოლუციას და გაილაშქრა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა ხალხის ყურადღება ჩამოეცილებინა რევოლუციისაგან. ივ. ფრანკომ გალიციურ პრესაში ზედიზედ დაბეჭდა პუბლიცისტური სტატიები, რომლებშიც გმობდა ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს შოვინიზმის, რევოლუციური გზიდან ხალხის ჩამოცილების ცდისათვის. გალიცია-უკრაინის ახალგაზრდობისადმი მიმართულ წერილში ფრანკო მიესალმა მშრომელი ხალხის მასების გაღვიძებას, „აბსოლუტიზმისა და დესპოტიზმის ყინულოვანი კლდის“ ნგრევას. „ევროპის აღმოსავლეთი და იმავე კომპლექსში ჩვენი უკრაინაც ახლა გაზაფხულის ხანაშია, როცა იმსხვრევა აბსოლუტიზმისა და დესპოტიზმის ყინული, როცა ხალხთა ძალები საშინელი კატასტროფის დროს

[1] „მარად დამწყები“.

ეძებენ თავისთვის ახალ გზებს და ახალ ფორმებს მოღვაწეობისათვის", — წერდა იგი 1905 წლის რუსეთის რევოლუციის გამო და გამოთქვამდა რწმენას, რომ ყველაფერი ეს მიგვიყვანს „სოციალური წყობის სრულ გარდაქმნამდე რუსეთსა და უკრაინაში".

„მსოფლიო ისტორია — გმირების ისტორია კი არა, მასობრივი მოძრაობებისა და ცვლილებების ისტორიაა", — წერდა ივან ფრანკო.

ამ დროს გამოდის იგი მაქსიმ გორკის დასაცავად, რომელიც მეფის ხელისუფლებას პეტრე-პავლეს ციხეში ჰყავდა დამწყვდეული. ლვოვის ჟურნალში „ახალი საზოგადოებრივი ხმა" (1905, № 9) დაბეჭდილ სტატიაში ივან ფრანკო წერდა: „ყველა გრძნობდა, რომ მისი სიკვდილი იმ კაზემატში ნავთს დაასხამდა ცეცხლზე, რომელიც ახლა ანთია რუსეთში, და ის ნაპერწკალი იქნებოდა, რომელიც სახალხო აჯანყებას უზარმაზარ ხანძარს გაუჩენდა".

კრებულში „Semper tiro", რა თქმა უნდა, პოეზია ასახავს 1905 წლის რევოლუციით გამოწვეულმა საბრძოლო განწყობილებებმა.

წიგნი შედგება ოთხი განყოფილების, დაუმთავრებელი პოემის „ტყის იდილია" და სატირულ-ფილოსოფიური ანტირელიგიური პოემისაგან „საშინელი სასამართლო".

კრებულის თვით სათაურშია ჩაქსოვილი ღრმა ოპტიმისტური აზრი, რომელიც არსებითად განსაზღვრავს კიდეც მასში მოთავსებული ლექსების ხასიათს. „Semper tiro" ხომ ნიშნავს მარად დამწყებს, ყოველთვის ახალბედას.

კრებულის პირველ განყოფილებაში ფრანკო აცხადებს, რომ პოეტი მოწაფეა, იგი ისეთ დარგს ემსახურება, რომელსაც უდიდესი ძალა გააჩნია. „...პოეტი თავმდაბალიც უნდა იყოს და მთელი თავისი ნიჭი და შესაძლებლობანი ხალხს მოახმაროს". კრებული იწყება მოდერნისტების რეაქციული თეორიის „წმინდა ხელოვნების" წინააღმდეგ მიმართული ლექსით. ფრანკო, როგორც ყოველთვის, მაღლა აყენებს საზოგადოებრივ დანიშნულებას. ლექსში „სონეტი" ფრანკო ადიდებს სიმღერას. იგი მას მიაჩნია პოეტის ლხენის სიამისა თუ ტანჯვის მომგვრელად და გამქარვებლადაც. იგი ის „ტკბილი ჯადოა", რომელიც ადამიანებს „უღვივებს მადლსა" და „დაფრქვეულ ცრემლებს" ალმასად აქცევს.

ღედათა შორის ცრემლ-კერთხეულო
ცხეო ბრწყინვალე, ხალისის მჩენო,
ზეშთაგონებავ, ცრემლშეფრქვეულო,
ო, ლხენავ, ტანჯვაც, სიმღერაც ჩემო!

(თარგმნა იასამანმა)

ასე მიმართავს მგოსანი სიმღერას, რომელიც თავისი ძალით ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანს.

სიმღერა, ლირა, ხალასი ნიჭი მისთვის უნდა პოეტს, რომ ხალხს ემსახუროს, მის ხვალინდელ ნათელ დღეს უმღეროს. ამიტომაც არის, რომ ლექსში „კონკვისტადორები" მგოსანი უმღერის უკეთესი მერმისისათვის მებრძოლ გმირებს:

სიკვდილი ან გამარჯვება
აი, ჩვენი მოწოდება
ჩვენი ნანატრი სამშობლო
სიხარულით, ოფლით აიგება.

„საცოდავი სიმხდალე ეშმაკსაც წაუღია", გვეუბნება პოეტი და ბრძოლისაკენ მოგვიწოდებს.

ფრანკო თავის ლექსში გვიხატავს მამაც კონკვისტადორებს, რომლებიც აღელვებულ ზღვას გადალახავენ და უღრანი ნაპირებისაკენ მიიწევენ, საბრძოლო სიმღერებით დაიპყრობენ მძინარე სამეფოს და თავის ხომალდებსაც დასწვავენ, რათა უკან დასაბრუნებელი გზა აღარა ჰქონდეთ.

ღრმა ოპტიმიზმითაა გამსჭვალული ლექსის ნაჭედი სტრიქონები. მკვლევრები ამ ლექსში გორკისეული ქარიშხლის გამოძახილსაც ნახულობენ, და, რაც მნიშვნელოვანია, თვით მგოსნის ადრეული პერიოდის შემოქმედებასთან პარალელებსაც პოულობენ. „ქვისმტეხელნის", „სასამართლოში" და „მაღლობებიდან და დაბლობებიდან" ციკლის სხვა ლექსებს თავისი განწყობილებით ეხმაურება „კონკვისტადორები". თუ „ქვისმტეხელნში" ახალგაზრდა მგოსანი ლაპარაკობს კლდეზე ათასობით მიჯაჭვულ და ამიტომაც განწირულ ადამიანებზე, „კონკვისტადორებში" იგი მოგვიწოდებს დავწვათ ხომალდები, რათა უკანდასახევი გზა აღარ გვქონდეს, თვითონ ვაშენოთ საკუთარი მომავალი ბედნიერება, როგორც თავისუფალმა ადამიანებმა.

თუ ლექსში „სასამართლოში“ ივ. ფრანკო გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს მხოლოდ აფრთხილებს, თუ სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა, ეს ჩვენი ბრალი არ იქნებაო, ახლა იგი გარკვევით და კატეგორიულად აცხადებს, რომ მხოლოდ სისხლი და შრომა დაეხმარება ადამიანებს ახალი ქვეყნის აშენებაში. მგოსანი რეალურად, ფხიზელი გონებითა და თვალით აფასებს შექმნილ ვითარებას და სავსებით სწორი რევოლუციური დასკვნები გამოაქვს.

ლექსი „კონკვისტადორები“ საბრძოლო ლირიკის შესანიშნავი ნიმუშია.

კრებულის მეორე ციკლია „ახალი თავშესაქცევი ამბები“. ფრანკო იყენებს ხალხურ ანეკდოტებსა და ანდაზებს და მათ საფუძველზე ქმნის პოლიტიკურ სატირულ ნაწარმოებებს. სატირული მიმართულება აქვს აგრეთვე „თანამედროვე ზღაპარსაც“, რომელშიც ფრანკო ალეგორიული ფორმით ასახავს უკრაინულ-პოლონურ ურთიერთობას.

აზრითა თუ სახეთა მხატვრული წარმოსახვის ისტორიით გამოირჩევა განყოფილება „ძველ თემებზე“, რომელშიც მწერალმა თავისებურად გაიაზრა და წარმოაჩინა ძველი რუსული ლიტერატურის თემები და სახეები და მათზე დაყრდნობით შექმნა სრულიად ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებები. მწერალმა აღო ნაწარმოების „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ გმირული ფორმა. რიგ ლექსებში ნაწილობრივ გამოიყენა მისი მოტივები. ასეთებად კრიტიკოსები მიიჩნევენ ლექსებს — „დრო ხომ არ არის, ჩვენ რომ დავიწყოთ...“ „შენ ისევ ჩემს თავზე დაჰფრენ...“, „შუაღამისას ყვირილი ისმის...“, „დღემდე გვესიზმრება“, „გამოვა ველზე რუსული ძალა...“ და სხვ.

ფრანკო თავისებურ პერიფრაზირებას ახდენს „ამბის...“ ცალკეული ადგილებისა და ამბობს, მაგალითად, რომ რუსეთი ერთსულოვნად არ აღსდგა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი ოცნებობს რუსული მიწების გაერთიანებაზე, თავისი ხალხის ძველი ძლიერების აღორძინებაზე, სვამს საკითხს დაჩაგრული ხალხის ბელადის შესახებ და სხვა და სხვა.

კრებულის ეს განყოფილება საინტერესოა როგორც თემატური, ისე სტილისტური თვალსაზრისითაც. მასში გაერთიანებულია თორმეტი ლექსი, რომლებშიც პატრიოტული საუბარია ძლიერ, მაგრამ დროებით დამონებულ ხალხზე, მწვავე სატირაა შემთანხმებლური,

ნაციონალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, საუბარია ქალის მძიმე ხვედრზე და როგორც ყოველთვის წარმოდგენილია მშობელი ხალხის სიყვარულის ლირიკული აღიარება.

ფრანკო ფსალმუნებიდან იღებს ეპიგრაფებს და მათ საფუძველზე ქმნის მწვავე სატირული ხასიათის ნაწარმოებებს. თავის ნაწარმოებებში იგი მორჩილებისა და ბრძოლიდან განზე გადგომის საწინააღმდეგო იდეებს ქადაგებს. ფრანკო უარყოფს აზრებს, რომლებიც ამართლებენ ბოროტებას და ძალადობას ანდა მათდამი გულგრილ დამოკიდებულებას. ლექსში, რომელსაც წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი — „ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა ულმრთოთასა“, იგი ილაშქრებს ამ სტრიქონებში გამოთქმული აზრის წინააღმდეგ. ამხელს მის თანამედროვე ბურჟუაზიულ შემთანხმებლებსა და სამშობლოს მოღალატეებს.

კრებულის მეორე ციკლია „კააფის წიგნიდან“. ესაა სიმღერა პოეტის და პოეზიის ბედზე, ფილოსოფიური განსჯა სიცოცხლის ხანმოკლეობაზე და ჰუმანიზმზე. მაგრამ უარყოფს ქრისტიანულ კეთილ სიყვარულს, მუქთახორობას, მაამებლობასა და სხვა ბიწიერებას. ლექსში „ფ.რ.“ აკრიტიკებს ბურჟუაზიულ „წმინდანებს“, მათ უპირისპირებს ბიბლიურ მარიამს, რომელსაც წმინდა შეურყვნელი სული ჰქონდა.

პოეტი საკუთარ ლექსებს ადარებს მცენარე კააფის არომატულ ფოთლებს, რომლებიც ადამიანებს სიხარულს ანიჭებენ, ნაღველსა და დარდს აშორებენ და მათ გულებს ბედნიერების გრძნობით ავსებენ.

კრებული მთავრდება ფილოსოფიური პოემით „საშინელი სასამართლო“. ამ ნაწარმოებში მწერალი ავითარებს ათეისტურ, მატერიალისტურ შეხედულებებს, ამხელს ეკლესიის რეაქციულ არსს.

ეს პოემა ფრანკოს შემთხვევით არ დაუწერია. 1905 წლის რევოლუციის დროს ეკლესიის რეაქციული, პროვოკაციული როლი აშკარად გამოჩნდა. მღვდელი გაპონის საქციელმა, რომელმაც მშრომელი ხალხი მოტყუებით წაიყვანა და ტყვიით დაახვრიტა, მთელი პროგრესული რუსეთი და უკრაინა აღელვა. ლვოვის მიტროპოლიტმა ა. შეპტიცკიმ მკაცრად გაილაშქრა რევოლუციისა და საერთოდ სოციალისტური თეორიების წინააღმდეგ.

სწორედ ამ დროს მუშაობს ლესია უკრაინკა თავის „კატაკომბებ-

ზე", რომელშიც ილაშქრებს ქრისტიანული რელიგიის მიერ მონუ-რი მორჩილების ქადაგების წინააღმდეგ. სწორედ რელიგიის რეაქციული დოგმების, მორჩილებისა და მონობის წინააღმდეგ იმაღლებს ხმას ივან ფრანკო და ნაწარმოებში „საშინელი სასამართლო" და სხვა ლექსებში ამხელს მათ რეაქციულ არსს.

კრებულში „Scmper tiro" ივ. ფრანკო კვლავ წარმოსდგა ჩვენს წინაშე როგორც ფილოსოფიური, პოლიტიკური, ინტიმური ლირიკის შესანიშნავი ოსტატი.

წიგნში მოთავსებულია პოემა „ტყის იდილია". პოემის შესავალი მიმართულია ახალგაზრდა დეკადენტი პოეტის ნიკოლოზ ვორონინის ლიტერატურული „მანიფესტის" წინააღმდეგ. ნ. ვორონინის ეს „მანიფესტი" იმ დროს გახმაურებული ნაწარმოები იყო, რომელშიც იგი პროპაგანდას უწევდა ე. წ. „წმინდა ხელოვნებას".

ივან ფრანკო ყოველთვის მკაცრად ილაშქრებდა ე. წ. თეორიის „ხელოვნება—ხელოვნებისათვის" თვით არსის წინააღმდეგ. ხოლო როდესაც ბურჟუაზიულ ლიტერატურაში მომძლავრდა დაცემულობის ტენდენციები, რევოლუციონერმა პოეტმა კვლავ აღიმაღლა ხმა ჰეშმარიტი ხელოვნების დასაცავად. ფრანკომ შექმნა „ტყის იდილია", რომლითაც გაილაშქრა დეკადენტებისა და დეკადენტობის წინააღმდეგ.

პოემაში მწერალი გადმოგვცემს ვორონის რეაქციულ მოთხოვნებს:

მგოსნებო, მოგვეცთ ჩვენ სიმღერები
უტენდენციო, თავისუფალი,
არ ახნდეს ჯიბრი სოციალური,
მსოფლიოს სევდის არ ახნდეს კვალი
შიგ არ ისმოდეს ბრძოლის ყიჟინა.

(თარგმნა იასამანმა)

ფრანკო წერს, რომ „ლექსი არაა ბუმბული რბილი"; უტენდენციო ხელოვნების პროგრამას ძოეტი-მებრძოლი უპირისპირებს მებრძოლი, მოწინავე იდეებით შეიარაღებული პოეზიის მოთხოვნებს. ლექსი, ამბობს მგოსანი:

ის არის მძაფრი, ენება, სურვილი,
ის განგაშია და ცეცხლის ალი,
გზა ეკლიანი და ძნელსავალი,
მიზნისკენ სწრაფვა, ძიება, ბრძოლა.

პოეტისათვის მიუღებელია ნ. ვორონის და მისთანანის უაზრობის ნისლით დაბურული პოეზია, სიტყვების უმიზნო რახა-რუხი, დაშაქრული სიმღერები:

მაშ, მიგობარო, ჩემო ძვირფასო,
ნუღარ ისურვებ, რომ პოეტები
ეარღიაფერ, სათუთ ნისლით
გეფარაჟდნენ,
ან მისტური გეხატონ ზღვები.
ან გასართობად გემღერდნენ მტკბარად!

ივან ფრანკო პოემის დასასრულს იძლევა პოეზიის განმარტებას:

...ცეცხლი სიტყვის სამოსით,
არის ფერია სასწაულქმედი
და ნაპერწკალი პრომეთეოსის.

ფრანკო ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტი პოეზია ესაა „ცეცხლი სიტყვის სამოსით“, რომელიც ხალხს მოუწოდებს შრომისაკენ, ბრძოლისაკენ, ნათელი ხვალინდელი დღისაკენ.

პოემა „მოსე“. 1905 წლის რევოლუციის დღეებში ივან ფრანკო მიესალმა რუს ხალხს და რუსულ რევოლუციას. იმ დღეებში იგი წერდა: „ჩვენ გვიყვარს ველიკორუსი ხალხი და ყოველივე სიკეთეს ვუსურვებთ მათ...“ მეფის თვითმპყრობელობის მიერ შლისებურგის ციხეში ჩამწყვდეულ მაქსიმ გორკის სწორედ ამ დროს უწოდა მან „რუსული ლიტერატურის მშვენება“, „რუსი ხალხის ერთერთი შუქურა“.

რუსეთში მიმდინარე რევოლუციურმა ბრძოლებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ივან ფრანკოზე როგორც მწერალსა და მოქალაქეზე. პოეტი შეეცადა თავის შემოქმედებაში აესახა ხალხთა მასების ბრძოლა, ფილოსოფიურად გაეაზრებინა მღელვარე ეპოქის ახალი მოვლენები.

ამ ვითარებაში შექმნა ივან ფრანკომ პოემა „მოსე“.

პოემის ფაბულის წყაროდ პოეტმა ბიბლიური თქმულება გამოი-

ყენა. მან ნაწარმოებში დატოვა ძველი თქმულების სქემა, მაგრამ მის სულში თავისი ხალხის ბედის განაჩენის დანახვა გაიაზრა.

მნიშვნელოვანია მწერლის ერთი განცხადება, „ისტორიული და ფსიქოლოგიური ინტერესის გარდა, პოემას აქვს აგრეთვე სიმბოლური მნიშვნელობა, ხოლო როგორც უკრაინელის ნაწარმოებს, არც ნაციონალური შეფერილობა აკლია". მწერალმა საგანგებოდ გახაზა აზრი, რომ პოემას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და ნაციონალურ, უკრაინულ ნიადაგს და ხასიათს არ იყო მოწყვეტილი.

ფრანკომ ბიბლიური სიუჟეტი გამოიყენა რეალისტური ფილოსოფიური პოემის შესაქმნელად. ამასთან მწერალმა ზოგი ბიბლიური თქმულება შეცვალა, ზოგი კი საერთოდ არ გამოიყენა. მაგალითად, მოსეს სიკვდილი ფრანკომ სხვაგვარად ასახა, ვიდრე ბიბლიურ თქმულებაშია. თქმულების მიხედვით მოსე იეღოვამ მისი ცნებების დარღვევისათვის დასაჯა. ფრანკო კი მას ხალხთან განხეთქილებისათვის სჯის.✗

ბიბლიური თქმულების მიხედვით ავირონს და დათანს „ღვთის სასწაული" ღუპავს, მიწა გაუსკდებათ ფეხქვეშ და მათ თან ჩაიტანს. პოემაში ეს სასჯელი არაა გამოყენებული. მოსეს დაღუპვის შემდეგ მათ ხალხის აღშფოთება შეიწირავს.

✗ ბიბლიის მიხედვით იეღოვა მოსეს 10 მცნებას აძლევს სინას მთაზე. პოემაში იეღოვა გამოყვანილია როგორც რწმენაშეცვლილი მოსეს მკაცრი მსაჯული და სხვ.✗

პოემაში გამოკვეთილადაა წარმოდგენილი ხალხისა და ბელადის ურთიერთობის პრობლემა. ნაწარმოების შესავალში ივან ფრანკო წერს, რომ პოემაში დასმულია გმირისა და ხალხის ურთიერთობის პრობლემა და განსაზღვრავს პოემის ძირითად თემას. „მოსე აუღიარებელი წინასწარმეტყველია, — წერს იგი, — ორმოც წელს მომთაბარეობს უდაბნოში თავის ხალხთან ერთად... მე შევეცადე წარმომედგინა მოსე ხანდაზმული, ღრმად მოხუცებულობაში, როცა იგი მიუახლოვდა აღმულ ქვეყანას, ტყუილად ცდილობს დაიყოლიოს თავისი ხალხი ამ ქვეყანაში შევლაზე... პოემის ძირითად თემად ავირჩიე მოსეს სიკვდილი, როგორც თავისი ხალხის არცნობილი წინასწარმეტყველისა. ეს თემა ამ სახით ბიბლიური კი არა, ჩემი, საკუთარია".

მოსეს სახით ფრანკომ დაგვიხატა წინასწარმეტყველი, რომელმაც ძალა და ენერგია, მთელი სიცოცხლე მშობელ ხალხს შესწირა. მწერალმა მოსეში ჩააქსოვა ადამიანის საუკეთესო თვისებები, სითბო, სიყვარული, მშობელი ხალხისათვის თავდადება. მოსემ

გულში ჩაკირულ მიზანს შესწირა,
რაც ცხოვრებაში მოეძებნა.
ქვაღდაქვაც სდევდა უბედურება
და მისი სული მაინც მზეობდა.
დავისუფლების მოსაპოვებლად
მოლიმ გაუხსნა მონებს ხელები,
და ტყეობიდან, როგორც გრიგალმა,
ეძგოტაცა ებრაელები.

(თარგმნა კ. ლორთქიფანიძემ)

ორმოც წელს დაეხეტებოდა იგი უდაბნოში ხალხთან ერთად და უკვე მოიყვანა ხალხი აღმოსავლეთ ქვეყანასთან — პალესტინასთან. მაგრამ ამოიწურა მოხუცი წინასწარმეტყველის ძალები, ჩაუქრა ბრძენკაცს აღმაფრენის, ძიების ცეცხლი. ხალხი, ახალგაზრდობა ნაკლებად უგდებს ყურს მის ქადაგებას. წამოყვეს თავი ავიორნმა და დათანმა, რომელთაც ხალხის წინამძღოლობის პრეტენზიები გაუჩნდათ. ისინი მოსეს ხალხის შემაცდენლად სახავენ და ხალხს მოუწოდებენ იმით დაკმაყოფილდნენ, რაც გააჩნიათ, ნუღარ ისწრაფვიან აღმოსავლეთ ქვეყნისაკენ. მოსე უშიშრად ჩაებმება მათთან ბრძოლაში.

მოსემ ვერ დაარწმუნა ხალხი თავის სიმართლეში, ვერც აღანთო მათში ტანჯვისა და ბრძოლის ცეცხლი. ვერც მოწინააღმდეგეები დაამარცხა. განდევნილი წინასწარმეტყველი მარტო გაუდგა გზას. ეს იყო მისთვის ყველაზე საშინელი ტანჯვა. მაგრამ ასე ინება ხალხმა და ასე გადაწყდა მისი ბედი.

მარტო მიმავალ წინასწარმეტყველში კვლავ გაიღვიძებს ხალხის წინაშე მოვალეობის გრძნობა. იგი გადახედავს მის მიერ განვლილ ცხოვრების გზას და ფიქრობს, ხომ არსად შევცდი, ხომ რაიმე არ დავაშავე? ხოლო როდესაც „უდაბნოების შავი" დემონი აზაზელი მას პალესტინის უღიმღამო სურათს გადაუშლის, წუთით, მაგრამ მაინც დაეჭვდება მოსე მის მიერ არჩეული გზის სისწორეში, მის მიერ

მიღებულ გადაწყვეტილებაში. მოსეს გულიდან კვნესა აღმოხდება: „მოგვატყუა იეღოვამ“. ამის პასუხად:

გავარდა მეხი. შეირყა სწრაფად
კლდე, როგორც ქოხი ძველი ფიცრების,
ბნელში ზედიზედ მთას დააცვინდა
დიდ იეღოვას ელვის ისრები.

(თარგმნა რ. გვეტაძემ)

ჩამოვარდა სიჩუმე. მოულოდნელად გაისმა „ჩურჩული, სევდით დანაგუბარი“ და მოსეს გულმა შეიცნო იეღოვას ხმა:

მე მოგატყუე? მაგრამ ეს შენიც
იყო თუ არა მტკიცე წადილი!

იეღოვას ხმაში სიმტკიცე ჩანს. მის სიტყვაში ხალხისადმი რწმენა კვლავ გამოსჭვივის: იგი ამბობს, რომ მოვა დრო და თქვენ ხალხს გამარჯვებისაკენ წავიყვან:

მე თავის დროზე შენს ხალხს იქიდან
წავიყვან, რათა გახდეს მშრომელი,
ისე როგორც ბავშვს თავის ალოზე
გააშვებინებს ძუძუს მშობელი.

ახალი თაობა მტკიცედ გაიდგამს ფესვებს, დაიწყებს ახალ ცხოვრებას და დიდ სიმდიდრეს მოიპოვებს. ხოლო მოსე, რომელსაც ეჭვი შეეპარა და წუთით, მაგრამ მაინც შეყოყმანდა, უნდა დაისაჯოს. იგი ახალი ცხოვრების წინკარში უნდა დაეცეს.

და შენ, რომელიც ერთ წამს დაეჭვდი,
აღარ მიწვმე უძლეველ ღმერთად,
თუმცა იხილო იგი სამშობლო
შიგ ვერ შეხვიდე ჩემს ხალხთან ერთად.
ეგ შენი ძვლები სამაგალითოდ
იმისთვის აქვე დარჩეს დაყრილი,
ვინაც მიიღტვის მიზნისკენ მარად,
მაგრამ გზაზევე კვდება დაღლილი.

ასეთ განაჩენს გამოუტანს იეღოვა მოსეს. სიმბოლურად კი პოეტი აცხადებს: ასე სასტიკად დაისჯება ყველა, ვისაც არ სწვამს თავისი ხალხის. ხალხი კი თავის გზას იპოვის. იგი წავა წინ, განვითარების

გზით და უკან მოიტოვებს მათ, ვინც მის ძალებში დაეჭვდა. ესაა ფრანკოს „მოსეს“ ძირითადი აზრი.

განთიადისას ებრაელებმა გახედეს მთის წვერს. მოსეს აჩრდილი იქ აღარ დახვდათ.

წასულა. და ეს სიტყვა „წასულა“
გამეღება როგორც სევდილის შიში.

რადგან

აღარ ჩანს იგი. უოომლისოდაც
ყველას მოელის ტანჯვა და ვაში.

ასე ჰგონია ხალხს. უსაზღვრო სევდა ჩამოწვა მათში. ხალხს სინდისი ქენჯნის, მთელი ბანაკი თითქოს უმწეო გახდა, მოეშვა, მოდუნდა. მაგრამ მათ სულში სიცოცხლის ნაღვერდალი სულაც არ ჩამქრალა. იღვიძებს ძალა, ფეხზე დგება ახალი თაობა. ჯოგი აყარეს, სადღაც მიიჩქარიან. ხალხს „მეჯინიბეთა თავადი“ ეგოშეა უდგება სათავეში (ბიბლიით იისუს ნავინი). „ჩქარა სალაშქროდ! იშიშვლეთ ხმალი!“ — მოუწოდებს იგი ხალხს. ამ მოწოდებამ „როგორც არწივმა, გადაუქროლა მთელ ბანაკს ქარად“. დადგება ჟამი და ეგოშეას ამ მოწოდებას ასი ათასი კაცი გაიმეორებს, ცბიერ ავირონს „ქვით ჩაქოლავენ, დათანს კისერზე მოსდებენ ბაწარს“. ახალი თაობა ფრინველივით გაინავარდებს, თან წაიღებს სევდას ცრემლიანს და ბრძოლაში „სულს გზას გაუკაფავს“, უკეთესი მერმისისაკენ გაიკრებს.

ფრანკოს კარგად ესმის, რომ ხალხს გამარჯვებისაკენ ვერ წაიყვანენ გმირები, ბელადები, რომელთაც ეჭვი დაეუფლებათ და ხალხის ძალაში, მის მიერ არჩეული გზის სისწორეში ეჭვი შეეპარებათ. მაგრამ მას ღრმად სჯერა, რომ არის ახალი ძალა, რომელიც ამ ტანჯვისა და ვაების მორევიდან გამოიყვანს და ნათელ გზაზე დააყენებს. პოეტს სწამს ნათელი ხვალინდელი დღისა და ამიტომაც გზიდან ჩამოცილებულ მოსეს ნაცვლად ხალხს ახალი წინამძღოლი ეგოშეა უდგება სათავეში. მოსეში ფრანკომ ვერ პოვა ის მეთაური, რომელიც ხალხს გამარჯვებას მოაპოვებინებდა და ბედნიერებას მოუტანდა, მაგრამ მგოსანს სწამდა, რომ ხალხს ასეთი ტიტანი მიეცლინებოდა.

დაე, დაეცნენ ბრძოლის გზაზე ერთგულები, რომლებიც ეჭვმა და ორჭოფობამ დაღუპეს, ხალხის, კაცობრიობის მოძრაობას პროგ-

რესის გზაზე ვერაფერი შეაჩერებს. იგი კანონზომიერად და მტკიცედ განაგრძობს თავის სვლას პროგრესისაკენ, თავისი მიზნისაკენ. ასეთია ავტორის მტკიცე რწმენა.

ხალხი, როგორც ისტორიის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, არის პოემის მთავარი გმირი. ფრანკო ფიქრობდა თავის სამშობლოსა და ხალხის ბედზე და 1905 წლის მღელვარე რევოლუციურ ვითარებაში, შექმნილ რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარემოში ერთადერთ სწორ გააზრებას იძლევა ისტორიულ მოვლენებში, ისტორიულ წინსვლაში ხალხის პროგრესული, წამყვანი როლის შესახებ. პოემა „მოსე“ პოეტის აზრის ნათელი დადასტურებაა. თავისი ნათელი მომავლისაკენ შეჩერებული სვლა ხალხმა კვლავ განაახლა და ბრძოლის ჟინით გახელებულმა ხელი იარაღს მოჰკიდა. 1/

ერთი წუთი და გამოფხიზლდება
გაქვავებული ხალხი უგონოდ.
მაგრამ არავის ეცოდინება
იმ წუთს ვით გახდა გმირად უღონო.
ერთი წუთი და ეგოშუას ხმას
ასი ათასი განიმეორებს.
ეს ერთი წუთი ხანძარს გააჩენს,
ზღვად გადააქცევს პატარა მორევს.

. .

გაფრინდებიან ვით ფრინველები
და იორდანეს შესვამენ პეშვით,
იერიქონის კედლებს, ვით ყინულს,
მსუბუქ გაალხობენ ხანძარის ეშვით.
და წაელენ წელთა დავიწყებაში,
თან წაიღებენ სევდას ცრემლიანს.
ბრძოლაში სულს გზას გაუკაფავენ,
მაგრამ თვით გზაზე დაეცემიან.

ავტორი სიყვარულით უმღერის თავის ხალხს. პოემა თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ხალხის უძლეველობის, ხალხის ბედნიერი ხვალინდელი დღის რწმენით.

ივან ფრანკოს „მოსე“ უკრაინული პოეზიის ერთ-ერთი მწვერვალია ტარას შევჩენკოს „მარიამსა“ და ლესია უკრაინკას „ტყის სიმღერის“ გვერდით.

პოემამ თავიდანვე მიიპყრო ყურადღება და მოწინავე საზოგადო

მოღვაწეების დიდი აღტაცება გამოიწვია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მ. კოციუბინსკის აზრი ამ პოემაზე. 1905 წელს ლვოვში ყოფნის დროს მ. კოციუბინსკიმ ინახულა ავადმყოფი ფრანკო. „არ შემიძლია დავივიწყო სახე, რომელიც მეხსიერებაში ჩამრჩა, — იგონებდა მ. კოციუბინსკი, — ეს იყო ორი წლის წინ, როდესაც მე უკანასკნელად შევხვდი მას. იგი თავის ღარიბულ სახლში მაგიდასთან იჯდა ფეხშიშველა და მეთევზის ბადეს ქსოვდა, როგორც ღატაკი მოციქული. ქსოვდა ბადეს და წერდა პოემა „მოსეს“. არ ვიცი მოჰყვა თუ არა თევზი მის ბადეში, მაგრამ ჩემი სული კი დაატყვევა მან თავისი პოემით“ [1].

ფრანკოსათვის მძიმე დღეებში მ. კოციუბინსკი 1905 წლის 28 მაისს რომიდან უგზავნის მას ამაღელვებელ წერილს, რომელშიც მაღალ შეფასებას აძლევს პოეტის მხატვრულ ნიჭს: „სულ ვფიქრობდი მადლობა მეთქვა თქვენთვის იმ სასიამოვნო და ჩემთვის დაუვიწყარი დღეებისათვის, რომლებიც ჩვენ ერთად გავატარეთ ლვოვში და სოფელში. ამას დღეს ვაკეთებ, როცა დავათვალიერე მიქელანჯელოს „მოსე“, რომელმაც თქვენი საუცხოო პოემა გამახსენა. როცა მე „მოსეს“ წინ ვიდექი, მესმოდა ის ცეცხლოვანი სიტყვები, რომლებიც თქვენს სახლში გაისმოდა“.

წერილმა ძალზე გაახარა ფრანკო. მან დაუყოვნებლივ გაუგზავნა საპასუხო ბარათი და მადლობა მოახსენა დიდ შემოქმედს ასეთი მორალური მხარდაჭერისათვის.

ხოლო, როდესაც რუსეთში რევოლუცია დაიწყო და მ. კოციუბინსკიმ მიიღო ივ. ფრანკოს პოემა, გაუხარდა, რომ ამ დიდებული ნაწარმოების წაკითხვას ახლა ყველა უკრაინელი შეძლებდა, რადგან ხალხის მღელვარება, რევოლუციური გამოსვლები ერთგვარად მაინც შეამსუბუქებდნენ პოლიტიკურ სასტიკ რეჟიმს. იმედჩასახული მწერალი ივ. ფრანკოს შეეხმიანა: „...გავიგე, რომ ის წიგნი გამომიგზავნეთ, — წერდა იგი, — რა დიდი სიამოვნებით გადავიკითხე — მიჭირს ამის გამოხატვა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თქვენს წაკითხულს ვისმენდი, გამიტაცა მან, ახლა კი უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. გულითადად გმადლობთ არა მხოლოდ ყურადღებისათ-

[1] მ. კ ო ც ი უ ბ ი ნ ს კ ი, თხზ. კრებული, ტ. 3, გვ. 121.

ვის. არავინ ამ მშვენიერი, მაღალპოეტური და ღრმა ნაწარმოებისათვის. ახლა, როცა საზღვარი თითქმის გახსნილია, „მოსეს“ იხილავს უკრაინული საზოგადოება — და ეს ენით უთქმელ სიხარულს მანიჭებს“ [1].

სავსებით გასაგები იყო აღტაცებული მ. კოციუბინსკის ასეთი მაღალი შეფასება მეფის ხელისუფლებისა და მისი დამქაშების მიერ საოცრად შევიწროებული და დევნილი პოეტის ივან ფრანკოს რევოლუციური გზნებითა და მხატვრული ნიჭიერებით განათებული პოემისა. „ენით უთქმელი სიხარულის“ მინიჭება უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის, მკაცრი და პირუთვნელი კრიტიკოსისათვის შეეძლო მხოლოდ ჭეშმარიტ ხელოვნებას, ჭეშმარიტ პოეზიას, ივან ფრანკოს „მოსე“ უკრაინული პოეზიის სწორედ რომ ასეთი მარგალიტი იყო.

* * *

ივან ფრანკოს პოეზია მეფის თვითმპყრობელური სისტემის, ადამიანის ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტისა და მშრომელი ხალხის გამარჯვების ურყევი რწმენითაა აღსავსე. მწერალი მატერიალისტური პოზიციიდან მრავალნაირი მხატვრული ფორმის მომარჯვებით ქმნის შესანიშნავ რეალისტურ ნაწარმოებებს ფილოსოფიურ, სასიყვარულო, პოლიტიკურ, ლირიკულ, სატირული პოეზიისა თუ სხვა ჟანრში.

პოეტი მოხერხებულად იყენებს მხატვრულ ხერხებს თავისი ძირითადი ჩანაფიქრის გასახსნელად. მეტაფორები, ეპითეტები, შედარებები, მხატვრული პარალელები და სხვა ხერხები მწერალს მომარჯვებული აქვს პოეტური ხატის სრულყოფილად წარმოსაჩენად.

ფრანკო შესანიშნავად იყენებს ძველ პოეტურ ფორმებს ახალი აზრების, იდეების გამოსახატავად. მაგალითად, ლექსის უძველესი ფორმა, კლასიკური სონეტი, მგოსანმა ახალი რევოლუციური შინაარსის გადმოსაცემად გამოიყენა და მასში რევოლუციური იდეები ჩადო.

ფრანკოს პოეზიაში ორგანულადაა შერწყმული ნაწარმოების პოეტური ფორმა და მისი იდეური შინაარსი.

---

[1] მ. კ ო ც ი უ ბ ი ნ ს კ ი, თხზ. კრებული, ტ. 3, გვ. 121—122.

თემებისა და სიუჟეტების მრავალფეროვნების მიუხედავად, განურჩევლად იმისა, ბიბლიურ სიუჟეტზე ქმნის ავტორი თავის ნაწარმოებს თუ სიყვარულის თემას აღბეჭდავს მხატვრულ ტილოზე, ფრანკო აქტიურად ეხმაურება თანამედროვეობას, მისი თანამედროვე ცხოვრების მტკივნეულ საკითხებს და თავის პოეტურ სიტყვას ხალხის დღევანდელი და ხვალინდელი დღის სამსახურში აყენებს. ამიტომაც ცდილობს მგოსანი წეროს ისე, რომ მისი ნაწარმოები ხალხისათვის ადვილად გასაგები იყოს. ამიტომაც არის მისი სიტყვა, მის მიერ შექმნილი მხატვრული სახე უბრალო და გასაგები.

გენიალური სისადავე და ღრმა იდეურობა მაღალი ხელოვნებითაა შეთანხმებული მის ნაწარმოებში, მაგალითად, პოლიტიკური ლირიკის შესანიშნავ ნიმუშებში: „ჰიმნი“, „ქვისმტეხელნი“, „ამბანაგებს საპყრობილედან“, „სასამართლოში“ და სხვებში. საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ უკრაინულ ლიტერატურაში ივან ფრანკომ პირველად წარმოადგინა პროლეტარიატი, ადამიანის ბედნიერებისათვის, ხვალინდელი ნათელი დღისათვის მებრძოლი.

ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ მან თავის „ქვისმტეხელნში“ თვითმპყრობელობის, კაპიტალიზმის სალი კლდის დამანგრეველ ქვისმტეხელ-რევოლუციონერებს ხელში ურო მისცა და, როგორც კარგად აქვს აღნიშნული პავლო ტიჩინას, იგი, ისე როგორც შევჩენკო, მოუწოდებდა ხალხს ჯალათების, ტირანების წინააღმდეგ საბრძოლველად, და თუ შევჩენკოს პრომეთეიზმს, მისი ეპოქის ხასიათის შესაბამისად, თავისი პროგრამის განსახორციელებლად პოეტისათვის შეეძლო მიეცა ხელთ მხოლოდ გლეხური აჯანყების ცელები და დანები, — ფრანკოს პრომეთეიზმმა უკვე მჭედლის შვილს ხელში მუშის ურო დააკავებინა.

ივან ფრანკო აგრძელებდა და ავითარებდა ტარას შევჩენკოს რევოლუციურ ტრადიციებს. მან ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა უკრაინული პოეზია. მისი პოეზია იყო მოწინავე კლასის, პროლეტარიატის ოცნებების გამომხატველი, მშრომელი გლეხობის ინტერესების დამცველი, დემოკრატიული ინტელიგენციის მიზანსწრაფვის ამსახველი. ფრანკო მგზნებარედ მოუწოდებდა ხალხს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლისაკენ.

განსაკუთრებით ბასრი იყო მისი სიტყვა მშობელი ხალხის გამყიდველების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძო-

ლაში. პოეტი მუდამ მემართებით ილაშქრებდა ლიტერატურაში დეკადენტობის, ე. წ. თეორიის „ხელოვნება—ხელოვნებისათვის“ წინააღმდეგ.

ივან ფრანკო ლექსის დიდი ოსტატი იყო. მისი პოეზია მდიდარი რიტმიკითა და სტროფებით ხასიათდება. იგი თავისი რევოლუციური აზრების გამოსახატავად იყენებს ლექსის კლასიკურ ფორმას — სონეტს, ტერცინეს, სტანს, ტრიოლეს, ოქტავს. პოეტის კრებულებს ამშვენებენ უკრაინული ხალხური სიმღერის ფორმით დაწერილი ლექსები თუ თეთრი ლექსი და სხვა.

ივან ფრანკოს ენა უბრალო, ადვილად გასაგები, მაგრამ ხატოვანი და მჟღერია. მწერალი გამუდმებით მუშაობდა მის დახვეწაზე, სრულყოფაზე. ამის ერთ-ერთი გზა მისთვის დიალექტიზმებისაგან, განსაკუთრებით გალიციური დიალექტიზმებისაგან თავის დაღწევა, არიდებაა. მისი ეტალონი, როგორც ყოველთვის, იყო ტარას შევჩენკოს პოეზია. ამას იგი თვითონ მიუთითებდა კრებულის „მაღლობებიდან და დაბლობებიდან“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში.

„ამ კრებულისათვის ჩემი ძველი ლექსების შერჩევისას, — წერდა იგი, — არ ვთვლიდი მათ ისტორიულ-ლიტერატურულ დოკუმენტებად, რაც ისე უნდა დაბეჭდო, რომ არ შეცვალო „არც მძიმე და არც წერტილი“. ვსარგებლობდი საავტორო უფლებით და, ძირითადი აზრის დაურღვევლად, ვასწორებდი ენას, რომლის განვითარებამაც სალიტერატურო ენის დონემდე უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მაინც მნიშვნელოვნად წაიწია წინ“. მწერალი საგანგებოდ აღნიშნავდა — „ის, რომ ჩემ შედარებით ადრეულ ლექსებში ენა ყოველთვის წმინდა არაა, ისე უნდა გავიგოთ, რომ ჩემში მინიატურაში განმეორდა ის, რასაც დიდი მასშტაბით ვხვდებით მთელ გალიციურ-რუსულ ლიტერატურაში: სკოლამ, გრამატიკებმა და კამათმა ენის შესახებ შელახეს და აამღვრიეს ხალხური ენის სიწმინდე“.

პოეტს კრებულის „მაღლობებიდან და დაბლობებიდან“ მეორე გამოცემაში და შემდგომ თავის სხვა ნაწარმოებებში შეაქვს ცვლილებები, ხვეწს ნაწარმოების პოეტურ ენას, ებრძვის დიალექტიზმებს, ამკვიდრებს სალიტერატურო ენის ნორმებს. ისიცაა ყურად-

საღები, რომ ფრანკო უკრაინულ ენაში ამტკიცებდა იმ საერთო ლექსიკას, რაც ყოველთვის იყო რუსულ და უკრაინულ ენებში.

დიდი კამენიარის პოეზიამ ღრმა კვალი გაავლო უკრაინულ ლიტერატურაში. ლესია უკრაინკას მხატვრულ ქმნილებებთან ერთად მისი ლექსები ტარას შევჩენკოს შემდეგ ოქტომბრის რევოლუციური უკრაინული პოეზიის მწვერვალია. მისმა შემოქმედებამ გავლენა მოახდინა უკრაინული პოეზიის განვითარებაზე საერთოდ და კერძოდ ისეთ დიდ მგოსნებზე, როგორიცაა პავლო ტიჩინა, მაქსიმ რილსკი, მიკოლა ბაჟანი და სხვები.

ფრანკოს პოეზია ოქტომბრის რევოლუციამდელი უკრაინული ლიტერატურის მშვენებაა.

პროზა

ივან ფრანკოს პროზამ მთელი ეპოქა შექმნა უკრაინული ლიტერატურის ისტორიაში. უკრაინული და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების მიღწევების გამოყენებით, მათზე დაყრდნობით ივან ფრანკომ გაამდიდრა უკრაინული პროზა ახალი თემებით, მხატვრული სახეებით, პრობლემატიკით, გაალრმავა ეთიკურ-ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ელემენტებით, აიყვანა იგი იმ დროის რუსული და დასავლეთევროპული ლიტერატურის შედევრების დონემდე.

ივან ფრანკო კარგად იცნობდა და ერკვეოდა რუსული და მსოფლიო ლიტერატურის პროცესებში, იგი იცნობდა ზოლასა თუ დიკენსის, ფლობერისა თუ გონკურების, ჰიუგოსა თუ ბალზაკის შემოქმედებას, უყვარდა და ქედს იხრიდა ივან ტურგენევისა თუ გლებ უსპენსკის, მ. სალტიკოვ-შჩედრინისა თუ ლევ ტოლსტოის მხატვრული ნიჭის წინაშე.

იგი ოცი წლისაც არ იყო, როდესაც თავისი კალამი სცადა მხატვრულ პროზაში.

ივ. ფრანკომ ასზე მეტი პროზაული ნაწარმოები შექმნა, რომლებშიც ფართოდ და შთამბეჭდავად ასახა მშობლიური უკრაინელი ხალხის ცხოვრება. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში დაწერა მან პირველი პროზაული ნაწარმოები „პეტრიები და დოვბუშჩუკები“ (1875—1876). რომელიც სტუდენტთა ჟურნალ „დრუგში“ გამოქვეყნდა. ამ ნაწარმოებში მწერალი ერთგვარად მაინც განიცდიდა პოლონელი და გერმანელი რომანტიკოსების გავლენას და მისი ნაწარმოებიც რომანტიკულ ხასიათს ატარებდა. ივ. ფრანკო ფართოდ იყენებდა ლეგენდებსა და სიმღერებს, რომლებიც ხალხმა შექმნა ოლეჭსა დოვბუშზე და ცდილობდა მკითხველისათვის დაეხატა უკრაინელი ხალხის სხვადასხვა ფენის ცხოვრების სურათები. ნაწარმოებში მოქმედება მიმდინარეობს მეცხრამეტე საუკუნის 50-იან

წლებში, მაგრამ მწერალი გვაცნობს XVIII საუკუნეში ოლექსა დოვბუშისა და მისი „ოპრიშკების“ ბრძოლის ფაქტებსაც. დოვბუშის განძმა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდა ერთიმეორეს დოვბუშის მემკვიდრეები — დოვბუშჩუკები და ასევე ლეგენდარული მეთაურის პეტრიის მემკვიდრეები — პეტრიიები. დოვბუშას განძი — ხალხში დაფარული უდიდესი ძალების, მისი ნიჭიერების უშრეტი ენერგიისა თუ მომავლის უქრობი რწმენის სიმბოლოა. ამ ნაწარმოებში გამოვლინდა მწერლის იდეური მოუმწიფებლობაც. ივ. ფრანკოს იმ დროისათვის ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესების პირობად განათლება მიაჩნდა. მიუხედავად ამისა, უკვე ამ ნაწარმოებში ნათლად გამოიკვეთა ის ნიშან-თვისებები, რომლებიც მომწიფებული ტალანტისათვის იყო დამახასიათებელი.

1909—1912 წლებში ივან ფრანკო კვლავ მიუბრუნდა ამ მოთხრობას და მნიშვნელოვნად გადააკეთა. თუმცა ხელუხლებელი დატოვა მისი იდეურ-თემატიკური საფუძვლები.

რუსული პროგრესული ლიტერატურის, უკრაინული ხალხური შემოქმედებისა და განსაკუთრებით ტარას შევჩენკოსა და მარკო ვოვჩოკის შემოქმედების ზეგავლენით ფრანკო იწყებს ცხოვრების ღრმად შესწავლასა და სიმართლის ასახვას, დგება კრიტიკული რეალიზმის პოზიციებზე.

ფრანკო-პროზაიკოსის ზრდა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. ამაზე მეტყველებს მისი პირველი რეალისტური მოთხრობები — „მემაღაროე“, „ლესიხას ოჯახი“ (1876), „მიკიტიჩის მუხა“ (1877) და სხვები. ამ ნაწარმოებებში მწერალი ცდილობს გალიციის ყოფის ფართო სურათის დახატვას.

უკრაიხელი ხალხის ყოფა-ცხოვრებისადმი მიძღვნილ მოთხრობებში ივან ფრანკო ასახავს მუშების, გლეხების, სოფლის ხელოსნების, ინტელიგენციის, აგრეთვე მოსწავლეების, პატიმრების ცხოვრებას. ფრანკოს შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სატირას. ყურადღებას იპყრობს მისი პამფლეტები, სატირული მოთხრობები და ზღაპრები, რომლებიც მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის, პოლიტიკური ზღაპრების სტილში აქვს შესრულებული.

მ უ შ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა მ ს ა ხ ვ ე ლ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ე ბ ი. ივ. ფრანკო სწერდა მ. პავლიკს: „მწერლის მთავარი ამოცანაა,— ააღელვოს, დააინტერესოს მკითხველი, გაუღვიძოს აზრი“.

ივან ფრანკომ აიტაცა ტარას შევჩენკოს მოწოდება — „ხმა ავიმაღლოთ დაბეჩავებული ხალხის დასაცავად“ როგორც ჰუმანიზმის ანდერძი. თავისი შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე მხატვრული ასახვის ორბიტაში მოაქცია ახალი კლასი, მუშათა კლასი და საუკეთესო ძლიერი ნაწარმოებები შექმნა მათ ყოფა-ცხოვრებაზე. სწორედ ეს იყო ის ახალი, რითაც ივ. ფრანკო შევიდა უკრაინულ ლიტერატურაში.

უკრაინელი ხალხის ყოფის ამსახველი პროზაული ნაწარმოებებიდან შედარებით ყველაზე დასრულებულია ბორისლავური მოთხრობების ციკლი. ამ ციკლში შედის მოთხრობები: „მენავთობე“, „სამუშაოზე“, „მოქცეული ცოდვილი“ (1876), „იაც ზალეპუგა“ (1887), „მწყემსი“ (1899); რომანები: „Boa constrictor“ (1878) და „ბორისლავი იცინის“ (1880—1881). აგრეთვე მოთხრობები „კალატოზი“ (1878), „ღვთის გლახა“ (1881), „ღვეზელი მოცვით“ (1884).

ბორისლავური ციკლი — ეს არის გალიციის მუშების ცხოვრებისა და ბრძოლის ეპოპეა მეცხრამეტე საუკუნის 70—80-იან წლებში.

კრებულის „ბორისლავი“ (1877) შესავალ წერილში ფრანკო გვესაუბრება იმის შესახებ, რომ მრავალი წლის განმავლობაში იგი მოწამე იყო ხალხის საშინელი ექსპლუატაციისა, მუშებისათვის შექმნილი არაადამიანური პირობებით გამოწვეული ტრაგედიებისა. „ბორისლავი, — წერდა იგი, — ნთქავს ყველა მეზობელ სოფელს, ტყეებს, დროს, ადამიანების ჯანმრთელობას“ [1].

ცხოვრებისაგან დაწიხლული, მწარე ბედს დამორჩილებული გლეხის მხატვრული სახე გამოჩნდა ივ. ფრანკოს მოთხრობებში „ლესიხას ოჯახი“. ბოროტი, გულქვა მესაკუთრე ქალი ლესიხა „ცოცხლად ჭამს“, სიცოცხლეს უმწარებს მის გარშემო მყოფ ადამიანებს. საკუთარ ქალიშვილს უკრძალავს თანასოფლელ ყმაწვილთან შეხვედრას. მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ღარიბია, გოგონას კი სწორედ ეს ღატაკი ვაჟი უყვარს და სიცოცხლეს ურჩევნია. ლესიხა მძიმე სამუშაოთი ტვირთავს მას. თავის აწევისა და თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს თავის რძალს, გამუდმებით ჩასჩიჩინებს — ღატაკი ოჯახიდან ხარო და სხვა. ეს ძალა და ტრადიციული ავტორი–

[1] ივ. ფრანკო, თხზ., ტ. 1, გვ. 403.

ტეტი ოჯახის დიასახლისისა, პატრიარქალურ-ტრადიციული ავტორიტეტი მშობლისა ნაწარმოებში ნაჩვენებია როგორც ბოროტი, ავი, არაადამიანური ძალა დასადგურებული გლეხის ოჯახში. ავტორი არ ღალატობს ტრადიციას, არც თხრობის მანერის შერჩევის დროს, ხალხურ-სასიმღერო რემინისცენციების გამოყენებისას, კოლიზიებისა და ხასიათ-განწყობილებების გადმოცემისას და ა. შ.

მაგრამ ყოველივე ეს თანდათანობით იცვლება და უკანა პლანზე იხევს. ივ. ფრანკო სოფლის მშრომელ გლეხობას, რომელიც განწირულია „სოფლის ცხოვრების იდილიზმისათვის“, ამჩნევს ახლის აღქმის ტენდენციას. მაგალითად, მოთხრობაში „ჩემი შეხვედრა ოლექსასთან“ იგრძნობა, რომ სოფელი უკვე სათანადოდაა შემზადებული სოციალისტური იდეების აღსაქმელად. ნაწარმოების გმირი მირონი გლეხ ოლექსა სტოროჟს უხსნის სოციალისტური იდეების არსს. გაუნათლებელი გლეხი თანდათანობით იწყებს შემობრუნებას მისკენ. მირონის სწრაფვა რაღაც ანარეკლს, გამოძახილს პოვებს ოლექსას სულში. მირონი ბედნიერი იყო იმით, რომ არ შეცდა. არ შემცდარა ივან ფრანკოც. ამიტომაც შემდგომ მის შემოქმედებაში სხვა ასპექტშია წარმოდგენილი სახალხო იდეალები. ივ. ფრანკოს პროზაში გაჩრა მონა-მორჩილი გლეხის სახე. ამიერიდან მწერლის მხატვრულ ტილოებზე აღიბეჭდა სხვა გმირი. გლეხი — რა გინდ დაჩაგრულიც არ უნდა ყოფილიყო, რა უძლურიც მოძალადესთან, უსამართლობასთან ბრძოლაში, უმთავრესი დამახასიათებელი მისთვის მაინც გახდა შეგნება იმისა, რომ არსებობს უსამართლობა და პროტესტი უნდა გამოეცხადოს მას.

მთელი შვიდი წლის განმავლობაში ებრძოდნენ გლეხები გაიძვერა პანს, რომელმაც მოტყუებით მიისაკუთრა გლეხების კუთვნილი ტყე და საძოვარი მინდვრები. ამ უსამართლო ბრძოლაში გლეხები მართალია დამარცხდნენ, მაგრამ მიხვდნენ, რომ არ უნდა შეჩერდნენ, უნდა იბრძოლონ ბოლომდე („ტყეები და საძოვრები“, „კალატოზი“).

თავისი მოთხრობებით ავტორი შესაძლებლობას აძლევს მკითხველს მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ასე ცხოვრება ხალხს აღარ შეუძლია. ხალხში მწიფდება ახალი პროტესტის ძალა, გლეხობაში შეაღწია სოციალიზმის იდეებმა.

ივ. ფრანკოს შემოქმედებაში ამ პრინციპებმა თავისი გამოხატულება 70-იანი წლების დასასრულსა და 80-ის დასაწყისში პოვეს. ისინი, მის მსოფლმხედველობაში ჩამოყალიბდა ცხოვრების ღრმა ცოდნის საფუძველზე და აირეკლა გლეხი კაცის მხატვრული სახის შექმნისას, განსაკუთრებით კი მუშათა კლასის ცხოვრების ასახვისას.

1850-იან წლებში ბორისლავში აღმოაჩინეს ნავთობისა და მთის სანთლის მდიდარი საბადოები. დაიწყო „ნავთობის ციებ-ცხელება“, რასაც შედეგად პროლეტარიატის სწრაფი ზრდაც მოჰყვა.

როგორც წყაროებიდან ჩანს, 1881 წლისათვის ბორისლავში უკვე ათი ათასზე მეტი მუშა იყო, 1870-იანი წლებიდან, როდესაც საკმაოდ დაგროვდა მუშა ხალხი ბორისლავში და დაგროვდა აგრეთვე გამოცდილება მძარცველებთან ბრძოლისა, მუშათა გაფიცვებმა და ჯანყმა თანდათან იმატა. შესაბამისად იმატა მთავრობის მიერ მუშების დასასჯელად გამოგზავნილმა პოლიციელებისა და ჯარის რიცხვმაც. ყველაფერი დაუპირისპირდა მუშა-ხალხს; შეებრძოლა სოციალიზმის იდეებს, რევოლუციურ ორგანიზაციებს, მუშათა კლასს. ბურჟუაზიული მთავრობის რეპრესიების მიუხედავად საზოგადოების საუკეთესო ნაწილი მუშათა კლასის, სამართლის მხარეს დადგა. მათ შორის იყო ივან ფრანკოც.

როგორც მკვლევრები მიუთითებენ, სწორედ იმ დროს ჩამოყალიბდა ივან ფრანკოს დიდი შემოქმედებითი ჩანაფიქრი, შეიქმნა სრული სურათი გარემომცველი სინამდვილისა, ან უფრო ზუსტად, როგორც თვითონ მწერალი ამბობდა, „ჩვენი საზოგადოების“ სურათი, „უკრაინელი ხალხის, მისი სხვადასხვა ფენებისა და პროფესიის ადამიანების მხატვრული სახე“, მისი მისწრაფებების, შრომის, ტანჯვა-წვალების, ილუზიებისა და განწყობილებებისა.

ასეთი გრანდიოზული ჩანაფიქრი ჰქონდა ავტორს. ამ ჩანაფიქრში გლეხობას თავისი ადგილი ეკავა. გლეხობა, მისი ყოფა-ცხოვრება, მისი გაღატაკების, პროლეტარიზაციის გარდუვალი პროცესი გახდა მწერლის ყურადღებისა და დაკვირვების ობიექტი. გლეხთა მოძრაობას პროლეტარიატისაკენ, „თავისუფალი მუშა ხალხისკენ“, გააყოლა თვალი მწერალმა.

უკრაინულ ლიტერატურაში მუშათა კლასის თემა პირველმა ივან ფრანკომ დაამუშავა, თუმცა, მანამდეც იყო ცდა მხატვრულ

პროზაში მუშა კაცის გამოყვანისა. ი. ნეჩუი-ლევიცკიმ თავის რომანში „მიკოლა ჯერია“ (1875) გამოიყვანა გმირი, რომელიც ერთ ხანს შაქრის ქარხანაში მუშაობდა. მსგავსი გმირი გამოიყვანა მანვე „ბურლაკაში“ ცოტა უფრო ადრე (1869 წელს). მაგრამ ამ ნაწარმოებებში აისახა არა იმდენად მუშები, ახალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, არამედ ძოჯამაგირე-სეზონის მუშები და ღატაკი გლეხები, რომლებიც თავიანთი გლეხური მეურნეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დროებით სამუშაოს ეძებენ, ან ისეთი მშრომელები, რომლებიც სოფლად მცხოვრებნი თავიანთი ოჯახის მშიერი წევრების გამოკვებას ცდილობენ. მიკოლა ჯერიასათვის, მაგალითად, შაქრის ქარხანა შემთხვევითი ეპიზოდია. ამ მოთხრობაში მრავალი შესანიშნავად დაწერილი ფურცელია, როგორც ივან ფრანკო აღნიშნავდა — შესანიშნავი და მასთან ერთად რეალური სინამდვილიდან აღებული.

ივან ფრანკომ პირველმა უკრაინულ ლიტერატურაში დაინახა და ასახა ბორისლაველი მუშების ცხოვრება, ასახა ბორისლავი, როგორც სოციალური კონფლიქტების სამყარო და, რაც მთავარია, მწერალმა ეს კონფლიქტები გაიაზრა როგორც სოციალისტმა. ივან ფრანკომ შექმნა „ბორისლავური მოთხრობების“ ციკლი, სადაც მხატვრულად დაასაბუთა აურაცხელი სიმდიდრის წყაროს გაჩენით გამოწვეული გალიციის მშრომელი მოსახლეობის ტრაგედია. გალიციაში კაპიტალიზმის განვითარების სწრაფი პროცესი, გლეხური მეურნეობის გაჩანაგება, გლეხობის პროლეტარიზაცია, მუშათა კლასის პირველი თაობის გაჩენა გახდა უკრაინელი მწერლის დაკვირვებისა და მისი მხატვრულად ასახვის ობიექტი.

ივ. ფრანკოს რეალისტურმა მოთხრობებმა ააფორიაქა გალიციის გაბატონებული კლასები, არისტოკრატია. ამჯერად და შემდგომშიც მისი თანამედროვე კრიტიკა საყვედურობდა მწერალს, რომ მან თავისი ნაწარმოებების მთავარ გმირად გაუბედურებული, დაჩაგრული ხალხი შეარჩია, რომ იგი უმთავრესად აშუქებს გალიციის ცხოვრების ბნელ მხარეებს და სნეულებათაგან თავის დახსნის უებარ საშუალებად სახავს — „ყველაზე რადიკალურ წამალს — რევოლუციას“.

ბორისლავის ციკლის მოთხრობებში გადმოცემულია პირველი კაპიტალის დაგროვების სისხლიანი ისტორია, ერთი მხრივ, გუშინ-

დელი გლეხის პროლეტარად გადაქცევის პროცესი, ხოლო მეორე მხრივ — მიწის ახალი ბატონ-პატრონის მეწარმე-კაპიტალისტის გამოჩენა.

გალიციის მოსახლეობის 90 პროცენტი პაუპერიზირებული გლეხობაა, თუმცა გალიცია იმ დროს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შიდა კოლონია იყო. XIX საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალიზმის განვითარება განსაკუთრებით ბორისლავის ნავთობის საბადოს აღმოჩენა-ექსპლუატაციასთან დაკავშირებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, კაპიტალიზმისათვის ამ ახალ სამყაროში — გალიციაში მისთვის დამახასიათებელი იყო წვრილი სამრეწველო საწარმოები. ბორისლავში კი თავმოყრილი იყო სამთო-სამრეწველო საწარმოები და ძირითადი მასა ამ დარგის მუშების, გუშინდელი გლეხები, რომლებმაც მიატოვეს თავიანთი გაჩანაგებული მეურნეობა და შიშველ-ტიტველნი ჩაუვარდნენ ხელთ კაპიტალისტ-ექსპლუატატორებს. სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში ნავთობის ციებ-ცხელების დაწყებიდან ბორისლავში მუშათა რაოდენობა გაიზარდა ათჯერ და მიაღწია 10.000 კაცს. აი ამ სახლკარმიტოვებულ გლეხებს, დღეს კი ცხოვრების ახალი ბატონ-პატრონის, კაპიტალისტის ხახაში ჩავარდნილ მუშა-პროლეტარს მიუძღვნა თავისი პირველი ბორისლავური მოთხრობები ივან ფრანკომ.

ბორისლაველი მუშების შესახებ შექმნილ პირველ მოთხრობებში მწერალი ინტერესდება ხალხის მძიმე ცხოვრების სოციალური მიზეზებით. სწორედ ეს სოციალური მოტივი უდევს საფუძვლად მოთხრობას „მენავთობე“, რომელშიც ნაჩვენებია გუშინდელი გლეხის ივანის მძიმე გზა. ადრინდელი რედაქციით ივანის ფრუზია, რომელსაც მწერალი ბორისლავში შეხვდება, მორალურად და ეკონომიურად განადგურებული უბრუნდება სოფლის მეურნეობას. ამგვარი დასასრული თითქოს იმის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო, რომ სოფელი შეუწყობდა ხელს ივანის მორალურად გამოჯანსაღებას. ბორისლაველი მუშების ცხოვრებაზე დაკვირვებამ, ავტორი დროთა განმავლობაში სხვა დასკვნამდე მიიყვანა. მოთხრობის საბოლოო რედაქციაში ნაწარმოების ხელოვნური დასასრული შეიცვალა, ფრუზიას დაღუპვის შემდეგ იღუპება ივანიც: მოლარე მიისაკუთრებს მის ფულს, ხოლო თვითონ მას ნავთობის ორმოში ჩააგდებს. ფრანკოს

აზრით, ამგვარი დასასრული უფრო შეეფერებოდა სინამდვილეს და ავტორის იდეურ მრწამსსაც.

მოთხრობაში „სამუშაოზე“ ნაჩვენებია გუშინდელი გლეხის კაპიტალისტურ მორევში „ჩათრევის“ პროცესი. გლეხები გრინია და მატიი ჩავიდნენ ბორისლავში საშოვარზე. გრინია ფიქრობს ბორისლავში ფულის შოვნას და შემდეგ სოფელში მიბრუნებას. მას ჯერ კიდევ არ ესმის, ვერ შეუგნია, რომ მისი მძიმე, გაჭირვებული ცხოვრების მიზეზი მემამულე და კაპიტალისტია. ორივე მხოლოდ იმას ფიქრობს, თუ როგორ დაჩაგროს მშრომელი ხალხი. ეს ნაწარმოები მით არის მნიშვნელოვანი, რომ აქ გამოჩნდება მუშა-კაცის გონებაში კლასობრივი თვითშეგნების იმპულსები. ნაწარმოებში მიწისქვეშა სამეფოს მფლობელის სულთამხუთავისა (ხალუხა) და გრინიას შორის ასეთი საუბარი გაიმართება:

„— რამდენი წლის ხარ?

— ოცდაათისა, — ვეუბნები.

— დედ-მამა გყავს?!

— მყავს.

— დიდი შემოსავალი აქვთ?

— არა — ვეუბნები — რა წამომიყვანდა აბ ჯოჯოხეთში, გაჭირვება რომ არ გვადგეს? თორემ, ხომ იცით, ადამიანს სიცოცხლე სწყურიან, როგორიც არ უნდა იყოს მისი ცხოვრება, თუნდაც ღარიბული.

— და ძალიან გენანება სიცოცხლე?

— როგორ არ მენანება? — ვეუბნები — უბედურებაში აღვიზარდე, უბედობით მოველ აქ. ასე ვფიქრობდი, ვიმუშავებ, ერთ ორ კაპიკს ვიშოვი, შეიძლება ღვთის წყალობით როგორმე გაჭირვებას თავი დავაღწიოთ-მეთქი...

— აბა, — მეუბნება იგი ცოტა ხნის შემდეგ. — გათავებულია. შენ ჩემ ხელთა ხარ, წამოდი, ჩემს სამეფოს გაჩვენებ“ [1].

სულთამხუთავს ძიჰყავს გრინია ბნელ, საზარელ უფსკრულში. უფსკრული მოფენილია ნავთის მომპოვებელი მუშების დასახიჩრებული სხეულებით. ერთ მათგანს „მარჯვენა ხელი და ფეხი მთლად

---

1. ფ რ ა ნ კ ო, მოთხრობები, თბილისი, 1962, გვ. 61.

გაჭყლეტილი აქვს, გასისხლიანებული ძვლები ხორცში ამოსჩრია. იგი კოჭლობს და გაჰკივის: „ღამიბრუნე ჩემი ჯანმრთელობა, დაწყეველილო პან! წაიღე ეს წყეული ხელფასი. წაიღე ჩემი სისხლით ნაშოვნი ფული“! სულთამხუთავს უფსკრულის სიღრმეში მიჰყავს გრინია და მას ყოველი მხრიდან ესმის გულის განმგმირავი ხმით კივილი, მოთქმით ტირილი და ყვირილი ათასობით დასახიჩრებული და დაღუპული ადამიანისა: „რამოდენა ხალხი ყოფილა ამ უფსკრულში!— ფიქრობს გრინია, — რამდენი ახალგაზრდა ბიჭი, რამდენი გოგო, რამდენი დედაკაცი და ბალღი იყო აქ, ღვთისმშობელო!... აქ სენისა და შიმშილისაგან არაქათგამოლეული სახე, იქ — გასიებული სხეული. თითქო წყალში დამხრჩვალი ყოფილიყოს... ზოგი ისე საზარლად არის გაშავებული, თითქოს მუგუზალი იყოს“ [1].

თანდათანობით გრინია გონს მოდის. სოფლელი გლეხი იწყებს შექმნილი ვითარების შეფასებას, მასში ისახება კლასობრივი შეგნებულობა. „ისინი (პანები— ო. ბ.) ამჯობინებენ, — უმტკიცებს სულთამხუთავი გრინიას, — რომ თქვენ სიღარიბეში ღოღიალებდეთ, რადგანაც მაშინ მუშახელის ნაკლებობა არ იქნება. ამით კიდევ მათ სხვა გამორჩენა აქვთ: რაც უფრო მეტია მუშახელი, მით უფრო ნაკლებს იძლევიან. ხალხი რომ ბლომად გროვდება, — ისინი ხელფასს ამცირებენ... მთავარი იქ ის არის, რომ ყველანი ერთმანეთსშორის შეთქმულნი არიან“ [2].

სულთამხუთავის სიმბოლური სახის მეშვეობით მწერალი ცდილობს ნათლად წარმოაჩინოს მუშების მტაცებლური ექსპლუატაცია გალიციაში კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პერიოდში.

მოთხრობის „მოქცეული ცოდვილი“ მთავარი გმირი ვასილი პიეტორაკი დიდხანს უწევს წინააღმდეგობას კაპიტალისტებს, ვერ იმეტებს თავის მიწას მათთვის მისასყიდად და თვითონ იწყებს ნავთობის მოსაპოვებლად ორმოების თხრას; ამ ორმოებში დაიღუპება მისი ორი ვაჟი. გაიძვერა მოძალადე კვლავ ცდილობს გამწარებული გლეხის მიწის ხელში ჩაგდებას და მიზანსაც აღწევს. ვასილი პიეტორაკს უბედურება წელში გასტეხს, იგი გალოთდება. მწერალმა სწორად შენიშნა პიეტორაკის ტრაგედიის სოციალური საფუძველი. მას.

---

[1] ი. ფ რ ა ნ კ ო. მოთხრობები, თბილისი, 1962, გვ. 63.

[2] იქვე, გვ. 66.

მოთხრობაში გამოჰყავს მღვდელი, რომელიც მეწარმეებთან ერთად მოქმედებს. ვასილი პივტორაკი ვეღარ უძლებს ცხოვრებასთან ბრძოლას და ცხოვრებისაგან გათელილი ეკლესიის კარებთან კვდება. მღვდელი კი მთელი ხალხის წინაშე მას თვალთმაქცურად ეწოდებს „მოქცეულ ცოდვილს“.

ბორისლავის ციკლის ბოლო მოთხრობაა „მწყემსი“. მასში მწერალი მოგვითხრობს კაპიტალიზმის, როგორც ფეოდალიზმთან შედარებით პროგრესული საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარების აუცილებლობაზე. მიწისქვეშა მძიმე სამუშაოების ჩვენებით და მწყემსის მიერ მთაში ლაღი ცხოვრების, მწვანე ველ-მინდვრების მოგონებების შეპირისპირების შემდეგ ავტორი ასკვნის: ღრმა მიწისქვეშა შტოლნებში მუშაობის სიმძიმემ დაარწმუნა იგი, რომ ეს შორეული დღეები აღარ დაბრუნდება, რომ გზამ იცვალა მხარი, რომ ის ძველი, პატრიარქალური ცხოვრებიდან გადავიდა ახალ, მისი პაპების და პაპისპაპებისათვის უცნობ, საშინელ და უცხო გზაზე, მაგრამ უფრო ფართო და განიერზე, ვიდრე ძველი იყო.

ბორისლავურ მოთხრობებში მწერალს უპირველესად აინტერესებს მშრომელების მძიმე ცხოვრების გამომწვევი სოციალური მიზეზები. კრებულის შესავალში ავტორი წერდა, რომ „...ჰეშმარიტად, გალიციაში არც ერთი ადგილი არ წარმოადგენს უკეთეს ასპარეზს სტუდიისათვის. არა იმდენად პოეტურს, არამედ სოციალურს“.

აი, სწორედ ეს აზრი, — „იმედი ნუ გექნება, რომ „ღვთით უკეთ იქნები“ — არის ახალი სიტყვა უკრაინულ პროზაში. ივან ფრანკოს მკითხველი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ადამიანებმა თვითონ იფიქრონ თავიანთ თავზე, გაანძრიონ ხელი, ეძიონ კაპიტალისტურ სინამდვილესთან ბრძოლის გზების საშუალებები. ეწრგნურმა, გაუნათლებელმა, დაჩაგრულ-დაბეჩავებულმა ნაეთობის მწარმოს მუშებმა გუშინდელმა გლეხებმა ჯერ თვითონ არ იციან, არ ესმით, რომ სწორედ ისინი იქნებიან კაპიტალისტური სულთამხუთავების მესაფლავენი, სწორედ მათი სახით იბადება ის მრისხანე და დაუძლეველი ძალა, რომელიც ბოლოს მოუღებს ადამიანების ამ ექსპლუატატორების ბატონობას დედამიწაზე. ისინი ჯერ დინჯად, მაგრამ შემდეგ ბეჯითად დაიწყებენ ამ „სამი საშუალების“ ძიებას, ძებნას. ამის თაობაზე ივან ფრანკო მოგვითხრობს თავის დიდტანიან

მოთხრობებში „Boa constrictor“ („მახრჩობელა გველი“) და რომანში „ბორისლავი იცინის“.

რომანი „მახრჩობელა გველი“ ივან ფრანკომ გამოაქვეყნა 1878 წელს ჟურნალ „ზორიაში“. ამ ნაწარმოებში რეალისტურად აისახა კაპიტალისტური ექსპლუატაციის სურათი, გამოჩნდა კაპიტალისტ-მტაცებლის ტიპური სახე.

ნაწარმოებში უმნიშვნელოვანესი მოვლენები არსებითად ერთი დღე-ღამის განმავლობაში ვითარდება, შინაარსი კი გაცილებით უფრო ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს.

ნაწარმოების ცენტრში დგას გერმან გოლდკრემერი, ბურჟუა, „ნუვორიშის“ ახალი ტიპი. გერმანი წარმოშობით ღარიბი ოჯახიდანაა. ფულისადმი, სიმდიდრისადმი სწრაფვამ მასში ყველაფერი ჩაკლა. იგი კაპიკს კაპიკზე აწებებდა და ნელ-ნელა შექმნა კაპიტალი. ბოროტებისა და ვერაგობის წყალობით, მოტყუებითა და მუშების ექსპლუატაციით გერმანი ბორისლავში უმდიდრესი კაპიტალისტი ხდება. მკითხველი მას ეცნობა იმ მომენტში, როდესაც თავისი მდგომარეობით უკმაყოფილო გერმანი ფიქრებშია ჩაფლული. მისი მეუღლე რივკა ასევე „დაბალი“ წრიდანაა გამოსული. მანაც ფულით გაგიჟებულმა თანდათანობით დაკარგა ადამიანური სახე; „ფიზიკურმა და სულიერმა სიზარმაცემ დაბადეს მასში სიჯიუტე, იდიოტებისათვის რომ არის დამახასიათებელი, რომლებსაც ეზარებათ ფიქრი“.

მორალური გადაგვარება განსაკუთრებით ემჩნევა გოლდკრემერის შვილს — გოტლიბს. დედამ „თავის შვილსაც გადასცა ეს იდიოტური სიზარმაცე და გონებაჩლუნგობა, ოღონდ გოტლიბს დაემატა აგრეთვე მამისეულიც, რაც გამოიხატებოდა სიშმაგეში და ნგრევის, ყოველგვარი აზრისა და მიზნის გარეშე განადგურების გაუმაძღარ ჟინში“.

გოლდკრემერის ზღაპრული გამდიდრების ისტორიასთან ერთად რომანში დახატულია მშრომელი ადამიანების, მუშების აუტანელი ცხოვრების სურათები. ამასთან ავტორი საგანგებოდ მიუთითებს მუშა ხალხის მორალურ სისპეტაკეზე, კეთილშობილურ გრძნობებზე. მაგალითად, მუშები გოტლიბს ახასიათებენ როგორც უაზროდ მფლანგველ, ბოროტ და ღვარძლიან კაცს, რომელიც ფულებს აქეთიქით ფანტავს—„სადაც რას დაინახავს, უმალ იქით გარბის, იყიდის, გატეხს, გააფუჭებს და ისევ გარბის, ისევ ყიდულობს“. ამაზე მეორე

მუშა გულისტკივილით შენიშნავს: „ე, აბა რა! კარგია სიგიჟე, როცა გაქვს საამისოდ საქმე. ადამიანების ნაშრომს ფანტავ!!“. გოტლიბში მუშები სისხლისმსმელს ხედავენ. „იცით, — ჩაერთო საუბარში საქაჩავთან მდგარი მუშა, — მე რომ მას ვუყურებ, სულ იმას ვფიქრობ, რომ იგი თავისი სიკვდილით არ მოკვდება. მიფანტ-მოფანტავს მამისეულ ფულებსა და ხელს მიჰყოფს ადამიანების ხოცვას“.

ნაწარმოებში შექმნილია მოხუცი მატიის სახე. იგი მთელი სისასტიკით განიცდის კაპიტალისტური სინამდვილის საშინელებას.

გერმან გოლდკრემერის ფიქრები და განცდები ძლიერდება ინტერიერის ერთი დეტალით — სურათით, სადაც გამოსახულია მახრჩობელა გველი. რომელიც ქურციკს სანსლავს.

მთვრალი გერმანი სიზმარში ხედავს, თვალებჩასისხლიანებული მახრჩობელა გველი როგორ დაეცემა მას და ახრჩობს. იგი თავზარდაცემული გაიღვიძებს და შეძრწუნებული ხედავს საკუთარ შვილს გოტლიბს, რომელსაც მისთვის სიცოცხლის მოსპობა უნდოდა.

კაცი, რომელიც ფულის, კაპიტალის მოპოვებისათვის არაფრის წინაშე არ დაიხევს, რომელიც ყოველგვარ სისაძაგლეს ჩაიდენს მისი მოხვეჭისათვის, ბორისლავური ცხოვრების ტიპური შვილია. ნაწარმოების სათაურიდან გამომდინარე — მახრჩობელა გველი — ეს არის სწორედ კონკრეტულად გოლდკრემერი, რომელიც აურაცხელი ადამიანის მსხვერპლის შეწირვით გახდა მილიონერი, რომელიც თავის მარწუხებში ახრჩობს ყოველივე ცოცხალს, გუდავს ადამიანურობას და არა მხოლოდ მუშებს, არამედ მათ ბატონებსაც უღებს ბოლოს.

„მახრჩობელა გველი“ სოციალურ-ფსიქოლოგიური რომანია. მასში ჭარბობს ფსიქოლოგიური ჩანახატები, შინაგანი მეტყველება.

ნაწარმოებები ავტორმა, ეტყობა, არ ჩათვალა საბოლოოდ დასრულებულად და უფრო მოგვიანებით ჯერ 1884 წელს, შემდეგ კი 1907 წელს კვლავ მიუბრუნდა მას. ეს მოხდა რომანის „ბორისლავი იცინის“ და ისტორიული ნაწარმოების „ზახარ ბერკუტის“ დაწერის შემდეგ. ივ. ფრანკომ რომანში ცალკე წიგნად გამოცემის დროს ცვლილებები შეიტანა. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, არსებითად ახალი რედაქცია მოგვცა. პირველი რედაქცია მთავრდება იმით, რომ გერმან გოლდკრემერი მას შემდეგ რაც მისი შვილი შეეცადა მის დახრჩობას, იწყებს იმაზე ფიქრს, რომ თვითონ იგი გახდა კაპი-

ტალანტური მახრჩობელას მსხვერპლი, მან ჩაკლა მასში ყოველივე ადამიანური. დაანგრია მისი ოჯახი (ფსიქიკურად ავადმყოფი ცოლი, გონებაჩლუნგი შვილი). წამიერი სისუსტისას გოლდკრემერი შეიცოდებს მუშა ივან პივტორაკის ქვრივს, ფანჯრიდან გადაუგდებს ხურდა ფულს. ამით ცდილობს თავისი ბინძური სინდისის დამშვიდებას. გოლდკრემერი გადაწყვეტს გახდეს სხვა კაცი, თუმცა მან ჯერ კიდევ არ იცის — როგორი, მაგრამ ისეთი „როგორსაც სინდიცი უკარნახებს". ფრანკო ნაწარმოების ახალ რედაქციაში დასასრულს ხაზგასმით გვატყობინებს, რომ „გერმანი კეთილ ადამიანად არ გარდაიქმნა", თვით ტექსტი რამდენადმე განტვირთა ნატურალისტური აღწერებისაგან, სურათებისაგან. პირველ ვარიანტში იყო ასეთი იდეურ-მორალური ასპექტი; ადამიანების უბედურება უკვალოდ არ ქრება, უსათუოდ თავს დაატყდება ბოროტმოქმედს (ამ შემთხვევაში თავს დაატყდა გერმან გოლდკრემერის შვილს — გოტლიბს). ეს მოტივი ივ. ფრანკომ გამოთიშა ახალ გამოცემაში.

ახალ რედაქციაში უფრო მკვეთრია სოციალურ-კლასობრივი კონტრასტები. გერმანის „აღზევების" გზა უფრო გამოკვეთილადაა ნაჩვენები როგორც ბოროტების მოტყუებისა და დანაშაულის გზა. ახალ რედაქციაში გერმანი იღუპება თავისივე სიხარბის და სიძუნწის, გამდიდრებისაკენ სწრაფვის გამო. აქ რამდენადმე სხვა ინტერპრეტაციას იღებს გერმანის შვილის მხატვრული სახეც. მას ავტორი სხვა სახელს არქმევს (დუვიდკო გოლდკრენერი).

ნაწარმოების რეალიზმის ძალა მდგომარეობს კაპიტალისტური სინამდვილის ულმობელ მხილებაში, მუშების და კაპიტალისტების, ამ კლასობრივად ორი მოწინააღმდეგე ძალის მხატვრულ ტიპიზაციაში.

ივან ფრანკო უფრო ღრმად ჩაწვდება ეპოქის ძირითად კონფლიქტს — ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ბრძოლას — თავის რომანში „ბორისლავი იცინის", — რომელიც მან გამოაქვეყნა ჟურნალ „სვიტში" (1880—1881). ჟურნალი მალე დაიხურა და რომანი დაუმთავრებელი დარჩა. ნაწარმოებში ნაჩვენებია პროლეტარიატის სტიქიური ბრძოლის პირველი ნაბიჯები.

კაპიტალისტებთან მუშების ბრძოლის შესახებ ნაწარმოების დაწერის იდეის გაჩენა, მისი ჩანაფიქრი, ფიქრობენ, რამდენადმე იმასთანაც იყო დაკავშირებული, რომ მწერალი იცნობდა მარქსისტულ

ლიტერატურას. რომანი იბეჭდებოდა ჟურნალში მის სტატიებთან — „აზრები კაცობრიობის ისტორიაში ევოლუციის შესახებ“ და „დავბრუნდეთ თუ არა უკან ჩვენ ხალხისაკენ“ — ერთად, რომლებშიც ფრანკო ეყრდნობოდა მარქსისა და ენგელსის სამეცნიერო-თეორიულ ნაშრომებს. რომანის შექმნამდე ბ. ბურალმა გამოსცა თარგმანები „ანტი-დიურინგიდან“. სტატიაში „რა არის პროგრესი“ იყენებს „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ გამოცემულ განმარტებებს და სხვ.

იმ დროისათვის, როდესაც ივ. ფრანკო შეუდგა რომანის წერას, მას უკვე გავლილი ჰქონდა ცხოვრების ნარეკლიანი დიდი გზა. მან უკვე მოასწრო ორჯერ ყოფნა პატიმრობაში, მუშაობდა ლვოვის მუშათა გაზეთში, გატაცებული იყო და ეცნობოდა მეცნიერული სოციალიზმის თეორიას, დაუკავშირდა მუშათა მოძრაობას და სოციალისტური იდეების პროპაგანდასაც ეწეოდა მშრომელებში. ყოველივე ამასთან არაა გამორიცხული, როგორც მკვლევრები ფიქრობენ, რომ იგი იცნობდა ფრიდრიხ ენგელსის ნაშრომს „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“.

ფრიდრიხ ენგელსი თავის ამ ნაშრომში მუშათა მოძრაობის განვითარების ადრეულ ეტაპზე გაფიცვებს პირველ შეჯახებებს უწოდებდა. რომლებიც მხოლოდ ხანდახან გადაიზრდებოდნენ სერიოზულ ბრძოლაში. მაგრამ, მისი აზრით, ისინი იმაზე მეტყველებენ, რომ გადამწყვეტი ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ახლოვდება, გაფიცვები მუშებისათვის სკოლაა. რომელიც მუშებს ამზადებს დიდი და საბოლოო ბრძოლისათვის.

ივან ფრანკო გადმოგვცემს მარქსის აზრს არსებული კაპიტალისტური წყობილების შეცვლის თაობაზე და წერს: „მაგრამ თუ იმ მასებში (მუშებში — ო. ბ.) დაიბადა შეურაცხყოფის გრძნობის, კლასობრივი ერთობისა და თავისი ძალის შეგნება, მაშინ დადგება კაპიტალისტების უკანასკნელი საათი“.

რომანი „ბორისლავი იცინის“ სწორედ ამ კლასობრივი ერთობისა და მუშათა კლასობრივი შეგნების ჩასახვას, გალიციაში პირველ ორგანიზებულ გაფიცვას ეხება. ივ. ფრანკომ თავის „ნარკვევები უკრაინულ-რუსული ლიტერატურის ისტორიაში“ თქვა: „ეს იყო ცდა, მეჩვენებინა ბორისლაველი მენავთობეების დამოუკიდებელი

მუშათა გაფიცვა, რომელიც 1873 წლის შემოდგომაზე ბორისლავის უზარმაზარი ხანძრით დამთავრდა“ [1].

მწერალი თავის აზრს კიდევ უფრო აკონკრეტებს ოლგა რომკევიჩისადმი გაგზავნილ ბარათში: „ეს იქნება რომანი („ბორისლავი იცინის“ — ო. ბ.) რამდენადმე უფრო ფართო ჩემს წინა მოთხრობებთან შედარებით და მასში, ბორისლაველი მუშების ცხოვრების გვერდით, წარმოდგენილი იქნებიან „ახალი ადამიანები“ თავიანთ მუშაობაში. — მაშასადამე, წარმოდგენილი იქნება არა ფაქტი, არამედ, ასე ვთქვათ, წარმოდგენილი იქნება განვითარებაში ის, რაც ახლა არსებობს ჩანასახის სახით“ [2].

როგორც ვხედავთ, ივან ფრანკოს სურდა ეჩვენებინა ის მოვლენა, ტიპური იმ დროისათვის — ჩასახვა და განვითარება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა, რაც შემდგომში წამყვანი გახდებოდა მუშათა მოძრაობისათვის.

რომანის ცხოვრებისეული მასალა მწერლისათვის იყო 1873 წელს ბორისლაველი მუშების გაფიცვა და ამდენად მას არ შეეძლო ეჩვენებინა პირველი რევოლუციონერი მოღვაწეები (თვითონაც რომ ეკუთვნოდა), რომლებიც მხოლოდ 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დამდეგს ეზიარნენ მარქსიზმს, ეწეოდნენ მარქსისა და ენგელსის იდეების პროპაგანდას, ავრცელებდნენ სოციალისტური შინაარსის ბროშურებს, შეჰქონდათ მუშათა სტიქიურ მოძრაობაში სოციალისტური იდეოლოგია.

რომანში „ახალი ადამიანების“ სახით გამოყვანილი არიან ბენედიო სინიცა და ბორისლაველი ძმადნაფიცები. რომანის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა ბენედიო სინიცა, მუშის ოჯახიდან. იგი კალატოზია. მამამისი მშენებელთა ამქარს ეკუთვნოდა, ბენედიოს ესმის, რომ შექმნილ ახალ ვითარებაში ამგვარ გაერთიანებებს აღარ შეუძლიათ მუშების სასარგებლოდ რადიკალურად საკითხის გადაწყვეტა. მას მიაჩნია, რომ „ამქართა ორგანიზაცია დრაგომიჩელ კალატოზებს შორის სულს ღაფავდა“, რომ მათი ტრადიციები მოძველდა, და ცხოვრება მუშათა გაერთიანების ახალ ფორმებს მოითხოვდა.

---

[1] ივ. ფრანკო, ნარკვევები უკრაინული ლიტერატურის ისტორიის, ლვოვი, 1910, გვ. 34.

[2] იქვე, გვ. 392.

მწერალმა შენიშნა, რომ „ამ ძველი და გახრწნილი კავშირის გარდა ბენედიოს დროს დრაგომიჩელ კალატოზებს შორის იწყებდა ჩასახვას ახალი კავშირი, თუმცა ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველი და არამყარი". მუშების შეგნებაში ახალი ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ივ. ფრანკო მიუთითებდა, რომ ბორისლაველმა მუშებმა „არაფერი იცოდნენ სხვა ქვეყნებში მუშათა სოლიდარობისა და ორგანიზებულობის უზარმაზარ ზრდაზე, არ იცოდნენ თუ როგორ ერთიანდებიან და ორგანიზდებიან მუშები ბურჟუაზიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ დიადი ბრძოლისათვის". ასე მართებულად მიუთითებს გალიციის მუშათა მოძრაობის სუსტ მხარეზე მწერალი და ასევე მართებულად ასახავს იგი მოძრაობის ამ მხარეს თავის რომანში.

ბენედიო სინიცამ შეიგნო მეწარმეებთან, ექსპლუატატორებთან ორგანიზებული ბრძოლის აუცილებლობა. იგი სათავეში უდგება მუშებს და ხდება პირველი მუშათა გაფიცვის ორგანიზატორი, ხელმძღვანელი. ბენედიო, როგორც პროფესიული მუშა, პირველი მუშათა გაფიცვის ორგანიზატორი სრულიად ახალი გმირი იყო არა მხოლოდ უკრაინულ, არამედ მთელ მსოფლიო ლიტერატურაში. თვით ფრანკოს მიმართ რომ ვთქვათ, იგი ბენედიოს სახის შექმნამდე თავის ნაწარმოებებში გვაცნობდა გალიციელ მუშებს. გვიხატავდა მათი ცხოვრების სურათებს. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს მუშები ან გუშინდელი გლეხები იყვნენ, რომლებსაც კავშირი სოფელთან არ ჰქონდათ გაწყვეტილი, ან მუშები, რომლებსაც თვალი სოფლისაკენ ეპირათ და გაჭირვების ჟამს კვლავ მას მიაშურებდნენ. და მეორეც, ამ მუშების კლასობრივ შეგნებაში ექსპლუატატორების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებული ფორმები, გაფიცვები ჯერ კიდევ არ იყო დასადგურებული.

ბენედიო სინიცა მუშის პირველი სახეა ივ. ფრანკოს შემოქმედებაში. ბენედიო ჯერ კიდევ არ იცნობს პროლეტარული მოძრაობის თეორიას, პოლიტიკურად გაუნათლებელია, მაგრამ იგი თანდათანობით ბორისლავის, ამ ახალი სამრეწველო ცენტრის ცხოვრებით დაინტერესდება და მალე ხვალინდელი დღისათვის ბრძოლას დაიწყებს, აყალიბებს მუშათა ორგანიზაციას. მას, მართალია, ბორისლავში უკვე დახვდა მუშათა ასეთი გაერთიანება, მაგრამ ეს გაერთიანება „ძმობა", „ძმადნაფიცობა" იმდენად პრიმიტიული იყო, რომ მუშა-

კაცისათვის მას არავითარი სარგებლობის მოტანა აღარ შეეძლო. სინიცას ამ გაერთიანების ძირითად ნაკლად ძისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „კარჩაკეტილობა", შეზღუდულობა მიაჩნია. იგი ჩაიფიქრებს და განახორციელებს კიდევაც იდეას მუშათა ფართო მასობრივი ორგანიზაციის შექმნისა, რომელიც გაერთიანებული იქნება მუშათა სალაროს ირგვლივ. ადამიანური უფლებების ფეხქვეშ გათელვა, მუშების აბუჩად აგდება, ეკონომიური სიდუხჭირე, მუშების ძარცვა და არაადამიანური ექსპლუატაცია ბენედიოში ბადებს მეწარმეების, კაპიტალისტების წინააღმდეგ ორგანიზებული ბრძოლის აზრს. იგი თანამოაზრეების დახმარებით რაზმავს მუშებს პირველი გაფიცვისათვის.

ბენედიო სინიცა ხშირად ივან ფრანკოს ფიქრებისა და იდეების გამომხატველია. რომელიც მწერალმა სოციალისტურ გაზეთში „Praca" გამოთქვა. „ვფიქრობ, შენიშნავს ბენედიო, — მხოლოდ ჩვენ თვითონ შეგვიძლია დავეხმაროთ ჩვენ თავს, სხვა ჩვენ არავინ გვიშველის". „Praca"-ს ერთ უმთავრეს ამოცანად ჰქონდა დასახული მუშათა და კაპიტალისტთა ინტერესების კლასობრივი წინააღმდეგობების ჩვენება-პროპაგანდა. ამ იდეას ატარებს სინიცა, როცა ფიქრობს, რომ „ნელ-ნელა, მაგრამ შეუპოვრად ყოველი საუბრისას მუშებს დაანახოს თავისი ღარიბული, დუხჭირი მდგომარეობა და ამასთან უჩვენოს მას შორეულ მომავალში მისი გამოსწორების შესაძლებლობა".

ბენედიოს შეხედულებებში ჯერ კიდევ ვხვდებით პრიმიტიულ, მცდარ აზრებს, მაგრამ ეს ხომ ნიშანდობლივი იყო ადამიანებისათვის მეშათა მოძრაობის დაწყებით ეტაპზე. ამვვარი შეცდომების ძიზეზი კი ის იყო, რომ არ არსებობდა პარტია, ეგრძნობოდა თეორიის უკმარისობა. შეცდომები იყო, მაგრამ ამ შეცდომებზე სწავლობდა პროლეტარიატი ბრძოლასა და ცხოვრებას.

ივან ფრანკო მუშათა ორგანიზებული ბრძოლის მომხრეა. ეს მან გვიჩვენა ბენედიო სინიცას მაგალითზე. მასთან ერთად ავტორმა სხვა მუშებიც გამოიყვანა, რომლებიც ბენედიო სინიცას ბრძოლის მეთოდის მომხრენი არიან. ესენია ძველი მუშები მატიი და სტასიურა.

ამ ბრძოლაში მუშათა მასა ერთგვაროვანი როდი იყო. შთამომავლობით მუშა-კალატოზის გვერდით ავტორი გვიხატავს ბრებს ანდრუს და სენ ბასარაბებს. მწერალმა ისინი მუშათა სტიქიური პრო-

ტესტის გამომხატველებად წარმოგვიდგინა. ძმებში კლასობრივი შურისძიების გრძნობა ღრმად არის გამჯდარი. ისინი ანგარიშს უსწორებენ ცალკეულ მეწარმეებს, მათ ლაქეცა მსახურებს. მართალია, ავტორი თვითონ არაა მომხრე ასგვარი საქციელისა, მაგრამ სიმართლეს არ ღალატობს და ასახავს იმ მოვლენებს, რაც მან შენიშნა ბორისლაველ მუშათა ცხოვრებაში. ამიტომაც ქმნის იგი, ასახავს მუშათა ასეთ ტიპებს და იმავე დროს ასაბუთებს, რომ უსამართლობასთან ამგვარი ფორმა მიუღებელია, გაუმართლებელია.

შემთხვევითი როდია, რომ კაპიტალისტების წინააღმდეგ მუშათა ორგანიზებულ ბრძოლას მხარს უჭერდნენ სწორედ მუშათა ოჯახებიდან გამოსული ადამიანები — მატი და სტასიურა და არა ძმები ბასარაბები, რომლებიც წარმოშობით გლეხები იყვნენ და რომლებიც ბრძოლის სხვა ფორმით — შურისძიებით კმაყოფილდებოდნენ.

რომანში ფართოდ და რეალისტურად არის წარმოსახული მუშათა ცხოვრება, მათი ყოფა, შრომის მძიმე პირობები. მწერალი გვაცნობს მშრომელი მუშების ბედს კაპიტალისტურ გარემოში. ივან ფრანკო ღრმა სიმპათიებითაა გამსჭვალული ბორისლაველი მუშებისადმი და შთამბეჭდავად წარმოგვისახავს უბრალო მუშებს, „ნაკუთით გაზუზული შავი ქურთუკებით“ შემოსილ ადამიანებსა და გვიხატავს მათ ახალი ცხოვრების პირველ მშენებლებად. ფრანკო რეალისტურად ასახავს ბორისლავის სამყაროს და მუშათა მასებში დაწყებულ მოძრაობას. მწერალი გვეუბნება, რომ მუშებში დაიწყო მოძრაობა, მუშები ეძებენ გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან.

ივან ფრანკოს დიდი დამსახურებაა მუშათა ახალი ტიპების ასახვა. ბენედიო სინიცასაგან განსხვავებით ზოგიერთი მათგანი ხანდახან მაინც გაიხსენებს ხოლმე თავის გუშინდელ გლეხურ ცხოვრებას, მაგრამ ისინიც კი უკვე აღარ ოცნებობენ სოფელში მიბრუნებაზე. სოფლად მეურნეობის გამართვაზე, როგორც აკეთებდნენ ამას ბორისლავური ციკლის სხვა ნაწარმოებების ზოგიერთი გმირები. ახალი ურთიერთობის გმირებმა, ახალმა ადამიანებმა — მუშებმა თანდათანობით შეიგნეს, რომ დადგა ახალი დრო, შეიქმნა ახალი პირობები, ახალი ვითარება და საჭიროა ბრძოლის ახალი ფორმები; ამიტომაც იწყებენ ისინი პირველ ორგანიზებულ, ეკონომიკურ გაფიცვებს. „მუშებმა, — წერდა ივ. ფრანკო, — არ იცოდნენ თავიანთი ძალა, არ

სწამდათ მისი“. ეს ძალა და რწმენა მათ შეიძინეს, მოიპოვეს გაფიცვების, ორგანიზებული გამოსვლის შემდეგ.

„ქარიშხალი ემუქრებოდა ბორისლავს, არა ციდან დედამიწას, არამედ დედამიწიდან ცას.

გაშლილ მინდორში, ბორისლაველთა საძოვრებში გროვდებოდა მკაცრი ღრუბლები. ეს რიპნიკები იკრიბებოდნენ თავიანთ დიად მუშათა თათბირზე“.

ასე აგვიწერს ივ. ფრანკო პირველი გაფიცვებისათვის სამზადისს.

„ყველა შეეპყრია დღემდე გაუგონარს, ახალ მოვლენას, ყველა აღუვსია იმედებს და რაღაც იდუმალ შიშს, ყველა გაერთიანებულა სიძულვილითა და მძვინვარებით თავიანთ მჩაგვრელთადმი“.

ეს იყო მრისხანე ბრძოლის დასაწყისი, კაპიტალიზმთან პროლეტარიატის შერკინების პირველი ნაბიჯები. რა თქმა უნდა, ბრძოლის პირველ ეტაპზე ჯერ კიდევ იყო სტიქიური პროტესტის ელემენტები, კლასობრივი შურისგების გრძნობა (ძმები ბასარაბები), იყო დიდი ბრძოლების არსზე პრიმიტიული შეხედულებები (ბენედიო სინიცა), იყო აგრეთვე დაბნეულობისა და უიმედობის, ურწმუნობის ელემენტებიც (პრიიდევოლია), მაგრამ უმთავრესი და უპირველესი მუშათა მოძრაობის ამ დასაწყისისათვის იყო მუშათა ორგანიზებულობა და სოლიდარობა. ამ პირველმა გამოსვლებმა დაუდვეს საფუძველი იმ დიად ბრძოლებს, რომლებიც დაიწყო და გამარჯვებამდე მიიყვანა პროლეტარიატმა სოციალისტური თეორიით შეიარაღებული პარტიის მეთაურობით. მოძრაობის ისტორიული გარდუვალობა სრულიად კანონზომიერია — ასეთი დასკვნა გამომდინარეობს ივ. ფრანკოს რომანიდან.

გამოსვლებისათვის სამზადისს. აღელვებულ მუშათა ორგანიზებულ მასას ივ. ფრანკო თავის რომანში უდარებს ფუტკრების აფორიაქებულ სკას, რომელიც მუქთახორა ფუტკრების გასანადგურებლად ემზადება:

„შემოდგომაზე, როცა ყვავილები ჭკნება და ნექტარის მომცემი მტვერი დაცვივა, ფუტკრის რთველიც მთავრდება და სკებში რამდენიმე დღით ახმაურებული, ამოძრავებული ცხოვრება იწყება. ფუტკრებსაც ისე სჩვევიათ, როგორც „მირონცხებულ“ ადამიანებს, — მორჩებიან თუ არა მძიმე საქმეს, შეუდგებიან ღრეობას, გუნდგუნდად იყრიან თავს სკის შესასვლელ კარებთან, ხალისიანად

აქნევენ ფრთებს და ბზუიან. ერთის შეხედვით ძნელია გაიგო, თუ რა მოხდა და რა ამბავია. ჯერ ხომ ოჯახში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, ჯერ კიდევ ზოგიერთი გადამეტებულად ბეჯითი ფუტკარი ისევ ყოველ დღე მიფრინავს მინდვრად, მთელი დღე გაფაცებით ეძებს ღალას და საღამო ჟამს ყვავილის მცირეოდენი მტვრით დატვირთული უკანვე ბრუნდება. სკაში ჯერ ისევ იმყოფებიან მაძღარი უქნარა მამალი ფუტკრები და თაფლით სავსე ბუკში გაყოყოჩებულნი სეირნობენ, ყოველ ცისმარე დღეს, შუადღისას გამოფრინდებიან, თბებიან მზეზე, საღ ჰაერს სუნთქავენ და უქნარა ფრთებს თავმომწონედ ისწორებენ. გგონია, რომ სკაში საყოველთაო სიწყნარე და სამაგალითო ერთობა სუფევს, მაგრამ სტყუვდებით, — სულ სხვა რამ ხდება სინამდვილეში. თითქოს სკაში ახალმა სიომ დაჰბერა. მუშა-ფუტკრები ერთიმეორეს სულ სხვა ჰანგზე ეჩურჩულებიან და თავს ორაზროვნად აკანტურებენ, ბოროტად იქოჩრებიან და თათებს რატომღაც ავარჯიშებენ".

ამ ალეგორიული სურათის პოლიტიკური აზრი ნათელი უნდა იყოს: მუშა ფუტკრები ემზადებიან მუქთახორა ფუტკრების გასანადგურებლად და გაანადგურებენ კიდეც.

მუშების ცხოვრებაზე იმ დროისათვის უკვე შექმნილი იყო ნაწარმოებები როგორც უკრაინულ, ისე რუსულ და საერთოდ მსოფლიო ლიტერატურაში. ნეჩუი-ლევიცკიმ დაგვიხატა მუშათა სახეები ნაწარმოებებში: „მიკოლა ჯერია" და „ბურლაჩკა", რუსულ ლიტერატურაში ფ. რეშეტნიკოვმა, გლებ უსპენსკიმ, დასავლეთ ევროპაში ელ. გასკელმა, ჩარლზ დიკენსმა, ფ. შპილგაგენმა და სხვებმა. ასე რომ, მხატვრულ ლიტერატურაში რომანის „ბორისლავი იცინის" შექმნამდე უკვე აისახა ხალხის მძიმე შრომა ფაბრიკებში, მაღაროებში, რკინიგზაზე და სხვაგან. უთანაგრძნობდნენ მუშებს. ივ. ფრანკომ მათთან შედარებით წინ გადადგა ნაბიჯი მუშების ყოფა-ცხოვრების, განსაკუთრებით კი მუშათა მასობრივი მოძრაობის ასახვისას. ფრანკომ რევოლუციურად დასვა და გადაწყვიტა საკითხი, რით და როგორ დაეხმაროს მუშებს და უჩვენა, რომ მხოლოდ თვით მუშებს შეუძლიათ დააღწიონ თავი კაპიტალისტურ მონობას, თავის დაღწევის გზა კი ერთადერთია — მუშების ორგანიზებულობა თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლაში.

რომანში „ბორისლავი იცინის“ ივან ფრანკომ შექმნა გალიციელი კაპიტალისტების სახეები. ესენი არიან გერმან გოლდკრემერი და ლეონ ჰამერშლიაგი.

გერმან გოლდკრემერს მკითხველი უკვე იცნობდა ნაწარმოებიდან „მახრჩობელა გველი“. რომანში კაპიტალისტი-მტაცებლის ამ ტიპმა პოვა უფრო რეალისტური ასახვა. იგი მხატვრულად უფრო დაიხვეწა და წარმოჩნდა როგორც ხალხის ნამდვილი წურბელა, დაუნდობელი ექსპლუატატორი. კაპიტალისტის ახალი სახე მოგვცა ფრანკომ ლეონ ჰამერშლიაგის სახით. იგი მრეწველობის იმავე თვისებებითაა დაჯილდოებული, როგორითაც მისი კონკურენტი, მაგრამ ლეონ ჰამერშლიაგი უფრო „კულტურული“ ექსპლუატატორია და ლიბერალის როლს ასრულებს მუშებთან.

კაპიტალისტი ლეონ ჰამერშლიაგი ყველაზე უკეთ გრძნობს დაესმის, რომ მუშათა ორგანიზებულ გამოსვლას დიდი ძალა აქვს. ამიტომაცაა, რომ იგი მზადაა დააკმაყოფილოს მუშების ზოგი ეკონომიკური მოთხოვნა. ჰამერშლიაგი ცდილობს „ლიბერალური“ დამოკიდებულებით დაამშვიდოს მუშები, დაუკარგოს მათ სიფხიზლე და სანდო პირების, თავისი აგენტების მეშვეობით შიგნიდან გახრწნას მუშათა მოძრაობა.

ივან ფრანკო, როგორც შენიშნავენ მკვლევრები, იცნობდა ბურჟუაზიული ეკონომისტის ბრენტანოს თეორიას, რომელიც „კლასობრივი ინტერესების ჰარმონიას ქადაგებდა, იცნობდა აგრეთვე ლიბერალი ბურჟუების გირშისა და დუნკერის პრაქტიკულ საქმიანობას, რომლებმაც 1868 წელს გერმანიაში პროცესიული კავშირები ჩამოაყალიბეს იმ მიზნით, რომ განერიდებინათ მუშები კაპიტალისტებთან რევოლუციური კლასობრივი ბრძოლისაგან, შემოეფარგლათ მუშათა მოძრაობის ამოცანები ურთიერთდახმარების სალაროებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით.

სწორედ გირშ-დუნკერის ტაქტიკას მოგვაგონებს რამდენადმე ლეონ ჰამერშლიაგის აზრები და პრაქტიკული ნაბიჯები. ივ. ფრანკოს ესმოდა ლიბერალური ბურჟუაზიის ტაქტიკა: ლიბერალურ ფრაზებს ამოფარებული კაპიტალისტები მცირე შეწირულობით ახერხებდნენ მუშების მოტყუებასა და დამშვიდებას, ორგანიზებული ბრძოლიდან ყურადღების ჩამოცილებას.

მიუხედავად თავისი „კულტურულობისა“ და „ლიბერალიზმისა“, ჰამერშლიაგი წინააღმდეგია მუშათა ორგანიზაციის, წინააღმდეგია. რა ფორმითაც არ უნდა იყოს, მუშების წინაშე კაპიტალისტის უფლებრივი, სამართლებრივი ვალდებულებებისა. ჰამერშლიაგის „ლიბერალიზმის“ ნიღაბი მაშინვე აიხდება, როდესაც იგი თავისი უფლებების შელახვის საფრთხეს იგრძნობს და მუშები გადალახავენ მის მიერ მიჩნეულ საზღვარს. სინიცას მოთხოვნას, შეიტანოს თანხა მუშათა სალაროში, ჰამერშლიაგი მოთმინებიდან გამოჰყავს და ნამდვილი სახით წარმოჩნდება მისი ბუნება—მან ლანძღვა-გინებით გაჰყარა თავისი სახლიდან მუშების წარმომადგენლები.

„ლიბერალი“ ლეონ ჰამერშლიაგი მაშინვე გამონახავს საერთო ენას პირწავარდნილ უზურპატორთან — გოლდკრემერთან, როგორც კი გაფიცვების გასაჭირი დაადგებათ. ორივე კაპიტალისტი საფრთხის ჟამს ერთობლივად მოქმედებენ. ჰამერშლიაგს სრულიადაც აღარ ეუხერხულება გოლდკრემერის ცინიკური განცხადება: „მე არავითარი ვექილის როლის გათამაშება არ მსურს! მე არც ლიბერალის როლს ვთამაშობ, როგორც ამას გუშინდლამდე სჩადიოდა ბატონი ჰამერშლიაგი, არავითარ „ურთიერთდახმარების“ მოწყობის რჩევას ყაჩაღებს არ მივცემ: ელაპარაკობ მხოლოდ როგორც გეშეფტმანი, როგორც საქმის კაცი“.

ასეთები არიან კაპიტალისტები გოლდკრემერი და ჰამერშლიაგი. კაპიტალიზმი ყოველივე წმინდას ანადგურებს ადამიანში, ასეთია რომანის დედააზრი. ამ აზრის ნათლად წარმოსაჩენად ავტორი იყენებს მისთვის უკვე ნაცად ხერხს: ნაწარმოებში შემოაქვს სიმბოლური სახე მახრჩობელა გველისა, სიმბოლურია რომანში ლეონ ჰამერშლიაგის სახლის საფუძვლის ჩაყრის სცენაც — საძირკველში ჩაატანენ ცოცხალ ფრინველს, გულწითელას, საძირკველი მუშა-კაცის სისხლითაა შეღებილი. მაშასადამე, კაპიტალისტების კეთილდღეობა მშრომელების სისხლითაა მორწყული.

რომანს „ბორისლავი იცინის“ მუშათა კლასის ბრძოლის ჩვენებით, ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივი ანტაგონიზმის რეალური შეფასებით, მუშების მხატვრული სახეების, მუშათა მოძრაობის მხატვრული ასახვით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ უკრაინული, არამედ მსოფლიო ლიტერატურისათვისაც.

ივ. ფრანკოს ჰქონდა ვარაუდი განეგრძო ბორისლავის ციკლზე

მუშაობა მოთხრობაში „ანდრუს ბასარაბი“, მაგრამ ეს ჩანაფიქრი არ განხორციელებულა. რომანის დაწერიდან რამდენიმე წლის შემდეგ იგი კვლავ მიუბრუნდა ამ თემას და მას რამდენიმე ნაწარმოები მიუძღვნა: „იაც ზალეპუგა“, „საზეიმოდ“, „მწყემსი“.

ივ. ფრანკომ თავის ნაწარმოებებში დაგვიხატა კაპიტალისტური ექსპლუატაციის საშინელი სურათი, გვიჩვენა მუშათა ორგანიზებული გამოსვლის ძალა, წარმოგვიჩინა ახალი ეპოქის ახალი ადამიანები — მუშები და სხვა. ამასთანავე ივან ფრანკომ ახალი ფორმაციის მიმართაც გამოავლინა თავისი დამოკიდებულება და მკითხველებს მიუთითა კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობაზე, როგორც შედარებით უფრო პროგრესულ მოვლენაზე, ვიდრე ფეოდალიზმი.

ივ. ფრანკომ ნოვატორულად ღრმად გაიგო იმ მოძრაობისა, რომელიც მის თვალწინ იბადებოდა — პროლეტარული მოძრაობის ინტერნაციონალური არსი, და მძიმე დარტყმა მიაყენა ნაციონალისტურ ე. წ. „თეორიას“ უკრაინელი ერის „არაბურჟუაზიულობის“ შესახებ.

მწერალი თავისი უმთავრესი თემის — შრომასა და კაპიტალს შორის ბრძოლის თემის — გახსნისას ადამიანებს ყოფს არა ეროვნული წარმომავლობის ნიშნის მიხედვით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კლასობრივი მდგომარეობის მიხედვით.

უკრაინელ მწერალს სავსებით სამართლიანად მიაჩნდა, რომ ცხოვრების მთავარი წამყვანი ძალა, ახალი საზოგადოების საფუძველი იქნებიან მშრომელი ადამიანები, მუშები. მოთხრობაში „ავადმყოფის ჩანაწერებიდან“, რომელიც მწერალმა 80-იან წლებში შექმნა, გატარებულია აზრი, რომ უმთავრესი ძალა რევოლუციაში მუშები იქნებიან და რომ მუშები უეჭველად გაიმარჯვებენ.

მუშების ცხოვრება-საქმიანობაზე ფრანკო წერდა თავის მოთხრობებში, რომანში, პუბლიცისტურ სტატიებში, სოციალურ-ეკონომიკურ ნარკვევებში, პოეტურ თუ დრამატულ ნაწარმოებებში და უველგან, ყოველთვის მისი სიმპათია მუშების, მშრომელების მხარეს იყო.

უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსი მიხაილო კოციუბინსკი თავის რეფერატში ივან ფრანკოს შესახებ საგანგებოდ აღნიშნავდა მწერლის მაღალ დახვეწილ გემოვნებასა და ნიჭს და წერდა: „ხა-

ტავს რა „ბორისლავური მოთხრობების“ მთელ ციკლში ბრძოლას კაპიტალსა და შრომას შორის, ფრანკოს არ შეუძლია დარჩეს მხოლოდ ცივი, ობიექტური მოთვალთვალე. ამ მოთხრობაში თქვენ ხედავთ უმეტესად თვით ფრანკოს — ფრანკო-მებრძოლს, რომელიც არ ფარავს თავის სიმპათიას და ანტიპათიას, მებრძოლს, რომელიც ხანდახან იმარჯვებს ფრანკო-მხატვარზე. მაგრამ ამასთანავე ერთად ამ მოთხრობებში მოფრქვეულია როგორც თვით ბუნებაში, დიდებული სურათები, ნათელი, გამჭვირვალე, მზით, ჰაერით და საღებავებით სავსე პეიზაჟები, გაივლიან ცოცხალი ადამიანები, ბრწყინვალედ დახატულნი, ფაქიზი ფსიქოლოგიური ანალიზის შუქზე“.

სოფლის ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები. ივან ფრანკო წერდა მოთხრობებს გალიციის სოფლის ცხოვრებიდან: „ორი მეგობარი“. „ლესიხას ოჯახი“, „მემაღაროე“, „ალი“, „მიკიტიჩის მუხა“ და სხვები.

1876 წელს ივ. ფრანკომ დაიწყო დიდი ტილოს შექმნა გალიციელი გლეხების ცხოვრებაზე, რომელიც თავდაპირველი ვარაუდით რამდენიმე წიგნისაგან უნდა შექმნილიყო. მაგრამ სიკვდილმა არ მისცა საშუალება განეხორციელებინა ეს ჩანაფიქრი. ამ დიდი ნაწარმოების („გუტაკ“) ნაწილი გამოქვეყნდა მხოლოდ მწერლის გარდაცვალების შემდეგ.

დასავლეთ უკრაინაში მთელი მოსახლეობის ოთხმოცდაათ პროცენტს გლეხობა შეადგენდა. მშრომელი ხალხის ეს უდიდესი მასა უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. ცალკე კოლონიური, ფეოდალური და კაპიტალისტური ჩაგვრის უღელი აწვა უღელზე და ცალკე უმიწობა ხდიდა მას სულს. უკიდურეს მდგომარეობამდე მისულმა ხალხმა სცადა თავის დასაცავად ხმის ამოღება. 1846 წელს აღელვებული მშრომელები აჯანყდნენ. 1848 წლის საგლეხო რეფორმამ ვერ გააუმჯობესა გლეხების მდგომარეობა. მან ფაქტიურად გაუხსნა კარი გალიციაში კაპიტალიზმის განვითარებას და სოფელი კიდევ უფრო გააღატაკა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გააპროლეტარა. მიწათმფლობელის უფლებები მემამულეებმა მთლიანად შეინარჩუნეს. ერთი მუჭა მემამულეები ფლობდნენ გალიციის მიწების ორმოც პროცენტს. რაც შეეხება ტყეს. — ოთხმოცდაათ პროცენტზე მეტი მათ ეკუთვნოდათ.

ივან ფრანკომ თავის წიგნში „ბატონყმობა და მისი გაუქმება

1848 წელს" მკაცრად გააკრიტიკა გალიციაში ბატონყმობის გაუქმების მეფ ისეული კანონები. გლეხების მდგომარეობა მან მოხდენილად შეადარა მკვდრეთით აღმდგარ ლაზარეს, რომელიც მხოლოდ წელამდე ამოფოფხდა საფლავიდან. მწერლის შეხედულებით, ასე ვერ დააღწია თავი გასაჭირს გალიციელმა გლეხობამ რეფორმის წყალობით და ფეოდალური ჩაგვრა, ექსპლუატაცია კვლავ წელში გამართვის საშუალებას არ აძლევდა ძალაგაცლილ ხალხს. ივან ფრანკოს ყოველთვის გულთან ახლოს მიჰქონდა მშრომელი ადამიანის ტკივილები. ბავშვობიდანვე მის თვალწინ ტრიალებდა მშრომელი გლეხობის ცოდვა-მადლი. ამიტომაც საესებით ლოგიკური იყო, რომ მისი პირველი ნაწარმოებები გლეხობაზე შემოქმედების ადრეულ პერიოდში იყო შექმნილი. თვით ივან ფრანკო თავის ავტობიოგრაფიაში მოგვითხრობს იმის თაობაზე, რომ რუსული რეალისტური ლიტერატურის გავლენით შეუდგა იგი გლეხი-კაცის დუხჭირი ცხოვრებისა და მისი ინტერესების ასახვას. „იმავე წელს (1876 წ. — ო. ბ.), — წერს იგი, — რუსული ბელეტრისტიკის, განსაკუთრებით ლევ ტოლსტოისა და ტურგენევის, აგრეთვე ემილ ზოლას გავლენით დავიწყე მთელი რიგი პატარა ესკიზებისა და ნოველების (გალიციური სურათების) წერა, რომლებშიც ჩავიფიქრე ამესახა გალიციელი ხალხის ცხოვრება ყველა მის ფენასა და გამოელინებაში, იმ ფარგლებში, რომლებშიც ცხოვრების გამოცდილება შემახვედრებდა სხვადასხვა ტიპებთან და ჩემი ცხოვრების სხვადასხვა მომენტებთან..."

ასე შეიქმნა 1876 წელს ივან ფრანკოს პირველი მოთხრობები გალიციელი გლეხების ცხოვრებაზე. დაუმთავრებელ ნაწარმოებში „გუტაკ" დახატულია სოფლის ვოიტის არჩევნები. სოფლის საზოგადოებაზე ხალხოსნური თეორიისა და აგრეთვე „უკრაინელი გლეხობის არაკლასობრიობაზე" ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური თეორიების საპირისპიროდ ივან ფრანკო გვიჩვენებს სოფლად კლასობრივ დიფერენციაციას. კულაკ გუტაკს, რომელიც სოფელში თავისი სისასტიკით გამოირჩეოდა და რომელმაც არაერთი გლეხი უსახლკაროდ, ულუკმაპუროდ დატოვა და ქუჩაში გააგდო სამათხოვროდ, მოსამართლისა და მღვდლის მხარდაჭერით ირჩევენ ვოიტად. გუტაკის ცოლი ანა წარმოშობით ღარიბი ოჯახიდანაა და ამიტომაც ყველაზე უკეთ ხედავს გუტაკის ხელში ჩავარდნილ გლეხკაცის ბედს. „რამდენი ცრემლი, რამდენი უბედურება, რამდენი წყეველაა მის და

თვითონ ანას თავზე! იგი არ იყო ბოროტი ქალი, ხოლო მოთმინებამ ასწავლა მას სხვისი უბედურების გაგება, სხვისი ტკივილის გაგება".

გუტაკის წინააღმდეგ გამოდის ღატაკი გლეხი ხოხლაჩიკი. მან იცის, რომ გუტაკის მეურნეობა ძლიერი გახდა ღარიბი გლეხობის სასტიკი ექსპლუატაციის მეშვეობით. მან საკუთარ ტყავზე გამოსცადა გუტაკის „კეთილი" დამოკიდებულების სუსხი და ამიტომაც აფრთხილებს თანასოფლელებს ნუ ენდობით ბოროტ გუტაკსო. გაბოროტებული კულაკი კი, უკვე თავის სახლში მარტო დარჩენილი და პირბადეახდილი იმუქრება: „მე მათ ვუჩვენებ სეირს! შიმშილით ამოვხდი სულს! ხელგაწვდილებს გავაგდებ სამათხოეროდ, დაე იცოდნენ ვინ ვარ მე!"

ნაწარმოებში „გუტაკ" მწერალმა დაგვიხატა ორი ანტაგონისტური კლასის შეჯახება. სოფლის თემაზე შექმნილ უკვე პირველ რეალისტურ მოთხრობებში ივან ფრანკო ამხელს ლიბერალურ-ბურჟუაზიულ შეხედულებებს გლეხობაზე. მწერალი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა გლეხობის ცხოვრების მართალ, რეალისტურ ასახვას ლიტერატურაში. რამდენადაც გლეხობა ყველაზე მრავალრიცხოვან ჩაგრულ მასას წარმოადგენდა და ამიტომაც ილაშქრებდა იგი იმ ბურჟუაზიულ-ლიტერატურულ მოაზროვნეებისა და როგორც უკრაინელი, ისე პოლონელი რეაქციონერი ლიტერატორების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ გალიციაში სოციალური ურთიერთობის „ჰარმონიულობის" ჩვენებას.

სატირულ მოთხრობაში „ჩვენი საზოგადოება", რომელშიც ნაჩვენებია ბურჟუაზიული ინტელიგენციის გემოვნება და ზნე-ჩვეულებანი, ფრანკო მკითხველის ყურადღებას ამახვილებს მათ მიზანსწრაფვაზე — გადააქციონ ლიტერატურა გლეხების შესახებ იდეალურ-დამტკბარ ლიტერატურად, რომლის ამოცანა იქნება აღზარდოს მორჩილი, წუნარი გლეხ-კაცი, რომელიც, როგორც ეს ასი წლის წინ იყო, თავაუღებლად, მორჩილად მოემსახურება თავის ბატონს. რეალისტური პრინციპების მქონე მწერალი კი თავის პირველივე მხატვრულ ქმნილებებში გვიჩვენებდა სოფლად კლასობრივი დიფერენციაციის შთამბეჭდავ სურათებს, გვისაბუთებდა, რომ სოფლად არ არსებობს კლასობრივი ჰარმონია და გლეხებსა და მემამულეებს შორის შეურიგებელი, ანტაგონისტური ურთიერთობაა გამეფებული.

ნაწარმოებში „ტყე და საძოვარი“ მწერალმა დაგვიხატა ანტაგონისტური დამოკიდებულება გლეხებსა და მემამულეებს შორის, აგვისახა რეალისტური სურათი იმისა, თუ როგორაა დამოკიდებული სოფლის მშრომელი მოსახლეობა მემამულეებზე, პოლონელ შლიახტაზე, რომლებიც საერთო ენას პოულობდნენ ხელისუფლებისა და ფულის მოყვარულ მოხელეებთან, პან ადვოკატთან, გლეხების მოტყუებასა და ექსპლუატაციაში რომ ეხმარება მემამულეს. ნაწარმოებში მოთხრობილია გლეხებსა და მემამულეს შორის გამართულ სასამართლო პროცესზე. მემამულემ სოფლის გლეხები მოატყუა და ხელთ იგდო მთელი ტყე და საძოვრები, რაც სოფელს გააჩნდა. სოფელს კიდევ უფრო გაღატაკება, შიმშილი დაემუქრა. გლეხობა აღსდგა და დაიწყო ჩივილი პანის წინააღმდეგ, დაიქირავეს ადვოკატი. სასამართლო პროცესი შვიდ წელს გაგრძელდა. „თითქოს ამ შვიდი წლის განმავლობაში ჩვენს თემს ვიღაც ძარღვებს უჭიმავდაო, — ნათქვამია მოთხრობაში, — სრულიად გავღატაკდით ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ პანს მაინც არ გავეკარეთ და არ დავუთმეთ, იმანაც პროცესი არ დაგვითმო“. რა სასამართლოებში, რა ინსტანციებში არ იარეს გლეხებმა, ვერაფერს გახდნენ. პანი კბილებით იცავდა ვერაგობით ხელში ჩაგდებულ ტყესა და საძოვარს, რადგან იცოდა, რომ „მართალია იმპერატორმა გლეხებს თავისუფლება მიანიჭა და ბატონყმობა გააუქმა, მაგრამ თუ პანები გლეხებს ტყესა და საძოვარს არ დაუთმობდნენ, გლეხი ან უნდა დაღუპულიყო, ანდა მათთან უნდა მისულიყო ქედმოდრეკილი. მაშინ კვლავ აღსდგებოდა ბატონყმური ურთიერთობა, მართალია, ცოტა სახეშეცვლილი, მაგრამ ამით ხომ გლეხს არაფერი ეშველებოდა“.

გლეხებმა დაიქირავეს ვექილი. მან საკმაოდ აიღო ფული გლეხებისაგან, მაგრამ პროცესი მემამულის სასარგებლოდ წაიყვანა და მზაკვრული ხრიკებით პანმა ტყე და საძოვარი შეინარჩუნა. გლეხები დარწმუნდნენ, რომ ყველა პანი ერთნაირად ბოროტი და გულქვაა, რომ რწმენა ე. წ. „კეთილი პანებისა“ უბედურების მეტს ადამიანს არაფერს მოუტანს.

ივან ფრანკო ამ ნაწარმოებებში გვიჩვენებს გლეხობაში პროტესტის ზრდას, მზადყოფნას — დაიცვან თავიანთი ინტერესები. „მაშინ გადავწყვიტეთ ძალით დაგვეცვა ჩვენი უფლებები, — მოგვითხრობს ამ ამბის თვითმხილველი, — ქალი, ბავშვი, ვაჟკაცი და მოხუცი, ყვე-

ლანი გაეედით სოფლიდან, რომ პანისათვის საძოვარი არ დაგვენებებინა. მაგრამ პანმა ჯარს დაუძახა, ჩვენც ჯარის წინ წამოვიჩოქეთ და შევბღავლეთ „თუნდაც, დაგკქელეთ, თუნდაც გვესროლეთ, ჩვენ ამ მიწას არ მოვშორდებით, ჩვენია-თქო!" ასეთი სიმტკიცე და ერთსულოვნება გამოიჩინეს გლეხებმა პანთან ბრძოლაში.

პანის მიერ გამოძახებული ჯარი ჩადგა სოფელში და ბოლო მოუღო ისედაც გაჩანაგებულ ხალხს. „ყველაფერი, რაც საუკეთესო გაგვაჩნდა, შესანსლეს,—გვიყვება მთხრობელი,—საქონლიდან საუკეთესოები დაკლეს და მიირთვეს, პირწმინდად გაგვანადგურეს. როდესაც წავიდნენ... თემი უკვე მოტეხილი და საბოლოოდ განადგურებული იყო. სხვა გზა არა ჰქონდა, ისევ მის ხელში უნდა ჩავარდნილიყო". ასე ასრულებს თავის ნაწარმოებს ივ. ფრანკო და მოთხრობის შესავალშივე გამოთქმულ აზრს ადასტურებს: ბატონყმობა გადავარდა, მაგრამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გლეხები კვლავ ბატონების ხელში აღმოჩენილიყვნენ. სოფლად კლასობრივ ანტაგონიზმს, კლასობრივ დიფერენციაციას ბოლო კი არ მოეღო, მან სხვა, უფრო სასტიკი ფორმა მიიღო.

მწერლის პოზიცია უფრო ნათელი და კონკრეტული იქნება, თუ გავიხსენებთ მის აზრს 90-იანი წლების დასასრულს ე. წ. „გალიციას სისხლიან არჩევნებთან" დაკავშირებით. პოლიციასა და ხალხს შორის შეიარაღებული შეტაკების შესახებ ივ. ფრანკო წერდა: „არის ერთგვარი საზღვარი, სადამდეც შეიძლება აბეჩად აიგდო ხალხი, ჩვენს ხალხში ჩაგვრა უსიტყვო მორჩილებას კი არა, ცოტად თუ ბევრად შეგნებულ რეაქციას იწვევს, რადგან უკვე ჩვენც გავიზარდეთ იქამდე, რომ ჩვენი უფლებების დაცვისას შეგვიძლია საკუთარი სისხლი დავღვაროთ" [1].

მწერალი ამხელს ბატონყმური წყობის გადმონაშთებს სოფლად, ღრმა სოციალურ წინააღმდეგობებს, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით წარმოიქმნა და მთელ რიგ მოთხრობებში გვიხატავს სოფლის გაღატაკების სურათებს ფეოდალური და კაპიტალისტური ჩაგვრის პირობებში, როდესაც გლეხობა თავის გა-

---

[1] ი. ფრანკო, პოლიტიკური ქრონიკა, ჟურ. „ქვიტე ი სლოვო", ტ. 5, 1897, გვ. 173.

დასარჩენად, ოჯახის გამოსაკვებად იძულებულია ყოველგვარ შრომაზე დათანხმდეს, თუ გინდ იგი უაღრესად სახიფათოც კი იყოს.

გლეხობის სრული გაღატაკება და მათი გამოუვალი მდგომარეობა ნაჩვენებია მოთხრობაში „თვითონაა დამნაშავე“ (1880). გლეხკაცი, რომელმაც მიწის უკანასკნელი ნაფლეთი დაკარგა, ქუჩაში აღმოჩნდა. ოჯახი შარა გზას დაადგა და სხვისი სამადლო გახდა, ხოლო თვითონ უმძიმეს სამუშაოს ირჩევს და იღუპება კიდეც. მშრომელი კაცის ასეთივე მძიმე სურათია დახატული მოთხრობაში „მემაღაროე“ და სხვ.

შიმშილით სიკვდილს რომ დააღწიოს თავი, გლეხი ყოველნაირ სამუშაოს კიდებს ხელს, კუსტარულ წარმოებაშიც ცდის ბედს, მაგრამ იქაც აბრობენ ტყავს პანები და მძიმე შრომით ნაშოვნ ლუკმაპურს პირიდან აცლიან. ასეა ეს მოთხრობებში „კუსტარული წარმოება“, „კარგი ხელფასი“ და სხვ.

ივან ფრანკოს პირველივე პროზაულმა ქმნილებებმა გამოიწვიეს ლიბერალურ-ბურჟუაზიული საზოგადოების აღშფოთება. მწერალმა ერთ-ერთ თავის წერილში გადმოგვცა მისი და ლვოვის ხალხოსნული მიდრეკილების ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორის საუბარი „ლესიხას ოჯახის“ თაობაზე. ივან ფრანკომ ეს მოთხრობა 1876 წელს დაწერა.

„— აბა, რა არის ეს?, — ამბობდა იგი, — შეიძლებოდა შესანიშნავი იდილია გამოსულიყო ეს უბედური ნატურალიზმი რომ არა, რომელიც აფუჭებს იდილიურ შთაბეჭდილებას. რომელი კატეგორიის ნაწარმოებს მივაკუთვნოთ იგი?

— მე ვუპასუხე, — იგონებს ფრანკო, — რომ ჩემთვის სულ ერთია ყოველგვარი კატეგორია. ხოლო, როდესაც ამ პაწია მოთხრობას ვწერდი, მინდოდა განმესახიერებია კონტრასტი ბუნების სილამაზესა და ადამიანის უსუსურობას შორის“.

ხსენებულ მოთხრობაში ნატურალიზმის ნასახიც კი არ იყო. მასში ნაჩვენებია გლეხების ყოველდღიური ცხოვრება და ამასთანავე ძლიერი კონტრასტი ღარიბი გლეხობის სწრაფვისა და უკეთესი ცხოვრებისაკენ, ბედნიერებისაკენ და კულაკურ სიხარბეს, კერძომესაკუთრეობას შორის.

1848 წლის რევოლუციის შემდგომ პერიოდს ეხება რომანი „დიადი ხმაური“ (1907), რომელშიც მწერალმა განასახიერა სოფლის

გლეხობის სტიქიური პროტესტი, ახალი მისწრაფების ჯერ არნახული შეგნებისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, რომელიც კაპიტალიზმს მოჰყვა. ამ პროტესტს იგი უდარებს გაზაფხულის ქარიშხალს: „მდუმს, გუგუნებს დიადი ხმაური! დიადი ხმაური, მწვანე ხმაური! მისი სუნთქვის ქვეშ კვნესის მძლავრი დილი, თითქმის მიწამდე იხრებიან ტანაყრილი თეთრი არტის ხეები, ხმაურობენ ველზე ძველი მეხები, ჭრიჭინებენ და კვნესიან ვერხვები და შღერიან თავის გულისმომკვლელ სიმღერას. დღე და ღამე, კვირიდან კვირამდე ღმუის ხმაური პოდგორიეს თავზე... მაგრამ სოფლებში, ქოხებში, ეკლესიებსა და დუქნებში, ხალხის სულში არანაკლები ხმაურია, ვიდრე აბობოქრებულ ბუნებაში. ღელავენ სოფლები, ყველგან ისმის კამათი, დავა და ლანძღვა, ყრუ ზიზღი მწიფდება, ველური დამუქრებანი, როგორც ანთებული შუშხუნა, მიფრინავენ სოფლიდან სოფელში. ახლახან გაუქმდა საბატონო ბეგარა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ისევ მოძრაობს, თითქოსდა ბოლომდე არ მოესპოთ და გულებს შემაძრწუნებელი შიშით ავსებს“. ადამიანების სითამამემ, რომელიც ბატონყმობის დროს ჯოხითა და მათრახით იყო დაშინებული, ახლა თავი იჩინა და თითქოს გზა იპოვა, გახეთქა, გაარღვია წინაღობები, იქ როგორც წყალი გაარღვევს კაშხალს. ამ სითამამემ „წალეკა ყველაფერი, რაც წინ ეღობებოდა მას და ყველგან გრომადებში გადიოდა ახეთი ტალღა, სახალხო ზიზღი პანებისადმი ეძებდა გარღვევის ყველა შესაძლებლობას და ყველგან პოულობდა მას“.

ივან ფრანკომ დიდი მხატვრული ძალით ასახა თავის ამ რომანში გალიციელი გლეხის ცხოვრების სურათები ბატონყმობისა და მისი გაუქმების შემდგომ პირველი ათწლეულის პერიოდში. რომანში მართლაც და რეალისტურადაა ნაჩვენები, თუ როგორ იზრდება გლეხების კლასობრივი შეგნებულობა, მათ სფეროში, მათ წრეში ჩნდება ახალი ადამიანები, ახალი გმირები.

მწერალს ღრმად სწამდა მშრომელი ხალხის ძალებისა და ამიტომაც ქმნიდა თავის ნაწარმოებებში გლეხობის წარმომადგენლების დადებით სახეებს, რომლებსაც უკვე ესმით ბრძოლის აუცილებლობა. ასეთია ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი კოსტ დუმიაკი „დიადი ხმაურიდან“. ამ შემთხვევაში მწერლის რეალიზმის შეზღუდულობის მიუხედავად, რაც ნაწარმოებში გამოვლინდა სოფლის თემის და მემამულის შერიგების შესაძლებლობის ჩვენებაში (კოსტ

დუმიაკი ცოლად ირთავს მემამულე სუბოტას ქალიშვილს. პანი ხელსაყრელ ფასებში გლეხებს მიჰყიდის მიწასა და საძოვრებს), მოთხრობაში მხილებულია მემამულის ოჯახის არარაობა, გადმოცემულია ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ სოციალური პროტესტის ზრდა.

მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი ს ა პ ა ტ ი მ რ ო ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ. კაპიტალისტური საზოგადოებრიობის სოციალური ანტაგონიზმი ივან ფრანკომ ასახა აგრეთვე თავის მოთხრობებში ციხის ცხოვრებიდან. მანამდე არც ერთ უკრაინელ მწერალს ამ თემაზე არ შეუქმნია ღრმა და რეალისტური ნაწარმოებები.

ივან ფრანკო სამგზის დააპატიმრეს და სამგზის იჯდა საპატიმროში. მწერალმა საკუთარი თვალით იხილა ე. წ. „საზოგადოებრიობის ფსკერი“, ნახა და იცხოვრა იმ ხალხთან ერთად, რომლებიც ავსტრიის მონარქიის მსხვერპლნი გახდნენ. მისთვის ეს პატიმრები დამნაშავენი, კაცისმკვლელები, ნაძირალები როდი იყვნენ მხოლოდ, მათში მწერალი ხედავდა უპირველესად ადამიანებს, თავისუფლების მოყვარე ადამიანებს, რომლებიც „ფსკერზე“ აღმოჩნდნენ თვით ცხოვრების, საზოგადოებრივი ურთიერთობის, ხელისუფლების „წყალობით“, „დახმარებით“.

ოლგა როშკევიჩისადმი მიწერილი ბარათიდან ჩანს, რომ ივან ფრანკომ უკვე პირველი პატიმრობის შემდეგ ჩაიფიქრა საპატიმროს ცხოვრებიდან მოთხრობის დაწერა. ეს იყო მოთხრობა „ივან ნოვიტნი“. მწერალმა დაიწყო ამ თემაზე მუშაობა, მაგრამ სხვა შემოქმედებითი ჩანაფიქრებით დატვირთულმა ველარ მოახერხა მისი ბოლომდე მიყვანა.

მწერალს საპატიმროს მძიმე ატმოსფეროს გადმოცემასთან ერთად აინტერესებს, და ესაა უპირველესი მისი აპოცანა, გვიჩვენოს „ადამიანური გრძნობის გაღვიძება იმ ხალხში, რომლებიც სავსებით დაღუპული ჩანან“ (მ. კოციუბინსკი). თავის პირველ მოთხრობაში „ივან ნოვიტნი“ ავტორი გვიჩვენებს ციხეში მოხვედრილ ახალგაზრდა კაცის თვალწინ ერთიმეორის მიყოლებით როგორ გაიელვებს „დამნაშავეებთან“ „უფროსების“ უხეში დამოკიდებულების სურათები.

მოთხრობაში „ფსკერზე“ ნაჩვენებია, თუ როგორ აღიქვამს საპატიმროს გარემოს, როგორ ურთიერთობას ამყარებს „ფსკერზე“ მოხვედრილ პატიმრებთან ანდრიი ტემერა, ხალხის ინტერესებისა-

თვის მებრძოლი, სოციალისტი. იგი ხვდება „ფსკერზე“ ჩაძირული ადამიანების გარემოში — ესენია — პაპა პანკო, რომელიც მოხეტიალე ცხოვრებისთვისაა დაპატიმრებული, ყმაწვილი მიტრო, რომელსაც პასპორტი არ ჰქონდა თან და ამისათვის კამერაში უკრეს თავი, ახალგაზრდა კაცი სტებლევსკი, რომელმაც ვერ აიტანა ადამიანებისადმი უსამართლო მოქცევა, დატოვა სამუშაო და ამის გამო „მიაბრძანეს“ საპატიმროში და სხვ. „საზოგადოების“ მიერ გაკიცხული ყველა ეს ადამიანი ანდრიი ტემერას დიდ ინტერესს იწვევს. ყოველი მათგანი შეიძლებოდა საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრი ყოფილიყო და მისთვის სასარგებლო საქმე ეკეთებია, მაგრამ თვით საზოგადოებამ უბიძგა მათ „დანაშაულისაკენ“.

ტუსაღი ანდრიი ტემერა მწვავედ განიცდის უსამართლობას. უსამართლობა „წვავდა მის ტვინს, სისხლს უყინავდა მას“. იგი ზიზღით რღდი უყურებდა უბედურ ტყვეებს, მას შესანიშნავად ესმოდა, რომ ისინი მოტყუებული არიან, უსამართლობამ მიიყვანა უკიდურესობამდე. ექსპლუატატორულ საზოგადოებაში კი უსამართლობას ფეხი მტკიცედ აქვს მოკიდებული. ამის დასადასტურებლად ავტორს თავის ნაწარმოებში მოჰყავს პატიმართა ბედის ისტორიები, რომელთა მიხედვითაც ასაბუთებს იმ აზრს, თუ რარიგ ძნელი და გამოუვალი იყო ყოველი პატიმრის ცხოვრების გზა, რომელმაც იგი ამ საკანამდე მიიყვანა.

ივ. ფრანკომ ამ მოთხრობაში დახატა დამნაშავე ბოვდური, რომელმაც, ავტორის თქმით, თითქმის სრულებით დაკარგა ადამიანის სახე, კაცისმკვლელი გახდა: „მხოლოდ ხელები, ძლიერი და ჯანსაღი, — წერს ავტორი, — გვიდასტურებდნენ, რომ ესეც მუშა კაცი იყო“, „რომელმა უბედურმა ხვედრმა მოგლიჯა საშუშაოს და აქეთ გადმოაგდო დასაღუპად, დასძენს მწერალი. მისი ცხოვრება კი სხვაგვარად არც შეიძლებოდა აწყობილიყო: ეზიზღებოდა მდიდრები და უსამართლობის მთესველები, არაერთგზის გაუწევია მათთვის წინააღმდეგობა, არაერთგზის გამოუწვევია მასში პროტესტის გრძნობა მათ უსამართლობას. მან ვეღარ აიტანა ეს უსამართლობა, ცეცხლს მისცა სისხლისმწოველი წურბელა და გაიქცა, მოწყდა ხალხს და დაკარგა ადამიანის სახე. „ეს ჩემი ნახევარია, ეს კი თქვენი, — შეჰყვირა მან ციხის დარაჯებს, გაჰყო რა ანდრიის პრიალობა ორად“.

ანდრიი ტემერა კვდება გაველურებული ბოვდურის ხელით, მაგ-

რამ თვით ბოვდური მკვლელობის ჩადენის შემდეგ ხვდება, თუ რა მძიმე დანაშაული ჩაიდინა რამდენიმე მანეთის გულისათვის. იგი წყევლის ციხის სატრაპებს, რომლებმაც მიიყვანეს ამ მდგომარეობამდე. მწერალს მკითხველი ერთადერთ მართებულ დასკვნამდე მიჰყავს: ადამიანთა უბედურებაში უპირველესად დამნაშავეა საშინელი წყობა, კაპიტალისტური სინამდვილე. ნაწარმოების ფინალში პატიმარი სტებელსკი ანდრიი ტემერას ცხედართან დაიძახებს: „დაე, დაიღუპოს ადამიანი, მაგრამ დაე, იზარდოს ადამიანურობამ". სწორედ ეს ფრაზაა ფსიქოლოგიური ნოველის „ფსკერზე" ლაიტმოტივი.

მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ანდრიის ტემერას სახეში ძნელი არ უნდა იყოს მწერლის ავტობიოგრაფიული მომენტების აღმოჩენა, რომლებიც გვახსენებენ მოთხრობის „ჩემი შეხვედრა ოლექსასთან" გმირის მირონის ზოგიერთ ნიშან-თვისებებს. ივან ფრანკო თვითონ ლაპარაკობს ამის შესახებ ა. პატრიცკისადმი გაგზავნილ ბარათში. ა. პატრიცკიმ გაილაშქრა ანდრიი ტემერას სოციალისტური იდეების მატარებელ გმირად დახატვის წინააღმდეგ. მწერალი მტკიცედ იცავდა ტემერას სოციალისტურ იდეებს და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ტემერას შეხედულებები ემთხვევა მის შეხედულებებს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მასა და ტემერას შორის შეიძლებოდეს ტოლობის ნიშნის დასმა, რომ ტემერა არაა ფრანკოს მხატვრული სახე, როგორც ამას ფიქრობს ა. პატრიცკი.

ფრანკო არ უარყოფს, რომ ტემერას სახეში მან ჩააქსოვა ავტობიოგრაფიული ელემენტები (წერილი მ. პავლიკისადმი), მაგრამ კატეგორიულად ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ტემერას შეხედულებები ავტორის „საკუთარ აღსარებას წარმოადგენს".

ივ. ფრანკოს აქვს მოგონებები განსაკუთრებით მეორე და მესამე პატიმრობის შემდეგ, რომლებშიც იგი პირდაპირ წერს, რომ მოთხრობის „ფსკერზე" წერის დროს მან კი არ გამოიგონა, არამედ გამოიყენა ის ფაქტები, რომლებიც თვითონ შეკრიბა და ამ უმდიდრესი მასალის მხოლოდ რედაქტორი იყო.

ივ. ფრანკომ თავის მოთხრობაში სწორედ მხატვრული ტიპიზაცია მოახდინა ფაქტებისა და მოვლენებისა, რომლებიც მან შეკრიბა მშრომელ ხალხთან ურთიერთობისას, საპატიმროში, „ფსკერზე" აღმოჩენილ ადამიანებთან ყოფნის დროს. ამ ნაწარმოებში განსაკუთ-

რებული სიძლიერით აყღერდა რევოლუციონერი დემოკრატების პროტესტი კაპიტალისტური სინამდვილის წინააღმდეგ მიმართული, აყღერდა ადამიანის რწმენის, ადამიანის სადიდებელი სიტყვა.

საპატიმროს ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებებში ფრანკო არაერთგზის გვიჩვენებს ადამიანის მძიმე მდგომარეობას კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მაგრამ ვერ ერევა მის სულს, ვერ აჭრობს მასში სწრაფვას სიკეთისა და სამართლიანობისაკენ. ნაწარმოებში „ლელი და პოლელი“ მწერალი გვირჩევს კიდეც, როგორ შეიძლება დააღწიოს ადამიანმა თავი ჩაგვრას. ნაწარმოების მთავარი გმირის სემკა ტუმანის სახით იგი ხალხისათვის სიკეთის მოსურნე ადამიანს გვიხატავს. სემკა ტუმანმა ბოროტი პანის წინააღმდეგ ბრძოლის გზა აირჩია, რისთვისაც საპყრობილეში მოხვდა. ათი წელი დაჰყო მან პატიმრობაში, დასნეულდა, სინათლე დაკარგა თვალებში, მოტყდა ფიზიკურად. მაგრამ მისი სული მაინც უტეხი დარჩა. თვალჩინწართმეული და საპყრობილის კედლებში გამომწყვდეული იგი წუხს, რომ ცხოვრება უნაყოფოდ გალია, შეძენილი განძი კი ხალხს არ მოხმარდა. უკანასკნელ წუთს სემკა ტუმანი თავის საიდუმლოებას უმხელს პატარა ბიჭებს ვლადკა და ნაჩკა კალინოვიჩებს და სიტყვას ჩამოართმევს, რომ განძს გაუბედურებულ ხალხს მოახმარენ. მოხუცი პატიმარი იმასაც ურჩევს პატარებს — გახდნენ ვექილები და დაიცვან გლეხები პანის უსამართლობისაგან.

მოთხრობაში „პანტალახა“ (1868) ივ. ფრანკომ ძლიერი, თავისუფლებისმოყვარე კაცი დაგვიხატა. პანტალახა ჩვეულებრივი ბოროტმოქმედი როდია. იგი ძარცვავს მდიდრებს და ღარიბებს ეხმარება, ეხმარება პოლიტიკურ პატიმრებს: ქურდობა. გაქცევა საპატიმროდან — ესაა სურვილი გახიცადოს ხიფათი, საშიშროება, გამოსცადოს თავისი ნებისყოფა, ძალა და მოხერხებულობა. მის სულში იბადება „პატიოსანი და ადამიანური გრძნობების, ძლიერი ნებისყოფისა და ენერგიის ოქროს ძაფები“.

პანტალახას დანაშაულებრივ ნაბიჯებში გეხვდება პროტესტი არსებული სოციალური წყობის წინააღმდეგ. ყველაზე მეტად იგი აფასებს თავისუფლებას, მისთვის სიკვდილი უმჯობესია ტყვეღმყოფი კაცის სიცოცხლეზე. ამიტომაცაა, რომ პანტალახა ვერ ეგუება ციხის კედლებს, ვერ იტანს პორკულებს და გარბის. იგი ღუპება ასეთი გაქცევის დროს. თვით ყოვლისმოქმედ ციხის ზედამხედველ სპორიშს

პანტალახას სიკვდილი აუხელს თვალებს მისი, როგორც ზედამხედველის საზიზღარ საქმიანობაზე. მას არ ავიწყდება პანტალახას სიტყვები სიკვდილის წინ: „სპორიშ ძაღლის გული გქონიაო“.

ამაღელვებელი სიმართლით არის შექმნილი ივან ფრანკოს მოთხრობა „სინათლისაკენ“ (1890). მწერალი დიდი სითბოთი და სიყვარულით ხატავს ებრაელი ყმაწვილის, იოსიპ შტერნის სახეს, რომელიც არაფრის გულისათვის მოკვდა ციხეში. საკანში იგი ისრულებს თავის სანუკვარ ოცნებას — სწავლობს ანბანს, კითხვას, ისწრაფვის სინათლისაკენ.

საკანში, სადაც ბნელოდა „როგორც სარდაფში, როგორც კუბოში“, შეაგდეს ყმაწვილი, რომელიც სიცივისაგან სულ გაყინულიყო, „ატკაცუნებდა კბილებს და ამ ტკაცუნში ქვითინს ურევდა“.

მისი მონათხრობიდან პატიმრებმა შეიტყვეს, რომ იოსიპი სმერეკოვში იზრდებოდა მოიჯარადრე მოშასთან, სადაც დაცინვა და სამუშაო არ აკლდა. მან არ იცოდა, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ მას უნდა რგებოდა „კარგა დიდი მემკვიდრეობა“, მაგრამ მოშამ გადამალა ქაღალდები, მიითვისა მემკვიდრეობა და იოსიპიც მსახურად დაიყენა. იოსიპი შეეცადა ამ ქაღალდების ხელში ჩაგდებას და მათ წაკითხვას. მოშა მას ქურდობას აბრალებს და საკანში უკრავს თავს. პატიმრები ეხმარებიან იოსიპს და საბოლოოდ ადგენენ კიდეც მის უდანაშაულობას, მაგრამ სამართალი დაიგვიანებს. სწორედ მაშინ, როდესაც იოსიპი სარკმელთან იყო მიყუჟული, საიდანაც შემოდიოდა სინათლის სხივი და თავჩაქინდრული ცდილობდა „წეროსა და თევზის“ ამბის ამოკითხვას, გუშაგის ნასროლმა ტყვიამ დაუბნელა სინათლე. სინათლისაკენ სწრაფვა სიცოცხლის ფასად დაუჯდა ყმაწვილს: დერეფნიდან კი სასამართლოდან გამოგზავნილი შიკრიკი უწყებით ხელში ხმამაღლა კითხულობდა—„სად ზის აქ იოსიპ შტერნი, ქაღალდია სასამართლოდან მისი განთავისუფლების შესახებ. იოსიპი ერთი წუთის წინ უკვე გათავისუფლდა“.

ასე ამთავრებს მოთხრობას ავტორი და მკითხველი ნათლად გრძნობს, თუ რისი თქმა სურდა ავტორს.

მიხაილო კოციუბინსკი თავის რეფერატში ფრანკოს შესახებ წერდა: „რეალისტ, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, ფრანკოს უყვარს თავის პროზაულ ნაწარმოებებში ორ თემაზე შეჩერება: 1) კაპიტალის ბრძოლა შრომასთან და მისი ვითარება; 2) ადამიანური

გრძნობის გაღვიძება ადამიანებში, რომლებიც სრულიად დაღუპული გვეჩვენებიან. ინტერესი ამ უკანასკნელი თემისადმი გვეუბნება, რომ ფრანკოს უდიდესი რწმენა აქვს ხალხის".

საპატიმროს ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებებში ივან ფრანკო შეუფერავად აგვისახავს ცხოვრების სინამდვილეს და მათზე დაყრდნობით რევოლუციურ დასკვნებსაც აკეთებს. ამგვარ მიდგომაში გამოვლინდა მწერლის შემოქმედებითი მეთოდის მთავარი ნიშან-თვისება.

ხსენებული ციკლის მოთხრობები ახალი მოვლენა იყო ოქტომბრის რევოლუციამდელ უკრაინულ ლიტერატურაში. ისინი ღრმად წვდებოდნენ და მკითხველების თვალწინ წარმოადგენდნენ სოციალური ტკივილების, უბედურების მიზეზებს, მკითხველებს აცნობდნენ სხვადასხვა ჯურის პატიმრებს, რეალისტურად უხატავდნენ ცხოვრებაში შექმნილ მძიმე პირობებს. ამ ნაწარმოებებს ახასიათებს მწერლის რევოლუციურ-დემოკრატიული მიზანსწრაფვა.

სატირული მოთხრობები. ივან ფრანკომ თავისი შეხედულებების, ჩანაფიქრის მხატვრული განსახიერებისათვის მოიმარჯვა ისეთი ჟანრი, როგორიცაა სატირული მოთხრობა, ზღაპარი. ავსტრიის ხელისუფლებისა და მისი მლიქვნელების — უკრაინული ნაციონალისტური ბურჟუაზიისა და სამღვდელოების, ავსტრიის მონარქიის მთელი ბიუროკრატიული სისტემის, ავსტრია-უნგრეთის მონარქიის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული ივან ფრანკოს სატირული მოთხრობები უკრაინულ ოქტომბრის რევოლუციამდელ პროზაში ახალი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ივან ფრანკოს სატირა აგრძელებდა და ავითარებდა რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული პროზის, გოგოლისა და სალტიკოვ-შჩედრინის პროგრესულ ტრადიციებს და საზოგადოებრიობის წინაშე წამოსწევდა და აშიშვლებდა ცხოვრების მწვავე პრობლემებს.

ივან ფრანკო შემოქმედების ადრეულ პერიოდშივე დაინტერესდა სატირული ჟანრით. მისი შეხედულებით, ერთ სატირულ ნარკვევს (ლაპარაკია მ. სალტიკოვ-შჩედრინის სატირაზე) „შეუძლია მეტი გააკეთოს რუსეთში თავისუფალი აზრის განვითარებისათვის, ვიდრე მთელმა უკრაინულმა ლიტერატურამ გააკეთა სამოციანი წლე-

ბიდან დღევანდელ დღემდე" [1]. ასეთი მაღალი შეხედულებისა იყო იგი ამ ჟანრზე და ალბათ ამიტომაც დაიწყო დიდი რუსი მწერლების მ. სალტიკოვ-შჩედრინისა და ნ. ვ. გოგოლის ნაწარმოებების თარგმნა. ჯერ კიდევ 1877 წელს ივ. ფრანკომ თარგმნა და ჟურნალ „დრუგში" გამოაქვეყნა სალტიკოვ-შჩედრინის რამდენიმე მოთხრობა და თან შენიშვნებიც დაურთო. სადაც აღნიშნა მწერლის სატირული მახვილის მომაკვდინებელი ძალა. განსაკუთრებით ამახვილებდა იგი ყურადღებას შჩედრინის პოლიტიკურ სატირაზე. იმავე 1877 წელს ჩაიფიქრა მან ნ. ვ. გოგოლის „მკვდარი სულების" თარგმნაც. სწორედ ამ პერიოდშივეა შექმნილი ივან ფრანკოს ორიგინალური სატირული მოთხრობებიც.

პირველი რეალისტური ნაწარმოებები მწერალმა გააერთიანა ერთ კრებულში „რუტენეცი" [2] და გამოსცა თავდაპირველად პოლონურ ენაზე 1878 წელს, შემდეგ რუსულად — 1913 წელს. კრებულში მოთავსებულ მოთხრობებში ფრანკომ შექმნა ახლადფეხადგმული ბურჟუაზიის სოციალური ტიპების მხატვრული სახეები, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო ყოვლისშემძლეთა წინაშე ქედის მოხრა და კუდის ქიცინი, ეგოიზმი, პარაზიტიზმი, სიბინძურე და ორგულობა, სამშობლოსა და ხალხის სიყვარულზე ლამაზ-ლამაზ ფრაზებს ამოფარებული. ამგვარ ტიპს მწერალმა მოხდენილად მოარგო სახელი და ორაზროვნად უწოდა რუტენეცი.

ერთ-ერთი პირველი მოთხრობა იყო „პატრიოტული აღტყინება" (1878), რომელშიც საუბარია „მოსკვოფილურ" ინტელიგენციაზე. ისინი ერთ ყინვიან საღამოს მამა ილიასთან შეიკრიბნენ. „მოსკვოფილი" ინტელიგენტი გაზეთ „სლოვოზე" ხელმოწერას აგროვებს ხალხში.

გაზეთ „სლოვოს" გამოცემა დაიწყო 1861 წელს. გაზეთში ქვეყნდებოდა უკრაინული „მოსკვოფილური" ინტელიგენტების წერილები, რომლებშიც მოუწოდებდნენ ყველა უკრაინელს გაერთიანებულიყვნენ ავსტრიის სამეფო ტახტის ირგვლივ. „მოსკვოფილებმა"

---

[1] ი. ფრანკო, მ. ე. სალტიკოვი (შჩედრინი), წიგნში: ი. ფრანკო, რჩეული ნაწერები, ტ. V, 1951, გვ. 283.

[2] რუტენეც (ავსტრია-უნგრეთში მცხოვრები უკრაინელი); (ხანდახან-კიღევ)—ოუსინი. იხ. უკრაინულ-რუსული ლექსიკონი, ტ. V, 1962 წ. აგრეთვე პოლონურ-რუსული ლექსიკონი. მოსკოვი-ვარშავა, 1960 წ.

მოიწვიეს ხელმძღვანელად გალიციელი მიტროპოლიტი იაკიმოვიჩი. „სლოვოს“ რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ თავის დროზე გაილაშქრა ნ. გ. ჩერნიშევსკიმ სტატიაში „ნაციონალური უტაქტობა“. გაილაშქრა აგრეთვე ივან ფრანკომაც პუბლიცისტიკისა და პოეზიის მოშველიებით. ამ თემასვე მიუძღვნა მან პროზაული ნაწარმოები „პატრიოტული აღტყინება“.

ნაწარმოებში ავტორი მოგვითხრობს მხიარულ და ხმაურიან ახალგაზრდობაზე, რომელიც ლაღად ატარებს ცხოვრებას, ოცნებობს ახალ-ახალ გართობებზე და უფროს თაობასთან ერთად წყევლა-კრულვას უთვლის უკრაინელებსა და სოციალიზმს. ადიდებს მეფეს, რომელიც „კარგად“ გაუსწორდა პოლონელ აჯანყებულებს, აქვე საუბარია აგრეთვე გლეხის ცოლზე, რომელიც გაყინულ ჭოხში სიკვდილს ებრძვის. სწორედ იმ დროს, როდესაც უბედური გლეხი ცდილობს ცოლის გადარჩენას, მღვდლის სახლში ფულს აგროვებენ „სლოვოს“ რედაქციის სასარგებლოდ. „ყველა ის ფული, — გვეუბნება მწერალი, — ატარებდა ოფლის, გაუბანელი, უხეში ხელების კვალს“.

და ეს ორი ამბავი ნაწარმოების დასასრულს ერთად იყრის თავს. დასასრული კვანძის გახსნაც არის ამავე დროს. „მოსკოვიჩების“ პატრიოტული აღტკინება გამოვლინდება მშრომელი ხალხიდან უსარგებლო, მავნე გაზეთის სასარგებლოდ ფულის ამოქაჩვაში. იმ დროს, როდესაც აგროვებდნენ თანხას და წერდნენ „პატრიოტულ წერილს“ გაზეთ „სლოვოს“ რედაქტორს, გლეხის მეუღლე გარდაიცვალა. „ხალხის ქომაგი“ მამაო ილია ღატაკი ქალის დასაფლავებაში გლეხს იმდენ ფულს ართმევს, რომ მშრომელ კაცს სულის გარდა აღარაფერი შერჩება.

ივან ფრანკო ხედავდა, რომ გალიციელი ბურჟუაზიელი ნაციონალისტები ეროვნული კულტურის ერთადერთ მატარებლად უპირველესად სამღვდელოებასა და ინტელიგენციას მიიჩნევდნენ, ხოლო ინტელიგენციის წარმომადგენლები უმთავრესად ისევ და ისევ სამღვდელოების წრიდან, მათი ოჯახებიდან იყვნენ გამოსული. ივან ფრანკო თავის სატირულ მოთხრობებში შეეხო ამ თემასაც და კბილი გაჰკრა სამღვდელოებასა და ინტელიგენციას და ამხილა ისინი, როგორც ცრუ პატრიოტები, გამომძალველები. სწორედ ასეთი გა-

მომძალველის ტიპი წარმოაჩინა მწერალმა მოთხრობაში „ჩვეულებრივი ადამიანი“ (1878).

ნაწარმოების ცენტრალური გმირი სტუდენტი მარიანი, რომელიც დიდი გატაცებით ლაპარაკობს პოლიტიკაზე, ლიტერატურაზე, სამეცნიერო პრობლემებზე, დაჟინებით ცანცლავს ფულებს თავის ღვიძლ ძმას, ღარიბ გლეხს. პანი მარიანი ამხანაგებს ფულებს პროცენტებით ასესხებს, ხელიდან აცლის ხელსაყრელ სამსახურს თავისავე მეგობარს, ფულის გულისათვის მზადაა ნებისმიერ დროს მიატოვოს უნივერსიტეტი.

ივან ფრანკოს ესმის, რომ ახლადფეხადგმულმა ბურჟუაზიამ გარკვეული გზა უნდა გაიაროს, მან იცის, რომ ესაა საზოგადოებრივი განვითარების აუცილებელი ფაზა და სურს, რომ გონების წყალობით ყოველივე ეს კეთილი გზით, ადამიანის სასიკეთოდ წარმართოს. თუმცა ისიც კარგად იცის, რომ „ისეთი ადამიანი, როგორიცაა მარიანი, სიკეთეზე, ადამიანის კეთილდღეობაზე ვერ იფიქრებს“. ამის მიუხედავად ავტორი მაინც თავის დამშვიდებას ცდილობს და ასკვნის: „მაგრამ ეს საზოგადოების განვითარების მხოლოდ გარდამავალი ფაზაა...“ თუმცა ხაზგასმით აღნიშნავს იმასაც, რომ მომავალზე ფიქრის დროს „შეშფოთების ცივმა ტალღამ დაჰკრა“.

პანი მარიანის მსგავსი ჩვეულებრივი მოვლენაა ბურსაკი მიხასი თავისი მეგობრებითურთ. მომავალი მღვდლები, „ხალხის სულიერი მამები“ და „განმანათლებლები“ ივან ფრანკოსთან დახატული არიან როგორც გონებაჩლუნგი, გონებაშეზღუდული ახალგაზრდები. ისინი უფრო უფროსების მონა-მორჩილ დამფრთხალ ჯოგს ემსგავსებიან, როცა სადილად, როგორც წყალობას, ისე ელიან ძეხვის ერთ ნაჭერს. „ძეხვი, ძეხვი სადილზე!“ — მესმოდა სულ. და ეს „ძეხვი“ ჩემს მეხსიერებაში უწყვეტადაა დაკავშირებული „ახალგაზრდა ბურსაკული რუსეთის“ ცნებასთან, — შენიშნავდა თავის ნაწარმოებში ივან ფრანკო.

80—90-იან წლებში ივან ფრანკოს სატირა ახალ ძალას და ნიშან-თვისებას იძენს. წინა პლანზე წამოიწევს სატირული მოთხრობა, ზღაპარი, ფელეტონი. იქმნება და იხვეწება ახალი სახეები, უმთავრესად ესაა ცრუდემოკრატების, კარიერისტების, „ხალხის მსახურთა“ სახეები. ასეთ ნაწარმოებებში პუბლიცისტურობა უფრო მძაფრად, გაშიშვლებულადაა წარმოდგენილი, ნაკლებადაა დიდაქტიკური შე-

გონებანი, სადაც მოქმედების გახვითარების ლოგიკა სინაშდვილის, ფაქტის, მოვლენის გახსნის, გაშიფრვის საშუალებას იძლევა. ნიშანდობლივია ამ მხრივ ნაწარმოები „დოქტორი ბესერვისერი".

„დოქტორი ბესერვისერი" მწვავე სატირაა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენციის ორპირობაზე, ფარისევლობაზე, სულიერ სიღატაკეზე. დოქტორი ბესერვისერი ჩვეულებრივი ტიპია. მისი მსგავსი ადამიანები გვხვდებიან ყოველ ნაბიჯზე, იგი ყველას იცნობს და ყველასთან მორიგებით ყოფნას ახერხებს, თუმცა არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის, ქამელეონს გავს. მერყევი და ფლიდია.

„ბოროტი ენები ამტკიცებენ, — წერს ავტორი, — რომ მას არავითარი მრწამსი არ გააჩნია. ახლოს ვიცნობ რა პატივცემულ დოქტორს, კატეგორიულად უნდა უარვყო ეს აზრი: მრწამსი არა აქვს? იგი უფრო მეტი აქვს, ვიდრე საჭიროა. მას სხვადასხვაგვარი მრწამსი გააჩნია, ასე ვთქვათ, ძარაგად. ერთი გაცვდება — არაფერი არ აფიქრებს, მეორეს ამოაძვრენს, ახალთახალს... დოქტორი ბესერვისერი ახლა თავის იქ ყოფნით აბედნიერებს რადიკალთა წრეს, ცოტა მოგვიანებით მგზნებარე პოლონელი ჟურნალისტების წრეში თავის დარდს აფრქვევს იდეალების თაობაზე, საღამოთი ანუგეშებს შეფიქრიანებულ „კონსტრუქციულ ელემენტებს".

ფერისცვალება ინტელიგენტის მხატვრულ სახეს მწერალი სხვა შტრიხებითაც „ამდიდრებს". „სახლიდან გაძოსვლისას, — წერს ავტორი, — არასოდეს არ ივიწყებს ჯიბეში სამი ბაფთის ჩადებას: თეთრ-წითელის, ყვითელ-ცისფერის და შავ-ყვითელის. როგორც კი შორიდან თვალს მოჰკრავს პოლონელ პატრიოტს, დაიკიდებს თეთრ-წითელ ბაფთას გულზე და კი არ გარბის, მიფრინავს ხელებგაშლილი, კი არ ამბობს, ყვირის: თავისუფლება! თანასწორობა! ძმობა!"

მას რომ დაემშვიდობება, შორიდან უკრაინელს შენიშნავს — აჰა, მარცხენა ლაცკანზე დაიბადა ყვითელ-ცისფერი ბაფთა. ჩემი გმირი გაიფხორა როგორც კიოტა ქარში, და ბოხი ხმით ჩაიბუბუნა: „ღმერთი ჩვენთანაა".

მაგრამ, თუ გზაზე შემდგომ გუბერნატორის მოხელეს დაინახავს — ოჰო, ზედ გულზე მიიბნევს შავ-ყვითელ ბაფთას. ხდება თხელი და გრძელი, წელში ტყდება სამმაგად, ცილინდრით ტროტუარს ეხება და როგორც ტოროლა ჟღურტულებს: „თქვენი უმორჩილესი მსახური, ბატონო გოფრატო, უმდაბლესად მოგესალმებით".

და, რაც მთავარია, ყოველივე ამას იგი აკეთებს ისეთი სიმშვიდით. „ხელის ისეთი თავისუფლებით, რაც ჭეშმარიტად უმაღლესი ყაიდის ხალხს ახასიათებს. ვისაც ივი დღეს ასე გულგახსნით ეხვევა, მას ხვალ სახეში შეაფურთხებს“.

ასეთი საოცრად ძლიერი შტრიხებით დაგვიხატა ივან ფრანკომ პოლიტიკური ლაქუცას, გალიციის ნაციონალისტური ინტელიგენციის სახე.

ივან ფრანკო ამ ნაწარმოებში ქმნის ტიპური „გმირის“ სახეს. იგი ტიპიზაციას უკვე სათაურით იწყებს. მწერალმა თავის პერსონაჟს გერმანული გვარი მისცა. ბესერვისერი გერმანულად ყოვლისმცოდნეს ნიშნავს, რათა გვიჩვენოს, რომ ფაქტიურად მისმა „გმირმა“ არაფერი არ იცის და იგი მხოლოდ ფლიუგერს გავს, რომელიც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური შემთანხმებლური პოლიტიკის ქარის ქროლას ემორჩილება.

ასეთივე განმაზოგადებელ მხატვრულ ტიპიზაციას აღწევს მწერალი ნაწარმოებში „ოპოზიცია“. ეს სატირული ზღაპარი ნაციონალ-შემთანხმებელთა პოლიტიკურ გამცემლობას ეხება. გალიციელი „ადამიანები“ ენით ულოკავდნენ ჩექმებს ავსტრია-უნგრეთის შლიახტას დიდკაცობას, რათა როგორმე ხელთ ჩაეგდოთ მაღალი თანამდებობა, სათავეში მოჯდომოდნენ ხალხს. ოპოზიცია ნაწარმოებში გამოყვანილია როგორც ნაციონალისტების ალეგორიული განსახიერება. იგი ხმაურობს, ყვირის შევიწროვებებზე, მოითხოვს თანასწორუფლებიანობას, თამაშობს მიუკერძოებელი, პრინციპული ადამიანის როლს, არავითარ დათმობაზე არ მიდის. მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ყველაფერი ნათელი ხდება. იგი იმიტომ ყვიროდა ამდენს და იპყრობდა ყველას ყურადღებას, რომ მისთვის უფრო ხელსაყრელ პირობებში შეთანხმებოდა პოლონეთის შლიახტასა და ავსტრიის ხელისუფლებას, რომლებსაც ჭირის დღესავით ეზიზღებოდათ მშრომელი ხალხი.

პერემისნიკი, რომელიც ნაწარმოებში ასახიერებს გალიციელ — პოლონელ ხელმძღვანელობას, ეკითხება ოპოზიციას:

„— ბოლოს და ბოლოს რა გინდათ თქვენ? რა გსურთ?

— თანამდებობები! ავანსები! — წაიჩურჩულა ოპოზიციამ.

— ჰოდა ასე თქვით, — თქვა პერემისნიკმა, — ასე გეთქვათ თქვე დალოცვილო. თქვენ კი დაიჩემეთ: თანასწორუფლებიანობა და თა-

ნასწორუფლებიანობა... არასოდეს მდიდარი ღარიბის თანასწორი არ იქნება, მეცნიერი — უვიცისა, ჯკვიანი — სულელისა. რამდენიც გნებავთ იკნავლეთ, თუ გინდ მეორე მოსვლამდე, ვერაფერს ვერ გამოგეტყუებთ, ხოლო თანამდებობები, ავანსები — ეს სხვა საქმეა, ეს რეალური პოლიტიკაა. აქ ჩვენ მტკიცე ნიადაგზე ვდგავართ. ამაში შეიძლება შევთანხმდეთ. და მე დარწმუნებული ვარ, შევთანხმდებით". ოპოზიციამ ხელზე აკოცა პერემისნიკს და მხიარულმა გასწია შინისაკენ. შეთანხმდნენ.

ეს ნაწარმოები იმდროინდელი ცხოვრების ფაქტებია აგებული. მკვლევრებმა მიაქციეს ყურადღება ერთ მომენტს — გვარებს. მაგალითად, პერემისნიკი ეს გალიციის შეფის ნაცვალია (ნამესტნიკი), რიაბკო ხელტი — ავსტრიის დიდი მოხელე რაიხელტი და ა. შ. ასე რომ, მწერლის კალამი სატირის ობიექტად რეალურ ადამიანებსა და მოვლენებს ირჩევდა.

ამასთანავე ნაწარმოები, რომელიც გამსჭვალულია ნაციონალისტური ბურჟუაზიისადმი მწვავე სიძულვილითა და სარკაზმით, დაიწერა 1891 წელს მომხდარი შემთანხმებლური აქციის შემდეგ. გამოქვეყნდა იგი 1897 წელს. ამას თავისი ახსნა აქვს. თვით ივან ფრანკო წერს: „ეს ზღაპარი დაიწერა 1891 წლის დასაწყისში, ე. წ. „ახალი ერას" გამოცხადებიდან მცირე ხნის გავლის შემდეგ და გამიზნული იყო „ნაროდისათვის" (გაზეთი „ნაროდ" ივ. ფრანკოს თანარედაქტორობით გამოდიოდა ლვოვში. — ო. ბ.).

„ოპოზიციას" ეხმაურება მოთხრობა „ღორი" (1870), რომელშიც გამოყვანილია უკრაინული ბურჟუაზიული მოღვაწის კრებითი სახე. ღორი ალეგორიული სახეა, ისევე როგორც ოპოზიცია, სეიმის გამყიდველი დეპუტატისა, მექრთამეობისა და შანტაჟის ჭაობში რომ ტივტივებს. ფრანკოს ღორი არ ზეიმობს როგორც შჩედრინისა, იგი უკმაყოფილოა. განსაკუთრებით აღიზიანებს მას ახალი თაობა, ახალგაზრდობა, რადგანაც ისინი „ღორული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ გამოდიან". თუმცა ასეთ დეპუტატებს—ღორებს—ეფერება ავსტრიის მონარქი, სწორედ ასეთი დეპუტატი-ღორები სჭირდებათ ავსტრიის ხელისუფლებას, აღნიშნავს ივან ფრანკო.

ავსტრიის ხელისუფლების წარმომადგენელი პოლონელი შლიახტიჩი და სეიმში არჩევნების დროს მისი დანაშაულებრივი მაქინა-

ცოები ამხილა მწერალმა თავის მორიგ სატირულ ნაწარმოებში „მკაცრზე უმკაცრესი მამასახლისი“ (1899).

კონკრეტულ მასალაზეა დაწერილი მოთხრობა „ერთი კონფისკაციის ისტორია“ (1899). ესაა სატირა ავსტრიულ ცენზურაზე, ბურჟუაზიული პრესის „თავისუფლებაზე“. მწერალი დიდხანს მუშაობდა უკრაინულ, პოლონურ და გერმანულ გაზეთებში, კარგად იცოდა ჩახედული „თავისუფალი“ პრესის მექანიზმში. ამიტომაც ასე დაუნდობლად დასცინა მან ბურჟუაზიული პრესის თავისუფლებას, ოპოზიციის დემაგოგიურ თამაშს.

ივან ფრანკომ გაზეთის ერთი ნომრის კონფისკაციის მაგალითზე სააშკარაოზე გამოიყვანა ავსტრიული მონარქიის, პრესის კონსტიტუციით მინიჭებული „თავისუფლება“. ის მექანიზმი, რომელსაც პრესაზე მეთვალყურეობის სახელმწიფო აპარატი მოჰყავს მოქმედებაში, ხდება გაზეთისა თუ ჟურნალის კონფისკაცია და აჩვენა ამ „თავისუფლების“ სიყალბე, მოჩვენებითობა.

ნაწარმოებში „ერთი კონფისკაციის ისტორია“ მოთხრობილია ამბავი იმის თაობაზე, რომ ავსტრიელი მოხელე, „მისი აღმატებულება“ გაზეთის რედაქტორთან ერთად ჩაიფიქრებს გაითამაშოს სახელმწიფო მოღვაწის თავისუფლებისმოყვარეობის მორიგი სცენა. „საშიშმა ოპოზიციონერმა“ პირადად მოინახულა მისი აღმატებულება და ზოგიერთი „მეტად ორიგინალური შეხედულება გადაუშალა“ ჟურნალისტიკის დამოუკიდებლობაზე. პოლონელი „დემოკრატი“ უსაბუთებს დიდ მოხელეს, რომ „პოლონური ჟურნალისტიკა გალიციაში მძიმე მდგომარეობაშია, იგი მტრულად განწყობილ სხვადასხვა ელემენტს ებრძვის. ამიტომ უპირველეს ყოვლისა დამოუკიდებლობის მოპოვებას უნდა შეეცადოს“. ეს დამოუკიდებლობა კი, თურმე, მისი მოწოდებაა. „საშიში ოპოზიციონერი“ ბრჭყალებს ხსნის სიტყვას და ჩამოაყალიბებს თავის აზრს ამ დამოუკიდებლობის შესახებ. მას სურს დამოუკიდებლობა არა მარტო ზემდგომი ორგანოებისაგან, არამედ „ბევრად უფრო უარესი მტარვალებისაგან“, „მასების მტარვალებისაგან, პარტიულებისაგან, პოლიტიკური კრიტიკოსებისა და მოძღვრებისაგან“. მისი აზრით, მას საშუალება უნდა მიეცეს „წარმართოს საზოგადოებრივი აზრი, გადაუხვიოს ზოგჯერ მარჯვნივ, ზოგჯერ მარცხნივ, როგორც ამას ნაციონალური ინტერესები მოითხოვენ“.

ამგვარი საუბრის საბოლოო დასკვნა კი ასეთია: იმისათვის, რომ მთავრობის ნებასურვილისამებრ წარვმართოთ ჩვენი საქმიანობა, საჭიროა „ჟურნალისტიკისაგან დამოუკიდებლად მატერიალური უზრუნველყოფა". მან კარგად იცის, რომ მისი ერთგული სამსახური შეიძლება მატერიალურად შეფასდეს, ანაზღაურდეს. გარდა ამისა „ადმინისტრაციულ თუ ავტონომიურ ასპარეზზე გამოინახება არა ერთი და ორი კარგი სამსახური, სადაც შრომა ნაკლებია, ჯამაგირი კი რიგიანი".

ამგვარი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაზეთის მოწინავე წერილში უნდა გამოთქმულიყო მოსაზრებანი, რომლებიც „მისი აღმატებულებისათვის" ხელსაყრელი იქნებოდა. გაზეთის „პოლონური სათივის" ნომერი უნდა ყოფილიყო მისი მეცადინეობის ნაყოფი, მისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დაგვირგვინება. ამიტომაც ელის თავისი ჩანაფიქრის განხორციელების შედეგს — გაზეთის გაბოსვლას მისი აღმატებულება და რადგანაც გაზეთის გამოსვლა შეგვიანდა, რეკავს პოლიციის დირექტორთან და ეკითხება: „პოლონური სათივის" დღევანდელი ნომერი დაკავებულია?".

ეს შეკითხვა საკმარისი გახდა იმისათვის, რომ პოლიციისა და პროკურორის აპარატი ამოძრავებულიყო. სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და გაზეთი დააკავეს. კონფისკაცია გაუკეთეს სწორედ იმ ნომერს, რომელზეც იმედებს ამყარებდა ავსტრიელი დიდი მოხელე და მასთან ერთად გაზეთის რედაქტორიც.

მწერალმა ერთი კონფისკაციის ისტორიაში ამხილა ის თავისუფლება, რომელსაც იცავდა გალიციის ნაციონალისტური ბურჟუაზია, პრესა, რომელსაც მთლიანად ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხელისუფლების მითითებით მიჰყავდა გაზეთი და დემაგოგიურად ცდილობდა მშრომელი საზოგადოებრიობის შეცდომაში შეყვანას.

ზღაპრები, ფელეტონები და „პრიტჩები" საკმაოდ აქვს შექმნილი ივან ფრანკოს. მათში მოქმედება მიმდინარეობს როგორც რეალურ, ისე ფანტასტიკურ სამყაროში, ოღონდ ისე, რომ ნათლად ისახება ადამიანების ჩვევები და ჩვეულებანი, მათი ტკივილები და ოცნებანი. ასეთია ზღაპარი „სად ქრებიან ძველი წლები" (1894), სადაც მწარე დაცინვაა „მოსკვოფილური" პრესისა და ლიტერატურის, ზღაპარი — „როგორ დაიტეხა პანმა თავს უბედურება" (1887) და სხვ.

გაცილებით ფართოა ზღაპრის „როგორ ხეტიალობდა რუსინი იმ ქვეყანაში" (1887) თემა. ივან ფრანკომ რუსული პოლიტიკური სატირის მსგავსად ალეგორიულ-ზღაპრული სახით სატირულ ფორმაში მოგვითხრო გალიციელი მშრომელების შავბნელ ცხოვრებაზე, გალიციელი გლეხობის გაუხარელ ყოფაზე. აძხილა ავსტრიული მონარქიის კოლონიზატორული პოლიტიკა. ასეთი სამყაროს მკვიდრის რუსინის — უკრაინელის — შესახებ მოგვითხრობს ავტორი თავის ზღაპარში. რუსინს ამ ქვეყნიდან „გაისტუმრებს" სამი მისი მკურნალი, რომლებიც ცდილობენ „განკურვნას" უმძიმესი „ავადმყოფობებისაგან". ერთი სპობდა მას ფიზიკურად, მეორე ახშობდა მის ბუნტაოულ, ჰაიდამაკის სულისკვეთებას, მესამე ეროვნული დამოუკიდებლობის გრძნობებს. პოლონელი შლიახტას მიერ გამოცხადებული ლოზუნგის — „არ არსებობს რუსეთი" — შემდეგ რუსინი არ მიიღეს ჯოჯოხეთში. ლიუციფერს ხალხების სიაში არ ჰყავდა შეყვანილი რუსინები. რუსინი არ მიიღეს არც სამოთხეში, რადგან წმინდა პეტრეს თავის დავთრებში ჩანიშნული ჰქონდა მისი „ცოდვები" ყოველივე ეს ზღაპარში გადმოცემულია ცოცხალი, ყოფითი დეტალებით გამდიდრებული დიალოგით. წინა პლანზე წამოწეულია სიტუაციის კომიზმი. რუსინმა მიუკაკუნა პაწია ციურ სარკმელს და შეშვება სთხოვა წმინდა პეტრეს.

„—ვინ ხარ?—შეეკითხა იქიდან პეტრე.

— მე რუსინი ვარ, — უპასუხა ჩვენმა გმირმა.

— რუსინი... რუსინი... რუსინი... ჩაიკრუტუნა წმინდა პეტრემ. — ერთი წუთით მომითმინე, შენს კონდუიტში უნდა ჩავიხედო. ე — ე, ძმაო, შენ თურმე გაიდამაკი ხარ!"

მაგრამ ამ „ცოდვის" აღმოჩენით არ დაკმაყოფილდა წმინდა პეტრე.

„—შენ კიდევ გქონია სხვა ცოდვები! — შენ ძმაო, საფუძველს უთხრიდი სახელმწიფოსა და ეკლესიას.

— ვინ? მე? როდის? როგორ?

— ე, ამაზე დიდხანს მოგვიხდებოდა საუბარი... წაიკითხე კრაკოვის „Czas", თვითონვე დარწმუნდები".

ასე არ შეუშვეს საბრალო არც სამოთხეში და აიძულეს დაბრუნებულიყო ცოდვილ დედამიწაზე.

ამავე თემაზეა დაწერილი სატირული ზღაპარი „ტყაპუჭის თავგადასავალი“ (1892). ერთი „უბრალო ცხვრის ტყაპუჭი... დიდი ხნის ნახმარი, ადამიანის ოფლით გაჟღენთილი, — დროთა ვითარებისაგან უფერულად დასერილი“ — იყო ღარიბი გლეხის მთელი ოჯახის ერთადერთი ზამთრის ტანსაცმელი. როგორც კი აცივდებოდა, მთელი ოჯახი სახლში შეიკუმშებოდა, გარეთ ვეღარ ჰყოფდა ცხვირს და ამ ერთი ტყაპუჭის შემყურე იყო. ამ ტყაპუჭის „ისტორია“ გლეხის ოჯახის საშინელი სიღატაკის სურათს გვიხატავს.

„როგორც კი პირველივე მამლები იყივლებენ, ჩემი პატრონი უკვე ფეხზეა, — ყვება ტყაპუჭი, — ჩხუტიდან ჩამოწხსნის და ბოსლისკენ მიეშურება..., რათა საქონელს შვრიაში არეული საკვები დაუმზადოს; დიასახლისი კი მხრებზე ძონძხურავს და მიდის ბოსელში ძროხების მოსაწველად. დაბრუნდება თუ არა იქიდან ისევ ჩემი პატრონი ჩამიცვამს და მიდის ეზოში — შეშის დასაჭრელად. დაჭრის შეშას, ჭაზე წყალს დაალევინებს ცხენებს, პირუტყვს, მიზიდავს წყალს და ქოხში ბრუნდება, — მე კი შესვენება არა მაქვს. მერე ჩამიცვამს გოგონა, მისი ქალიშვილი, ის ხომ მდიდარ მეზობელთან სართავად მთელი დღით უნდა წავიდეს ერთი ჩამჩა საჭმლისა და გულითადი მადლობის გულისათვის. როგორც კი გოგონა მათთან მივა, იმ მდიდრის მოჯამაგირე მაშინვე მიმარბენინებს სახლში, — ჩე ხომ ახალი სამსახური უნდა გავწიო, ჩემი პატრონის შვიდი წლის ბიჭუნა, შესჭამს თუ არა ერთ ნაჭერ პურს ნიორთან ერთად და ერთ ჯამ ხავიწს, სკოლაში უნდა წავიდეს. აი, ეს ბიჭუნა მომიხურავს თავის პატარა მხრებზე, მართალია, ფეხის ქუსლამდე ვწვდები, მიწაზე მიმათრევს, მაგრამ მაინც მიდის სკოლაში. ჯერ კიდევ სკოლის შესასვლელში ამ ბიჭუნას გააძრობს ხოლმე მეზობლის მოჯამაგირე, რომლის მდიდარ პატრონს ჩემი მფლობელი ან საფქვავს უფქვავს, ან ნეხვით დანაგვიანებულ ბოსელს უსუფთავებს. შუადღისას კი, როდესაც ბავშვები სკოლიდან ბრუნდებიან, ისევ ის ბიჭი წამიღებს სკოლაში“. და ასე მხრებიდან მხრებზე გადააქვთ ტყაპუჭი, ხან ერთი იცვამს, ხან მეორე.

მაგრამ მოხდა უბედურება. პატარა იურკო გაცივდა და ავად გახდა. მასწავლებელმა ადგილობრივ ხელისუფლებას შეატყობინა, — ბავშვი სკოლაში აღარ დადისო და ამის გამო მამამისს ჯარიმა დაადვეს — ერთი გულდენი შეაწერეს. ამოდენა თანხა კი გლეხს არ

მოეპოვებოდა. ფულის ნაცვლად ტყაპუჭი წაართვეს და ებრაელ იუტკას საკუჭნაოში უკრეს თავი.

ნაწარმოებში ნაჩვენებია ღარიბი გლეხობის გამოუვალი ეკონომიური სივიწროვე, საოცარი სიღატაკე და ხელისუფლების „ზრუნვა“ ხალხის განათლებაზე.

ხელისუფლების ამგვარი „ზრუნვა“ ხალხისადმი ჩანს კონსტიტუციაში, რომელსაც მწერალი „ღორულს“ უწოდებდა. სატირული ასახვის ზენიტს ივან ფრანკომ მიაღწია სწორედ ნაწარმოებში „ღორული კონსტიტუცია“ (1896), რომელიც მწერალმა შექმნა ზბარაჟში, აღმოსავლეთ გალიციაში სახალხო კრებაზე გლეხი პროპაგანდისტის ანტონ გრიციუნიაკის გამოსვლის საფუძველზე.

სატირულ მოთხრობაში მწერალმა მწვავედ გააკრიტიკა და დასცინა 1869 წელს გამოცხადებულ ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ბურჟუაზიულ კონსტიტუციას. ავსტრიის ბურჟუაზიულმა კონსტიტუციამ, რომელიც შეიქმნა როგორც შედეგი 1848 წლის რევოლუციისა, ხელისუფლება კვლავ გაბატონებული კლასების ბიუროკრატიის ხელში დატოვა, მშრომელი მასები კი — კვლავ სიბნელეში და უფლებააყრილი. მწერალმა გაილაშქრა მშრომელი ხალხის აბუჩად აგდების წინააღმდეგ, რაც დაკანონდა კონსტიტუციის ძალით და დაგვიხატა სურათი, სადაც სატირული სიმწვავით ამხილა ხელისუფლების „ზრუნვა“ მშრომელ ადამიანზე.

მოთხრობის რეალურმა საფუძველმა განაპირობა მისი კომპოზიცია: მოთხრობაშიც ცენტრალური ადგილი გლეხი ანტონის გამოსვლას ეთმობა და იგი ავტორის კომენტარებითაა შემკული. თვით მთხრობელის სახე ავტორმა მსუბუქი იუმორის მოშველიებით რბილ და ნათელ ფერებში წარმოადგინა: გრიციუნიაკი გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი გლეხია, მაგრამ მსმენელებზე რომ გავლენა მოახდინოს, „განათლებული“ ხალხის მსგავსად ჭაღალდს მოითხოვს და წინ დაიდებს, როგორც თავისი სიტყვის კონსპექტს“.

„— დიახ, თუ უნდა ვილაპარაკო, — მიმართა გრიციუნიაკმა რბილი ხმით ახლო მდგომთ, — წინ ქაღალდი უნდა მედოს. მე ხომ, თუ სიმართლე გნებავთ, უსწავლელი კაცი ვარ, მაგრამ ჩემი საქმე ვიცი და უქაღალდოდ ვერ ვახერხებ ლაპარაკს, დაე, თუნდაც საგადასახადო წიგნაკი იყოს ეს“.

ნაწარმოების პირველი ნაწილის მთავარი იდეაა: ბატონისა და გლეხის ურთიერთობაში გლეხობის ჩაგვრის ძველი და ახალი ფორმები, ბატონზე გლეხის დამოკიდებულების ახალი დაფარული ფორმები. ბატონყმური ურთიერთობის განვითარება, ახალ უფრო მძიმე ფორმებში. ადრე, ხათქვამია ნაწარმოებში, ბატონის კაცი ყოველდღე ყოველ ქოხს მიადგებოდა ჯოხით ხელში და სამუშაოზე ერეკებოდა ხალხს, საბატონო ბეგარაზე ძალით აგდებდა გლეხებს, ახლა, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მდგომარეობა გაუარესდა. გლეხისაგან სისხლის გამოწოვის ფორმა შეიცვალა. „ახლა როგორღაა საქმე, — ყვება გრიციუნიაკი, — აი როგორ: ...ახლა გლეხი თავისი ნებით დგება დილით ადრიან, იღებს ქათამს ან ოციოდე კვერცხს და მიდის ატამანთან, რომელსაც ახლა პან რჟონცა (მოურავი) ეწოდება, მიართმევს ამ საჩუქარს და სთხოვს: დაჩოქილი გემუდარებით მამეშაოთ ბატონის მიწაზეო. ხოლო თუ საჩუქარს არ მიუტანს, პან რჟონცა კარგად წაუთაქებს თავში და სრულ თავისუფლებას მისცემს... სული ამოხდეს შიმშილით“.

ამ სცენის დახატვით მწერალმა ამხილა კაპიტალიზმის დროს მშრომელი გლეხობის ბურჟუაზიული „თავისუფლება“ — შიმშილით სიკვდილის თავისუფლება.

მოთხრობის მომდევნო ორ ეპიზოდში საუბარია „ღორულ“ და „გლეხურ“ კონსტიტუციაზე. გრიციუნიაკი ხალხს, როგორც თვითონ ამბობს, „ნამდვილ კონსტიტუციაზე“... ისეთზე, როგორც ის ცხოვრებაში გამოიყურება“, ესაუბრება და უყვება ამბავს, რომლის მხილველიც თვითონ იყო. ტარნოპოლში მიმავალი ანტონის წინ უცნობ ცოლ-ქმარს ოთხთვალაში ღორი ჰყავდათ დაბმული და ბაზარში გასაყიდად მიჰყავდათ. საყარაულოსთან ჟანდარმმა გააჩერა ოთხთვალა, გალანძღა გლეხი და თან დასჯით დაემუქრა: „როგორ მიგყავს ღორი? ჰა! — შეჰყვირა ჟანდარმმა, — ვერა ხედავ ღვედისაგან ფეხები როგორ გასივებია? აი, შე ზარმაცო, შე ურცხვო, შენა! განა არ იცი, რომ აკრძალულია საბრალო ცხოველის მაგრე წამება?“. სთქვა და მივარდა ოთხთვალაში დაბმულ ღორს, „ისე სწრაფად გადასჭრა ღვედები, რომ სიჩქარეში ფეხები დაუსახიჩრა. გასწი ახლა, მიაძახა ჟანდარმმა პოლიციაში! ღირსეულად უნდა დაისაჯო!“. გლეხმა ქრთამის მეშვეობით ძლივს დააღწია პოლიციას თავი. ასე იცავდა პოლიცია ღორს, ასეთი იყო „ღორული“ კონსტიტუცია.

მაგრამ როგორიღა იყო „კლეხური კონსტიტუცია?“.

იმავე საღამოს ანტონი ტარნოპოლიდან შინ ბრუნდებოდა. სადარაჯოსთან კვლავ ბრაზიანი ჟანდარმი იჯდა თავისი გაპრიალებული დანით და წყნარად აბოლებდა ჩიბუხს. ამ დროს გზაზე ორი კაცი გამოჩნდა, რომელსაც უკან ჟანდარმი მოჰყვებოდა. ორივე პატიმარი ბორკილებში იყო ჩაჭედილი და ერთმანეთზე ჯაჭვით მაგრად გადაბმული. ამ ორმა შებორკილმა ადამიანმა და ჟანდარმმა მშვიდობიანად ჩაუარეს ბრაზიან ჟანდარმს და იგი „ბრაზიანი ბატონი არა თუ არ მივარდა ჟანდარმს, ფეხზე წამოდგა და დიდის მოწიწებით თავიც დაუკრა“. აი, ასე გამოიყურებოდა სინამდვილეში „გლეხური კონსტიტუცია“. „გლეხი უნდა დანატროდეს უბრალო ღორს“, — ამთავრებს თავის სიტყვას ანტონი და ასეთ დასკვნას აწვდის მკითხველს ავტორი.

ბატონყმობის გაუქმებამ ვერ მოუტანა გლეხს შვება. მისი ჩაგვრის ერთი ფორმა მეორეთი შეიცვალა. კონსტიტუციაში აღიარებული იყო ადამიანთა თანასწორობა. „კანონის წინაშე ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ“, — ახსენებენ ერთმანეთს ნაწარმოების გმირები, მაგრამ საბრალო გლეხი თავისი უუფლებობის გამო შენატრის უბრალო ღორს და ცხოვრებისაგან დაბეჩავებულს მხოლოდ ეს სიტყვები ესმის: „შესდექ, გლეხუჭავ! გასწი პოლიციაში!“.

მწერალი ასე ამხელს ბურჟუაზიული კონსტიტუციის სიყალბეს, მის ანტიხალხურ ხასიათს.

ივან ფრანკოს ბევრ ნაწარმოებს არ მოუპოვებია ისეთი პოპულარობა, როგორიც მოიპოვა „ღორულმა კონსტიტუციამ“. სულ რაღაც რამდენიმე თვის განმავლობაში გავრცელდა იგი მრავალ ქვეყანაში. „შეიძლება თამამად ითქვას, — წერდა ფრანკო, — რომ არც ერთი უკრაინული ნაწარმოები ასეთ მცირე დროში არ გავრცელებულა ასე ფართოდ, როგორც გრიციუნიაკის მონათხრობი, ისე არ გახმაურებულა და არ გამოუწვევია უკრაინელი სოფლელი კაცისადმი კეთილი განწყობა და თანაგრძნობა მისი მწარე ხვედრის გამო. საკრებულოში წარმოთქმულმა არც ერთმა მგზნებარე სიტყვამ, რა მახვილიცა და ჭკვიანურიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ისე არ მიაყენა ზიანი ჩვენი სოფლის კეთილდღეობის მტრებს, როგორც გრიციუნიაკის ამ პაწია მოთხრობამ“.

სატირული ზღაპრის ჟანრში დაწერილი ნაწარმოებები ივ. ფრანკომ 1900 წელს ცალკე წიგნად გამოსცა სათაურით „შვიდი ზღაპარი". ამ ჟანრში როგორც იდეური მიმართულებით, ისე მხატვრული ხერხების გამოყენებით ივან ფრანკოს ნაწარმოებებს ბევრი საერთო აქვთ მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოებებთან.

თავის სატირულ თხზულებებში ივან ფრანკო გამოთქვამს ღრმა თანაგრძნობას მშრომელი ხალხის მძიმე ხვედრის გამო. მათში თითქმის არ იგრძნობა კომიკური გაზვიადება სიტუაციისა და მოვლენის, ტიპაჟის დახატვის დროს. ამავე დროს მის ნაწარმოებებში ბლომადაა გაბნეული მწვავე დეტალები გლეხობის ცხოვრებიდან, მათი სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის შეუფერავი, ტკივილის აღმძვრელი სურათები. ასეთი ნაწარმოები დაწერილია ზოგი ავტორისეული ან მთავარი გმირის თხრობის სახით. ასეთია მაგალითად „ღორული კონსტიტუცია", ან დიალოგის სახით, როგორიცაა „ზღაპარი დობრობიტზე", მონოლოგის ფორმით, როგორც ეს არის „ტყაპუჭის თავგადასავლის" შემთხვევაში, ხალხური ზღაპრის სახით და სხვ. ამ სახის ნაწარმოებებში მწვავე სოციალური შინაარსი უპირატესად გადმოცემულია პერსონიფიცირებული აბსტრაქტული ცნებების, სახეების და კონკრეტული საგნების მეშვეობით, მაგალითად — დობრობიტის, გლეხის ტყაპუჭისა და სხვ. აგრეთვე ტრადიციულ-ფოლკლორული სახეების მეშვეობით, მაგალითად — ღორის, ვირის, ლომის და სხვ. არის შემთხვევები, როდესაც მწერალი თავის ნაწარმოებებში გვაძლევს მისი დროის საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების პორტრეტებს. მაგალითად, — „პატრიოტული ალტკინება", „კარგი ხელფასი".

თავის სატირულ მოთხრობებში ივან ფრანკო ქმნის შთამბეჭდავ სატირულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტებს ფელეტონის, გაშლილი ფსიქოლოგიური ნოველის ჟანრის მომარჯვებით ანდა ფსიქოლოგიურად მოტივირებული დასასრულით.

ივან ფრანკომ შემოქმედებითად გამოიყენა მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის გამოცდილება და შექმნა ორიგინალური ბრწყინვალე სატირული ნაწარმოებები, რომლებიც თავისი თუნდაც პოლიტიკური ფუნქციითა და მხატვრული ღირსებებით სრულიად ახალი მოვლენა იყო უკრაინულ ლიტერატურაში. ისინი საფუძველს უმტკიცებდნენ და ავითარებდნენ უკრაინული პროზის რეალისტურ პოზიციებს. ივან

ფრანკოს მცირე ფორმის მოთხრობამ, მისმა სატირულმა ნაწარმოებებმა მწვავე ბრძოლა გაუმართეს ხალხის მტრებს, რენეგატებსა და გამყიდველებს, ხალხის ყოველი ჯურის მჩაგვრელებსა და ავის მოსურნეებს.

საბავშვო მოთხრობები. ივან ფრანკოს შემოქმედებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის საბავშვო მოთხრობებს. ამ ნაწარმოებებში მთავარ გმირებად გამოყვანილი არიან გამომხმარ გლეხურ პურზე გაზრდილი სოფლელი ბიჭუნები, რომელთაგანაც შემდგომში „ახალი ადამიანები“ ყალიბდებოდნენ.

საბავშვო მოთხრობების ჟანრით ივან ფრანკო ადრევე დაინტერესდა. ამაზე მეტყველებს მის მიერ შესრულებული ცნობილი რუსი მწერლის პომიალოვსკის ნაწარმოების „ბურსას ნარკვევების“ ცალკეული თავების თარგმანებიც, თარგმანს მან წინასიტყვაობაც წაუმძღვარა. სადაც ნათქვამია: „მან (პომიალოვსკიმ—ო. ბ.) წარმოადგინა ფაქტების არა მხოლოდ სიმართლე, მის თხზულებებში ყველგან გამოსჭვივის მისი მხურვალე, პატიოსანი სული, ნათელი და მტკიცე რწმენა და გულწრფელი სურვილი — გამოასწოროს უბედურება და გაჭირვება, რომელსაც იგი უჩვენებს მთელ ქვეყანას“.

საბავშვო მოთხრობები რეალური ცხოვრების ფაქტებზე დაყრდნობით არის შექმნილი. მათში ავტობიოგრაფიული ელემენტები საკმაოდაა ჩართული. ამის თაობაზე თვით ივან ფრანკო 1903 წელს გამოცემული კრებულის — „პატარა მირონი“ და სხვა მოთხრობების წინასიტყვაობაში წერდა: „მოთხრობები, რომლებიც შედის წინამდებარე კრებულში, უმეტეს წილად, ატარებენ ავტობიოგრაფიულ ხასიათს. ისინი ზოგად ხაზებში გვიჩვენებენ სოფლელი ბიჭუნას აღზრდას... დაწყებული საკუთარი აზროვნების პირველი ნიშნების გამოჩენიდან და დამთავრებული საშუალო სკოლის უფროსი კლასებით. ყველგან მაქსიმალად გამოვიყენე ჩემი პირადი მოგონებები, რომლებიც მოთხრობებში „მამაო-იუმორისტის“ და „მდოგვის მარცვალი“თითქმის მთლიანად გადადიან მემუარებში“.

მწერლის ეს განცხადება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი მოთხრობები განვიხილოთ მხოლოდ როგორც ავტობიოგრაფიული ჩანაწერები. რადგანაც ივან ფრანკოს პროზას ახასიათებს მოვლენებისა და ტიპაჟის ფართო მხატვრული განზოგადებები და ტიპიზაცია, ამ ნიშან-თვისებებით გამოირჩევა ყოველთვის მისი მხატვრული ტი-

ლო. ასეა ეს საბავშვო მოთხრობებშიც, რომელთა შექმნა მისთვის ეპიზოდური მოვლენა არ იყო. ეს მოთხრობები ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოებებია, რომლებშიც ღრმადაა გახსნილი და ნაჩვენები ბავშვის ფსიქიკის ჩამოყალიბების პროცესი. ივან ფრანკო ალნიშნავდა იმას, რომ „თუმცა ამ ტომეულის (იგულისხმება — „პატარა მირონი“ და სხვა მოთხრობები“, 1903 წლის გამოცემა — ო. ბ.) სხვა მოთხრობებშიც ავტობიოგრაფიული ელემენტი საკმაოდ ცოცხლადაა წარმოჩენილი, მაინც არ შეიძლება, როგორც ამას აკეთებდა აწგარდაცვლილი მ. ოგანოვსკი, მათი ულაპარაკოდ მიჩნევა ჩემი ავტობიოგრაფიის ნაწილად, რამეთუ ყოველ მათგანში, ჩემი ავტობიოგრაფიული ელემენტის გარდა, არის გარკვეული მხატვრული ამოცანა, რომელიც მოითხოვდა ავტობიოგრაფიული მასალის გარკვეულ განლაგებასა და გაშუქებას!“

ივან ფრანკო საბავშვო მოთხრობებს თითქმის მთელი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში წერდა 1879-დან 1903 წლების ჩათვლით, მაგრამ მისი ეს მოთხრობებიც გამოირჩევა შინაგანი მთლიანობით და ერთ გარკვეულ თემატურ ციკლს ქმნის, რომლის უმთავრესი პრობლემაა მშრომელთა წრიდან გამოსული პატარა ბავშვისა და ყმაწვილის საზოგადოებრივი შეხედულებების ჩამოყალიბება. მწერალი გვიხატავს ბავშვს ოჯახში, თანატოლებში, სკოლაში თუ ეკლესიაში და ყველა იმ გარემოში, სადაც პატარა შეიძლება მოხვდეს და თვალს გაადევნებს მისი ფსიქიკის, მისი ბუნების, ხასიათის, მასში მოქალაქის ჩამოყალიბების პროცესს. მწერალი გვიჩვენებს იმ სამყაროსა და იმ თაობას, რომელთაგანაც ერის ძმომავალი დღის შემქმნელები უნდა გამოვიდნენ.

მოთხრობაში „პატარა მირონი“ (1879) დახატულია რამდენიმე ეპიზოდი სოფლელი ბიჭუნას ცხოვრებიდან. იგი ისეთი არაა, როგორიც ყველა ბავშვი. მას ყველაფერი აინტერესებს, სურს ჩასწვდეს სიღრმეში, არსში საგანს თუ მოვლენას, რითაც უფროსების, ზოგჯერ მისი თანატოლების გაკვირვებასა და წყრომასაც იწვევს. პატარა მირონი ცნობისმოყვარეობით სავსე, ინტერესიანი ბავშვია. მწერალი ქვეტექსტებით გვაგრძნობინებს, რომ თვით ხალხის წიაღიდან გამოდიან, ხალხივე შობს თავის ჭეშმარიტ დამცველებს, სიმართლისათვის მებრძოლ ადამიანებს. პატარა მირონის მაგალითზე ავტორი აშკარად გვეუბნება, რომ ხალხისათვის მებრძოლებსა და სოფ-

ლელ პატარა გმირებს შორის გენეტიკური კავშირი არსებობს. მწერალი იმედიანად შეჰყურებს მომავალ თაობას და წერს: „სკოლაში ბავშვი სხარტად აითვისებს მეცნიერებას, დაეწაფება სწავლას, ვით დაავადებული სუფთა ჰაერს, და დასრულდება იმით, რომ გაჟღენთილი სიმართლით შეეცდება ცხოვრებაში გადანერგოს ყოველივე.

და გახდება პატარა მირონი ახალი ცხოვრების მოციქული და შეეცდება შეიტანოს სინათლე დაბეჩავებულ და ბნელ ხალხში“.

მწერალმა იცის, რომ ასეთ მებრძოლებს ნარეკლიანი გზა აქვთ: „არასახარბიელო ბედი ელის ამ შემთხვევაში მირონს: ინარჩუნებს საპყრობილის კედლებს, გამოცდის ათასნაირ ტანჯვას, ძალმომრეობას...“ მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი მაინც დაადგება ნათელ გზას. ამის მაგალითი იყო თვით ავტორის ცხოვრება.

მოთხრობებში „სამშვედურში“, „მიკიტიჩის მუხა“, „გრიცი სკოლაში“ და სხვები საკმაო ადგილი აქვს დათმობილი შრომის პოეზიას, სიმღერებს, ლეგენდებს. ამავე დროს ნაჩვენებია, რომ სოფლის ყოფა-ცხოვრება იყო აღსავსე სოციალური კონტრასტებით, რომელთაც ვერ ჩაწვდებოდა პატარა ბავშვის გონება. ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „სამშვედურში“ ფაქიზად და საოცარი სითბოთი არის ასახული ფრანკოს ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებები. თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. ნაწარმოების მთავარი გმირი მშვედლის შვილია. „ჩემი მოგონებების სიღრმეში, სადღაც მიღმეულ ძირის-ძირზე ცეცხლი ანთია. კერა პატარაა, არც ცეცხლია გაღადღადებული, მაგრამ ძლიერი კია. იგი ანათებს პირველ კონტურებს, ბავშვის სულის წყვდიადში რომ აღბეჭდილან. ეს ცეცხლი მამაჩემის სამშვედურშია“, — ასე იწყებს თავის ნაწარმოებებს ივან ფრანკო. და ეს ცეცხლის ალი მასში საოცარ გრძნობებს აღვიძებს. სამშვედლომ, მამის თავაუღებელმა შრომამ ფრანკოს ჩაუნერგეს უდიდესი პატივისცემა, მოწიწება შრომისადმი: „და მე მგონია, — წერს თავისი ნაწარმოების დასასრულს ივ. ფრანკო მამის სამშვედლოში დანთებულ ცეცხლის ალზე, — მისი მარაგი წამოვიღე ბავშვობისას ჩემს გულში ცხოვრების შორეულ გზაზე სავალად. და იგი ჯერ კიდევ არ გამქრალა“.

მოთხრობაში „გრიცი სკოლაში“ ნიჭიერ სოფლელ ბიჭუნას სკოლაში მიაბარებენ სასწავლებლად. სკოლაში გამეფებული იყო სქოლასტიკური სწავლება და ყაზარმული, როზგის სისტემა, რაც ბავშ-

ვში იმთავითვე კლავდა სწავლის ყოველგვარ სურვილს. სკოლაში პანი „პროფესორი“ მოსწავლეებს უჩვენებდა ხის პატარა ბრტყელ ნაჭრებს, რომლებზეც ეხატა რაღაც ნიშნები და ბოძები, ბაშვებს თმებს აგლეჯდა, როზგებით სცემდა და სრულიადაც არ ცდილობდა პატარების სულიერ სამყაროში ჩახედვას. გრიცის სწავლისაგან არაფერი გამოვიდა. სკოლაში შეძენილი მთელი სიბრძნისაგან მხოლოდ „აბა-ბა-ბა-გა-ღა-მაგა“ ისწავლა და სხვა ვერაფერი. ასოების კითხვაც კი არ ასწავლეს, ამის მიზეზი მისი უნიჭობა როდი იყო, „არამედ მისი მასწავლებლის სწავლების მეთოდის უვარგისობა“.— წერს ავტორი და დასძენს — „გრიცისთანა რეგვენები იმ სკოლაში ოცდაათიდან თვრამეტზე მეტი მაინც იქნებოდა“ და ყოველი მათგანი მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, როგორმე თავი დაეღწია სკოლაში გამეფებული ცემა-ტყეპისაგან, ყოველდღიურად კეფაზე თმის ამოგლეჯისა და ჯოხის დარტყმისაგან და კვლავ საძოვრებს, ბატებს დაბრუნებოდა“.

ამ მოთხრობაში მწერალმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ავსტრიაში განათლების მთელი სისტემა იმგვარად იყო მოწყობილი, რომ ეშრომელი ხალხის შვილები სრული უცოდინარები და გაუნათლებლები დაეტოვებია. ხაწარმოებში ნათქვამია, რომ სკოლაში მთელი წლის განმავლობაში შეძენილი „სიბრძნე“ განისაზღვრებოდა იმ რამდენიმე მარცვლის თანამიმდევრული თქმით, რომელიც გრიცს ყოველგვარი სიბრძნის შესავლად მიაჩნდა და რომელიც ყოველგვარი სწავლების გარეშე ბინდოროში შეითვისა მამალმა ბატმა. „რატომ არ მიაბარეს ეს ბატი სკოლაში?—გაიფიქრა გრიცმა თავისთვის და ბატები გარეკა საძოვარზე“. ასე ამთავრებს მოთხრობას ივან ფრანკო და ასეთი სატირული დასასრული საკმაოდ მწარედ ამხელს იმდროინდელ სკოლაში სქოლასტიკური სწავლების მთელ სისტემას.

მოთხრობაში არავითარი მძაფრი სიუჟეტები, მწვავე კოლიზიები ან სიტუაციები არ არის. აღწერილია ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრება, გარემო სკოლასა და სახლში და სწორედ ამ ფონზე აღწევს მწერალი საოცარი სიძლიერის დასკვნის გამოტანას, სატირულ მხილებას. მწერალი თითქოს იღიმება გრიცის მოუფიქრებლობაზე, ნამდვილად კი მისი მთელი იუმორი, დაცინვა მიმართულია სკოლის მასწავლებლისა და საერთოდ სწავლების მთელი სისტემის წინააღმდეგ. ეს იყო სწორედ თხრობის ის რეალისტური სტილი, მა-

ნერა, რომელიც შემდგომში ახალ სიმაღლეზე აიყვანა ვასილ სტეფანიკმა. დაჩაგრულ, დაშინებულ ბავშვში მწერალი მაინც ხედავს მის შეურყვნელ სულს, რომელიც მიმალულია სიღრმეში უხეირო, არახელსაყრელი სოციალური პირობების ზეგავლენით, და რომელიც მისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნისთანავე აელვარდება ნიჭიერებითა და ჰუმანიზმით.

მოთხრობაში „ფანქარი" მწერალმა დაგვიხატა იმდროინდელი სკოლის კიდევ ერთი უარყოფითი მხარე — მოსწავლეებში მასწავლებლისადმი შიშის დანერგვა. ნაწარმოებში ნაჩვენებია, რომ უფროსებისადმი შიშმა ბიჭუნა შებოჭა და ვერ განაცხადა, რომ ამხანაგის დაკარგული ფანქარი მან იპოვნა. წუნარი, ალერსიანი სტეპანი უხმოდ აიტანს დასჯას სკოლაში ფანქრის დაკარგვის გამო, მაგრამ მამასთან გამოჩენის ეშინია, რადგან მამამ ექვს კრეიცერად იყიდა ის ფანქარი, ექვსი კრეიცერი კი დიდი ფული იყო ღარიბი ოჯახისათვის. სტეპანმა არაფერი უთხრა ამხანაგსაც, რომელმაც დროზე ვერ გაამხილა, რომ იპოვა ფანქარი, რადგან მიხვდა — დაშინებულ ამხანაგს ღრიალა მასწავლებლის შეეშინდა. დაბეჩავებული ბიჭუნა იოინი („Schönshreiben") არ უჩივის მასწავლებელ-ეკონომს, როზგებით რომ სცემა მას, რადგანაც იცის, რომ მაინც არაფერი გამოვა აქედან. არც მირონი უჩივის მასწავლებელს, რადგან იცის, რომ ღარიბი გლეხის შვილს არავინ გამოექომაგება. მორცხვ ვოლიანსკის („მამაო-იუმორისტი") ნებისმიერი დასჯის ატანა შეუძლია, ერთის გარდა — თავში ცემის გარდა, რადგან ეს შეურაცხყოფს მის ადამიანურ ღირსებებს. სწორედ ეს ნიჭიერი და ჩუმი ვოლიანსკი ხდება სადისტი მღვდლის ტელესნიცკის მსხვერპლი. იგი ვეღარ უძლებს დაცინვასა და ცემა-ტყეპას და იღუპება. ხაწარმოები მკითხველს საეხებით ნათლად მიანიშნებს, რომ მის სიკვდილში ბრალი მხოლოდ ტელესნიცკის კი არა, სოციალურ სისტემასაც მიუძღვის.

ივან ფრანკო მოთხრობაში „სუფთა წერა" აღწერს ე. წ. მასწავლებლის, ვალკოს მხეცობას სკოლაში, როცა მან სრულიად უდანაშაულო ბავშვს მუშტი შემოჰკრა სახეში, მოცელილივით დასცა მუხლებზე, შემდეგ პირქვე და სისხლით შეუღება ცხვირ-პირი. უგრძნობლად მყოფ მირონს მხრებში შეუდგნენ და წამოაყენეს, მაგრამ იგი თავს ვეღარ იმაგრებდა. მიუხედავად ამ მძიმე სურათისა, ვალკოს წარბიც არ შეუხრია. იგი დარწმუნებული იყო, რომ გლეხის

შვილის ცემისათვის მას არავინ საყვედურს არ ეტყოდა და ეს ასეც იყო. მწერალი გვიხსნის, რომ „ვალკო ანგარიშში არ მოტყუებულა. არავინ გამოსარჩლებია გლეხის შვილს. მნე-მასწავლებლის არაადამიანურმა საქციელმა ისე უდავიდარაბოდ ჩაიარა, როგორც მრავალმა მისმა არაადამიანურმა მოქმედებამ. მხოლოდ გლეხის შვილის გულში ამას ისე იოლად არ ჩაუვლია, რადგან ეს იყო ჩაგვრისა და ტირანიის წინააღმდეგ აღშფოთების, სიამაყისა და საუკუნეობრივი მტრობის პირველი თესლი“.

თავის მოთხრობებში ფრანკო რეალურ, კონკრეტულ სინამდვილეს ასახავდა... მწერალი არ გამოდიოდა მხოლოდ მოწმის, მაყურებლის როლში. ნაწარმოებებში იგი ხშირად პუბლიცისტურ წიაღსვლებს ჩაურთავდა ხოლმე და ამით მას მეტ სიმძაფრეს ანიჭებდა. ასეთ პუბლიცისტურ წიაღსვლებში კონკრეტული მოვლენა განზოგადების სფეროშიც ხვდებოდა და კონკრეტული დამნაშავენი სოციალური წყობის პირმშონი აღმოჩნდებოდნენ, და ამით აქცენტებიც სოციალური სისტემის უარყოფით მოვლენებზე გადანაწილდებოდა.

საბავშვო მოთხრობებში ფრანკო არა მხოლოდ მხატვრად, არამედ შესანიშნავ პედაგოგად და ბავშვის ფსიქოლოგიის მცოდნედ გვევლინება. რაც მთავარია, იგი თავისი ნაწარმოებებით შეუპოვრად იბრძვის ავსტრიის მონარქიის გახათლების მახინჯი სისტემის წინააღმდეგ.

ივან ფრანკოს მოთხრობები ბავშვების ფსიქოლოგიისადმი ყურადღებით, „პატარა მოქალაქეებისადმი“ გულწრფელი სითბოთი, მშრომელი მასების ნიჭიერი ბავშვების ჩვენებით რამდენადმე ეხმიანებიან რუსი და პოლონელი კლასიკოსების—ივან ტურგენევის, ანტონ ჩეხოვის, ბოლესლავ პრუსის საბავშვო ნაწარმოებებს.

ივან ფრანკოს შემოქმედება ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მის ბედნიერ მომავალზე ზრუნვა-ბრძოლას ემსახურებოდა. რევოლუციონერი მწერალი და მოღვაწე ხალხში ჭეშმარიტი ცოდნის შეტანას ცდილობდა და ამ მიზნით სხვა საქმიანობასთან ერთად, სხვა საშუალებებთან ერთად პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურასაც იყენებდა, რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის თარგმანსაც იშველიებდა. ამ კეთილშობილური საქმეების სამსახურში ჩააყენა მან ლიტერატურის ჟანრი — ზღაპრები. 1903 წელს გამოცემულ ზღაპრების კრებულს ავტორმა წარუმძღვარა

წინასიტყვაობა, სადაც ზღაპრების გამოცემასთან დაკავშირებით თავისი მწერლური ნაბიჯების რამდენადმე განმარტებაც მოგვცა: „მე მინდა, რომ ჩვენმა ბავშვებმა, იმისათვის, რომ ისინი ჯანსაღად და მორალურად განვითარდნენ, რაც შეიძლება დიდხანს იფრინონ უბრალო ხალხურებისა და უბრალო ურთიერთობების იმ სამყაროში, სადაც ყველაფერი ნათლად ჩანს. იქიდან გამოიტანონ პატიოსნებით, სამართლიანობითა და სიმართლით გატაცების პირველი და მტკიცე საფუძვლები, განსაკუთრებით კი — სიყვარული ბუნებისადმი...“

ივან ფრანკოს მიაჩნდა, რომ ლიტერატურას ბავშვებზე და ბავშვებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში, იმ თაობისა, რომელმაც უნდა იბრძოლოს თავისი მშობელი ხალხის, ქვეყნის სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან განსათავისუფლებლად. ამიტომაც იყო, რომ იგი დიდ ყურადღებას უთმობდა საბავშვო ლიტერატურას და ბავშვებისათვის განკუთვნილ ნაწარმოებებში მოითხოვდა მაღალიდეურობას. მოვლინების, ფაქტების პირუთვნელ, პრინციპულ შეფასებას. საბავშვო ნაწარმოებებმა, მისი ღრმა რწმენით, „პატარა მოქალაქეები“, ადამიანები უნდა გაზრდილიყვნენ სამშობლოს სიყვარულით, ადამიანის სიყვარულით, მაღალი საზოგადოებრივი და სოციალური იდეალებით. აქედან გამომდინარე, იგი მოითხოვდა ისეთი ნაწარმოებების შექმნას ბავშვებისთვის, რომლებიც ამდიდრებენ გონებას, აკეთილშობილებენ გრძნობებს, აფხიზლებენ ერთდროულად გონებასა და სულს — ამდენად წარმოადგენენ ჯანსაღ სულიერ საზრდოს. ივან ფრანკო რევოლუციონერი მოღვაწე იყო და მას კარგად ესმოდა, თუ რა ზიანის მოტანა შეეძლო ბავშვებისათვის, ძომავალი თაობისათვის რეაქციულ, ნაციონალისტურ ლიტერატურას. ამიტომაც იგი კატეგორიულად ილაშქრებდა ასეთი მაკულატურის წინააღმდეგ.

მწერლის „საბავშვო“ მოთხრობები გალიციის დემოკრატიული, რევოლუციური ინტელიგენციის ზრდისა და ჩამოყალიბების თავისებური ისტორიაა.

ისტორიული რომანი „ზახარ ბერკუტი“. ივან ფრანკოს შემოქმედებაში ისტორიულ თემატიკას გარკვეული ადგილი უკავია. ისტორიულ თემას, თავისი პოეტური თუ დრამატული ნაწარმოებებისათვის, მწერალი ეძებდა კიევის რუსეთის ცხოვრებაში, ძველი რუსი ხალხის ბრძოლებში მომხდურების წინააღმდეგ და

სხვა. ძველ რუსეთს მიაკითხა მწერალმა, აგრეთვე, როდესაც ისტორიული მოთხრობის დაწერა გადაწყვიტა.

როდესაც ფრანკოს „სოციალურ იდეებზე საუბრობენ, ჩვეულებრივ იხსენიებენ მის ისტორიულ რომანს — „ზახარ ბერკუტს" (1832). თუმცა „ისტორიული" ამ ნაწარმოებს ნაწილობრივ თუ შეიძლება ეწოდოს. კარპატებში მცხოვრებ ძველ რუს ხალხზე თათართა უღლის თავდასხმის აღსაწერად დოკუმენტური ცნობები, ისტორიული წყარო ძალზე ცოტა შემოგვრჩა, ხოლო თვით ბრძოლის ისტორია, ისტორია იმისა, თუ როგორ გმირულად მოიგერია გლეხობამ თათართა ჯარი, ეს თვით ავტორის მოაზრების, მისი მწერლური ნიჭის ნაყოფია.

ნაწარმოებში „ზახარ ბერკუტი" აისახა 1241 წელს ძველი რუსი ხალხების ბრძოლა თათარ-მონღოლთა წინააღმდეგ. ნაწარმოების წერის დროს ივან ფრანკომ რუსულ მატიანეებს მიმართა. ისტორიული ბრძოლის სურათის შექმნას მათზე დაყრდნობით შეეცადა. მაგრამ, ჯერ ერთი, ისტორიული წყაროები, მატიანეში ასახულნი, ძალზე ძუნწად აწვდიდნენ მასალას მწერალს, და მეორეც, ავტორი სრულიადაც არ ფიქრობდა მთლიანად დამორჩილებოდა ისტორიას. მხატვრულ ნაწარმოებს, რომელიც ისტორიულ თემაზე იქნებოდა აგებული, იგი თავის მოთხოვნებს უყენებდა. „ისტორიული მოთხრობა, — წერდა იგი ნაწარმოების წინასიტყვაობაში, — ეს არაა ისტორია. ისტორიკოსი ზრუნავს უპირველესად ჭეშმარიტების დადგენაზე, ფაქტების კონსტატაციაზე, მაშინ როდესაც ბელეტრისტი ისტორიული ფაქტებით სარგებლობს მხოლოდ თავისი საკუთარი მხატვრული მიზნებისათვის, გარკვეული იდეის გარკვეულ ცოცხალ, ტიპურ პერსონაჟებში განსახორციელებლად. ფაქტების გაშუქება, დახასიათება, მოტივაცია და განლაგება ისტორიკოსსა და ბელეტრისტს სრულიად სხვადასხვაგვარი აქვთ: იქ, სადაც ისტორიკოსი იყენებს არგუმენტებსა და ლოგიკურ დასკვნებს, ბელეტრისტმა უნდა მოიშველიოს ცოცხალი ადამიანები, პერსონაჟები.

ისტორიულ ნაშრომს მაშინა აქვს ფასი, თუ მასში ფაქტები დაწვრილებით და მიზეზობრივ კავშირშია წარმოდგენილი; ისტორიულ მოთხრობას მაშინა აქვს ფასი, თუ მის ძირითად იდეას შეუძლია დააინტერესოს თანამედროვე ადამიანები, ესე იგი, როცა იგი თვითონაა თანამედროვე".

ამდენად, ივ. ფრანკო თვლიდა, რომ მწერლის ძირითადი ამოცანაა მხატვრული სახის ტიპიზაცია, ტიპური ხასიათებისა და ტიპური გარემოებების შექმნა და ასეთი სახეების მეშვეობით თავისი დროის იდეების მიტანა მკითხველამდე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ მხატვრული სახის შექმნისას მწერალს ისტორიული ფაქტების სინამდვილის გათვალისწინების გარეშე ემოქმედა. პირიქით. მწერალი-ბელეტრისტი, ისე როგორც ისტორიკოსი, ისტორიული ფაქტების, ისტორიული სიმართლის ერთგული უნდა იყოს ყველა ვითარებაში, მაგრამ ხელოვანს მხატვრული სახის შექმნისას მეტი თავისუფლება აქვს. მას შეუძლია, და ასეც უნდა მოიქცეს, შემოქმედი „გამომგონებელი“ (ივან ფრანკოს გამოთქმა — ო. ბ.) უხდა იყოს.

ერთ-ერთი მოთხრობის წინასიტყვაობაში ფრანკოს მოაქვს 1864 წელს პოლონელი გლეხების აჯანყების შესახებ ერთი დოკუმენტი და ფაქტებისა და სახეების თავისებური გააზრების თაობაზე შემდეგ განმარტებას გვაძლევს: „ბელეტრისტი, ისტორიკოსის საწინააღმდეგოდ..., ისტორიული მოვლენების ქარტეხილში ინდივიდს ჩაავლებს ხელს და მას გამოსწევს როგორც წითელ ძაფს მრავალფეროვანი ქსოვილიდან, და მხოლოდ ამ ინდივიდის, პიროვნების მაგალითზე, თითქოს ისე, სხვათა შორის, თითქოს რიკოშეტით გვიჩვენებს დიდ ისტორიულ მოვლენებს“. „მისი მიზანი აქ, ისე როგორც ყველგან, — ადამიანის სულის გამოხატვაა მის აღმაფრენაში, აღტკინებაში, ვნებებში, ბრძოლაში, გამარჯვებებსა და დამარცხებებში; რამდენადაც ცოცხლად დაგვიხატავს ამ მოცემულ ისტორიულ ფონზე იგი თავის გმირებს, სწორედ როგორც ადამიანებს, და არა როგორც მანეკენებს ისტორიულ კოსტუმებში, მით უკეთესი და მით უფრო ცხოვრებისეული იქნება მისი ქმნილება“.

ასე შეავსო მან თავისი განმარტება ისტორიულ თემაზე წერის დროს შემოქმედის პოზიციის შესახებ. მწერლისათვის შორეული წარსულის სიღრმეში თემების ძიება თანამედროვეობისათვის ზურგის ჩვენებას სრულიადაც არ ნიშნავდა. აკი თვითონაც მიუთითებდა ამას ნაწარმოების შესავალში და არაერთგზის განუმარტავს კიდეც ამგვარი ნაბიჯის ლოგიკურობა. შორეული წარსულის მოვლენებში მწერალი რევოლუციური თანამედროვე ცხოვრების მიერ წამოჭრილი პრობლემების პასუხსაც ეძებდა. რევოლუციონერი-დემოკრატი მოაზროვნისათვის მშრომელი ხალხის წარსული დღევანდელობის

საფუძველი იყო და უწყვეტად დაკავშირებული თანამედროვეობის ისტორიასთან. აქედან ამოდიოდა იგი, როდესაც იწყებდა ისტორიულ მასალაზე მუშაობას და ქმნიდა ისტორიულ რომანს „ზახარ ბერკუტს“.

ივან ფრანკო თავის ნაწარმოებში ისტორიულ კოლორიტს შედარებით სრულად ინარჩუნებს, როცა მონღოლთა წინამძღოლებს, მათ მეთაურებს პეტასა და ბურუნდას სახეებს გვიხატავს, აგრეთვე, როცა გადმოგვცემს ხალხურ ლეგენდას მონღოლთა ურდოს განადგურების, წყალში ჩახრჩობის თაობაზე. მაგრამ „ძუნწ ისტორიულ ჩონჩხს“ ავტორი „პოეტურ ფიქციას“ (გამოთქმა ივან ფრანკოსია — ო. ბ.) უმატებს. როდესაც მწერალი სახალხო ბელადის ზახარ ბერკუტის, მისი ვაჟის მაქსიმის, ბოიარინის ქალიშვილის მიროსლავასა და მასთან ერთად მოღალატე-ბოიარინის ტუგარ ვოვკის და სხვათა მხატვრულ სახეებს გვიხატავს, იგი მეტ თავისუფლებას ანიჭებს შემოქმედებით ფანტაზიას, მხატვრულ მოაზრებას.

XIII საუკუნის ისტორიული მასალის ღრმა ცოდნამ შემოქმედს საშუალება მისცა თავისუფლად ემოძრავა შორეული წარსულის უღრან ტყეში თავის გმირებთან ერთად, გასდევნებოდა მომხდურებს და ამასთანავე საკმაოდ ნათელი სურათი წარმოედგინა დანილო გალიცკის ფეოდალური სამყაროს შესახებ და სხვ. მწერალმა ფართოდ გამოიყენა ეთნოგრაფიული და ფოლკლორულ-მითოლოგიური მასალები ძველი რუსეთის სამყაროში მკითხველების გადასაყვანად და შექმნა ჰეროიკულ-რომანტიკულ პლანში დაწერილი ნაწარმოები. მ. პავლიკისადმი მიწერილ ბარათში თვით ივან ფრანკო აღნიშნავდა, რომ ამჟამად მუშაობს თავის საინტერესო ისტორიულ თემაზე, ისტორიულ რომანზე, „იდეალურზე“ — ხასიათების გაგების თვალსაზრისით, „რეალურზე“ — მისი დაწერის მეთოდის მიხედვით.

ნაწარმოები იწყება მშობლიური კუთხის ბუნების სილამაზეზე და მშობლიური მხარის შორეულ ისტორიულ წარსულზე საუბრით. შემდეგ მწერალი მოულოდნელად გადმოდის დღევანდელ დღეზე და მკითხველს თავის ნაღვლიან ფიქრებს უზიარებს. იგი გვეუბნება, რომ მრავალმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, მრავალი რამ შეიცვალა ამ ქვეყანაზე, შეიცვალა ბუნება, სოციალური ვითარება, „ყველაზე მეტად კი შეიცვალა ხალხი. ერთი შეხედვით თითქოს გაიზარდა მათი

ჯკულტურაა". საქმით კი გამოდის, რომ გაიზარდა მათი მხოლოდ რაოდენობა. სოფლები და ხუტორები ვეტია, ქოხები სოფლებში მეტია. მაგრამ სამაგიეროდ ქოხებშიც სიღარიბეც მეტია და გაჭირვებაც მეტია. ხალხი დაძაბუნებული, დაბეჩავებული, პირქუში, უცხოსთან — გაუბედავი და მოუქნელია. ყველა საკუთარ თავზე ფიქრობს, არ ესმით, რომ ეს აჭუცმაცებს მათ ძალებს, ასუსტებს ერთობას".

რომანი ასეთი წიაღსვლით მთავრდება: ავტორი გვესაუბრება იმის თაობაზე, რომ ჩვენს დღეებს ხომ არ უწერიათო იმ კეთილი ურთიერთდამოკიდებულების აღდგენა ადამიანებს შორის, ძველ დროში რომ სუფევდაო.

სწორედ ამ ხერხის მოშველიებით აცნობდა მწერალი მკითხველს თავის იდეურ ჩანაფიქრს — შორეულ ისტორიულ წარსულზე მითითებით. მის მაგალითზე შთააგონოს გმირობა. გმირობისაკენ მოუწოდოს მის თანამედროვე თაობას.

რომანში „ზახარ ბერკუტი" განდიდებულია ძველი რუსი ხალხის პატრიოტიზმი, გმირობა. ავტორი უმღერის ამ დიად ტრადიციას, უწმინდეს გმირობას, რომელიც ხალხის საუკეთესო შვილებს გმირობის, სამშობლოსათვის თავდადების, და როდესაც ეს საჭიროა. სიცოცხლის შეწირვის სურვილს ბადებს და ძალას აძლევს. სწორედ მშობლიური მიწის სიყვარულმა, ურდოს ველური ცხენების ფლოქვებქვეშ აკვნესებულმა მშობლიურმა მიწის ყივილმა შეაძლებინა ძველ რუს ხალხს ურიცხვი მტრის უკუგდება, განადგურება. უჩვეულო გამძლეობის, ნიჭისა და მოხერხებულობა-საზრიანობის გამოჩენა მოუხდა არცთუ ისე მრავალრიცხოვან ხალხს სადავე მიშვებული მომთაბარე ურდოს შესაკავებლად. არა ერთი და ორი ადამიანი შეეწირა მშობლიური მიწა-წყლის შეუვალობისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. რომანში „ზახარ ბერკუტი" ივან ფრანკომ აგვისახა ძველი სლავი ხალხის გმირული ბრძოლის ერთი ეპიზოდი და ის ისტორიული როლი, რომელიც მათ შეასრულეს მთელი მსოფლიოს წინაშე — მომთაბარე ურდოებს გზა გადაუკეტეს დასავლეთ ევროპისაკენ.

პატრიოტულ ასპექტშია გადაწყვეტილი რომანის მრავალსახოვანი სიუჟეტური პანორამა. ისტორიული მოვლენების ასახვა გადაჭსოვილია ლეგენდებსა და მითებთან (ლეგენდა სტოროჟის შესახებ, მოხუცი ბერკუტის მზისთაყვანისმცემლობა და სხვ.), ისტორიული

პირების მოქმედება-მოღვაწეობის შეფასებასთან (მაგალითად, დანილო გალიცკისა და სხვა რუსი მთავრებისა), გამოგონებული მოვლენების გადმოცემასთან (საუკუნეს მიღწეული ზახარ ბერკუტის „ბიოგრაფია“, მაკსიმ ბერკუტისა და მიროსლავა ვოვკის სიყვარულის ისტორია), აგრეთვე კარპატების თვალწარმტაცი ბუნების აღწერასთან და სხვ.

პატრიოტიზმი, ვაჟკაცობა, გმირობა, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი ერთგულება განასახიერა ნაწერალმა ზახარ ბერკუტის, მისი ვაჟის მაკსიმის, მიროსლავა ვოვკის მხატვრულ სახეებში. ზახარ ბერკუტი ავტორმა წარმოგვიდგინა როგორც პატიოსანი, მტკიცე ნებისყოფის ბრძენი ადამიანი, რომელიც თავის სიცოცხლეს და მასთან ერთად შვილის სიცოცხლესაც არ იშურებს სამშობლოს საკეთილდღეოდ, მშობელი მიწისა და ხალხის ინტერესების დასაცავად. იგი ხალხის ერთგული შვილია და ერთგულად ემსახურება მის მომავალს. სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, ამბობდა იგი, როცა ადამიანს შეუძლია სხვას დაეხმაროსო. ხოლო როცა მას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ხალხისათვის, მაშინ მის ცხოვრებას ფასიც აღარა აქვსო. საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ბრძოლას იგი იწყებს ჯერ ბოიარინის ტუგარ ვოვკის მიერ ფეოდალური ხელოფის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ — მომთაბარეების, რომლებსაც მიეკედლა მოღალატე ტუგარ ვოვკი.

ზახარ ბერკუტში ძლიერია მოქალაქეობრივი ვალის გრძნობა. მისთვის არ არსებობს არჩევანი უპირატესობის მინიჭებაში პირადულსა და საზოგადოებრივს შორის. საზოგადოებრივი ინტერესები მისთვის უწმინდესია და ყველაზე მაღლა დგას. უცხო მომხვდურებთან ბრძოლის დროს ზახარ ბერკუტი მზადაა გასწიროს თავისი უსაყვარლესი შვილის სიცოცხლეც კი იმისათვის, რომ მტერზე გამარჯვება სრული და საბოლოო იყოს, რომ არც ერთი დამპყრობელი ცოცხალი არ წავიდეს რუსეთიდან, როდესაც „გრომადა“ მას სთხოვს შვილის გადარჩენის გულისათვის დაინდოს განადგურებული მტრის ლაშქარი და შემოჰრილი მომთაბარეები. ზახარ ბერკუტი უარყოფს ამ თხოვნას და ბოლომდე დაუნდობელია შემოსეული ურდოს მიმართ. ერთსულოვნებისა და მამაცობის წყალობით თემი ამარცხებს ძლიერსა და საშიშ მტერს. მტრის განადგურებას მოღალატე ბოიარინის ტუგარ ვოვკის სიკვდილიც მოჰყვება.

რომანი „ზახარ ბერკუტი“ ახალი მოვლენა იყო უკრაინულ ლიტერატურაში იმითაც, რომ მასში აისახა ხალხის ძლიერი წარმომადგენლების ნათელი სახეები და ხალხი ნაჩვენებია როგორც ძირითადი ძალა, რომელიც წინ აღუდგა მონღოლთა შემოსევას, იხსნა სამშობლო მონობისაგან, სწორედ ხალხი და არა მთავრები. ასეთი იყო ისტორიის გაკვეთილები და ნაწარმოების ავტორის, ივან ფრანკოს რწმენაც.

ჯერ კიდევ ნაწარმოებში „პეტრიები და დოვბუშჩუკები“ მწერალმა გვიჩვენა, რომ მთავრები ნაკლებად ზრუნავდნენ ხალხის კეთილდღეობაზე, ისინი ექსპლუატაციას უწევდნენ მათ და იყენებდნენ თავიანთ საკეთილდღეოდ. დაახლოებით ასევეა ეს ნაჩვენები „ზახარ ბერკუტში“.

ზახარ ბერკუტი უარყოფითად ახასიათებს მთავარს დანილო გალიცკის, რომელიც, მისი აზრით, სრულებით არ ზრუნავს თავის ხალხზე. „მამად და მზრუნველად კი არ ვთვლით ჩვენ თქვენს მთავარს, — ამბობს ზახარ ბერკუტი, — არამედ ღვთის რისხვად ჩვენი ცოდვებისათვის მოვლენილს, რომლისგანაც ყოველწლიური ხარკით უნდა გამოვისყიდოთ თავი. რაც ნაკლებად გვეცოდინება მასზე, და მას ჩვენს შესახებ, მით უკეთესია ჩვენთვის“. ზახარ ბერკუტი კიდევ უფრო აკონკრეტებს აზრს და ასკვნის: „დღეს მთელ ჩვენს რუსეთს რომ შეეძლოს თავის დაღწევა მისგან და მისი დრუჟინიკებისაგან, მაშინ ალბათ ბედნიერი და დიადი იქნებოდა“.

ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ზახარ ბერკუტის აზრი როდია. როგორც ივან ფრანკო მიუთითებს, ამგვარი შეხედულებისა იყო მაშინდელი გლეხობა მთავრებზე. ასეთი შეხედულება „ტიპური იყო იმდროინდელი გლეხობისა მთავრებზე და მათ სისხლისმღვრელ შინაურ ომებზე და ფეოდალიზმის ჩასახვაზე“. მწერალი იქვე უკეთებს კომენტარს დანილო გალიცკის პიროვნების დახასიათებას და წერს, რომ რაც შეეხება დანილო გალიცკის, იგი გალიციელ მიწების მფლობელებს შორის „გამოირჩევა როგორც არაჩვეულებრივი პიროვნება — სიმპათიური და თუ მივიღებთ მხედველობაში იმ დროს, ჰუმანური და პოლიტიკური ნიჭით დაჯილდოებული“.

კიდევ ერთი უმთავრესი ღირსება ნაწარმოებისა და მისი ავტორისა. ივან ფრანკო მხატვრული სახეების დახატვით გვისაბუთებს,

რომ რუსული მიწის ერთიანობის იდეას ხალხი იცავდა და არა მთავრები და ვასალები.

ჟურნალ „ზორია“-ს რედაქტორთან, პატრიცკისთან კამათში ფრანკოს მოუხდა თავისი ამ თეზისის დაცვა. პოლემიკის დროს ივან ფრანკომ მოიშველია მოძმე რუსი ხალხის ისტორიული მაგალითი. იგი შეახსენებდა პატრიცკის, რომ რუსმა ხალხმა, ნოვგოროდისა და ფსკოვის მკვიდრებმა, თათართა შემოსევას უფრო შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს, ვიდრე იმ კუთხეებმა და მხარეებმა, რომლებიც „მთავრებისა და ბოიარების ხელქვეით იყვნენ“.

ფრანკოს რომანიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ სამშობლოს დაცვის, ურდოების მონობისაგან დახსნის უმთავრესი მისია ხალხმა შეასრულა და არა მთავრებმა.

მკვლევრები „ზახარ ბერკუტში“ წარმოდგენილი პატრიარქალური გლეხური თემის სურათში, სადაც სოციალური თანასწორობა სუფევს, შომავალი უკლასო საზოგადოების პირველსახეს ხედავენ და მიაჩნიათ, რომ ივან ფრანკოს მოთხრობის იდეა რამდენადმე უახლოვდება სამოციანი წლების რუსული რევოლუციური დემოკრატიის უტოპიურ იდეალებს, უფრო კონკრეტულად კი — ნ. გ. ჩერნიშევსკის იდეალებს.

მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ. რა თემაზეც არ უნდა ეწერა ივან ფრანკოს, რა ჟანრის, ხასიათის, მიმართულების, მხატვრული თუ სხვა ნაწარმოები არ უნდა შეექმნა, უმთავრესი მისთვის ყოველთვის იყო მისი ნამოღვაწარის თანამედროვე ყღერადობა. ამ თვალსაზრისით შემოქმედისათვის არ არსებობდა რაიმე ჩარჩოები.

ივან ფრანკომ თავისი ნიჭი და კალამი ფართოდ გამოიყენა უკრაინელი და პოლონელი ბურჟუაზიული ინტელიგენციის ცხოვრების ასასახავად, ქალაქის წვრილი მოხელეების, სტუდენტებისა თუ გაზეთის მუშაკების ყოფის საჩვენებლად.

ქალაქის ინტელიგენციის ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებებში მწერალი გვიჩვენებს, რომ ინტელიგენციას ჯერ კიდევ არ გააჩნია ის ძალა და ენერგია, რაც დიდი საქმეების, რევოლუციური ძვრების მოსახდენადაა საჭირო. იგი დამოკიდებულია საზოგადოებაზე. ამიტომაც დაკანკალებს თავის მდგომარეობას და ეშინია ლუკმა-პურის დაკარგვისა („მანიპულიანტკა“, „გმირი უნებლიედ“).

განსაკუთრებით შეურაცხმყოფელია ქალი-ინტელიგენტების მდგომარეობა. ისინი ხდებიან იმ მლიქვნელი და მოლაყბე ბატონების მსხვერპლი, რომლებიც ყბადაღებული ქადაგებენ მორალიზატორულ სენტენციებს, ფაქტიურად კი ქალებს მგლის თვალებით უყურებენ როგორც მათი ავხორცული ჟინის მომკვლელ ობიექტებს, უბიძგებენ ამორალობის ჭაობისაკენ, პროსტიტუციის გზისაკენ. ავტორი კეთილი გრძნობებითაა განწყობილი პატიოსანი და მშრომელი ქალებისადმი. იგი რბილ ფერებში გვიხატავს ბურჟუაზიული შლიახტას მსხვერპლ სუსტ არსებებს. „რა გინდათ ჩვენგან, — ჩივის ფოსტაში მომუშავე ობოლი გოგონა ცელია, რომელსაც მოსვენებას არ აძლევენ მამა-შვილი შლიახტიჩები, ტემნიცკები, — როგორც მგლები... მხოლოდ იმას ფიქრობთ, რომ შემჭამოთ, ტალახში გამსვაროთ, გამაბინძუროთ“.

ძალზე მძიმეა ამ მარტოხელა გოგონას ცხოვრება „მგლების“, თანაც „ცივილიზებული“ შლიახტელი გარეწრების გარემოში. მას ეს ცხოვრება „ეჩვენება ისე მძიმედ, საშიშ, მოულოდნელობით სავსედ, როგორც გზააბნეულ მგზავრს ტყე, რომელიც სავსეა გველებით, მგლებით და შხამიანი ანაორთქლებით“. შიშატანილმა ობოლმა გოგონამ არც იცის რა ელის მას ამ ინტელიგენტის სამოსში გახვეული ავხორცი კაცთმოძულეების ხელში. გაიზიარებს იგი შლიახტიჩის მიერ ნამუსახდილ ოლგას ხვედრს, რომელმაც ვერ გაუძლო შეურაცხოფას და ლაფს, რომელშიც ამოსვარა იგი შლიახტიჩმა და თავი მოიკლა; ბოროტმოქმედების ხელში სათამაშო ტიკინად ქცეულ მანიუკიას ბედს. ან იქნებ ფანჯრიდან გადმომხტარ კამილას, სადისტი ქმრის ფეხქვეშ გათელილი რეგინას ბედი ელის მას? არავინ იცის ეს. მაგრამ ავტორმა, ივან ფრანკომ და იმდროინდელი უკრაინული ლიტერატურის სხვა კლასიკოსებმა კარგად იციან, რა საოცრად ნარეცლიანი, სულით ძირამდე შეურაცხმყოფელი და მწარე იყო მშრომელთა წრიდან გამოსული უკრაინელი უბრალო გოგონას ხვედრი პანებისა თუ ბურჟუაზიული „ინტელიგენტების“ მგლურ სამყაროში.

მწერალი ამხელს შლიახტას ლაყბობას პოლონური სოციალურ-ფენების ერთიანობის, დემოკრატიზმისა და მორალური სიწმინდის, პოლონელი ხალხის, განურჩევლად ყველასი—„თავისუფლების“. „ძმობის“, „თანასწორუფლებიანობის“ შესახებ და გვიჩვენებს, რომ

პოლონელ ხალხში, ისე როგორც უკრაინელებში, არიან მჩაგვრელები და ჩაგრულები, რომ ორივე ქვეყანაში მშრომელ ხალხს ძიძგნის კაპიტალისტური სინამდვილის კლასობრივი წინააღმდეგობანი.

ივან ფრანკო მთელ რიგ ნაწარმოებებში გვიჩვენებს უკრაინული და პოლონური ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის ცხოვრების სურათებს, აშიშვლებს მათი საზოგადოებრივი ყოფის სიბინძურეს. მწერალი ამასთანავე პროგრესულ ინტელიგენციასაც ხედავს.

ნაწარმოებებში — „ლელი და პოლელი“ (1887), „საზოგადოების ბურჯები“ (1894—1895), „ოჯახური კერისათვის“ (1897), „ჯვარედინი ბილიკები“ (1900), „ფონის მოუძებნელად“ და სხვ. გვიხატავს უკრაინულ და პოლონურ ბურჟუაზიულ-შლიახტურ ინტელიგენციას.

მწერალმა დაისახა და ბრწყინვალედ განახორციელა უმთავრესი ამოცანა — ბურჟუაზიული შლიახტური საზოგადოების მორალური დაცემულობის, „პანების მორალის“, სიყალბის, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მხილება.

თავის ნაწარმოებებში ფრანკომ მოიტანა და გვიჩვენა XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგის გალიციის ცხოვრების ტიპური პრობლემები. ნაწარმოებებზე „ფონის მოუძებნელად“ და „ლელი და პოლელი“ მწერალი იმ დროს მუშაობდა, როდესაც იგი აქტიურად იყო ჩართული პოლონური პრესის ორომტრიალში და როდესაც ყოველ ღონეს ხმარობდა ერთიანი უკრაინულ-პოლონური დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად, რომელსაც წეეებლებოდა გალიციური რეაქციის — პოლონური შლიახტას, ბურჟუაზიისა და სხვადასხვა ჯურის ფსევდოდემოკრატების წინააღმდეგ გამოსვლა.

ივან ფრანკომ თავის მოთხრობაში „ფონის მოუძებნელად“ წარმოგვიდგინა მოწინავე უკრაინული ინტელიგენცია (ბორის გრაბი), რომელიც საერთო ენას პოულობს და უახლოვდება დემოკრატიულად განწყობილ პოლონელ ფენებს და რომლებიც 1848—1863 წწ. პოლონური რევოლუციური აჯანყებების ტრადიციებთან იყვნენ დაკავშირებული. მათში მწერალი ხედავდა პოლონური საზოგადოებრიობის განვითარების საწინდარს. ასეთ ადამიანებად ავტორმა თავის ნაწარმოებებში გამოიყვანა მოხუცი ტრაკი, მისი შვილები ტონია

და გუსტია. ხოლო ამავე ოჯახის უფროსი ვაჟიშვილის გუსტავ ტრაცკის სახით მან დაგვიხატა ბურჟუაზიული ტიპის პოლონური პოზიტივიზმის წარმომადგენელი. მწერალმა გაიცხა ამ ჯურის „ხალხის მსახურნი“.

მოთხრობა „ფონის მოუძებნელად“ ავტორს დაუმთავრებელი დარჩა. მკვლევრებს იგი რამდენადმე ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებად მიაჩნიათ. მოთხრობა ხასიათდება მწვავე ინტრიგით, მოვლენათა განვითარების დინამიკური სურათებით, მთავარი გმირების დასრულებული პორტრეტებით. რომანში „ლელი და პოლელი“ კვალდაკვალაა მიდევნებული თვალი დემოკრატიული ინტელიგენციის შემდგომ ზრდა-განვითარებაზე და მის ლეგალურ ბოლვაწეობაზე (ლელიუმი და პოლელიუმი ი. სლოვაცკის დრამის „ლილლა ვენედა“ მითოლოგიური გმირები ძმები არიან).

რომანი ივან ფრანკომ დაწერა 1887 წელს პოლონურ ენაზე. იგი წარადგინა ყოველკვირეული გაზეთის „კურიერ ვარშავსკა“ ძიერ გამოცხადებულ კონკურსზე. ფრანკომ ხელნაწერი გააგზავნა დევიზით — „თუ ლელი მოკვდება, იცოცხლებს პოლელი“.

მწერალი მონდომებით შეუდგა რომანზე. 1887 წლის 26 ნოემბერს იგი მ. დრაგომანოვს ატყობინებდა: „რომანი უკვე მზადაა და მალე სუფთად იქნება გადაწერილი! იგი საკმაოდ დიდი გამოვიდა (შეიძლება ასე თორმეტი თაბახი, ან უფრო მეტიც) და ვბედავ ვიფიქრო, საკმაოდ საინტერესოა (სცენები ლვოველი ჟურნალისტების ცხოვრებიდან, სასამართლოს სხდომა, საპატიმროს სცენები, სცენები ქუჩის ბიჭების ცხოვრებიდან, 1848 წელს ლვოვის დაბომბვისა და სხვ.)!“. ფრანკოს მიერ თავისი რომანის ამგვარ შეფასებას ადასტურებს მ. პავლიკი იმავე მ. დრაგომანოვისადმი 1888 წლის 23 დეკემბერს გაგზავნილ ბარათში: ფრანკო „საერთოდ ყველაზე მაღლა აყენებს იმას, რაც ყველაზე მეტ საწინააღმდეგო აზრს იწვევს,—მაგალითად, ზახარ ბერკუტს და აი „ლელიუმსაც“—სამწუხარო კია, რომ არ დააშუშავებს მას როგორც ჯერ არს, თუნდაც თავისებურად, იმიტომ, რომ თემა შესანიშნავია და ზოგი რამ შესანიშნავადაც არის დახატული“ [1].

ამ რომანმა კონკურსზე პრემია ვერ მიიღო და მწერლის სიცოცხ-

[1] იხ. ი. ფ რ ა ნ კ ო, თხზულებანი ოც ტომად, ტ. VI, გვ. 490—491.

ლეში სრულად არც გამოქვეყნებულა. სხვადასხვა დროს დაიბეჭდა რომანის მხოლოდ სამი ნაწყვეტი. გარდა ამისა, რომანის ზოგიერთი ფრაგმენტი ივ. ფრანკომ გამოიყენა უკრაინულ ენაზე ორიგინალური ნაწარმოების შესაქმნელ მასალად. მეორე თავის სიუჟეტური ქსოვილის საფუძველზე მწერალმა შექმნა მოთხრობა „გმირი უნებლიედ“ (1904), პირველ თავში ასახული მოვლენები მწერალმა გამოიყენა მოთხრობაში „იანდრუსი“ (1905).

სრულად ნაწარმოების ტექსტი გამოქვეყნდა მხოლოდ მწერლის გარდაცვალების შემდეგ 1929 წელს, მისი რუსული სრული თარგმანი კი — 1957 წელს.

რომანის ცენტრშია დაბალი ფენებიდან გამოსული ძმები კალინოვიჩების ცხოვრების ისტორია. ძმები გნატი და ვლადისლავი შემთხვევით გამდიდრდნენ. ისინი ცდილობდნენ მთელი თავიანთი სახსრები ხალხისთვის მოეხმარათ. ძმები კალინოვიჩები სოფელს აღარ უბრუნდებიან, ერთი მათგანი — გნატი — მოწინავე დემოკრატიული გაზეთის გამომცემელი ხდება. მისმა გაზეთმა მშრომელ ხალხში ფართო პოპულარობა და აღიარება მოიპოვა, სამაგიეროდ ზიზღი და სიძულვილი გამოიწვია ბურჟუაზიული შლიახტასი. მეორე ძმა — ვლადისლავი ადვოკატი გახდა და სოფლის გლეხობას სამართლიანობისათვის ბრძოლაში ენერგიულად ეხმარება. ძმები ცდილობდნენ მოწინავე უკრაინული და პოლონური ინტელიგენციის გაერთიანებას ექსპლუატატორების წინააღმდეგ. ისინი შეხვდებიან სხვადასხვა ბურჟუაზიული საზოგადოების წარმომადგენლებს და გააცნობენ თავიანთ სამოღვაწეო პროგრამას.

„მოდით დავდოთ წმინდა ფიცი, ვინც აქა ვართ, სრულიად სხვადასხვა დარგის ადგილობრივი ინტელიგენციის და სხვადასხვა ხალხების წარმომადგენლებმა, — მივცეთ ერთმანეთს სიტყვა, რომ დღეიდან ყველა კერძო საქმეს დავუქვემდებარებთ საზოგადო საქმეს, რომ სიტყვითა და მაგალითით ყოველი ჩვენგანი თავის წრეში გაალვიძებს ინტერესს ამ საქმეებისადმი, ყურადღებით გაეცნობა მათ მოძრაობას და გააცნობს სხვებსაც, განმარტავს მათ მნიშვნელობას და გამოვა დაუფარავად და ხმამაღლა ყოველგვარი ბოროტმოქმედებისა და პირადი მიზნებისათვის მათი გამოყენების წინააღმდეგ. შევქმნათ დღეს, ბატონებო, საზოგადოება კი არა, ძმური კავ-

შირი აპათიის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენში მეფობს". ასეთი იყო განატ კალინოვიჩის მიერ წამოყენებული წინადადებები.

ვლადისლავ კალინოვიჩმა განაცხადა: „ჩვენ ტკბილ სიცრუეში ვცხოვრობთ, თითქოსდა ინტელიგენცია თვით არის საკუთარი თავის მიზანი, ხოლო უბრალო გლეხი, მუშა—მხოლოდ და მხოლოდ საფენია, ნეხვია, რომელზედაც უხდა ამოვიდეს ყვავილი. იმის მაგივრად, რომ გლებში ვხედავდეთ ძმას, ადამიანს, ადამიანური გრძნობებით, ადამიანური სურვილებითა და თანაბარი უფლებებით, ჩვენ აბუჩად ვიგდებთ მას, როგორც მონას. რატომ? იმიტომ, რომ იგი გაუნათლებელია. მაგრამ ვინაა დამნაშავე, რომ იგი გაუნათლებელია, თუ არა ინტელიგენცია, რომელმაც არ გაანათლა იგი? დამერწმუნეთ ბატონებო,—ის, რაც ჩვენთან იწოდება ინტელიგენციად, მანამდე იქნება ქაფი... და არა ხალხის ყვავილი, ვიდრე არ შეიგნებს და მთელი თავისი არსებით არ შეიგრძნობს, რომ ყვავილი ნაყოფი უნდა გახდეს... ვინც საზოგადოების ხარჯზე, მშრომელი ხალხის ხარჯზე მიიღო განათლება, მან უფრო მეტად უნდა იშრომოს საზოგადოების სასარგებლოდ, რათა უხვად დაუბრუნოს ხალხს ის, რაც ხალხმა მის განათლებაზე დახარჯა".

ასეთია, ზოგადად, ძმები კალინოვიჩების პროგრამა, რომელიც მათ შესთავაზეს ინტელიგენციის წარმომადგენლებს. მიუხედავად იმისა, რომ აქ საუბარი იყო მშრომელ ხალხთან მხოლოდ ე. წ. კულტუროსნულ, განმანათლებლურ საქმიანობაზე, „რჩეულმა" საზოგადოებამ იგი არ მიიღო, ჩათვალა სოციალიზმის პროპაგანდად. ამ პროგრამის ირგვლივ გამართულ კამათში გამოიკვეთა ბურჟუაზიული სფეროს სხვადასხვა წარმომადგენლების რეალური სახეები. მაგალითად, ბურჟუაზიული პრესის ძველი მუშაკი კალინოვიჩების პროგრამას უწოდებს „წითელ გლეხმახიას", უკრაინელი ნაროდნიკი — უღელს, რომელიც იმისათვის იქნება საჭირო, „მილიონობით ბნელი ბრბო რომ გაათრიო", მღვდელი კი, როგორც ეს შეეფერება მის რანგს, დინჯად აცხადებს: „დაე, იმათ მართონ, ვინც ღმერთმა საჭესთან დააყენა, ჩვენ კი გავუგონებთ მათ და ყოველი ჩვენგანი შეასრულებს თავის მოვალეობას... რად უნდა გლეხებს გიმნაზიები? კარგი მღვდლები შეიძლება გამოვიდნენ გერმანული და პოლონური დაწესებულებებიდან". ავსტრიელი პროგრესული მოსამართლე აცხადებს, რომ მას არაფრის ცოდნა არა სურს, რაც სცილდება მისი

ბიუროს საქმიანობას, პოლონელი ადვოკატი კი კალინოვიჩების პრო-
გრამას „ხუმრობას, თავაზიანი ყმაწვილების ლაყბობას“ უწოდებს:

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ეპიზოდი, სცენა, რომელმაც ნიღაბი ახადა გალიციის ინტელიგენციის ლიბერალობას, მათ გაუთავებელ ლაყბობას პროგრესის შესახებ, ანტიხალხურ პოზიციას. ივან ფრანკო კიცხავს კონსერვატიულ ინტელიგენციას, მის აპათიას საზოგადოებრივი საქმეებისადმი, იმას, რომ მათ არა აქვთ სურვილი გააკრიტიკონ და გააანალიზონ ეს საქმიანობა და ბედისადმი იჩენდნენ რაღაც ფატალისტურ მორჩილებას, თუ წარმოვიდგენთ ამ ბედს ხელისუფლების სახით... ჟანდარმებისა თუ პოლიციის სახით“. ეს სიტყვები ეკუთვნის გნატ კალინოვიჩს და მას ასევე მგზნებარებით წარმოთქვამდა ალბათ თვით ფრანკოც. ამიტომაც იყო, რომ მწერალმა დაგმო კალინოვიჩებთან გაჟართული საღამოს მონაწილე ბურჟუაზიული ინტელიგენტების როგორც კოსმოპოლიტური, ასევე ნაციონალისტური ტენდენციები. „ბრწყინვალე სცენა გალიციური ხალხური კომედიიდან, — ასე შეაფასა საღამო სტუმრების წასვლის შემდეგ ვლადისლავ კალინოვიჩმა, — ისე პლასტიკურად განსახიერდა ყოველი მათგანი თავისი ხასიათით, თავისი შეხედულებებით და თავისი სინდისით, რომ ღმერთმანი უკეთესად არცაა საჭირო!“ და მართლაც, ივან ფრანკომ კალინოვიჩებთან შეხვედრის სცენაში შესანიშნავად მოახერხა წარმოეჩინა გალიციელი ბურჟუაზიული ინტელიგენცია.

ივან ფრანკო რომანში აკრიტიკებს ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომელიც ობოლ ბავშვებს ქუჩაში ეროკება და ბოროტმოქმედებისაკენ უბიძგებს. მწერალი გვიხატავს მშრომელი გლეხის მძიმე ცხოვრებას, რომელმაც ვერ გარყვნა, ვერ გააბინძურა მისი სპეტაკი სული. იგი სპეტაკ, ჯანსაღ ხალხურ მორალს უპირისპირებს პოლონელი შლიახტას აღვირახსნილობას, პარაზიტიზმს და სნობიზმს.

ძმები კალინოვიჩები საბოლოოდ მარცხდებიან ცხოვრებასთან შეჯახებაში. მათი ტრაგედიის მიზეზი კი ის არის, რომ ვერ შეძლეს კაპიტალისტურ სინამდვილესთან ბრძოლის სწორი გზა აერჩიათ, ისინი უძლურნი არიან რაიმე იღონონ. ძმები იღუპებიან, რადგანაც ვერ მიაგნეს იმ ერთადერთ სწორ რევოლუციურ გზას, რომელიც უზრუნველყოფდა მათ კავშირს ხალხთან, ნათლად და გამოკვეთილად წარმოაჩენდა სიცოცხლის, ცხოვრების მიზანს.

გნატის სახით მწერალმა დაგვიხატა გმირის ტრაგედია, რომელმაც უღალატა თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რწმენას პირადი ინტერესების გულისათვის. ამან განაპირობა მისი სიკვდილიც. ძმები ერთმანეთის გზაზე აღმოჩნდნენ პირისპირ პირადი ცხოვრების ერთ ჩიხში მიმწყვდეულნი — ორივემ ერთი და იგივე ქალი — რეგინა შეიყვარა. და ისე მოხდა, რომ ძმებმა თავიანთი მოღვაწეობა დაიწყეს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების დასმით და დაამთავრეს კი იმით, რომ ჩამოქვეითდნენ ინტიმურ-ფსიქოლოგიურ პრობლემამდე. მათი აზრების, იდეების მიმდევარი და მემკვიდრე რეგინა მიემგზავრება სოფლად და იქ იწყებს, წუნარ, მშვიდ ცხოვრებას, იქ იწყებს განმანათლებლურ საქმიანობას გლეხობაში.

ივან ფრანკოს რეალიზმის სიძლიერე რომანში გამოვლინდა კაპიტალისტური სინამდვილის მტკივნეული საკითხების წამოჭრაში, თავის დროს ერთი ყველაზე დიადი იდეის — ექსპლუატატორებთან ბრძოლაში, პროგრესული ინტელიგენციის ერთიანობის იდეის წამოყენებაში. ამასთანავე რეალიზმი გამოვლინდა იმაშიც, რომ მწერალმა-რეალისტმა ბრწყინვალედ და დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ლიბერალური ინტელიგენციის უძლურებაა გადაწყვიტოს სოციალური წინააღმდეგობანი ხალხის მონაწილეობის გარეშე. ძმები კალინოვიჩები შორს იდგნენ ხალხისაგან თავიანთი ხალხოსნური იდეალებით, შორს იდგნენ ხალხის რევოლუციური მისწრაფებებისაგან. ამიტომაც იღუპებიან ისინი. ესაა სწორედ გალიციის ინტელიგენციის სოციალური დრამა.

ივან ფრანკო რომანში „ლელი და პოლელი“ გვიხატავს ინტელიგენციისა და ხალხის პრობლემას ფსიქოლოგიური და საზოგადოებრივი კონფლიქტების გახსნის მეშვეობით, გვიჩვენებს საზოგადოებრივის უპირატესობას კერძოზე, ღალატისა და განდგომილობის ტრაგედიას. მწერალი რომანში გვევლინება როგორც თანამედროვე ოპტიმისტი, მებრძოლი-რევოლუციონერი: იგი მიარღვევს წინააღმდეგობებს და მიიწევს წინ სიმართლისა და სამართლიანობისაკენ. ძმები კალინოვიჩების საქმეს გააგრძელებს რეგინასა და ვლადიკას შვილი, რომელმაც „ოდესმე ხელახლა უნდა დაიწყოს და შემდგომ განაგრძოს საქმე, რომელიც წამოიწყეს მისმა მამამ და ბიძამ და ისე უეცრად შეწყვიტეს“. ამ ოპტიმიზმს

სიმბოლურად გამოხატავს აგრეთვე ნაწარმოების ბოლო სტრიქონებიც: „სევდიანი წარსულის საფლავებზე ღაჟღაჟებენ და სურნელოვნად ყვავიან მომავლის ყვავილები“. ასეთი იყო ივან ფრანკოს მტკიცე რწმენა.

ფსიქოლოგიურ პლანშია გადაწყვეტილი აგრეთვე რომანი „ოჯახური კერიისათვის“ (1897). ნაწარმოებში გადმოცემულია ანტოს ანგაროვიჩის ტრაგედია. ოფიცერმა ახგაროვიჩმა ხუთი წელი იმსახურა ჯარში, ბოსნიაში. შინმიბრუნებულმა შენიშნა, რომ საზოგადოება რაღაც ალმაცერად უყურებდა მას; აღმოჩნდა, რომ მისი ცოლი ანელია მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო სოფლის გოგონებით ეაჭრობდა. ამ ბინძურ საქმეში იგი მდიდარმა სალხმა გააბა. როდესაც ყოველივე ეს შეიტყო მისმა ქმარმა, ანელიამ ამხილა საზოგადოება, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ: „ო, როგორ მეზიზღებით! როგორ მძულხართ თქვენ, ფარისევლები, მატყუარები და მლიქვნელები!“,—ამბობს ანელია სიკვდილის წინ. ანელია თავს იკლავს.

ივან ფრანკოს ამ მოთხრობაში გაკიცხული იყო კაპიტალისტური სინამდვილე, რომელთაც გარეგნულ საფარად ბურჟუაზიული საზოგადოების კანონები ჰქონდათ მომარჯვებული.

მთელ რიგ ნაწარმოებებში ივან ფრანკომ დაუნდობლად ამხილა ბურჟუაზიულ-შლიახტური თამაში დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმში. ამ მხრივ ინტერესმოკლებული არაა მისი რომანი „საზოგადოების ბურჯები“, რომელშიც მწერალმა გააკრიტიკა პოლონური და უკრაინული შლიახტა, პოლონელი ფსევდოდემოკრატები და ფსევდოსოციალისტები. ნაწარმოები შეიქმნა იმ დროს, როდესაც ივან ფრანკოს თავს ესხმიან როგორც პოლონური შლიახტის წარმომადგენლები, ისე უკრაინული ბურჟუაზიული ნაციონალისტები. ესაა 1894 — 1895 წლები[1]. ამ დროისათვის პოლონელი შლიახტა, უკრაინულ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან ერთად შეხმატკბილებული, ფეხქვეშ თელავდა მშრომელი ხალხის უფლებებს. ამასთან დაკავშირებით რისხვით ანთებული ივან ფრანკო წე-

[1] რომანი იბეჭდებოდა ცალკე თაეების მიხედვით ჟურნალებში „ჟიტე ი სლოვო“, ლვოვი, 1894, წიგნები № IV—VI. 1895, წიგნები № I—V. მოთხრობა დამთავრებული არაა.

რდა თავის ერთ-ერთ კორესპონდენციაში. რომ მშრომელი ხალხის გვამებზე გაიარა და სასელმწიფო საბჭოში მოკალათდა ნახევრად გაძარწნილი შლიახტების ერთი ჯგუფი და მისი მორალურად გაბანკროტებული მაჩანჩალა კუდები.

რომანში „საზოგადოების ბურჯები“ მწერალმა გამოიყენა 1889 წლის სენსაციური სისხლის სამართლის პროცესის მასალები სოფელ კუკიზოვოში ლვოვის მახლობლად ებრაელის იან ტხურჟნიცკის მკვლელობის თაობაზე. მკვლელობაში ეჭვი მიიტანეს მოკლულის ახლო მეგობარზე, კუკიზოვოს მემამულე ჭალზე მარია სტშელეცკაზე და მის შვილზე ადასზე. პროკურატურას საკმაო მასალა ჰქონდა სტშელეცკების წინააღმდეგ. ოცდღიანი სასამართლო პროცესის შემდეგ ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ორივე სტშელეცკი უდანაშაულოდ ცნო. ამასთანავე პროკურორი, რომელიც მანამდე ძალზე მკაცრად გამოდიოდა ბრალდებულების წინააღმდეგ, გაჩუმდა და პროტესტი არ განუცხადებია. პროცესის სტენოგრამა ბეჭდური სახით გამოიცა 1889 წელს.

ამ თემაზეა დაწერილი პოლონელი რეაქციონერი მწერლის იუზეფ როგოშის ნაწარმოები „მძარცველები“. როგოში შემოიფარგლა ამბისა და მასალების უბრალო გადმოცემით. იგი ცდილობდა გაემართლებინა „კეთილშობილი შლიახტიჩები“ და ლაქა მოეცხო გლეხობისათვის.

ივან ფრანკო კარგად იცნობდა სტშელეცკების საქმეს. იგი როგორც „კურიერ ლვოვსკის“ კორესპონდენტი, ესწრებოდა პროცესს და საფუძვლიანად გაეცნო მასალებს და მასზე დაყრდნობით შექმნა ნაწარმოები „საზოგადოების ბურჯები“.

ივან ფრანკომ როგოშისაგან განსხვავებით, რომელმაც ტენდენციურად გადმოსცა პროცესის მასალები, თავის ნაწარმოებებში გადაგვიშალა გალიციის ბურჟუაზიულ-მემამულური საზოგადოების სათავეში მდგომი ინტელიგენციის ზნე-ჩვეულებანი და საზოგადოებრივი ურთიერთობის სატირული სურათები, წარმოგვიჩინა იმ დროის პოლიტიკანები, პოლონელი აგრარებიდან (ტადეი როზვადინსკი, ალფონს ძერჟიკრაი) ფსევდოდემოკრატებამდე (კალიხანტიი) და ბურჟუაზიულ-მემამულურ ბანაკში აშკარად გადასულ (დოქტორი ვესონგი) „მოღვაწემდე“.

ნაწარმოებში არაა სასამართლო პროცესი მთელი თავისი ნიუანსებით ასახული. სტშელეცკების პროცესი მწერალმა გამოიყენა მხოლოდ იმ ტრამპლინად, რომელმაც მას საშუალება მისცა შლიახტას საზოგადოების „ბურჯების“ პოლიტიკური, ყოფითი და მორალური გახრწნის ტიპური მოვლენები აესახა, ეჩვენებინა კაცისმკვლელობამდე მისული მათი ამორალიზმი და დაბეჯითებით ეთქვა, რომ საზოგადოებრიობის ჰეშმარიტი, ნამდვილი ბურჯი თვით ხალხია, მშრომელი ხალხი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ დამცირებული და შეურაცხყოფილია, ნამდვილი, მართალი ცხოვრებით ცხოვრობს. ადამიანური მორალით არსებობს. მხოლოდ ისაა ჩვენი საზოგადოების ჰეშმარიტი საყრდენი ბურჯი.

მოქმედება ვითარდება გრაფინია ოლიმპია ტორსკაია შამულში. გრაფინიამ მთელი ცხოვრება თავის ქმართან იმის მოლოდინში გაატარა, რომ მისი შამული ხელთ ჩაეგდო. გრაფმა კი მთელი თავისი ქონება, შამული წააგო მწვანემაუდგადაფარებულ მაგიდასთან აზარტულ თამაშში, შერჩა მხოლოდ სოფელი ტორკი. ტორკიში ჩარჩენილ გრაფინიას არაფერი აღარ ახარებდა ამ ქვეყანაზე, არც მოსაგონარი ჰქონდა რაიმე სასიამოვნო, ცხოვრობდა ასე მიყრუებულ სოფელში, ელაქუცებოდა ბატონებს, ეფერებოდა მღალი საზოგადოების წარმომადგენლებს და წყევლა-კრულვითა და ლანძღვით უმასპინძლდებოდა მსახურებს, გლეხებს.

კაცთმოძულე ოჯახი, როგორც „მგლის ბუნაგი“, თავისი ველური კანონებით ცხოვრობს. ოლიმპიას მხარს „უმშვენებს“ მისი ვაჟი ადასი. გარყვნილი და გონებაჩლუნგი, მახინჯი პიროვნება. კარტი, ღვინო, საეჭვო ყოფაქცევის ხალხი იყო მისი გარემო. მასაც, როგორც დედამისს, ეზიზღებოდა უბრალო ხალხი, მშრომელი ადამიანი. ამ მშიშარა და უბადრუკ კაცუნას, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, ადამიანურობისა აღარაფერი ჰქონდა შერჩენილი.

სიცრუისა და ორპირობის, მორალური სიბინძურის ასეთ ჭაობში ცურავდა სტშელეცკების ოჯახი. ისე როგორც ეს იყო „ლელსა და პოლელში“, ამ მოთხრობაშიც ერთ წყნარ საღამოს შეკრებილი საზოგადოების „ბურჯები“, საზოგადოების ცხოვრებაზე მსჯელობისას თავიანთ პოლიტიკურ პრინციპებს აშიშვლებდნენ.

ამ საღამოს თავის „ბრძნულ“ სიტყვაში ტადზიო რაზვადინსკი

აცხადებს, რომ მისი „რწმენის სიმბოლო“ ყველასათვის ნათელია: „შლიახტიჩი ვარ, მიწათმფლობელი და პოლონელი, მაშასადამე, ჩემი პოლიტიკა უნდა იყოს შლიახტური, აგრარული და პოლონური“. ამიტომაც იგი მხოლოდ ისეთ საზოგადოებას ცნობს, სადაც შლიახტა არის „ბურჯი“, ყოველივეს მეთაური. შლიახტა არის ის ერთადერთი, ყოვლისშემძლე მრავალმხრივი ძალა, რომელსაც ყველა უნდა აღიარებდეს ერის ბურჯად, იქნება ეს პოლიტიკის თუ სხვა სამოღვაწეო სფერო. რაზვადინსკის მხარს უჭერს შლიახტას ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი წარმომადგენელი, ადასის მომავალი სიმამრი ედზია ჩაპსკი. მას შლიახტას მთავარ დანიშნულებად მიაჩნია — გლეხი პირუტყვის მდგომარეობაში ამყოფოს. სოციალური უთანასწორობის გამო ცხოვრების კოფოზე წამოსკუპებულ ჩაპსკის ის აღშფოთებს, რომ შლიახტას უღელქვეშ მგმინავი გლეხობა „მასობრივად, როგორც კალია, ზღვისკენ, რუსეთისაკენ გარბის“.

რომანში მხილებულია ლოზუნგებისა და მოწოდებების სიყალბე, მათი ე. წ. დემოკრატიზმი. გარეწარი ინტრიგანი პან კალიასანტიი აცხადებს: „ჩემს გაზეთს... დემოკრატიული აბრა აქვს“ და ეს დემოკრატიზმი იმაში გამოიხატება თურმე, რომ „ჩვენი დემოკრატიზმი პირდაპირ მიგვითითებს შლიახტაზე, როგორც პოლონეთის ეროვნული ცხოვრების მნიშვნელოვან, გადამწყვეტ ფაქტორზე, პოლონური საზოგადოების საფუძველზე“.

ხალხის მტრებისა და ერის მოღალატეების კოჰორტას „ამშვენებს“ ტიპური პოლიტიკური რენეგატის, თავისი ერის მოღალატის ადვოკატ ვასონგის სახე. „შლიახტა“, — პათეტიკურად აცხადებს იგი, — ეს ჩვენი საზოგადოების ბურჯებია, მისი მაგარი ღერო... სურნელება და მწიფე ნაყოფი. შლიახტას გარეშე არ იარსებებდა ჩვენი საზოგადოება, ჩვენ თვითნებობის უძლური მსხვერპლი ვიქნებოდით, ჩვენი გლეხები და მეშჩანები — ესენი მხოლოდ ფესვებია, და, თუნდაც აუცილებელი და საჭირო, მაგრამ მაინც ისეთი, რომლებსაც მხოლოდ მიწის სიღრმეში, სიბნელეში, ჩუმად შეუძლიათ თავიანთი საზოგადოებრივი ფუნქციის სათანადოდ შესრულება“. ასე აშკარად და ცინიკურად იგდებს იგი ხალხს, ასე აფასებს იგი მშრომელი ხალხის როლს ერის საკეთილდღეოდ საზოგადოებრივ შრომა-საქმიანობაში.

ამ „მგლების ხროვას“ ისე აქვს დაკარგული სინდისი, რომ არავითარ ამორალური ნაბიჯის გადადგმას აღარ ერიდებიან. ამის დამადასტურებელია მოხუცი დემენიუკის ქალიშვილის მალანკას კოლექტიური გაუპატიურების ცდის ეპიზოდი. პანების ხელში ჩავარდნილი მალანკა თავს იცავს და წინააღმდეგობას უწევს მათ, შლიახტური დემოკრატიზმის მქადაგებელნი კი, მალანკას დაუმორჩილებლობით შეურაცხყოფილნი, მუშტი-კრივზე გადადიან და მსახურებს უხმობენ საშველად: „ახ, შე გველის წიწილავ! ახ, შე გათახსირებულო! — პან კალიასანტიინ სტაცა ხელი მას ნაწნავებში და იატაკზე დაახეთქა. აბა, დამაცადე, ჩვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა ჩვენთან ბრძოლა! ეი, ბიკებო, შეუკარით ხელები!“.

აი ასეთი მორალის იყვნენ „შლიახტას საზოგადოების ბურჯები“, მოძალადეები, გარყვნილები და ლოთები. ესენი არიან ის „ყვავილები“, „ბურჯები“ ბრწყინვალე საზოგადოებისა, რომლებიც ცდილობენ გლეხი გოგონას გაუპატიურებას, უსირცხვილოდ ჭურდავენ მოხუც მღვდელს, ხელი არ აუკანკალდებათ ძკვლელობის ჩადენის დროს და თანაც ამ ცოდვებს სხვას, უდანაშაულო გლეხს გადააბრალებენ. აზნაურების პარაზიტული ცხოვრება, გვრსაბუთებს ავტორი, მათ წრეში სისხლის სამართლის დამნაშავეებს ბადებდა. მწერალმა პირბადე ახადა „კეთილშობილ“, „ჰუმანურ“ შლიახტას და გვიჩვენა, თუ რა სასტიკად ექცეოდნენ ისინი თავიანთ ქვეშევრდომებს, შლიახტელისათვის არავითარი შეზღუდვა არ არსებობდა, მას რასაც სურდა იმას მოიმოქმედებდა, „ხალხს არაფერი ეთქვა და სინდისი, ღირსება-პატივისცემა, მორალი — ყველაფერი ეს ზღაპარია“, ნათქვამია მოთხრობაში.

თვით მამა ნესტორი, რომელიც ღვთით მოწოდებულია ხალხისა და ღმერთის სპეტაკი მსახური იყოს, ისიც საზოგადოებრიობის ამ „ბურჯებს“ ეკუთვნის. ახალგაზრდობაში მას მართლაც ჰქონდა თავისი მიზნები. იგი გატაცებული იყო მეცნიერების დაუფლების იდეით, მაგრამ შლიახტურმა შხამმა ისიც მოწამლა, „როგორც ჟანგმა რკინა, გაცვითა მისი ყველა ახალგაზრდული გრძნობა და გატაცება. პარალიზება მოახდინა მთელი მისი ძალისა და სულის, გაანადგურა მისი ნიჭი, მოუსპო იმედები, გამოხრა, ამოწვა ყოველივე ის, რაც მას ნამდვილ ადამიანად ხდიდა, გააბინძურა მისი სული...“.

ისიც ისევე უცხოა ხალხისათვის და შორს დგას მათგან, როგორც გაბღენძილი შლიახტელები. ამიტომაც წერს მასზე ივან ფრანკო: „გულქვა, ავადმყოფი სულის მოხუც მღვდელს არაფერი ესაქმებოდა ჯანსაღი გლეხური ბუნების პოეზიასთან". მთელი ცხოვრება მან განძის, ფულის მალულად დაგროვებას შესწირა. მწერალი მამა ნესტორის სახის დახატვით დიდების შარავანდს მოაცილებს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ და კლერიკალურ ზღაპარს გალიციის სამღვდელოების შესახებ, რომელიც, ვითომცდა ხალხის ნაციონალურ-კულტურული და მორალური ტრადიციების მატარებელი იყო.

აქვე შეიძლება ითქვას, რომ როგორც პუბლიცისტი და მწერალი ფრანკო ხშირად გამოდიოდა ვატიკანის, აღმოსავლეთში კათოლიკურ-იეზუისტური ექსპანსიის წინააღმდეგ. მოთხრობები „მისია", „ჭირი", სტატიაში „კათოლიკური პანსლავიზმი" და სხვები ამის ნათელი დადასტურებაა. მოთხრობაში „მისია" ფრანკომ ასახა ვატიკანის აღზრდილი ფანატიკოსი იეზუიტი გაუდენტი, რომელიც ყოველ ხერხსა და ღონეს ხმარობდა, რათა უკრაინელი ხალხი კათოლიკებად მოექცია. ამისათვის იგი არ ერიდებოდა არც ჯაშუშობას, არც სადიზმს, „მისიის" გაგრძელებაა მოთხრობა „ჭირი", რომელშიც მწერალი კვლავ ამ მტკივნეულ საკითხზე წერს და გვიჩვენებს, რომ ხალხი ვატიკანის ამ ექსპანსიას გადაჭრით ეწინააღმდეგება.

ხალხის წარმომადგენელი მჭედელი გერდერი პირში მიახლის მამა ნესტორს: „არაა თქვენში ის, რაც სასწაულს ქმნის, რაც სიცოცხლეს იძლევა, — არაა თქვენში სიყვარული; თქვენი სიტყვები — წინწილია ჟღარუნა, თქვენი მეცნიერება კი — სპილენძია წკრიალა. ხმაურია ბევრი, სარგებელი კი არაფერი".

მჭედელი გერდერი ხალხის დიდი ფიზიკური ძალისა და სულის გამომხატველადაა გამოყვანილი ნაწარმოებში. იგი ფხიზელი, კრიტიკული გონების კაცია, როგორც ყოველი ჰეშმარიტი მუშა კაცი აფასებს შრომასა და მშრომელებს, ეზიზღება უქნარა და მუქთად მჭამელები. ფიქრობენ, რომ გერდერის სახე რამდენადმე მაინც დავალებულია ივან ფრანკოს მამისაგან.

ნაწარმოებებში გატარებულია აზრი, რომ საზოგადოებრიობის ჰეშმარიტი ბურჯი ხალხია. შლიახტას სიბინძურეს ივან ფრანკო

უპირ სპირებს ხალხის სიწმინდეს, მორალურ სიპეტაკეს, ხალხის ძალას და მშრომელებს გეიხატავს როგორც ადამიანთა საზოგადოებრიობის საუკეთესო თვისებების მატარებლებს, მის მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა შემოქმედს. მოხუცი დემენიუკი, მისი ქალიშვილი მალანკა, მჭედელი გერდერი, მისი შვილი მაქსიმი არიან სწორედ ისინი, ვინც იმსახურებს ხალხის სიყვარულს, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს თავისი ხალხი, თავისი მიწა-წყალი. ისინი არიან ჭეშმარიტი პატრიოტები.

ივან ფრანკო თავის ნაწარმოებში ადამიანებს მოუწოდებს გაწმინდონ დედამიწა ასეთი სიბინძურისაგან. საშინელი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მზე ამოდის: „მიწა მოღუშული დუმდა, ცდილობდა ცივი ნისლით დაეფარა სახე, მაგრამ ვერ ახერხებდა. მზემ შენიშნა ეს, შეიჭმუხნა წარბები და შესძახა:

„— ჰეი, ჩემო ოქრო სხივებო! წინ გასწით! გააპეთ ეს წყვდიადი! დაჰკათ მაგას! გაგმირეთ იგი! არ დაანებოთ თავისი საფარით დაბუროს სიმართლე!“

რომანი „საზოგადოების ბურჯები“ ივან ფრანკოს ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. მასში გამოვლინდა მწერლის მაღალი მხატვრული ოსტატობა. მისი შემოქმედებითი მნიშვნელობა დღესაც საკმაოდ დიდია.

1900 წელს ივან ფრანკომ გამოსცა რომანი „ჯვარედინი ბილიკები“, რომელშიც მართლად, რეალისტურად აგვისახა მოწინავე ინტელიგენციის ცხოვრება-მოღვაწეობის რთული პრობლემები და აგრეთვე ეროვნების უუფლებო მდგომარეობა. საშინელი სილატაკე. ადვოკატი ევგენ რაფალოვიჩი მწერალს სურს დაგვიხატოს დადებით გმირად, რომელიც თავს უწმინდეს მოვალეობად თვლის დაეხმაროს ღარიბ გლეხობას, დააღწიოს თავი გაჭირვებას. რაფალოვიჩი არსებული კანონის ფარგლებში წამოაყენებს თავისი მოქმედების პროგრამას, იცავს გლეხებს გაიძვერა მოსამართლეებისაგან, სხვადასხვა ჯურის გამომძალველებისაგან, ამხელს სახელმწიფო მოხელეების დანაშაულებრივ საქმიანობას, ამხელს შლიახტას; რაფალოვიჩი ცდილობს რჩევა მისცეს გლეხებს მათი ოჯახური საქმეების მოგვარებაშიც კი, ცდილობს მოაწყოს გლეხთა ვეჩე და ა.შ. ევგენ რაფალოვიჩი საზოგადოებრივ მოვალეობას ანიჭებს

უპირატესობას და ამ პრინციპს იგი თანამიმდევრულად ატარებს თავის ცხოვრებაში.

მაგრამ მწერლის მიერ წარმოდგენილი მისი პროგრამა, საბოლოოდ მაინც რეფორმისტულია. იგი შეზღუდულია იმ დროის საბელმწიფო კონსტიტუციით. რაფალოვიჩი მარტო მოქმედებს და იბრძვის და მიუხედავად ამისა, მისი ყოველი ნაბიჯი, თუნდაც რეფორმისტული, ხელისუფლების წინააღმდეგობას აწყდება. ავსტრია-პოლონეთის მოხელენი და შლიახტა ყალყზე დამდგარი ხვდება რაფალოვიჩის საქმიანობას. იგი, რაც მთავარია, ვერ პოულობს მხარდაჭერას ვერც გლეხობაში, მას მხოლოდ ერთეულები თანაუგრძნობენ.

„ჯვარედინ ბილიკებში“ გაცილებით მეტი მხატვრული ძალითა და სიმართლითაა ასახული შლიახტას, ბურჟუაზიული ინტელიგენციის მორალური გადაგვარება და ხრწნის პროცესი, მეშჩანური ოჯახური დესპოტიზმი, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო „საზოგადოების ბურჯებისათვის“, ავსტრიაში სახელმწიფო დაწესებულებათა თვითნებობა, უკანონობა და სხვ. უბედურება, რაც ახასიათებდა იმ დროის გალიციას.

იგი მრავალპლანიანი ნაწარმოებია. ფეოდალურ-კაპიტალისტური სინამდვილის და შლიახტას ხრწნასთან ერთად მასში ნაჩვენებია რევოლუციური პროტესტის სტიქიური ზრდა, რაც ხალხთა მასების სიღრმეში მწიფდება.

ფრანკო თავის რომანებში ამხელდა ავსტრიის კონსტიტუციური მონარქიის, პოლონური შლიახტას, გალიციის უკრაინული ბურჟუაზიის ინტელიგენციის ნამდვილ. ჰეშმარიტ არსს ყოველივე ამას იგი უმეტეს შემთხვევაში ახერხებდა კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, პირადი დაკვირვებების შედეგად შექმნილი შთაბეჭდილებებითა და ისტორიული, დოკუმენტური წყაროების გამოყენების გზით.

მიუხედავად პოზიციის წინააღმდეგობრივი ხასიათისა, რაც გამოვლინდა ივ. ფრანკოს ზოგიერთ სხვა ნაწარმოებშიც, ამ ციკლის რომანები მკვეთრად მამხილებლურ ხასიათს ატარებენ. ფორმითა და შინაარსითაც ნოვატორულნი იყვნენ და წარმოადგენდნენ მწერლის ცდას — აქტიურად შეჭრილიყვნენ ცხოვრებაში. ეს ნაწარმოებები მიმართული იყო პოლონელი, ავსტრიელი და უკრაინელი

შოვინისტების ნაციონალისტური თეორიების წინააღმდეგ, ისინი აკრიტიკებდნენ და იბრძოდნენ ეროვნული წარმომავლობის მიუხედავად ყველა ექსპლუატატორის წინააღმდეგ და ასევე ეროვნების განურჩევლად უმღერდნენ ყველა მშრომელს, მუშასა თუ გლეხს.

• • •

ივან ფრანკოს პროზა პრობლემატიკის, მხატვრული სახეების ცხოვრებისეული დამაჯერებლობით, ჟანრების მრავალფეროვნებით, სტილის ორიგინალურობით, მხატვრული სრულყოფით XIX—XX საუკუნეების უკრაინული პროზის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა. იგი. შეიძლება ითქვას, მისი თანამედროვე ცხოვრების თავისებური ენციკლოპედიაა.

უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსი მიხაილო კოცუბინსკი ივან ფრანკოს შესახებ თავის რეფერატში წერდა, რომ მასთან „ადამიანები ორ ბანაკადაა გაყოფილი: მჩაგვრელებად, რომელთა წინააღმდეგაც იგი თავის სტყვას ლესავს, როგორც მახვილს, და ჩაგრულებად, რომელთაც იგი თავის გულს სწირავს". ივან ფრანკო თავის პროზაულ ნაწარმოებებში დიდ ყურადღებას უთმობს კლასობრივი, სოციალური წინააღმდეგობების ჩვენებას. მისთვის დამახასიათებელია სოციალური კონტრასტების ჩვენება ან ფართოდ წარმოდგენილი პარალელების მეშვეობით, ან პირდაპირი დაპირისპირებებით.

დიდი კამენიარის პროზას ახასიათებს ღრმა პატრიოტიზმი, მშრომელი ხალხისა და მშობლიური მიწა-წყლის უანგარო სიყვარული. იგი გულმხურვალედ უთანაგრძნობს მშრომელ ხალხს, განურჩევლად მათი ეროვნული წარმომავლობისა, მათი აუტანელი ყოფის გამო.

ჰუმანიზმი, ხალხურობა და ინტერნაციონალიზმი, რაც ნიშანდობლივია უკრაინელი მწერლისათვის, მისთვის ერთმანეთისაგან განუყოფელი ცნებაა.

ივან ფრანკოს პროზაული ნაწარმოებები რეალისტურ პლანშია გადაწყვეტილი. მწერალი ღრმად სწავლობს ხალხის ცხოვრებას და თავის, როგორც შემოქმედის, მოვალეობად თვლის ასახოს იგი ისეთად, როგორიცაა სინამდვილეში, ყოველგვარი შელამაზებისა და ჩამკაულების გარეშე. ამიტომაც. როდესაც იგი წერს სოფელ-

ზე, უმთავრეს ყურადღებას შრომის ცხოვრებას, თავისი გმირების ყოფას, საზოგადოებაში მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას უთმობს და ნაწარმოებს არ ტვირთავს ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული დეტალების გადამეტებული, მოჭარბებული მოტანით თუ სხვა ზედმეტობით. იგივე ითქმის მუშათა ცხოვრების შესახებ შექმნილ ნაწარმოებებზე. სინამდვილის ფაქტების ანალიზსა და ტიპიზაციას იგი ახდენს მისთვის დამახასიათებელი რევოლუციურ-დემოკრატიული ტენდენციების შესაბამისად.

„თუ ამგვარი სახეებისაგან ჯიუტად იბრუნებს პირს ის საზოგადოება, რომლისთვისაც წერს და რომლის აზრსაც ყურს უგდებს პატივცემული კრიტიკოსი, ეპაექრებოდა ივ. ფრანკო გ. ცეგლინსკის, — ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავს. სამაგიეროდ საზოგადოება, რომლისთვისაც მე ვწერ, მადლობა ღმერთს, ზურგს არ მაქცევს და პროტესტს არ აცხადებს იმ მიმართულების წინააღმდეგ, რომლისკენაც მომიწოდებენ ჩემი რწმენა და ტემპერამენტი“.

ივან ფარნკოს მხატვრული პროზა ხალხის მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნება. ამ ბრძოლაში მწერალი გვიხატავს თავის საყვარელ გმირებს, რომლებშიც იღვიძებს ადამიანური ღირსების გრძნობა, რომლებიც ეძებენ გზებსა და საშუალებებს ადამიანის, ხალხის ფიზიკური და სულიერი განთავისუფლებისათვის, უკეთესი მერმისის მოსაპოვებლად.

ფრანკო მონდომებით სწავლობს ადამიანებს, მოვლენებს, ეძიებს ზუსტ, სარწმუნო ცოდნას, წყაროებს ხალხის ცხოვრების, ეპოქის მოწინავე იდეების გასაშუქებლად.

მასალებს თავისი ნაწარმოებებისათვის ივან ფრანკო ეძებდა ცხოვრებაში ან სრულიად საიმედო წყაროებში, დოკუმენტებში. თვით მწერლის მხატვრული თუ ეპისტოლარული მემკვიდრეობა გვიდასტურებს ამ მოსაზრებას. თავის პირადსა თუ პუბლიცისტურ წერილებში მას არაერთგზის მიუთითებია იმ ცხოვრებისეულ ფაქტებზე თუ წყაროებზე, რომლებზე დაყრდნობითაც შეუქმნია მას ესა თუ ის ნაწარმოები.

მწერალს დიდი ხელოვნება ვერ წარმოედგინა ღრმა იდეურობის გარეშე, ინტელექტუალობის, მილიონიან მასებთან გულახდილი, გულწრფელი საუბრის გარეშე. ამგვარი საუბარი მწერლის მთელ რიგ პროზაულ ნაწარმოებებში ავტორისეული ჩარევის უშუ-

ალო შედეგი იყო. „თქვენ ბიოგრაფიაში მოგვითხრობთ, რომ წერთ მხოლოდ იმაზე, რაც განიცადეთ, ნახეთ და რომ ყოველი სიტყვა ხშირად ავტობიოგრაფიულია. და აი, მეც, თქვენი „მეს“ ამ ნაწილს ვეძებ თქვენს თხზულებებში უპირველესად — და ისინი ყველაზე მეტს ეუბნებიან ჩემს გულს“, წერდა პოლონელი მწერალი ი. ოსტოია.

ივან ფრანკო შესანიშნავად იცნობს გალიციის გლეხებისა და მუშების, პროგრესული თუ ბურჟუაზიული ნაციონალისტური ინტელიგენციის ცხოვრებას. მწერალი კრიტიკული რეალიზმის მეთოდის მომარჯვებით გვიხატავს სოფლისა და ქალაქის მშრომელების ცხოვრებას, სოფლისა და ქალაქის მუშების, ინტელიგენციის, ხელოსნების საქმიანობას. იგი ერთიანი თანაგრძნობით ეკიდება უკრაინელი, რუსი, პოლონელი, ებრაელი, გერმანელი, ჩეხი, უნგრელი, ბოშა თუ სხვა ერის წარმომადგენლის ცხოვრების მძიმე სურათების რეალისტურად ასახვას.

ივან ფრანკომ პირველმა უკრაინულ ლიტერატურაში მხატვრულად განასახიერა ორგანიზებული ბრძოლა შრომისა კაპიტალთან, რეალისტურად ასახა მუშებში სოციალისტური შეგნების, შეგნებულობის გაღვივება. მან უკრაინულ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა შრომის ფართო ტილოები, სურათები, თავისი ნაწარმოებები დაასახელა სოციალური, ფსიქოლოგიური, ნაციონალური, პროფესიული ტიპებითა და ხასიათებით, გვიჩვენა მეშახტეების, ტყის მჭრელების, გლეხების, ქვისმთლელების, კალატოზების და სხვათა მძიმე შრომა.

ივან ფრანკო პროზის დიდი ოსტატია. მისი რომანებისათვის დამახასიათებელია მოტივირებული მწვავე სოციალური და ფსიქოლოგიური კონფლიქტები, ენის გამომხატველობა, მხატვრული ტიპიზაციის თავისებურებათა სიახლე. თავის პროზაულ ნაწარმოებებში მწერალმა შექმნა მუშათა კოლექტივისა და აჯანყებულ გლეხთა მასების მონუმენტური სახე, თვალი გაადევნა ბურჟუაზიული ინტელიგენციის დაბადებასა და მისი საუკეთესო ნაწილის მონაწილეობას სოციალური და ნაციონალური განთავისუფლებისათვის ხალხის ბრძოლაში. მებრძოლი-რევოლუციონერის სახე ცენტრალური ფიგურაა ფრანკოს პროზისა.

ივან ფრანკოს პროზაულ ნაწარმოებებს ახასიათებს პუბლიცისტური სიმახვილე. იგი თავის ნაწარმოებებში სვამს პოლიტიკურად აქტუალურ საკითხს. ეს არის „ოპოზიციაში“, „ღორულ კონსტიტუციაში“ და სხვებში. ყველა ვითარებაში ფრანკო-პუბლიცისტი განუყოფელია ფრანკო-შემოქმედისაგან. ამიტომაც მწერლის ნაწარმოებები, რომლებიც პუბლიცისტური სიმახვილით გამოირჩეოდნენ, იყო მისი რევოლუციურ-პოლიტიკური მოღვაწეობის ორგანული ნაწილი.

ივან ფრანკო ნოვატორი ხელოვანი იყო. მწერალი ნაწარმოების შექმნისას უპირატესობას შინაარსს ანიჭებდა, მაგრამ ნაწარმოების მხატვრულ ფორმასაც მაღალ მოთხოვნებს უყენებდა. მისი პროზა ჟანრობრივად მრავალფეროვანი და მხატვრული ხერხებით არაჩვეულებრივად მდიდარია. ლიტერატურის ახალი ჟანრის შექმნისას მწერალი ხელმძღვანელობდა იმ რწმენით, რომ „ყოველ ეპოქას და ყოველ საზოგადოებას აქვს თავისი განსაკუთრებული ესთეტიკური საზომები ლიტერატურის ნაწარმოებისათვის“.

ივან ფრანკომ გაალრმავა, გაამდიდრა უკრაინული პროზის ჟანრობრივი შესაძლებლობანი. ზღაპარი, იგავი, ფელეტონი, ფსიქოლოგიური მოთხრობა. დოკუმენტური მოთხრობა და სხვ. გახდა მწერლის იდეური და მხატვრულ-ესთეტიკური რწმენის. პოზიციების გამოხატვის საშუალებანი. ივ. ფრანკომ თავის შემოქმედებაში გაამრავალფეროვნა პორტრეტული და ფსიქოლოგიური დახასიათების თავისებურებანი, გააძლიერა დიალოგის ფუნქცია, გამოიყენა კონტრასტი და სხვ. ხერხები ხალხთა, გმირების განცდისა და ემოციების, საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ფილოსოფიური, ეთიკური მისწრაფებების გამოსახატავად. ფრანკო სოციალ-ფსიქოლოგიური და მორალურ-ფილოსოფიური პროზის შეუდარებელი ოსტატია.

მწერლის ნაწარმოებების სიუჟეტები თითქმის ყოველთვის დრამატულად მახვილი და დინამიკურია. მუშების, გლეხების, ინტელიგენციის თუ სხვათა ყოფა-ცხოვრების აღწერისას მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ყველაზე მნიშვნელოვან ტიპურ მოვლენებს, რომლებიც კაპიტალისტური ბინამდვილით იყო გამოწვეული და რომლებიც ყოველთვის სოციალური ფაქტორებითაა დატვირთული.

ფრანკო-პროზაიკოსისათვის დამახასიათებელია გმირის შინაგან სამყაროში ღრმად შეჭრა, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ფსიქოლოგიის წარმოჩენა. ფსიქოლოგიურ პროფილთანაა დაკავშირებული ყოფითი სურათებისა თუ ბუნების ჩვენება გმირის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან მიმართებაში. აქედანაცაა, რომ თხრობა მხატვრულ ნაწარმოებში არასოდეს არაა გულგრილი, გულსგარეთა, ინდიფერენტული, იგი ან ლირიკულად ამაღელვებელი, ან ეპიკურად ამაღლებულია.

მწერალი მაღალი ხელოვნებით გვიხატავს გმირის განცდებს, მის ხასიათს, რაც ასევე ბევრადაა გაპირობებული მისი სოციალური წარმოშობით, რაზედაც საუბარს მწერალი არასოდეს არ იწყებს.

თავისი ნაწარმოებების გმირების მხატვრული სახის შექმნის დროს მწერალი უპირველესად იმაზე ზრუნავდა, რომ მათ განესაზიერებინათ „მოცემული ეპოქის აზრები და მისწრაფებანი". იგი „გმირების" შინაგან სამყაროს, მათ მოქმედებას სხვადასხვა ხერხების მოშველიებით გვიხატავს. ეს არის გარეგნული პორტრეტი, მოგონებები, სიზმარი, შინაგანი მონოლოგი, თვითონ გმირის მონათხრობის გადმოცემა, ავტორისეული თხრობა და სხვ.

დიდი კაშენიარი გამოხატვის მრავალგვარ ხერხს ფლობს. იგი თანაბარი ხელოვნებით იყენებს — შედარებას, მეტაფორას, მეტონომიას, ეპითეტს და სხვ.

მწერლის ნაწარმოებების ენა თავისი ლექსიკური შედგენილობით და ფრაზეოლოგიით უაღრესად მდიდარია. როგორც მხატვრულ, ისე ლიტერატურულ-კრიტიკულ თუ პუბლიცისტურ სტატიებსა თუ გამოკვლევებში ივან ფრანკომ მრავალი ინტერნაციონალური, ახალი ტერმინი შემოიტანა ხელოვნებისა თუ მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან.

ივან ფრანკოს მთელი პროზა თავისი მრავალფეროვანი ჟანრებით გახდა სკოლა მრავალი მწერლისათვის, მისი თანამედროვე და მომავალი შემოქმედი თაობისათვის. მისი უშუალო გავლენა შეიმ-

ჩნევა ნ. კობრინსკას, ს. კოვალიოვის, ო. კობილიანსკას, ო. მაკოვეის, ლ. მარტოვიჩის, ვ. სტეფანიკის, მარკ ჩერემჩინასა და სხვათა შემოქმედებაზე.

ივან ფრანკომ თავისი პროზაული ნაწარმოებებით დიდი პოპულარობა მოიპოვა არა მარტო უკრაინაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში და მის საზღვრებს გარეთაც. მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან მისი პროზაული ნაწარმოებები ითარგმნა რუსულ, ქართულ, პოლონურ, ჩეხურ, უნგრულ, ბულგარულ, გერმანულ და სხვა ენებზე.

ივან ფრანკო და თეატრი

უკრაინული რეალისტური თეატრის განვითარება მტკიცედ არის დაკავშირებული ივან ფრანკოს სახელთან. თეატრალური ხელოვნების შესანიშნავმა მცოდნემ ივან ფრანკომ XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედსა და XX საუკუნის დამდეგს დიდი წვლილი შეიტანა უკრაინული თეატრის რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკისა და მხატვრული მონაპოვრის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში.

ფრანკოს კავშირი თეატრთან შემთხვევითი არ ყოფილა. 1873-74 წწ. ჯერ კიდევ გიმნაზიის მოწაფე თანამშრომლობდა ო. ბაჩინსკის დასთან, იგი უკრაინული სცენისათვის თარგმნიდა უცხოელი მწერლების ნაწარმოებებს. თეატრით ფრანკო ადრე დაინტერესდა, რადგან ფიქრობდა, რომ თეატრის მეშვეობით შესაძლებელი იყო საზოგადოებრიობასთან მჭიდრო, ქმედითი კონტაქტის დამყარება. მაგრამ იმდროინდელი გალიციური თეატრის რეპერტუარმა, უფრო სწორად, რეპერტუარის სიმწირემ. აიძულა ფრანკო ეძია გზები მისი განახლებისა და განვითარებისათვის. ამიტომაც პირველი ნაბიჯები მან თარგმნის სფეროში გადადგა. 70-იანი წლების დამდეგს უკრაინული სცენისთვის საგანგებოდ თარგმნა სოფოკლეს „ანტიგონე“ და „ელექტრა“, კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, გარიშის „მეზღვაურები ნავსადგურში“, უფრო მოგვიანებით კი პ. კალდერონის, გ. სუტიეს და სხვათა ნაწარმოებები.

დიდი იყო ი. ფრანკოს ინტერესი რუსული დრამატურგიისადმი. ჯერ კიდევ ოცი წლის ყმაწვილმა უკრაინულ ენაზე გადათარგმნა ალ. ოსტროვსკის ნაწარმოები, ხოლო 1914 წელს თარგმნა ა. პუშკინის „ბორის გოდუნოვი“, „ძუნწი რაინდი“, „მოცარტი და სალიერი“, „ქვის სტუმარი“ და სხვ.

მხოლოდ მისი მთარგმნელობითი საქმიანობა რომ ვიქონიოთ

მხედველობაში, მაინც შეიძლება თამამად აღიარება იმისა, რომ ივან ფრანკო დღენიადაგ ზრუნავდა უკრაინული თეატრის რეპერტუარზე, უკრაინული თეატრის, ეროვნული, ხალხური თეატრის განვითარებაზე.

დიდი მწერალი ახლო კონტაქტში იმყოფებოდა უკრაინული სცენის, განსაკუთრებით კი გალიციის თეატრის მოღვაწეებთან. ცნობილია მისი მეგობრობა გამოჩენილ მომღერალთან სოლომია კრუშელნიცკასთან, კომპოზიტორ მ. ლისენკოსთან [1] და სხვებთან. ი. ფრანკოს სახლში ხშირი სტუმრები იყვნენ უკრაინული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი, ს. კრუშელნიცკას არაერთგზის დაუტკბია თავისი ხმით ფრანკოს ოჯახის სტუმრები. „მახსოვს, — იგონებს ი. ფრანკოს ვაჟი, — თუ როგორ ძღეროდა ჩვენს სახლში სალომია კრუშელნიცკა. მას დედა უწევდა აკომპონიატორობას. ეს იყო თავისებური პატარა კონცერტები, რომელთა დავიწყებაც შეუძლებელია. კრუშელნიცკას ძლიერი და საამო ხმა ჰქონდა, მამაჩემი, ჩაფიქრებული, უდიდესი სიამოვნებით უსმენდა მის სიმღერას“ [2].

ი. ფრანკოს თავადაც ხშირად იწვევდნენ შემოქმედებით საღამოებზე. მაგალითად, მ. ლისენკოს შემოქმედებით საღამოზე, რომელსაც ესწრებოდნენ უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები — ლესია უკრაინკა, მიხაილო კოციუბინსკი, პანას საქსაგანსკი და სხვები, ივან ფრანკომ წაიკითხა თავისი პოემა „მოსე“, ხოლო პანას საქსაგანსკიმ — ივან ფრანკოს „ქვისმტეხელნი“ [3]. გალიციელი მგოსნისა და მოღვაწის ნაწარმოებებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს საღამოს მონაწილეებზე.

პიესების შექმნით დაინტერესებამ კიდევ უფრო დაახლოვა იგი სცენასთან. თეატრთან კავშირის განმტკიცებას და მწერლის პოპულარობას ფართო საზოგადოებრიობაში ხელი შეუწყო საცენ-

---

[1] იხ. ო. მ. ლ ი ს ე ნ კ ო ს მოგონება „მათ აერთიანებდა ხალხისადმი სიყვარული“, ჟურ. „უკრაინა“, კ., 1956, № 16.

[2] ტარას ივანეს ძე ფრანკო. სახელოვანი მომღერალი. მოგონებები და სტატიები სოლომია კრუშელნიცკაზე, ლვოვი, 1956, გვ. 53.

[3] მ. მ. კ ო ც ი უ ბ ი ნ ს კ ი, კრებული 4, კ., 1960.

ზურო კომიტეტის დევნამ, ცენზურის მიერ ფრანკოს პიესების აკრძალვამ. ივან ფრანკოს სცენისაკენ მიმავალი გზა არ იყო იოლი. მიუხედავად ამისა, „მოპარულმა ბედნიერებამ“ დიდი სიხარული მოუტანა დრამატურგს. პირველივე წარმოდგენისას მაყურებელმა ოვაციები გაუმართა მსახიობებს და მრავალგზის გამოიწვია სცენაზე პიესის ავტორი. სტუდენტებმა ახალგაზრდობის სახელით სცენაზე ყვავილები მიართვეს მას და დაფნის გვირგვინით შეამკეს იგი.

ასეთი ბედნიერი წუთები ფრანკოს იშვიათად ჰქონდა თეატრში. იმისათვის, რომ მისი პიესა დადგმულიყო სცენაზე, დრამატურგს ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა უხდებოდა. მისთვის ძალზე ძნელი იყო მშობლიურ სახლში—თეატრში შესვლა.

ივან ფრანკოს თავდავიწყებამდე უყვარდა თეატრი, თეატრალური ხელოვნება. ამიტომაც იცავდა იგი თავგამოდებით უკრაინელი ხალხის უფლებას — ჰქონოდათ საკუთარი სახალხო თეატრი, ან, როგორც ამას ფრანკო ამბობდა ხოლმე, გლეხური, „მუჟიკური“ თეატრი.

არა ერთი და ორი ნაწარმოები, პუბლიცისტური, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი თუ თეორიული ნაშრომი მიუძღვნა მწერალმა თეატრს, მის დღევანდელობასა თუ ისტორიას. მისმა წერილებმა და კრიტიკულმა ნაშრომებმა ივან ფრანკო წარმოაჩინეს როგორც ხალხისათვის თავდადებული, მისი ხვალინდელი ბედნიერი დღისათვის მებრძოლი შეუპოვარი რევოლუციონერი-დემოკრატი მოღვაწე.

ი. ფრანკოს მეცნიერული თუ ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა, თეატრმცოდნეობის სფეროში იყო მკვეთრად პუბლიცისტური, პოლემიკური, იდეურად მახვილი, მიზანდასახული და შემტევი. მის სტატიებში მხილებული იყო ბურჟუაზიული ესთეტიკის წარმომადგენლების რეაქციული შეხედულებანი, უკრაინული ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და პოლონური არისტოკრატიის მლიქვნელური და ფარისევლური საქმიანობა.

თეატრისა და მისი დინამიკურობის, ცხოვრებაში მისი ადგილის განსაზღვრისას ივან ფრანკო ამოდიოდა თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობიდან. მწერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფართო საზოგადოებრიობაში, ხალხში პროგრესუ-

ლი იდეების პროპაგანდის ყოველგვარ საშუალებას, მათ შორის თეატრსაც და წერდა: „იმ წუთიდან, როდესაც მუშები შეიგნებენ, რომ მათ უდიდესი ძალა გააჩნიათ, როგორც რიცხობრივად უზარმაზარ მასას, და ხელს გამოიღებენ პოლიტიკური ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად, დაჰკრავს კაპიტალისტური წყობილების უკანასკნელი საათი. საზოგადოებრიობა, მაშასადამე, პროლეტარიატი გადავა ისტორიის ახალ ფაზაში, სოციალიზმში, რომლის დროსაც ადამიანები ჭეშმარიტად პირველად იგრძნობენ თავს ისტორიის შემოქმედებად...“[1].

თ ე ა ტ რ ი ს ი ს ტ ო რ ი კ ო ს ი. ოქტომბრის რევოლუციამდელ უკრაინაში ივან ფრანკო შეიძლება ჩაითვალოს უკრაინული მეცნიერული თეატრმცოდნეობის ფუძემდებლად. რაც უფრო ღრმად სწავლობენ მეცნიერები ი. ფრანკოს შრომებს თეატრის ისტორიიდან, მით უფრო ნათელი ხდება ამ შრომების დიდი მნიშვნელობა უკრაინული სცენის ჭეშმარიტი მატიანეს შესაქმნელად.

ი. ფრანკოს დიდი შრომა აქვს გაწეული უკრაინული თეატრის ისტორიის შესწავლის საქმეში. ამ სფეროში მისი მეცნიერული გამოკვლევები დაწერილია მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, რომელიც მან ამოკრიბა სხვადასხვა არქივიდან, სამოქალაქო აქტებიდან და სხვა მასალებიდან. ფრანკო, თეატრის ისტორიკოსი, წერის დროს არ კმაყოფილდებოდა ფაქტების მხოლოდ შეკრებითა და აღწერით. ფაქტების მოშველიებით იგი ცდილობდა ამოეცნო და დაეხასიათებინა თვით ეპოქა, ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი, ნიშანდობლივი, ტიპური მოვლენები.

ამ მიმართულებით ინტერესს იმსახურებს ი. ფრანკოს ნაშრომები ახალი უკრაინული დრამისა და თეატრის ისტორიიდან „რუსული თეატრი გალიციაში“ (1885), „რუსულ-უკრაინული თეატრი“, „ი. პ. კოტლიარევსკის ნაწარმოებები გალიციაში“, „გალიციური“, „ჯადოქარი სალდათი“ და სხვები. ამ ნაწარმოებებთან ახლოსაა თავისი ხასიათით გამოკვლევები ლიტერატურის ისტორიიდან, როგორიცაა, მაგალითად, „კრიტიკული წერილები გალიციური ინტელიგენციის შესახებ“, „რუსულ-უკრაინული ლიტერატურა“, სტატიები მ. სტარიცკის, მ. კროპივნიცკის, ი. კარპენკო-კარის დრამატურგიის

[1] „Литературно-научный вестник“, Львов, 1904, т. 25, кн. 137.

შესახებ და აგრეთვე სტატიები ფრანკოს თანამედროვე თეატრალურ-ლიტერატურულ ცხოვრებაზე.

სტატიაში „რუსული თეატრი გალიციაში“ (1835 წ.) ი. ფრანკომ მიმოიხილა ამხანაგობის „რუსკა ბესიდა“ უკრაინული პროფესიული თეატრის ათი წლის მოღვაწეობა ლვოვში, თეატრალური ცხოვრება XIX საუკუნის 40-იან წლებში პირველი წარმოდგენებიდან 80-იან წლებამდე. ხოლო ამავე თეატრის ოცდაათი წლის თავზე მანვე დაწერა პირველად უკრაინული თეატრისა და დრამატურგიის ისტორია — „რუსულ-უკრაინული თეატრი (ისტორიული ნარკვევი)“. ამ დაუმთავრებელ ნარკვევში ფრანკომ წარმოადგინა უკრაინული თეატრის წარმოშობისა და განვითარების ისტორია უკრაინაში ხალხური დრამის წარმოშობიდან და გალიციაში 1864 წელს და დნეპრისპირა უკრაინაში 1880 წელს დრამისა და თეატრის განვითარების მდგომარეობის ახახვამდე, კიევის რუსეთის პერიოდიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. ი. ფრანკომ ნაშრომში „რუსულ-უკრაინული ლიტერატურა“ უკრაინული თეატრის ისტორიის კვლევა მიიყვანა XIX საუკუნის დასასრულამდე, ხოლო სტატიაში „სამხრეთ რუსული ლიტერატურა“ (1904) განიხილა მისი თანამედროვე უკრაინული თეატრის მდგომარეობაც. 1890-იან წლებში გამოქვეყნებულ მრავალ სტატიაში მკვლევარმა დაამუშავა თეატრის თეორიისა და ისტორიის პრობლემები.

ფრანკოს მიაჩნდა, რომ XVII — XVIII საუკუნეების ძველი უკრაინული თეატრი ჰეშმარიტად წარმოადგენდა იმდროინდელი უკრაინული ხელოვნების მშვენებას. როგორც იგი წერდა: „უკრაინული თეატრი იყო ერთი უმთავრესი მშვენება ჩვენი მაშინდელი ლიტერატურისა“[1]. ფრანკო თვლიდა, რომ მეცნიერების ყურადღების ორბიტაში უსათუოდ უნდა მოქცეულიყო ძველი უკრაინული დრამა, რადგანაც იგი იმსახურებდა მკვლევრების სერიოზულ ინტერესს თუნდაც იმით, რომ ძველი დრამა თავის სიუჟეტს ხალხის ცხოვრებიდან იღებდა, იგი ანიჭებდა დრამას სიცოცხლეს. თვითონ ი. ფრანკომ უკრაინული დრამისა და თეატრის კვლევას

[1] ივან ფრანკო. თეატრისა და დრამატურგიის შესახებ. რჩეული სტატიები, რეცენზიები და გამონათქვამები, უკრ. მეც. აკად. გამოცემა, კ., 1957, გვ. 69.

მხოლოდ 1891—1913 წლებში რვა ნაშრომი მიუძღვნა. საინტერესო ის იყო, რომ მწერალი ყველა თავის საკვლევ ობიექტში, დრამატულ ნაწარმოებებში, თეატრალურ წარმოდგენებში ადამიანების რეალურ ცხოვრებისეულ ურთიერთობებს ეხებოდა. „საინტერესოა, — წერდა იგი მ. დრაგომანოვს დრამის „ქრისტეს ვნებათა მისტერიის“ შესახებ, — რომ ქრისტე და მარია წარმოდგენილი არიან ადამიანური თვისებებით“[1].

მწერალი სახალხო თეატრისა და დრამის წყაროებს, წეს-ჩვეულებებსა და ადათ-წესებში ეძებდა და მიუთითებდა, რომ ხალხს „უხსოვარი დროიდან ჰქონდა თავის წეს-ჩვეულებებსა და ადათ-წესებში დრამის მდიდარი ჩანასახები“[2]. თავის გამოკვლევებში ფრანკომ ხალხის სულიერ ცხოვრებაში დიდი ადგილი მიუჩინა დრამატულ პოქმედებებს, „თამაშობებს“, ადათ-წესებს, ინტერმედიებს, მღვიმეთა დრამის კომიკურ დიალოგებს და სხვ.

საინტერესო მეცნიერული დაკვირვებები აქვს ი. ფრანკოს უკრაინული დრამის და თეატრის განვითარებაზე მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში. ახალი უკრაინული თეატრის წარმოშობა მან დაუკავშირა ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას. ამ ასპექტში განიხილა მან პროფესიული თეატრების წარმოშობა და განვითარება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ უკრაინაში. მკითხველს ერთი რამ მოხვდება თვალში ი. ფრანკოს ნაწარმოებების კრიტიკული სტატიების წაკითხვისას — აშკარად იგრძნობა რუსული ლიტერატურის ტრადიციებთან მათი სიახლოვე. ფრანკო, როგორც მოაზროვნე და მხატვარი, მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსულ მოწინავე საზოგადოებრივ აზრთან და რუსული დრამის ტრადიციებთან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვით ივან ფრანკო იყო შესანიშნავი პროპაგანდისტი რუსული ლიტერატურის და რუსი მწერლობისა უკრაინაში. როგორც ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი, ფრანკოც თვლიდა ლიტერატურული კრიტიკის უთუო მოვალეობად საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, თანამედროვე სინამდვილეზე წერას.

ივან ფრანკო თავის წერილებში მკითხველებს მოუთხრობდა

---

[1] მასალები დასავლეთ უკრაინის კულტურისა და სამოქალაქო ისტორიისათვის. ტ. 1, კ., 1928, გვ. 295.

[2] ივან ფ რ ა ნ კ ო, თხზულებანი, ტ. XVI, გვ. 209.

გამოჩენილი რუსი მწერლების: რადიშჩევის, გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, გერცენის, გოგოლის, ნეკრასოვის, ოსტროვსკის, სალტიკოვ-შჩედრინის, გლებ უსპენსკის, ტურგენევის, ტოლსტოის და სხვათა ცხოვრება-მოღვაწეობაზე, აცნობდა მათ მხატვრულ ნაწარმოებებს, აშუქებდა მათ ესთეტიკურ პოზიციებს, მსოფლმხედველობას. რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების: ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის ნაწარმოებები ივან ფრანკოს იდეურად აიარაღებდა და რუსი თუ უკრაინელი მწერლების შემოქმედების შეფასების დროს ნათელი, პროგრესული პოზიციის შემუშავებაში ეხმარებოდა. ამიტომაც იყო, რომ მოწინავე რუსული ლიტერატურა მას მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურად მიაჩნდა[1].

1878 წელს ი. ფრანკომ დაბეჭდა სტატია „ლიტერატურა, მისი დანიშნულება და უმნიშვნელოვანესი თვისებები". ამ სტატიაში ახალი ძალით გამოიკვეთა უკრაინელი მოღვაწის იდეურ-მხატვრული პოზიციები. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის უკრაინული ლიტერატურის განვითარების ახალ ეტაპზე ეს სტატია წარმოადგენდა რეალისტური უკრაინული ლიტერატურის მანიფესტს. ფრანკო თავის წერილში კატეგორიულად ილაშქრებდა იდეალისტური ესთეტიკური თეორიების წინააღმდეგ, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო ჰეშმარიტ ხელოვნებასთან, მის ხალხურ საწყისებთან, საზოგადოებრივ დანიშნულებასთან და საგანგებოდ გაბაზავდა ლიტერატურისა და ხელოვნების დიდ საზოგადოებრივ ფუნქციას, მათ ურღვევ კავშირს სინამდვილესთან, ცხოვრებასთან, როგორც მაცოცხლებელ წყაროსთან, მის კავშირს კლასობრივ ბრძოლასთან.

აქედან გამომდინარე იგი ლიტერატურას თვლიდა და იყენებდა კიდეც როგორც იარაღს რეაქციის წინააღმდეგ, როგორც რევოლუციური იდეების პროპაგანდის საშუალებას. ამის ნიმუში მას რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკის სახით ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ ლიტერატურას იგი ფაქტების უბრალო აღმრიცხველის როლს კი არა, ახალი სამყაროს აქტიური შემოქმედის

---

[1] ი. ფრანკოს რეცენზია წიგნზე „რუსული ლიტერატურის ახალი ისტორია", ი. ფრანკო, თხზ., ტ. 16, გვ. 175.

ფუნქციას აკისრებდა. „ლიტერატურა, — აღნიშნავდა იგი, — უნდა ცდილობდეს გააღვიძოს მკითხველში სურვილი და ძალა არსებულ ნაკლოვანებათა მოსასპობად — ესაა მისი პროგრესული ტენდენცია"[1].

ლიტერატურაში რეალიზმისა და ხალხურობისათვის ბრძოლაში ფრანკო მთლიანად ეყრდნობოდა რუსული ლიტერატურის მდიდარ გამოცდილებას და განსაკუთრებით კი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატების მატერიალისტურ ესთეტიკას. ამ მიზნის განხორციელების დროს იგი დაუღალავად, არაადამიანურად მუშაობდა და მშობლიურ უკრაინულ ენაზე მკითხველებს აწვდიდა მის მიერვე თარგმნილ კლასიკურ და თანამედროვე ევროპულ თუ რუსულ ლიტერატურას, გამოჩენილი რუსი და უცხოელი მოაზროვნეების მხატვრულსა თუ კრიტიკულ ნაწარმოებებს. მაგალითად, უკრაინულ ენაზე თარგმნა მან ჰორაციუსის და ოვიდიუსის, გოეთეს და შექსპირის. კალდერონისა და ჰაინეს, ზოლასა და რობერტ ბერნსის, შელისა და ბაირონის, ჰიუგოსა და მიცკევიჩის და რომაელი, ბერძენი, ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი, ესპანელი, პოლონელი, ჩეხი ავტორების მხატვრული ნაწარმოებები. ი. ფრანკომ თარგმნა და გამოსცა მეცხრამეტე საუკუნის თითქმის ყველა გამოჩენილი რუსი მწერლის მხატვრული ნაწარმოებები, დობროლიუბოვისა და პისარევის სტატიები და ფართო პროპაგანდა გაუწია ბელინსკისა და ჩერნიშევსკის რევოლუციურ ესთეტიკას.

ი. ფრანკოს მიაჩნდა, რომ თეატრი სულიერი ცხოვრების ურთულესი და უმნიშვნელოვანესი სფეროა. ამიტომაც იბრძვის იგი იმ ჭეშმარიტი თეატრისათვის, რომელიც ხალხის ტკივილებისა და ინტერესების გამომხატველი, ხალხის ცხოვრების ამსახველი იქნებოდა. თეატრი, ი. ფრანკოს გაგებით, „ცხოვრების სკოლა" უნდა იყოს, მან „უნდა გვიჩვენოს ეს ცხოვრება, აგვისახოს და გააანალიზოს მისი მოვლენები, მაყურებლებში გააღვიძოს ამ ცხოვრებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, გააღვიძოს გრძნობა, რომ ასეთი და ასეთი მოვლენები კარგია, ხოლო ასეთი ცუდი"[2].

ი. ფრანკო ფიქრობს, რომ უკრაინული თეატრი სახალხო თეა-

---

[1] ი. ფ რ ა ნ კ ო, თხზ., ტ. 16, გვ. 13.

[2] იქვე, გვ. 179.

ტრი უნდა იყოს, მაგრამ იგი სრულიადაც არ შემოფარგლავს ნაწარმოების შინაარსს მხოლოდ გლეხების ყოფის ასახვით. „დაე თეატრი იყოს სახალხო, რამდენადმე უფრო ფართო მნიშვნელობით, — წერს იგი — დაე მოგვცეს მან უკრაინული საზოგადოების სახე, ჩვენი მხარის საზოგადოებისა, ჩვენი მხარისა და უკრაინელი ხალხის სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების ურთიერთ-გავლენის სურათისა, — ეს იქნება ძალზე დიდი ამოცანა, თეატრისათვის ძალზე ფართო ასპარეზი“ [1].

გალიციური თეატრი იმ დროისათვის ძალზე ჩამორჩებოდა რუსული თუ ევროპული თეატრების დონეს. ამიტომაც იყო, რომ ი. ფრანკო ილაშქრებდა განმანათლებლური ორგანიზაციის „უკრაინსკა ბესიდა“ თეატრალური კომიტეტის წინააღმდეგ, რომლისგანაც მატერიალურად იყო დამოკიდებული თეატრი და რომელიც კონსერვატორი, ჩამორჩენილი შეხედულების გამნაზიის მასწავლებლებისაგან შედგებოდა. სწორედ მათი „წყალობა“ იყო, რომ იმ დროს გალიციურ სცენაზე იდგმებოდა ისეთი პიესები, რომლებიც „თემის დამუშავების მეთოდით XVIII საუკუნის ტრადიციების ნიადაგზე იდგა“, ხოლო მათი მორალური და ესთეტიკური პრინციპები, ფრანკოს თქმით, წარმოადგენდა „სიცრუის კოდექსსა და ცხოვრებისეული სიმართლის გაყალბებას“[2]. ჩამორჩენილი ესთეტიკური გემოვნების დოგმატიკოსი მასწავლებლები სცენას არ აკარებდნენ უკრაინული რეალისტური თეატრისა და დრამატურგიის ისეთი წარმომადგენლების ნაწარმოებებს, როგორიც იყვნენ მიხაილო სტარიცკი და მარკო კროპივნიცკი.

გალიციაში შექმნილი ამგვარი ვითარების გამო ი. ფრანკო მკაცრად ილაშქრებდა თავის კრიტიკულ სტატიებში: „უკრაინული თეატრი გალიციაში“, „ჩვენი თეატრი“, „უკრაინული თეატრი“, „ჩვენი თეატრალური მიზერია“ და სხვა მრავალრიცხოვან თეატრალურ რეცენზიებში.

გალიციას სჭირდებოდა ჭეშმარიტად რეალისტური თეატრი. თეატრი, რომლის სცენაც დაეთმობოდა უკრაინულ რეალისტურ დრამატურგიას. ფრანკოს აზრით, თეატრს უნდა აესახა ცხოვრება კრ-

[1] ი. ფრანკო, თხზ., ტ. 16, გვ. 198.

[2] ი. ფრანკო, „უკრაინული თეატრი გალიციაში“, თხზ., ტ. 16, გვ. 178.

ტიკულ ასპექტში. ოღონდ ეს კრიტიკა უნდა შეხებოდა არა მხოლოდ და არა იმდენად ცხოვრების ცალკეულ, უმნიშვნელო მხარეებს, ზოგიერთ მანკიერებას, არამედ „საზოგადოების მთავარ, ძირითად ნაკლოვანებას“ [1]. მხოლოდ ასეთი თეატრი შეიძლება იყოს ცხოვრების სკოლა, — ასკვნის ავტორი.

ი. ფრანკო ყურადღებას ამახვილებდა აგრეთვე გალიციის ერთადერთი უკრაინული თეატრის უარყოფით ტენდენციაზე — იაფფასიანი, საეჭვო ღირსების დასავლეთევროპული ოპერეტებით გატაცებაზე, თვით უკრაინულ პიესებში ეთნოგრაფიზმის მოჭარბებაზე, პიესების ცეკვებით და სიმღერებით უთავბოლოდ გადატვირთვაზე და სხვ.

ამიტომაც იყო, რომ ი. ფრანკო კატეგორიულად მოითხოვდა უკრაინული რეალისტური დრამატურგიისათვის ფართო გზა მიეცათ გალიციური თეატრების სცენაზე. მას მიაჩნდა, რომ მ. კროპივნიცკის, მ. სტარიცკისა და ი. კარპენკო-კარის პიესები გამოასწორებდნენ მდგომარეობას და მაყურებელს უკრაინული ცხოვრების ნათელ სურათს წარმოუდგენდნენ. „ამ ათი წლის განმავლობაში, — წერდა ი. ფრანკო 1893 წელს, — რამდენიმე ადამიანის — კროპივნიცკის, კარპენკო-კარის, ყველაზე მეტად კი სტარიცკის ენერგიამ და ნიჭმა შექმნეს სავსებით სოლიდური, ორიგინალური უკრაინული რეპერტუარი“. ი. ფრანკო ფიქრობდა, რომ სწორედ ამ რეპერტუარს უნდა გაეხსნა გზა გალიციის თეატრის სცენაზე. მას უნდა განედევნა სცენიდან „უსუსური ფარსი“ და უდღეური ე. წ. ისტორიული დრამები, რომლებშიც გაყალბებულია ხალხის ცხოვრება, მიჩქმალულია ხალხის ინტერესები და სულისკვეთება.

გალიციის სცენაზე უკრაინული რეალისტური დრმატურგიის დამკვიდრებასთან ერთად ადგილობრივ თეატრს უთუოდ სჭირდებოდა თვით გალიციელი ხალხის ცხოვრების ამსახველი პიესები.

ასეთი იყო საერთო ვითარება გალიციურ თეატრში იმ დროს. ამან განაპირობა სწორედ ი. ფრანკოს დაინტერესება დრამატურგიით და ამან განაპირობა დრამის „მოპარული ბედნიერების“ შექმნაც.

---

[1] ი. ფრანკო, „უკრაინული თეატრი გალიციაში“, თხზ., ტ. 16, გვ. 179.

პირველი დრამატურგიული ცდები. ი. ფრანკოს სტატიები, რეცენზიები, გამოკვლევები თეატრისა და დრამატურგიის შესახებ გვაძლევენ გამოჩენილი უკრაინელი მწერლის დრამატურგიული შემოქმედების ერთგვარ გასაღებს, წარმოგვიჩენენ მის არა მარტო ესთეტიკურსა და იდეურ კრედოს, არამედ შემოქმედებით ლაბორატორიასაც. ხოლო დიდი მხატვრის დრამატურგია თავის მხრივ წარმოადგენს უკრაინული რეალისტური თეატრის ათვის ბრძოლის, რევოლუციურ-დემოკრატიული პროგრამის ცხოვრებაში, ხელოვნებაში განხორციელების თვალნათელ მაგალითს.

დრამატურგიით ი. ფრანკო ბავშვობიდანვე დაინტერესდა. „რაც შეეხება ჩემს დრამატულ ნაწარმოებებს, — წერდა იგი 1898 წელს ცნობილ უკრაინელ მეცნიერს აგათანგელ კრიმსკის, — გეტყვით, რომ დრამა ჩემი ძველისძველი გატაცებაა. ჯერ კიდევ გიმნაზიაში ვწერდი ისტორიულ დრამებს, ხოლო უნივერსიტეტის სტუდენტობის დროს დავაპირე მოყვარულთა სპექტაკლისათვის ერთი დრამის მიცემა“[1].

ი. ფრანკოს ადრეული დრამატული ნაწარმოებებიდან მხოლოდ მცირედი შემოგვრჩა, დიდი უმრავლესობა კი უკვალოდ დაიკარგა.

გიმნაზიის მოწაფე ი. ფრანკო ანტიკური ისტორიის, მითოლოგიის და ლიტერატურის სიუჟეტებს იყენებდა და ისე თხზავდა დრამებს. 1872 წელს ი. ფრანკომ ბერძნული მითის სიუჟეტზე ააგო პიესა „აქილევსი“, მომდევნო წელს პოლონურ ენაზე ლექსად დაწერა პროფესორ პეტრე პარილიუკის საკლასო დავალება და გერმანულ ენაზე ასევე ლექსად დაწერა ნაწყვეტი დრამიდან „რომული და რემი“. 1873 წელს გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფემ ი. ფრანკომ როგორც საკლასო თხზულება შექმნა ისტორიული დრამა „იუგურტა“[2]. გიმნაზიის მოსწავლის ეს პირველი ცდა მოეწონათ მის მასწავლებლებს. პოლონური ენის მასწავლებელმა პიესა „იუგურტა“ შეაფასა როგორც „მნიშვნელოვანი თხზულება“[3].

---

[1] ი. ფრანკოს არქივი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ტ. შევჩენკოს სახ. ლიტ. ინსტ. № 601.

[2] მ. პარხომენკო. ივან ფრანკოს დრამატურგია, მ., 1957, გვ. 23.

[3] ი. ბილოშტანი. ივან ფრანკო და თეატრი, კ., 1967, გვ. 65.

1874 წელს ი. ფრანკომ გამომცემელ ბილოუსოვს გაუგზავნა ერთი კომედია, ჟურნალ „დრუგს“ კი—ტრაგედია „იანიჩარის შურისგება“. ორივე ნაწარმოები უკვალოდ დაიკარგა [1]. იმავე დროს მწერალმა ჩაიფიქრა დრამატული ტრილოგია „პრომეთეს“ შესახებ: „...მაქვს უკვე ასე თუ ისე ჩამოყალიბებული გეგმა ტრილოგიის პირველი ნაწილისა, რომლის საგანიც არის ღმერთების ბრძოლა ტიტანებთან“ [2], — წერდა იგი ჯანილ დავიდიკს. იმავე 1874 წელს ი. ფრანკო წერს ისტორიულ დრამას „სამი მთავარი ერთ ტახტზე“, ხოლო 1875 წელს — „სლავოი და ხრუდოშს“. ივ. ფრანკო ფიქრობდა პიესის დაწერაზე ბოგდან ხმელნიცკის შესახებ. ახალგაზრდობის პერიოდის ამ დრამებში გამოჩნდა მომავალი დრამატურგის ნიჭი. ორივე დრამა გამსჭვალულია პატრიოტიზმის იდეით, ავტორი კიცხავს და გმობს გამცემლებს, მოღალატეებს, როგორც მშრომელი ხალხის ყველაზე საშინელ მტრებს, განადიდებს უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას. აქვე უნდა ითქვას, რომ ავტორის ეს პირველი ცდები მხატვრულობის თვალსაზრისით არ იყო სრულყოფილი. ეს ნაწარმოებები კომპოზიციურად სუსტი იყო, მიუხედავად კონფლიქტის ჭეშმარიტად ისტორიული ბუნებისა, პიესების ისტორიული კოლორიტი მთელი სისავსით არ აღიქმებოდა და სხვ.

„სამი მთავარი ერთ ტახტზე“ და „სლავოი და ხრუდოშა“ ივან ფრანკომ დაწერა „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ და „კრალედვორის ხელნაწერების“ გაელენით. „ამბავს...“ ი. ფრანკო სწორედ იმ დროს თარგმნიდა უკრაინულ ენაზე.

1879 წელს ი. ფრანკომ იმ დროის სოციალურ სინამდვილეზე შექმნა თავისი პირველი, შეიძლება ითქვას, მომწიფებული, რეალისტური ერთმოქმედებიანი დრამა „უკანასკნელი კრეიცერი“. დრამაში დასმული იყო საზოგადოებრივ-ფილოსოფიური და მორალური პრობლემები. ფაქტიურად ეს იყო პირველი დრამატული ნაწარმოები, რომელშიც ი. ფრანკო მისი თანამედროვე ცხოვრების პრობლემებს შეეხო.

---

[1] ივან ფრანკო. სტატიები და მასალები. მეორე კრებული. ლვოვის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1949, გვ. 139.

[2] იქვე.

ნაწარმოების გმირი ევგენ გრუშკო ღარიბი ოჯახის შვილია. მშობლები მას ადრე დაეხოცა. აღსაზრდელად იგი მდიდარმა ბიძამ აიყვანა. მოხუცი ბიძა ძუნწი და სასტიკი კაცი იყო. საშინელ პირობებში მოუხდა მას ბიძასთან ცხოვრება. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ისინი ქალაქში გადასახლდნენ. ქალაქში ევგენიმ ახალი „მეგობრები" გაიჩინა, დაიწყო სმა და დროსტარება, ბიძას მოპარა 30.000 ზლოტი და გაიქცა. „მეგობრების" ხელშეწყობით მან მალე გაანიავა ეს ფული. მაგრამ როგორც კი ევგენის დაპატიმრების საშიშროება წარმოიშვა, იგი მაშინვე მოიკვეთეს მისმა „მეგობრებმა". იმედგაცრუებული ყველაფერზე, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული და სულიერად განძარცული ევგენი თავის მოკვლაზე ფიქრობს, მაგრამ საამისოდ არ ჰყოფნის სულიერი სიმტკიცე. პოლიცია აპატიმრებს ევგენს, მიგვითითებს თავის დასკვნით რემარკაში ი. ფრანკო.

ევგენ გრუშკოს მეშვეობით ი. ფრანკო მწვავედ აკრიტიკებს კაპიტალისტურ წყობას, სადაც ფულის, ოქროს ძალა განაპირობებს ადამიანთა ურთიერთობას, ადამიანების ხასიათებს. ევგენი ხელში ატრიალებს უკანასკნელ კრეიცერს და ფიქრობს, ამ სპილენძის ნაჭერს, გაცვეთილს და გაჭონილს, რამდენისათვის, ცხოვრების სათავეში მოქცეული და დაბლა მდგომი კაცისათვის, ჯუმღვრევია სისხლი.

> სპილენძის ეს ნაჭერი, ჭუჭყიანი და გაცვეთილი,
> რამდენგზის დატრიალებულა როგორც სისხლი სხეულში,
> ხან მაღალ ფენებში, ხან კიდევ დაბალში —
> ღატაკთა, უბედურთა, ტანჯულთა ბუდეში,

ნათქვამია დრამაში.

ივან ფრანკოს ეს ფილოსოფიური მსჯელობა, რომელიც რამდენადმე ეხმაურება ა. პუშკინის „პატარა ტრაგედიებში" დასმულ პრობლემას ადამიანებზე ოქროს ძალისა და გაელენის შესახებ, მეტყველებს ავტორის შეხედულებაზე, კაპიტალიზმის სოციალურ. კლასობრივ-ანტაგონისტური ბუნების შესახებ. იგი თემატურად ეხმაურება ა. პუშკინის „ძუნწ რაინდს".

ევგენ გრუშკო, მართალია, აკრიტიკებს ბურჟუაზიულ სამყაროს, ფულის, ოქროს ბატონობის სამყაროს, მაგრამ უბედურება ის

არის, რომ იგი ვერ ხედავს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან. მას არ სწამს, რომ შესაძლებელია ადამიანური, სამართლიანი, გონივრული სოციალური ურთიერთობის დამყარება. ევგენი გაღიზიანებული, გულაყრილი და აღშფოთებულია მისი თანამედროვე ცხოვრების წესებით, მაგრამ ვერ ხედავს ნათელ მომავალს, არ იცის, როგორი სისტემისათვის არის საჭირო ბრძოლა.

ი. ფრანკოს ადრეული პერიოდის შემოქმედებაში ასე გაიკვლია გზა დებულებამ — ცხოვრების არსი ხალხის სოციალური განთავისუფლებისათვის თავდაუზოგავ მოღვაწეობაში მდგომარეობს: არ იყო მოულოდნელი და გასაკვირი, რომ დრამატურგი თარგმნიდა ჯ. ბაირონის „კაინს“. გოეთეს „ფაუსტს“, აგრეთვე პერსი ბიში შელის, ჰაინესა და სხვათა ნაწარმოებებს, რომლებშიც ადამიანის ცხოვრების ღრმა ფილოსოფიური პრობლემებია დასმული. საიდანაც მოისმის მოწოდება სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლისაკენ.

მ. პარხომენკოს აზრით, ივ. ფრანკოს დრამაზე „უკანასკნელი კრეიცერი“, ა. პუშკინის გავლენასთან ერთად შეიმჩნევა გოეთეს „ფაუსტის“ ერთგვარი გავლენაც. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ივ. ფრანკოს ერთდროულად უხდებოდა მუშაობა თავის ორიგინალურ ნაწარმოებზე „უკანასკნელ კრეიცერზე“ და კლასიკური ტრაგედიის „ფაუსტის“ თარგმანზე. გოეთეს „ფაუსტის“ საკუთარი თარგმანისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში ივ. ფრანკო წერდა: „არც მეცნიერებას თავისთავად, არც თავისუფალ და უზრუნველ ცხოვრებას, არც პატივსა და არც დიდებას, — არაფერს არ შეუძლია ბედნიერი გახადოს ადამიანი მანამ, ვიდრე მას ყველგან და ყოველთვის მხოლოდ საკუთარი თავი აქვს მხედველობაში. მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელ თავის ნიჭს, მთელ თავის ძალას მოიხმარს იმისათვის, რომ სხვები გაბედნიეროს, იმისათვის, რომ შეუქმნას მათ უზრუნველი ცხოვრება და განვითარება, მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ადამიანი ბედნიერი. ეს დიადი სიმართლე, რომლითაც თავდება „ფაუსტი“, ანიშნებს ამ ნაწარმოებს დღესაც კი, ჩვენს საუკუნეში, ცოცხალ რევოლუციურ ძალას. იგი არა თუ მოძველდა ჩვენთვის იდეურად, არამედ, პირიქით, მას შეუძლია ამ მიმართებით — რომ არაფერი

ეთქვათ შეუდარებელ პოეტურ სილამაზეზე, გვემსახუროს კიდევ დიდხანს მაგალითად და მოძღვრებად“[1].

წინასიტყვაობაში გამოთქმული ეს იდეები აისახა ივან ფრანკოს დრამაში. მაგრამ მათი მხატვრულად ნათლად და გარკვევით გამოსახატავად, მ. პარხომენკოს აზრით, უკრაინელმა მწერალმა ვერ მიაკვლია „სრულყოფილ მხატვრულ ფორმას და ამიტომაც მიანება თავი „უკანასკნელ კრეიცერზე მუშაობას“[2].

ი. ფრანკოს „ უკანასკნელი კრეიცერი“ იმ დროს დაიწერა, როდესაც მისი ავტორი მუშაობდა კ. მარქსის „კაპიტალის“ და ფრ. ენგელსის „ანტი-დიურინგის“ თარგმანზე. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების ნაშრომებმა ხელი შეუწყვეს მწერლის რევოლუციური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, დაარწმუნეს სტუდენტი ფრანკო მოწინავე მეცნიერული იდეების საზოგადოებრივი ძალის სიდიადეში.

„უკანასკნელ კრეიცერში“ ფრანკომ დაგვიხატა ახალგაზრდა კაცის ტრაგიკული ბედი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, მისი მორალური და სულიერი ჩამოყალიბების პროცესი, უფრო ზუსტად, ახალგაზრდა კაცის ტრაგედია, მისი კონფლიქტი ბურჟუაზიულ სამყაროსთან. ეს ნაწარმოები ევროპულ დრამატურგიაში იყო ნოვატორული მოვლენა.

90-იანი წლების პირველ ნახევარში ი. ფრანკომ დაწერა ოთხი დიდი პიესა — „მოპარული ბედნიერება“ (1893), „რიაბინა“ (პირველი რედაქცია 1886 წ., მეორე — 1893 წ., დასასრული — 1894 წ. დამდეგი), „მთავარ სვიატოსლავის სიზმარი“ (1894), „მასწავლებელი“ (1896), აგრეთვე ერთმოქმედებიანი პიესები — „ქვის სული“ (1895), „ჯიხური № 27“ (1896), „ოსტატი ჩირნიაკი“ (1896).

თავისი პიესებისათვის მასალას ი. ფრანკო თვით ცხოვრებიდან იღებდა. მისი ნაწარმოებების მხატვრული სახეების საფუძვლად ცხოვრებისეული პროტოტიპები იყვნენ აღებულნი, ხოლო სიუჟეტებისა — მისი სამშობლოს საზოგადოებრივი ცხოვრება და მოვ-

---

[1] ი. ფრანკო, თხზულებანი. ტ. XVIII, კიევი, 1955, გვ. 406.

[2] მ. პარხომენკო, ივან ფრანკოს დრამატურგია, მოსკოვი, 1957, გვ. 33-34.

ლენები. მწერლის მხატვრულ ტილოზე წარმოსახული ცხოვრება თუ ცალკეული გმირები ზოგჯერ იმდენად ახლოს იდგნენ სინამდვილესთან, კონკრეტულ მოვლენებთან თუ პირებთან, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ეს მსგავსება თვით საზოგადოების, ან თვით გმირის პროტოტიპებს უღიარებიათ. ოღონდ მხატვრული სიმართლე პიესებში დიდ ემოციურ დატვირთვას იღებდა და არარსებულ ძალას მატებდა. ამით მხატვრული თხზულება, რა თქმა უნდა, ახალ სიცოცხლეს იძენდა და მარადიულობის სულს შთაბერავდა ცხოვრებისეულ მოვლენას თუ გმირს.

1895 წელს ქალაქ სამბორში წარმოადგინეს დრამა „მოპარული ბედნიერება“. ამ პიესაში ასახული ცხოვრების შესახებ გაზეთი „გალიჩანინ“-ი 1895 წლის 24 იანვარს წერდა, რომ დარბაზში მსხდომნი ნაგუეიჩელი გლეხები „იფიცებოდნენ, რომ მათთან მოხდა ასეთი ფაქტი“. ასევე ამოიცნო თავისი თავი პიესის „მასწავლებელი“ გმირში, ომელიან ტკაჩში, ფრანკოს ნაცნობმა მასწავლებელმა მ. ვორობეცმა.

ი. ფრანკოს იდეურ-ესთეტიკური თვისებები გამოიხატა მის დრამატულ ნაწარმოებში კაპიტალისტური სამყაროს რევოლუციური გარდაქმნის, ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, ნაციონალური, ფილოსოფიური, მორალური, ეთიკური პრობლემების თავისებური მხატვრული ასპექტის განსჯა-ჩვენებაში და მხატვრულ ტილოზე მათ წინა პლანზე წამოწევაში.

პატიოსანი, მშრომელი ხალხის სწრაფვა ბედნიერებისაკენ და მისი მოპოვების შეუძლებლობა ექსპლუატატორული საზოგადოების არსებობის პირობებში („მოპარული ბედნიერება“, „ქვის სული“), ხალხის დემოკრატიული ძალების ბრძოლა ჩინოვნიკური ხელისუფლების, მდიდრებისა და მყვლეფელების წინააღმდეგ ხალხური დემოკრატიის, განათლებისა და სკოლისათვის („მასწავლებელი“, „რიაბინა“), ღარიბ-ღატაკი გლეხების პროტესტი მდიდრების მიმართ („ჯიხური № 27“), წვრილი ხელოსნების მტრობა მსხვილ მწარმოებლებთან („ოლტატი ჩირნიაკი“) — აი ივან ფრანკოს დრამატურგიის უმთავრესი პრობლემატიკა, კონფლიქტები.

„მოპარული ბედნიერება“ სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრაგიკული დრამაა. ეს პიესა ოქტომბრის რევოლუციამდელი უკრაინული ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი

დრამატული ნაწარმოებია, სადაც ასახულია XIX საუკუნის 70-იანი წლების გალიციური სოფლის გლეხების ცხოვრების მწარე სიმართლე, წარმოჩენილია ხალხის ტანჯული ყოფის სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები. დრამის მოქალაქეობრივი პათოსია სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ პროტესტი.

პიესის თემა ი. ფრანკომ უკრაინული ხალხური შემოქმედებიდან აიღო. ამასთანავე „მოპარული ბედნიერება", რა თქმა უნდა, დაკავშირებულია უკრაინულ რეალისტურ დრამატურგიასთან, აგრეთვე რუსული რეალისტური დრამის მიღწევებთან, უპირველეს ყოვლისა, ი. პ. კარპენკო-კარისა და ა. ნ. ოსტროვსკის შემოქმედებასთან.

„მოპარული ბედნიერების" შემოქმედებითი ისტორია საინტერესო და ყურადსაღებია. პიესა ი. ფრანკომ დაწერა ლვოვის სეიმის ამხარეო განყოფილების მიერ 1891 წელს გამოცხადებული კონკურსისათვის. თავდაპირველად დრამას ეწოდებოდა „ჟანდარმი". მაგრამ კონკურსის ჟიურის მოთხოვნით ავტორმა შეცვალა პიესის პათოსი. „მოპარული ბედნიერება" პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ზორიაში" 1894 წელს, იმავე წელს იგი ცალკე წიგნადაც გამოიცა.

როგორც თვით ი. ფრანკო იგონებს, პიესის დაწერის აზრი მას გაუჩნდა ერთ-ერთი ხალხური სიმღერის წაკითხვის შემდეგ. ეს „სიმღერა ჟანდარმზე" 1878 წელს გალიციის სოფელ ლოლინოში ჩაიწერა მიხ. როშკევიჩმა და გადასცა ფრანკოს. მწერალი დაინტერესდა სიმღერით და თვითონაც ჩაიწერა რამდენიმე სიმღერა, რომელშიც აღწერილი იყო ქალის მწარე ხვედრი და დაწერა კიდეც საგანგებო გამოკვლევა ამ თემაზე. 1883 წელს ლვოვში მან გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი — „ქალის ტყვეობა უკრაინულ ხალხურ სიმღერებში". რომლის ცალკეული მონაკვეთები ჟურნალ „ზორიაში", ხოლო იმავე წელს ცალკე ბროშურის სახით გამოსცა ლვოვში. ნაშრომში ი. ფრანკო მოგვითხრობს უკრაინულ ოჯახში მშრომელი ქალის მძიმე ხვედრზე, ქალის დამცირებული, მონური მდგომარეობის გამომწვევ სოციალურ-ეკონომიკურ მიზეზებზე და თავისი აზრის დასაბუთებისას იშველიებს ნაშრომებს კ. მარქსის „კაპიტალსა" და ფ. ენგელსის „მუშათა კლასის ჩამოყალიბებას ინგლისში".

თავის გამოკვლევაში ი. ფრანკო განიხილავს ქალის ბედის ამსახველ უკრაინულ ხალხურ სიმღერებს, რომლებშიც გადმოგვცემს მშრომელი ქალის ტანჯულ ხვედრს და ასკვნის: „ჩვენ არ შეგვიძლია არ შევძრწუნდეთ, არ შეგვიძლია ჩვენივე თავს არ ვკითხოთ: „ნუთუ ეს მართალია?“ ასეთ სიმღერებს მიაკუთვნა მწერალმა „სიმღერა ჟანდარმზე“, რომელშიც, როგორც იგი წერდა,— „ჩვენ ახალ სამოსში წარმოგვიდგება ძველი მოვლენა — ოჯახური კავშირის იძულებითი გაწყვეტა. ქალი არღვევს ეკლესიური წესით ქორწინებას და კავშირს იჭერს ჟანდარმთან, აშკარად, საჯაროდ. მისი ქმარი თავის თავს თვლის შეურაცხყოფილად, კლავს „ჟანდარმს“ და თვითონაც კვდება სამარცხვინო სიკვდილით. ესაა მთელი მოთხრობა“.

ი. ფრანკომ „სიმღერა ჟანდარმზე“ ამოიკითხა ადამიანური დრამა, რომელიც სოციალური უთანასწორობით იყო გამოწვეული. სიმღერის სწორედ ამ დამახასიათებელმა თვისებამ მიიპყრო მისი ყურადღება. როდესაც მწერალმა ჟურნალში „ჟიტე ი სლოვო“ გამოაქვეყნა ხალხური სიმღერის „ჟანდარმზე“ სამი ვარიანტი, დართულ შენიშვნებში მწერალმა მიუთითა: „ამ სიმღერის ვარიანტი, რომელიც ამავე დროს სიმღერის ცალკე რედაქციას წარმოადგენს, გამოვიყენე ჩემი დრამის „მოპარული ბედნიერების“ თემად [1]. ეს ის ვარიანტია, რომელიც მ. რომკევიჩმა ჩაიწერა ლოლინოელი გლეხის ქალისაგან, ევდოკია ჩიგურისაგან და რომელშიც, როგორც ეს მკვლევრებმა დაადგინეს, სხვა რედაქციასთან შედარებით ყველაზე მეტად ჟღერს სოციალური მოტივი.

ხალხური შემოქმედებისა და ი. ფრანკოს დრამატურგიის ურთიერთობის პრობლემა მრავალ მკვლევარს აინტერესებდა. საბჭოთა მეცნიერებმა მ. სივიზნიაკმა, ი. ა. აიზენშტოკმა, ო. ი. დეიმ, მ. ფ. ნეჩიტალიუკმა და სხვებმა საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნეს ამ თემას. დადგინდა, რომ ხალხური სიმღერა დრამის საფუძველი კი არაა, მან დრამატურგს მხოლოდ თემა უკარნახა[2], სიმღერამ აღუძრა, გაუღვიძა სურვილი მწერალს მხატვრულ ტილოზე წარმოეჩინა სოფლის გლეხობის ცხოვრების სურათები, დაესვა მწვავე სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები, გაემახვილებინა

[1] ჟურნ. „ჟიტე ი სლოვო“, 1895, წიგნი IV, გვ. 95.

[2] ი. ბ ი ლ ო შ ტ ა ნ ი, ივან ფრანკო და თეატრი, კ., 1967, გვ. 70.

მკითხველის ყურადღება თუ ვინ იყო დამნაშავე სოფლად დატრიალებულ ტრაგედიაში.

ი. ფრანკომ ხალხურ სიმღერებში უფრო მეტი ამოიკითხა, ვიდრე თვით სიმღერაში იყო სიტყვებით ნათქვამი. ამოქმედდა შემოქმედის ფანტაზია.

პოეტმა გააღრმავა ხალხური სიმღერის შინაარსი, ოჯახში დატრიალებულ ტრაგედიას მისცა ფართო საზოგადოებრივი ჟღერადობა. ივან ფრანკომ ოჯახში, სოფელში, საერთოდ ხალხში ქალის მონური მდგომარეობის მიზეზი მძიმე ეკონომიკურ პირობებში, ამ ეკონომიკური პირობების ადამიანზე, ოჯახზე, ხალხზე გავლენაში დაინახა. ი. ფრანკო კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომებზე დაყრდნობით თავის ცნობილ წერილში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მძიმე ეკონომიკური პირობები ანგრევენ გლეხების ოჯახებს, აუტანელ ტვირთად აწვებიან გლეხის ქალს ისევე, როგორც დასავლეთში მუშებს, მუშათა ოჯახებს. ამიტომაც ი. ფრანკო თავის გამოკვლევებსა თუ მხატვრულ ნაწარმოებებში ატარებს აზრს, რომ ე. წ. ქალთა საკითხის გადაწყვეტა მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა მშრომელის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან, რაც თავისთავად არის დაკავშირებული ეკონომიკური და პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლასთან. ხალხურ სიმღერაში, რა თქმა უნდა, ასეთი ღრმა პოლიტიკური სიმახვილით „ქალის საკითხი“ განხილული არ არის.

ი. ფრანკო ახალი შინაარსით ამდიდრებს სიმღერის იდეას, მხატვრულ ტილოზე აცოცხლებს გმირებს, ღრმად შეიჭრება მათ ფსიქიკაში და ფსიქოლოგიურად ასაბუთებს მათ ყოველ ნაბიჯს, მოქმედებას, გაშოკვეთს მათ ხასიათს და განავითარებს კონფლიქტს, სულს შთაბერავს სიუჟეტს, და მკითხველისა თუ მაყურებლის თვალწინ გაათამაშებს ტრაგედიას, რომელიც, ახალი და ჭეშმარიტად მხატვრული სიტყვაა ამ თემაზე შექმნილ ხალხურ სიმღერასთან თუ თვით მწერლის გამოკვლევასთან შედარებით, ახალი სიტყვაა უკრაინული მხატვრული ლიტერატურის ისტორიაში, რეალისტური დრამატურგიის ისტორიაში.

პიესაში მოქმედება წარმოებს დაახლოებით 1870 წელს სოფელ ნეზვანიჩში. პიესის ცენტრში დგას სამი პიროვნება — ხან-

დაზმული გლეხი. მისი ახალგაზრდა ცოლი და ცოლის საყვარელი — ყანდარმი.

პიესა იწყება სიმღერით. სიმღერებისა და ცეკვების სიუხვე დამახასიათებელი იყო იმდროინდელი უკრაინული დრამატული ნაწარმოებებისათვის. მაგრამ ი. ფრანკოსთან სიმღერას ასეთი დამოუკიდებელი ფუნქცია არ ჰქონდა. ავტორი მას მხოლოდ მაშინ მიმართავდა და მოიხმობდა, როდესაც სიმღერას ან ლხინს მოვლენის, ცხოვრების ჩვენებაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებია. ცნობილი უკრაინელი მწერალი მ. კოცუბინსკი ი. ფრანკოს შესახებ წერდა, რომ „მას სოფელი ეთნოგრაფიული კუთხით კი არ აინტერესებს. როგორც მის წინამორბედ მწერლებს, იგი არ აიდიალებს სოფლის ცხოვრებას. მას ამ ცხოვრების სოციალური და ეკონომიკური მხარეები, ჩაგვრა, ტანჯვა და ყოველგვარი უსამართლობა აინტერესებს“[1].

ასე იყო ამჯერადაც. ფარდის გახსნისთანავე წარმოთქმულმა სიმღერამ ააწრიალა ადამიანები, აუფორიაქა მათ სული და გამოაჩინა ზადოროჟნის ოჯახის საფუძველში ჩატანებული ის ბზარი, რომელიც მოქმედების განვითარებისას სულ უფრო და უფრო გაიზრდება, გაღრმავდება და ბოლოს დაანგრევს, დაამხვრევს ოჯახის მოჩვენებით სიმყუდროვეს, მშვიდ, ბედნიერ ცხოვრებას.

ძველად თურმე იმ კლდოვანზე ბროლის წყარო ჭეხდა,
იქვე ქოხში ქალი იყო წყაროსავით სუფთა.
იმ ქალს თურმე ქმარი ყავდა შლეგი წყაროს დარად...
ქალის ყოფას და ცხოვრებას გარს ეხვია ნისლი
და მოსჩქეფდა წყაროსაეით მას ცრემლი და სისხლი[2].

ამ სიმღერით იწყება მოქმედება. ნასტია აწყვეტინებს ახალგაზრდებს სიმღერას და ეუბნება: „რატომ მღერით აგრე ნაღვლიანად? — თითქოს მიცვალებულთან მოთქვამდეთო“. მართალია, ნასტია თავიდანვე ჩაერია საქმეში და თითქოს მოხსნა კიდეც სცენას ნაღვლიანი სიმღერით შექმნილი საბურველი, მაგრამ სათქმელი ითქვა და ნაღვერდალი უკვე გაღვივდა.

---

[1] მ. კ ო ც ი უ ბ ი ნ ს კ ი, თხზ. ტ. III, კ., 1949, გვ. 31.

[2] ლექსისა და პიესის თავისუფალი თარგმანი ეკუთვნის მ. სულიკაშვილს.

ნასტია ცდილობს განგვიმტკიცოს აზრი ზადოროჟნებზე როგორც სამაგალითო ოჯახზე, სადაც სუფევს სიმშვიდე და სიყვარული.

ნასტიას მიერ მოტანილმა საბუთებმა გარკვეული აზრი შეუქმნეს მაყურებელს. თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდა, ეპვის ჩრა გაინაბა. მაგრამ სრულიად მოულოდნელად მაყურებლისაკენ ზურგშექცეულ. ღუმელთან მდგარ ანას, თითქოს საკუთარ თავთან საუბრობსო, დასცდება: „ნახავთ, როცა გაცხოვდებით, ყველაფერს თქვენს ზურგზე გამოცდით; მაშინ სხვანაირად ატრიალებით". ამ ფრაზამ კვლავ დააცქვეტინა ყურები პიესის ბოქმედ გმირებს. ნაღვლიანი სიმღერა კვლავ ახმიანდება და ქალის მძიმე ხვედრზე, უმადურ შრომასა და შინაურ მდგომარეობაზე ბითქვამს. ანა ადგილს ვერ პოულობს და კვლავ ამჟღავნებს დაფარულ მღელვარებას. „რატომღაც მეშინია, სული მეხუთება, თითქოს თაღნე რაღაც უბედურება უნდა დამატყდეს", — ამბობს იგი და მაყურებელი უკვე ხვდება, რომ პიესაში ოჯახის ბედნიერებას ხიფათი მოელის. თანდათანობით ანა წინა პლანზე გამოდის და ასე თანდათანობით მისივე დახმარებით მაყურებლის თვალწინ აღდგება ამ, თითქოსდა, ბედნიერი მეოჯახე ქალის დრამატიზმით აღსავსე წარსული

მიწის ათვის ბრძოლა გალიციაში ძალზე მწვავედ მიმდინარეობდა. ამ ბრძოლის მსხვერპლი შეიქნენ პიესის გმირებიც. ანა ღარიბი ოჯახის შვილი იყო. ძმებს არ უნდოდათ, რომ მიწის გაყოფის დროს ანასაც მიეღო წილი. ამიტომ შეეცადნენ ისეთ კაცზე მის გათხოვებას, რომელიც მათ წილს არ მოსთხოვდა. მაგრამ სანამ ამას მოახერხებდნენ, მანამ გზიდან უნდა ჩამოეცილებინათ სასიძო. ანას სატრფოა მიხაილო გურმანი. მიხაილო გურმანი ჯარში გააწვევინეს, შემდეგ კი ყალბი წერილი შეთხზეს, რომელშიც ეწერა, რომ მიხაილო ბოსნოში დაიღუპა. მალე ძმებმა მათთვის ხელსაყრელი საქმროც გამოუნახეს ანას და თავიდან მოიცილეს იგი. როგორც ანა ამბობს — „გამაბრიყვეს, მომატყუეს, გუდაში ჩამწყვდეულ კატასავით გამყიდეს?!".

მეზობელ სოფელში გათხოვილი ჭნა ბედს შეეგუა. უდროოდ დაღუპული თავისი საყვარელი კაცი მიხაილო მიივიწყა და შეეცადა თავის ქმართან მიკოლა ზადოროჟნისთან ერთად მყუდრო, ბედნიერი ოჯახის შექმნას. მათ ყველაფერი აქვთ იმისათვის, რომ

ბედნიერი იყვნენ, ყველაფერი გარდა უმთავრესისა — ურთიერთსიყვარულისა. ანას არ უყვარს მიკოლა. ანა ოჯახის ქალია, პატივს სცემს თავის ქმარს და მისი ერთგულიც არის, მაგრამ სიყვარულის გრძნობა მაინც არ ებადება მისდამი. მიუხედავად ამისა, თანასოფლელებს მიაჩნიათ, რომ ზადოროჟნის ოჯახი სიმყუდროეისა და სიმშვიდის განსახიერებაა. „ამ ღვთიურ ქოხს ანგელოზები მფარველობენ, — ამბობს ნასტია, — მთელს სოფელში ეს ერთადერთი ქოხია, რომელშიც სუფევს სიწყნარე და სიმშვიდე, სიყვარული და სათნოება“.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გაისმა ნასტიას სიტყვები — „მიხაილო ცოცხალია. უკვე სამი წელია, რაც ჟანდარმად მსახურობს, სადღაც უცხო მხარეში იმყოფებოდა, ახლა კი აქეთ გადმოუყვანიათ, გუშინ ჩვენთან შემოიარა, შენ გკითხულობდა“.

მიხაილოს გამოჩენამ ანას ძველი ჭრილობები გაუხსნა. მოტყუებული და გაბრიყვებული ქალი თავდაპირველად არ იჯერებს სიმართლეს. იგი თითქოს ხავსს ეჭიდება, წარსულის ტკივილების გახსენება არ უნდა და გურმანის „გაცოცხლებისა“ ეშინია—„ნათლიდედ, — აღელვებული ეუბნება იგი ნასტიას, — ღვთის რისხვის გეშინოდეთ, ამას ნუ ამბობთ! შეიძლება სიზმარი ნახეთ? შეიძლება მისი სული მოგელანდათ?“. ნასტიას პასუხზე — ჩემი თვალით ვნახე და ვესაუბრე კიდეცო, გონებაარეული ანა კვლავ დაეჭინებით იმეორებს — „ღმერთო, რა არის ეს? რა მემართება? ნათლიდედ, ძვირფასო! თქვით, რომ მოგეჩვენათ, დაგესიზმრათ. ამ ამბავმა შეიძლება ჭკუიდან შემშალოს!“ მაგრამ სინამდვილეს აბა სად გაექცეოდა ანა.

ანა ახალი ძალით განიცდის შეურაცხყოფას, მის თვალწინ გაცოცხლდება სამიოდე წლის წინანდელი ამბები. „რატომ აქამდის გული არ გამისკდა?, — ამბობს იგი, — ამ სამი წლის განმავლობაში როგორ დავიტანჯე, მეგონა, რომ ბოლმას გულში ჩავიკლავ და ბედს დავმორჩილდები-მეთქი, ვფიქრობდი, ძველი ჭრილობები მალე მოშიშუშდება-მეთქი, და აი, ესეც!“

ანას ამ ამოკვნესაში მოჩანს შიშიც, ძმებისადმი გაღვიძებული ზიზღიც, თავსდამტყდარი უბედურებაც, განწირული მდგომარეობაც და მიმქრალი სიყვარულის იმ პაწია ნაღვერდალის ალიც, რო-

მელიც შემდეგ თანდათან გაძლიერდება, ყველა წინააღმდეგობას დაძლევს, დათრგუნავს, დაიმონებს.

გაოგნებული ანა დაბნეულია. მან ნათლად წარმოიდგინა, თუ როგორ გასწირეს იგი ძმებმა მიწის გულისათვის, როგორ მოატყუეს და გაათხოვეს კაცზე, რომელიც მას არ უყვარდა. მან ისიც შეიგრძნო, რომ წლების გავლის მიუხედავად სიყვარულის ძლიერი გრძნობა მიხაილოსადმი მას არ გაჰრობია, თუმცა ამ გრძნობას იგი სადღაც, შორს, გულის კუნჭულში უმალავდა თავის თავსაც და სხვასაც. ახლა გამოჩნდა მიხაილო. სადაცაა ანას სახლის კარს მოადგება. აბა ტყუილუბრალოდ ხომ არ მოიკითხა მან ანა მეზობლებში. ასეთ ვითარებაში ანა ჭკუისდამრიგებელს ეძებს. „დედაო ჩემო!, — ვედრებით მიმართავს იგი ნასტიას, — მირჩიე, როგორ მოვიქცე?!“

ცხოვრების ასეთ გზაგასაყართან მიიყვანა ავტორმა ანა.

ანასა და ნასტიას ღრმა დრამატულმა დიალოგმა ერთგვარად შეამზადა პირობები პიესაში კონფლიქტის წარმოსაქმნელად, დრამატული მოქმედების კვანძისათვის. ამ მომენტიდან მოკიდებული „მოპარულ ბედნიერებაში“ მოქმედება ვითარდება მძაფრად, დიდი შინაგანი ექსპრესიითა და ფსიქოლოგიური დატვირთვით. წარმოქმნილი სამკუთხედის, მიკოლა—ანა—მიხაილო, კონტურები თანდათანობით მკვეთრდება, მაყურებლისა თუ მკითხველის თვალწინ იხვეწება მთავარი გმირების პორტრეტები, ნათლდება მათი ხასიათი და მასთან ერთად ხორცს ისხამს ავტორისეული ჩანაფიქრი, ნაწარმოების სიღრმიდან ამოიმართება და გამოიკვეთება მისი იდეა.

პირველივე მოქმედებაში, მეოთხე სურათში, მარტო დარჩენილი ანა ებრძვის წარსულის მოგონებებსა და შექმნილ ვითარებას, ებრძვის საკუთარ თავს. „მომატყუეს, გამაწულელეს, დამტანჯეს, სულითხორცამდე გამძარცვეს. არა, არ მინდა ამაზე ფიქრიც, ქმართან ჯვარდაწერილი ვარ. მე მას სიტყვა მივეცი და ასე ერთგული დავრჩები ბოლომდე“. ასეთ გადაწყვეტილებამდე მიდის იგი. ამიტომაც არის, რომ როდესაც ტყიდან შობრუნებული ქმრის, მიკოლას ხმაურს გაიგონებს, შვებით ამოისუნთქავს და იტყვის: „მადლობა უფალს“. მოვიდა ჩემი ქმარი. შეიძლება მიკოლა იყოს მი-

სი იმედის ხე? შეიძლება მან იხსნას ქალი? იმედის ნაპერწკალი მოჩანს შორეულ გაქრობაში, მაგრამ უკვე მეექვსე გამოსვლაში მდგომარეობა იცვლება.

მიკოლას შინ მიბრუნებიდან სულ რაღაც რამდენიმე საათს არც კი ვაუცილია, რომ ზადოროჟნების ქოხში ჟანდარმი შეაბიჯებს. ანათან შეხვედრა მასში გააღვივებს ძველ სიყვარულს. შურითა და ზიზღით შეხედავს მიკოლა ზადოროჟნის, რომელმაც მოპარა მას ბედნიერება. მიკოლა რომ არა, ანა მიხაილოს ცოლი გახდებოდა, ასე ჰგონია მას.

გაღიზიანებულ მიხაილოს თითქოს განგება ეწყობს ხელს. ტყის საჭრელად წასულ მიკოლას მამასახლისთან უსიამოვნება მოსვლია. მამასახლისს იგი ჯოხით უცემია და დაუსისხლიანებია. სახლში მობრუნებულ მიკოლას ცოლმა მობანა სისხლი, მაგრამ სისხლიანი ტანსაცმელი არ გაუწმენდია. როგორც კი შენიშნავს მიკოლას დაკაწრულ სახეს, დალილავებულ თვალებს, მიხაილოს ავი ზრახვები გაუჩნდება თავში. მან იცის, რომ სწორედ იმ ღამეს კუპინიაში სამიკიტნოში მკვლელობა მოხდა. სამიკიტნოს პატრონებს ებრაელებს ყელი გამოსჭრეს. გაბოროტებული ჟანდარმი სწორედ ამ ფაქტთან ცდილობს მიკოლას დაკავშირებას. მამასახლისისა და მოწმეების თანდასწრებით იგი მიკოლას აპატიმრებს, როგორც მკვლელობაში ეჭვმიტანილს.

ანასთან პირისპირ დარჩენილი მიხაილო რწმუნდება, რომ ანას იგი არ დავიწყნია და თუმცა ჟანდარმის ნათქვამზე „მაშ არ დაგავიწყდი? კიდევ გიყვარვარ, ანო?“ ანა შეშინებული მოიშორებს მის ხელებს და ეუბნება: „გაჩუმდი, გაჩუმდი! რას ამბობ? ასე ლაპარაკს ჩემთან ნუ ბედავ! მე გათხოვილი ქალი ვარ, ქმარი მყავს“. მიხაილოს უკვე აღარ სჯერა მისი ამ სიტყვების. მან იგრძნო, და მასთან ერთად მაყურებელმაც, რომ რაღაც ნაწილი კედლისა, წინააღმდეგობისა, რომელიც აღმართული იყო მათ შორის, ჩამოინგრა, ჩამოიშალა და გაიხსნა გზა მათი შეერთებისათვის. ამიტომაც არის, რომ მიხაილო გულგრილად ესერის რეპლიკას ანას — „რა არის ქმარი! დღეს გყავს, ხვალ კი შეიძლება არ გეყოლოს“.

აი, ამ ადგილას იკვრება კვანძი დრამაში. აქ უკვე გამოიკვეთა სამკუთხედის ძირითადი პოზიცია: უკვე ვიცით, რომ ჟანდარმს, მიხაილო გურმანს უნდა დაიბრუნოს მოპარული ბედნიერება და

ამისათვის იგი არაფერს არ მოერიდება, ყოველ ღონეს იხმარს: „ო, მე ისეთი არა ვარ, ხელიდან გაგიშვა! — ამბობს იგი, — თუკი რამდენიმე წლის შემდეგ ბედმა გამიღიმა, მე მას არ დავთმობ, კბილებით ჩავეჭიდები და არ გავუშვებ". „ჩვენი ბედნიერება ჩვენ თვითონ უნდა მოვიპოვოთ", — დაჟინებით იმეორებს იგი.

ჩვენთვის უკვე ნათელია, რომ ანაში გაიღვიძა ძველმა გრძნობამ, ცხალი ძალით განუახლდა მიხაილო გურმანის სიყვარული და თუკი იგი ამის შესახებ მიხაილოს მხოლოდ ერთ სიტყვას „მიყვარხარო" ეუბნება, თავისთავთან მარტო დარჩენილი მოწოლილ გრძნობას აღარ აკავებს და აღსარებასავით წარმოთქვამს: „ნუთუ ძალიან მიყვარდა მიხაილო?... უთუოდ ძალიან, თუკი მის გახსენებაზე დღესაც სულ ვცახცახებ და ტანში მაჟრჟოლებს, უთუოდ ძალიან მიყვარს... მისი შემოხედვა, ასე მგონია, გავარვარებული შამფურივით გამგმირავს!".

ეს გრძნობა ანაში შემდგომში კიდევ უფრო იმძლავრებს და მთლიანად შოთოკავს, დაიმონებს, გათელავს მას. „უმისოდ ცხოვრება არ ძალმიძს... ყოველი მისი შემოხედვა მკლავს... ვცახცახებ, ასე მგონია, მის სულში ვინთქმები და მისი სხეულის ნაწილი ვხდები. ნებისყოფას სრულიად ვკარგავ. არავითარი აზრი, არავითარი ძალა, არავითარი ზღვარი ჩვენს შორის აღარ არსებობს", — ამბობს ანა. მაგრამ ეს აშკარავდება შემდეგ მოქმედებაში. ხოლო კვანძის შეკვრისას ამ ძლიერი გრძნობის პირველი ტალღა უკვე შეაბარბაცებს ანას. რაც მთავარია, მეორე მოქმედების მეხუთე გამოსვლაში უკვე ათქმევინებს მას: „ჩემი ბედნიერებაც მოპარულია, ჩემო ძვირფასო. ჩემი გულიც გათელილია".

გულმართალი, მტკიცე მორალური პრინციპების ქალი ანა მხოლოდ მძიმე, მტკივნეული შინაგანი ბრძოლის შემდეგ გამოუტყდება თავის თავს, რომ მიხაილო მისთვის ყველაფერია. მისი ყოყმანი, ბრძოლა საკუთარ გრძნობებთან ნათლად ჩანს მიხაილოსთან შეხვედრის პირველივე სცენებში. ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა მცოდნემ ი. ფრანკომ ანასა და მიხაილოს დიალოგებში, ანას მონოლოგში გადაგვიშალა ამ ორი ადამიანის შემდგომი მოქმედების ფსიქოლოგიური მოტივი, ფსიქოლოგიური საფუძველი მოუმზადა ანას ცოლქმრული ერთგულების ღალატსა თუ მიხაილოს გამომწვევ მოქმედებას.

მესამე მოქმედებაში წარმოქმნილი კონფლიქტი თანდათანობით ფართო საზოგადოებრივ ხასიათს იღებს. ბედნიერებისა და სიყვარულის მოპოვებისათვის ბრძოლაში ანამ თავისი მოქმედებით ერთგვარად გამომწვევი ნაბიჯები გადადგა საზოგადოების მიმართ. ანა ისე ჩაითრია სიყვარულის მორევმა, რომ თვით სიყვარულის გარდა არაფერი არსებობს მისთვის. ამიტომაცაა, რომ იგი სიყვარულის გულისათვის ყოველგვარ დათმობაზე მიდის და ისეთ ნაბიჯსაც დგამს, რომელიც საზოგადოების თვალში მას საოცრად დაბლა დასცემს. ანა მზადაა გაუძლოს საზოგადოებრივ გაკიცხვასაც და საზოგადოებრივ ზიზღსაც. ქმრის, მიკოლას პატიმრობაში ყოფნისას იგი მიხაილოსთან ერთად გამოჩნდება საზოგადოებაში, მიხაილოსთან ერთად ცეკვავს დღესასწაულზე ალების ღამეს და სხვ. „უკანასკნელი", „საძაგელი", „საზიზღარი! უსულგულო!" ასეთი ეპითეტებით შეამკეს იგი თანასოფლელებმა. „მაგას თავიდანვე ეტყობოდა, როდესაც ქმარი მიჰყავდათ, ერთი სიტყვა მაინც ეთქვა, ერთი ცრემლი მაინც გადმოეგდო, როგორც პატიოსან მეუღლეს შეფერის", — ამბობდა ნასტია. იმდენად ძლიერია ხალხის პროტესტი ანასა და ჟანდარმის საქციელისადმი, რომ მოედანზე შეკრებილი ქალ-ვაჟები, როდესაც მათთან ერთად ანა და ჟანდარმი იწყებენ ცეკვას, ნელ-ნელა იშლებიან, ცეკვას თავს ანებებენ და მოედანს სტოვებენ. ხოლო, როდესაც მათი გულის მოგების მიზნით ჟანდარმი მიკიტანს უბრძანებს ვედრო არაყი და კასრი ლუდი მიართვი ხალხს ჩემს ხარჯზეო, ისინი არ მალავენ თავიანთ დამოკიდებულებას ანასა და ჟანდარმისადმი და ჟანდარმს ეუბნებიან: „ტყუილუბრალოდ ნუ წუხდებით, პანე ჟანდარმო! ჩვენ არ დავლევთ არც თქვენს არაყს და არც თქვენს ლუდს. და არც ამ ქალთან გამოვალთ საცეკვაოდ". ასე დაუპირისპირდა ხალხი ანას და ჟანდარმს.

მთელი პიესის მანძილზე ჩანს ანას მერყეობა, საკუთარ თავთან ბრძოლა, წინააღმდეგობა, რომელსაც იგი მიხაილო ჟანდარმს უწევს. ანამ მთლიანად მიუძღვნა თავისი თავი მიხაილოს სიყვარულს, მაგრამ როდესაც მას საზოგადოებრივი ეთიკური ნორმების დარღვევა უხდება, იგი ერიდება ასეთ მოქმედებას, წინა-

ალმდეგობას უწევს მიხაილოს. მაგალითად, როდესაც მიხაილო საცეკვაოდ ეპატიჟება ანას, იგი ვედრებით მიმართავს მას—„ღვთის შიში გქონდეს, მიხაილ! გამიშვი, ხალხი გვიყურებს!... სირცხვილია, ალმური მედება“. მაგრამ შემდეგ მაინც ემორჩილება მიხაილოს ნება-სურვილს. იგი მზადაა ყველაფერი მას შესწიროს, ჭაობში გადაეშვას, თუკი იგი მოისურვებს ამას. „განა მას არ შევწირავდი ყველაფერს, რაც კი შეუძლია ქალმა გასწიროს საყვარელი ადამიანისათვის? თვით ქალის ღირსებაც, კეთილი სახელიც, სულიც კი,— ამბობს ანა,— მისი გულისათვის ფიცი გავტეხე. ადამიანები დამცინიან, შეურაცხყოფას მაყენებენ. მერე რა! სულ ერთია! იგი ჩემთვის ყველაფერია! სინათლეც, ხალხიც, პატიოსნებაც, ფიციც!“. ასეთია სიყვარულს დამონებული ქალის აღსარება.

ამ გრძნობებს იგი არა თუ ვერ მალავს თავისი ქმრის წინაშე, როდესაც საპატიმროდან განთავისუფლებული მიკოლა შინ ბრუნდება, მასა და ანას შორის გულახდილი ლაპარაკი გაიმართება.

„მიკოლა — ...ცოტა მაინც არ გიყვარვარ?

ანა — არა!

მიკოლა — და არც გიყვარდი არასოდეს?

ანა — არა!

მიკოლა — არ შეგიძლია თავს ძალა დაატანო, რომ ჩემთან ისე იცხოვრო, როგორც ვცხოვრობდით?

ანა — არა (თავს ჩაქინდრავს). ყველაფერი დაიკარგა. შენ ხომ კარგად იცი, რომ ოდნავადაც დამნაშავე არა ვარ? შენზე ძალით მომათხოვეს. სანამ ძალა შემწევდა, შენი ერთგული ვიყავი, თუმცა ხელა მიყვარდა. ახლა ძალა გამომელია“.

ხოლო ზადოროჟნის ჭოხში დატრიალებული ტრაგედიის დროს ზარდაცემული ანა თავისი ქმრის ბედზე კი არ ფიქრობს, გაოგნებული დასტირის მკერდშენგრეულ მიხაილოს — „მიხაილო! მიხაილო! ვისთან მტოვებ? უშენოდ ამ ქვეყნად რა გავაკეთო?“.

ანას მოქმედება, მისი სიცოცხლის არსი იმ დღიდან, როდესაც მათ ჭოხში შედგა ფეხი მიხაილო-ჟანდარმმა მთლიანად დაექვემდებარა მიხაილოს საოცრად ძლიერ სიყვარულს და თუმცა ანა ცდილობდა არ გადაედგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც საზოგადოების, ხალხის გულისწყრომას გამოიწვევდა, მიხაილოს ზეგავლენით, მისი ძლიერი სიყვარულის გამო იგი ყველაფერზე მიდიოდა, რასაც

კი მიხაილო მოისურვებდა. ამის თაობაზე წერდა ი. ფრანკო: — „მე არ ვიცი, ვის როგორ წარმოუდგენია ამგვარი ქალი, — მე იგი მესახება. შესაძლოა, სიყვარულით დაბრმავებულ, მაგრამ მხურვალედ და გულწრფელად შეყვარებულად. ხოლო ვისაც ასეთი მხურვალე სიყვარული შეუძლია, უკვდავი სიყვარული არის მთელი მისი სიცოცხლისა და მოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალა, — შეიძლება კია ასეთ ადამიანს ვუწოდოთ გაფუჭებული და უზნეო“[1].

გულმართალმა და უეშმაკო ანამ დიდი შინაგანი ბრძოლა გადაიტანა, სანამ თავის თავს გამოუტყდებოდა — მიხაილოს სიყვარული არ გამნელებია, იგი კვლავ ძლიერ მიყვარსო. თავისი მოპარული ბედნიერების, სიყვარულის დასაბუთებლად მან გაბედული ნაბიჯი გადადგა და საზოგადოებრიობასაც დაუპირისპირდა, მაგრამ ბედნიერებისათვის ბრძოლის დროს ვერ გაითვალისწინა, რომ მიხაილო ის გურმანი არაა, ჰაბუკობისას რომ იყო, უბრალო, სოფლელი ბიჭი. ახლა იგი ჟანდარმია, ხელისუფლების წარმომადგენელი სოფლად, კაცი დაუნდობელი, ჯიქური თავისი ჩანაფიქრის განხორციელების დროს.

ანას ბედი გაპირობებული იყო გლეხი ქალის უბედური ხვედრით ოქტომბრის რევოლუციამდელ უკრაინაში. ანას დრამატული მხატვრული სახე უკრაინულ-კლასიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთი უძლიერესია. მასში აირეკლა უკრაინელი ქალის მომხიბლავი თვისებანი. იგი ერთგვარად მწერლის ესთეტიკურ იდეალს გამოხატავს.

ანას სახე მოგვაგონებს ა. ოსტროვსკის პიესის „ელჭექი“ გმირის კატერინას სახეს. მკვლევრები ფიქრობენ, რომ უკრაინელი ქალის სავსებით ორიგინალური სახის შექმნის დროს ი. ფრანკოს მხედველობაში ჰყავდა ა. ოსტროვსკის კატერინა. ა. ოსტროვსკისა და ი. ფრანკოს გმირებს შორის საერთო ის არის, რომ ორივეს ჰქონდა ძლიერი სურვილი, თავი დაეღწიათ ბნელეთის სამეფოსათვის და ორივე ისწრაფოდა ბედნიერი, თავისუფალი ცხოვრებისაკენ[2].

---

[1] ი. ფ რ ა ნ კ ო, თხზ., ტ. 16, გვ. 88-89.

[2] უკრაინული ლიტერატურის ისტ. ტ. 1, გვ. 572, კიევი, 1954.

ი. ფრანკომ თავის დრამაში შექმნა ჟანდარმის საინტერესო სახე. თუმცა, როცა ვეცნობით ჟანდარმის — მიხაილოს წარსულს, ვიგებთ, რომ იგი ღარიბი ქვრივის შვილი იყო, იძულებით გაიწვიეს ჯარში და მოწყვიტეს მშობლიურ კერას, საყვარელ არსებას. მაგრამ დრამაში ჩვენ თვალწინ მოქმედებს არა ღარიბი გლეხის შვილი, არამედ ჟანდარმი, რომელიც ჯარში ყოფნის დროს სავსებით მოწყდა თავის წრეს, გლეხობას, და გახდა ჩაფარი, ჟანდარმის ფორმის ჩაცმისა და გარკვეული უფლებებით მიღების შემდეგ, კიდევ უფრო დაშორდა მშობელ ხალხს. ადრე უსამართლოდ დაჩაგრული მიხაილო ჟანდარმის უფლებების მოშველიებით თითქოს ცდილობს აინაზღაუროს ის, რაც დაკარგა. მას სურს დაიბრუნოს მოპარული ბედნიერება, მოპარული სიყვარული, მისი „ერთადერთი, უძვირფასესი განძეული". როგორც ამას თვით მიხაილო ამბობს. ამ სიყვარულს შეეძლო იგი სწორი გზით წაეყვანა, ან უფრო ზუსტად, თუ ისევ მოვიშველიებთ ჟანდარმის სიტყვებს — „მას შეეძლო ჩემგან გამოეყვანა კეთილი და პატიოსანი ადამიანი". მაგრამ ანას სიყვარულის შემდეგ იგი იღუპება, „ობოლი, ვერაგ ძმებისაგან უმწეოდ მიტოვებული, შეურაცხყოფილი". საბრალო ანა. ამიტომაც არის იგი ანას ძმებზე ასე გულაღრენილი, ამიტომაც მიაჩნია მას, რომ მიკოლასაც უძევს წილი მის უბედურებაში. „შენ კი, მიკოლა, — მიმართავს გაბოროტებული ჟანდარმი ზადოროჟნის, — იმ ვერაგ ადამიანებთან ერთად მომპარე ჩემი ერთადერთი ბედნიერება".

ჟანდარმს საშუალება ეძლევა გზიდან ჩამოიცილოს მიკოლა. იგი სულაც არ ფიქრობს იმაზე, რა სულიერ ტრავმას მიაყენებს უდანაშაულო კაცს მკვლელობაში ბრალის დადებით, თუ რა მძიმე შედეგები ექნება მის ბრალდებას. „თუ მართლაც არ არის დამნაშავე, — ეუბნება იგი ანას, — მისი სიმართლე სასამართლოში გამოჩნდება". მიხაილო შინაგანად, ალბათ, არაა დარწმუნებული მიკოლას დანაშაულში, მაგრამ ღმერთს კი ეევედრება — ნეტავ დამნაშავე იყოსო. როდესაც ანა ცდილობს თვალები აუხილოს მიხაილოს და დაარწმუნოს იგი იმაში, რომ მიკოლა არ შეიძლება იყოს დამნაშავე, რადგან „იგი ისეთი კეთილია, ჭიანჭველასაც ფეხს არ დაადგამს, არა თუ კაცის მოკვლას გაბედავს", მიხაილო გაკვირვებითა და ნიშნის ცოგებით პასუხობს — „მე ხომ მომკლა!

გამაუბედურა! ნუ. ამის შესახებ ნურაფერს მეტყვი!". ამიტომაც უტევს იგი მიკოლას აპეთი გააევებით.

მიხაილო გურმანის პიროვნებას უთუოდ დაასვა დაღი ყაზარმამ, ჟანდარმად გახდომამ. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ხალხთან, ადამიანებთან ურთიერთობაში იგი უხეშია, მკვახედ ესაუბრება გლეხებს. სასტიკად იპყრობა მიკოლას, და არა მარტო მიკოლას, იგ. გაღიზიანებული, გაბოროტებული უყურებს ყველას, ვინც მისი აზრით, შეურაცხყო, ფეხქვეშ გათელა მისი ნათელი გრძნობა. იგი ხშირად უპირისპირდება ხალხს. „ჩემი იყავი იმათ ჯიბეზე, — მიმართავს იგი ანას, — ვინც ერთმანეთს დაგვაშორა, იმათ გულის გასაგმირად, ვინც მოიპარა ჩვენი ბედნიერება", და ასკვნის — „ჩვენი ბედნიერება ჩვენ თვითონ უნდა მოვიპოვოთ".

ბედნიერების მოპოვებისა და საერთოდ, ბედნიერი ცხოვრების განმარტების დროს მიხაილო ავლენს თავის პოზიციას. მისი აზრით, ბედნიერება ხანგრძლივი არ არის, იგი შეიძლება გაგრძელდეს ერთ დღეს, ერთ საათს, ერთ წუთს. ადამიანი იმაზე არ უნდა ფიქრობდეს, თუ რა მოელის მას ამის შემდეგ. კაცმა თავი არ უნდა იმტვრიოს იმის ამოხსნით, თუ რატომ მოეწყო მისი ცხოერება ასე და არა სხვაგვარად. „რა დაემართებოდა ადამიანს, ყოველივე ეს რომ ამოეხსნა?" — ამბობს იგი. „ასე მოეწყო და გათავდა, რას იზამ — მიიღე ცხოვრება იმგვარი, როგორიც იგი არის, უნდა იცხოვრო ისე, როგორც შეიძლება". ასეთია მისი ფილოსოფია. სწორედ ამიტომაც არის, რომ ასე მშვიდად ატარებს იგი ჟანდარმის მუნდირს.

მიხაილო გულქვა კაცი გახდა. „რის მაქნისია გული?" — ამბობს იგი და როდესაც მწარედ აეწვება გული ცხოვრების მიერ მიყენებული ტკივილების გამო, გაბოროტებული მტერ-მოყვარეს ვეღარ არჩევს და ყველას ერთიანად უპირისპირდება. „ადამიანებს შიგ პირში დავცინით, სანამ შეიძლება, სანამ ისინი ფეხით არ გაგვთელავენ, — ეუბნება იგი ანას, — შემდეგ? შემდეგ კი დასასრული ერთი გვექნება: ყველა მოვკვდებით და ჯოჯოხეთში ჩავინთქებით. აი, რით დამთავრდება ყოველივე, თუ გინდა იცოდე!". ან სხვა მაგალითი: „ადამიანებს მიაფურთხე. მათ რა უნდა მოთხოვო? თუ შენ იმათ აბუჩად აიგდებ, არ დაგცინებენ. ისინი შენთან მოვლენ მუხლმოდრეკილნი", — ასწავლის ჭკუას იგი მიკოლა

ზადოროჟნის. ამ სიტყვებში მოჩანს მიხაილოს თვითდახასიათება და ამავე დროს მისი მხატვრული სახის ტრაგიზმის ფსიქოლოგიური მოტივაციაც.

მიხაილო რთული სახეა. მან ბევრი სიმწარე იგემა ცხოვრებაში, მაგრამ ამ სიმწარემ ბოლომდე ყველაფერი ადამიანური ვერ ჩაკლა მასში. დრამის დასასრულს მიკოლა ჟანდარმს ნაჯახს ჩასცემს მკერდში და ძირს დასცემს. სასიკვდილოდ დაჭრილი ჟანდარმი მიმართავს მიკოლას — „შენი მადლობელი ვარ! კარგი სამსახური გამიწიე, და ამიტომ შენზე ნაწყენი არა ვარ. თვითონ მინდოდა ჩემივე ხელით, მაგრამ გული არ შვრებოდა“. მიხაილო მამასახლისისა და გლეხების გამოჩენის შემდეგაც განაცხადებს, რომ მან თვითონ მოიკლა თავი: „ისინი დამნაშავენი არ არიან! მე.... მე თვითონ...“, ამბობს იგი და კვდება.

ი. ფრანკოს დრამაში „მოპარული ბედნიერება“ დატრიალებული ტრაგედიის ერთ-ერთი მთავარი გმირი ჟანდარმი მიხაილო გურმანი შექმნა მისმა თანამედროვე სოციალურმა სამყარომ, იმ საზოგადოებრივმა ურთიერთობამ, რომელიც სუფევდა XIX საუკუნის 70-იანი წლების უკრაინაში, გალიციაში. სწორედ მან განაპირობა მიხაილოში როგორც პიროვნებაში დადებითი და უარყოფითი თვისებების ჩამოყალიბება და მხოლოდ მისი გათვალისწინებით შეიძლება ჟანდარმის მიერ გადადგმული კეთილი თუ ბოროტი ნაბიჯების, ფსიქოლოგიური თუ სოციალური მოტივების გაგება, მისი ხასიათის არსის ამოცნობა.

„მისაილოსა და ანას მხატვრული სახეებით ფრანკომ გვიჩვენა, — აღნიშნულია უკრაინული ლიტერატურის ისტორიაში, — როგორი ძლიერი და კეთილშობილი ძალები იყო დაფარული ხალხში და როგორ ახშობდა და ასახიჩრებდა მათ სასტიკი სოციალური წყობა“[1].

„ნიკოლაიკო — გულუბრყვილო, პატიოსანი, მაგრამ სიმღერის მთავარი იდეისათვის ნაკლებმნიშვნელოვანი“ პერსონაჟია, აღნიშნავდა ი. ფრანკო თავის წერილში „სიმღერა ჟანდარმზე“ ერთ-ერთი მთავარი გმირის შესახებ. მწერალმა ამ გმირს არა მარტო სახელი

[1] უკრაინული ლიტ. ისტორია, ტ. I, 1957, გვ. 573.

შეუნარჩუნა თავის დრამაში, არამედ არსებითად ხასიათითაც ისეთივე გამოიყვანა მიკოლა ზადოროჟნი, როგორც ნიკოლაიკო იყო.

დრამაში მოქმედების განვითარებასთან ერთად მკითხველის თვალწინ ყალიბდება მიკოლა ზადოროჟნის მხატვრული სახე. ნათლად ვხედავთ, თუ როგორ ახდენს გავლენას მიკოლას თვისებებზე, ხასიათის ჩამოყალიბებაზე არსებული სოციალური სინამდვილე. საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემა, წყობილება.

მიკოლას სახით ავტორი გვიხატავს 70-იანი წლების გალიციელ გლეხს, ჩუმ, ყოვლისმომთმენ, თავმდაბალ და პატიოსან მშრომელს, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება სხვისთვის დოვლათის მოპოვებაში გაატარა, თავდაუდებელმა შრომამ მუყაითი კაცის სახელი დაუმკვიდრა მას სოფელში, მაგრამ მისმა უენობამ და მორჩილებამ ისე გაათამამა სოფლის მამასახლისი და ჟანდარმი, რომ მიკოლა კაცადაც კი აღარ მოაჩნიათ და მას არავითარ ანგარიშს არ უწევენ.

სცენაზე პირველივე გამოჩენისთანავე მიკოლა ამბობს: „მთელი დღე იმუშავე, იხეტიალე, იწრიალე, გაიყინე და გაიწუწე, როგორც ღკანასკნელი ძაღლი და ყოველივე ამისათვის ოთხმოცი კრეიცერი მიიღე. როცა ანგარიშის გასწორების დრო დადგება, იმ კაციჭამიებს ჭირის გადახდა ენანებათ... სისხლით დასვრილი კრეიცერების გაცემას შეუდგებიან თუ არა, ხედავ, რომ, თითქოს მათ რაღაც ჩხვლეტს“. გაბოროტებული გლეხი მისი მყვლეფელების წყევლის შეტს ვერაფერს ახერხებს: „ოხრადაც დაგრჩენიათ თქვენი სამუშაო, გასკდით, გაუმაძღრებო და შეჩვენებულნო, ყველაფერი ყელშიაც ამოგსვლოდეთ“!. — წამოიძახებს იგი.

წუთიერი განრისხება მიკოლა ზადოროჟნის მორჩილებით შეეცვლება. მამასახლისზე გაჯავრებულს, რომელმაც მას ცხვირპირი დაუსისხლიანა სიტყვის შებრუნებისათვის, მისი სამართალში მიცემა უნდა, მაგრამ ანას სიტყვების შემდეგ — „მამასახლისს ვერაფერს დააკლებ... მამასახლისი შენ უფრო ადრე ჩაგსვამს“, ჩვეული მორჩილებით და თანხმობით „მართალს ამბობ“, — ეუბნება იგი ანას და მამასახლისთან კონფლიქტს ამოწურულად თვლის.

მორჩილება მიკოლას დამახასიათებელი თვისებაა. მორჩილება ცოლისა, მორჩილება მამასახლისისა, შემდეგში მორჩილება ჟანდა-

რმისა და საერთოდ ბედის მორჩილება — ასეთია მიკოლა ზადოროჟნის ის თვისება, რომლითაც დააჯილდოვა იგი ავტორმა, თვისება, რომელიც ცხოვრებით დაბეჩავებული გალიციელი გლეხობისათვის ტიპური იყო.

პიესის დასაწყისიდან თითქმის დასასრულამდე მიკოლა უსიტყვოდ, წინააღმდეგობის გაუწევლად, პასიურად ემორჩილება ყველას, ემორჩილება შექმნილ გარემოებას. იგი არ იჩენს არავითარ ნებისყოფას, სამართლიანობის მოსაპოვებლად, მის მიმართ წამოყენებული უსამართლო ბრალდების გასაბათილებლად, თავის დასაცავად, თავისი ბედნიერების დასაცავად, შესანარჩუნებლად. და რს სურვილი, ხანდახან რომ იჩენს თავს მიკოლაში — ამოღერღოს ორი სიტყვა თავის სასარგებლოდ, ისეთი სუსტი და წამიერია, რომ ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს მოვლენათა მსვლელობაზე, პიროვნებებზე.

როდესაც მიკოლას ბრალს დებენ კაცის მოკვლაში და აპატიმრებენ, იგი ღმერთს მიანდობს თავის თავს: „ღმერთო ძლიერო! ნახოლოდ შენ იცი ასეთ მძიმე ტვირთს რისთვის მაკისრებ! — იყოს ნება შენი!“ — ესაა სულ მისი საპროტესტო გაბრძოლება. ჯერ კიდევ საპატიმროში ყოფნის დროს შეიტყობს მიკოლა, რომ ანა ჟანდარმთან ღალატობს მას. ციხიდან გამოსული მიკოლა ირონია ჩაქსოვილ მადლობას უხდის მიხაილოს ანახე ზრუნვისათვის: „გმადლობ, გმადლობ, რომ შენ მაინც ზრუნავდი მაზე, მესმოდა, ციხეში მესმოდა, თუ როგორ პატრონობდი“. ამ შეხვედრისას პროტესტის გამომხატველი ერთადერთი ფრაზა დასცდა მიკოლას— „დაე, უფალმა გადაგიხადოს ყოველი სიკეთისათვის, — მიმართავს იგი ჟანდარმს, — ბოროტებისათვის კი... (ანას შეხედავს საყვედურით), ბოროტებისათვის კი შეგინდოს“. ყოველივე ამის შემდეგ ჟანდარმი მაინც მოისურვებს მასთან ერთად ზადოროჟნის ქოხში მისვლას. მიკოლა აქაც ვერაფერს ეუბნება მას და წინააღმდეგობას არ უწევს.

მიკოლა ხედება, თუ როგორ ჩაიგდო ხელთ ჟანდარმმა ანა, მაგრამ ვერაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დაიცვას ოჯახის პატიოსნება. ჟანდარმის თავხედობა კი თანდათანობით მატულობს. იგი იქამდე მიდის, რომ მიკოლას კალოზე აძევებს დასაძინებლად, თვითონ კი ღამით ანასთან ერთად რჩება ქოხში სანებიეროდ.

ასეთი თვინიერი კაცია მიკოლა. ამიტომაც იყო, რომ ანას იგი უნიათო კაცად მიაჩნდა, მიხაილო გურმანს — „ჩვრად“, ხოლო მეზობლებს — ზედმეტად რბილ ქმრად.

„ოჰ, ღვთის ნებაა! დიახ, იგი როგორც ინებებს ისე გვექცევა“, — ამბობს მიკოლა და ამ სიტყვებში ვლინდება მისი მოქმედების კრიტერიუმიც. ეს აზრი, შეგნება ღვთის ნება-სურვილის, გარდუვალობისა, მორჩილებისა — განაპირობებს მიკოლას საქციელს, მოქმედების ხასიათს.

მაგრამ, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და ამ თვინიერი, მორჩილი, უენო კაცის მონობის ფიალაც აღივსება. მას მიიყვანენ იმ მდგომარეობამდე, რომ ისიც აიმაღლებს ხმას და ხელს გამოიღებს თავის დასაცავად. იფეთქებს გულში დაგროვილი ბოღმა. დრამატურგმა ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა ბედს დამორჩილებული გმირი, ისეთ ჩიხში მიამწყვდია, რომ იძულებული გახდა რაღაც ნაბიჯი გადაედგა თავისი ადამიანური ღირსებების დასაცავად.

ყოველივე ეს ხდება თანდათანობით. მაყურებლის თვალწინ. მიკოლას გააქტიურება მიმდინარეობს ძალზე ნელა, მისხლობით. მაგრამ მაინც ხდება. მიკოლას გააქტიურება ნაწარმოების თითქმის დასასრულს იწყება, როდესაც საპატიმროდან გამოშვებული მიკოლა იხილავს თავის მეუღლეს ჟანდარმთან მოცეკვავეს.

სიტუაცია თანდათანობით შიშვლდება, ურთიერთობას ფარდა ეხდება.

მიკოლამ იცის, რომ ცოლი ღალატობს, ისიც იცის, რომ ცოლს არ უყვარს იგი და უყვარს მიხაილო, იცის მიხაილოს როლიც ამ მოვლენების განვითარებაში. შექმნილი ვითარება მიკოლაში იწვევს გარკვეულ ფსიქოლოგიურ ძვრებს, ბოლოს და ბოლოს აამოქმედებს მას. ივ. ფრანკო პიესაში განსაკუთრებით ცდილობს მაყურებლის წინაშე წარმოაჩინოს რთული ფსიქოლოგიური პროცესი, ცვლილებები მიკოლა ზადოროჟნის ფსიქოლოგიაში, მის ხასიათში. დაჩაგრული გლეხის გულში გროვდება ბოღმა, ღვივდება შურისგების ცეცხლი და მხოლოდ მაშინ, როდესაც მიკოლა ზადოროჟნი ვეღარაფერს გახდება ბედთან, ცოლთან, ჟანდარმთან, როდესაც ხედავს, რომ თავზე ენგრევა ოჯახი, ასეთი რუდუნებით შექმნილი, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჟანდარმი მოუჭრის ყველა უკან

დასახეე გზას, მორალურ ტკივილსაც მიაყენებს და ფიზიკურადაც შეეხება — ერთი ორჯერ მაგრად შემოჰკრავს სახეში. აი, მხოლოდ მაშინ აფეთქდება მასში სტიქიურად, თავდაცვის გრძნობით გამოწვეული რისხვა. განწირულობამდე მისული მიკოლა მხოლოდ მაშინ გამოიღებს ხელს თავისი უფლების დასაცავად. მიკოლა კლავს მიხაილო გურმანს.

მძიმე და გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა დრამაში. სამივე მოქმედი გმირიდან არც ერთი არ არის დამნაშავე, საძივე ცხოვრების უსამართლობის, სოციალური უთანასწორობის მსხვერპლია მხოლოდ. დრამის გმირებიდან ვერც ერთმა ვერ მიაღწია ბედნიერებას. გამარჯვებას. ანასა და მიხაილოს სურვილი და დაკარგული ბედნიერების დასაბრუნებლად მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები დიდ ეთიკურ და სამართლებრივ წინააღმდეგობებს აწყდება და საბოლოოდ ტრაგიკულად მთავრდება. მიკოლა კლავს მიხაილოს. ბედნიერება ვერ მოიპოვა ვერც ერთმა მათგანმა, ან როგორც ავტორი ამბობს, სამივეს მოპარეს ბედნიერება.

ბაგრამ ზადოროენების ქოხში დატრიალებულმა ტრაგედიამ ღრმა კვალი გაავლო გმირების ხასიათს, ამასთანავე შეეხო მათ თანასოფლელებს, დააფიქრა ისინი „ვინ არის ამაში დამნაშავე?“. ივ. ფრანკო ამას გალიციელი გლეხების დაბეჩავებული, პოლიტიკურად უუფლებო მდგომარეობით ხსნის. „ვინ არის ყოველივე ამაში დამნაშავე?, — კითხულობდა ივ. ფრანკო თავის ცნობილ სტატიაში, — დამნაშავეა ჩვენი ოჯახური ცხოვრების წყობა, რომელიც არ იძლევა საშუალებას ლეგალურად გაწყვიტო კავშირი, რომელიც ფაქტიურად უკვე გაწყვეტილია, თავს ახვევს სიყვარულს, ძალას ატანს ქალის გულს და სწორედ ამით ამახინჯებს მათ, ჩიხში ამწყვდევს“.

ივ. ფრანკოს პიესის მახვილი არსებითად მიმართულია კაპიტალისტური წყობის, ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ. მართალია, დრამაში „მოპარული ბედნიერება“ პირდაპირი მოწოდება რევოლუციისაკენ, თვითმპყრობელობისა თუ კაპიტალისტური სამყაროს დამხობისაკენ არსად არ გვხვდება, არ არიან გამოყვანილი რევოლუციონერი მოღვაწეები, თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები, მაგრამ პიესაში გალიციელი ხალხის ცხოვრების ისეთი რეალისტური სურათია წარმოსახული, რომ მკი-

თხველია თუ მაყურებელში იწვევს ზიზღის გრძნობას მჩაგვრელური სისტემისადმი. პროტესტს ადამიანის ასეთი დაბეჩავებული მდგომარეობის გამო, რომელიც განაწყობს ხალხს ყოველივესადმი, რაც გზას უღობავს ადამიანებს ბედნიერებისაკენ. ასე ჩაიფიქრა და განახორციელა დრამის იდეური სულისკვეთება ივ. ფრანკომ. ესაა მისი დამსახურება და დრამის უმთავრესი ღირსება.

მაგრამ ეს ჩანაფიქრი. ფარული მიზანი ამოიკითხეს ხალხის ბედნიერი ცხოვრების არა მხოლოდ მსურველებმა, არამედ ხალხის მტრებმაც. ამიტომაც დაატყდა თავს პიესას ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კრიტიკის ცეცხლი, უნიატელმა მღვდელმა ემელიან ოგონოვსკიმ პიესა გააკრიტიკა „რადიკალური ტენდენციის გამო“. რა თქმა უნდა, „რადიკალურში“ იგი გულისხმობდა „რევოლუციურს“. ამიტომაც წერდა იგი კატეგორიული ტონით — „ასეთი ზნედაცემული პერსონაჟების (მიკოლა, მიხაილო და ანა. ო. ბ.) ჩვენება სცენაზე არ შეიძლება“. საკონკურსო კომისიამ კი კატეგორიული მოთხოვნები წაუყენა ავტორს და წინადადება მისცა პიესა გადაეკეთებინა.

ხელოვნურად აღმართულ წინაღობათა გამო პიესის დადგმა ძალზე გაძნელდა. „მოპარული ბედნიერების“ პირველი წარმოდგენა შედგა 1893 წლის 16 ნოემბერს. ფხიზელ თვალს არ გამოეპარა საცენზურო კომიტეტის „საქმიანობა“ პიესის „დახვეწასთან“ დაკავშირებით. გაზეთი „კურიერ ლვოვსკი“ საგანგებოდ მიუთითებდა ამ ფაქტზე და აღნიშნავდა, რომ „ფრანკოს პიესამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი დააკავეს საკონკურსო კომიტეტში და პოლიციურ ცენზურაში, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა“[1].

პიესა „მოპარული ბედნიერების“ ავტორისეული ტექსტის მიხედვით დადგმა მოხერხდა მხოლოდ 1907 წელს.

პროგრესულმა პრესამ, კრიტიკამ პასუხი გასცა ნაციონალისტთა გამოხტომებს და დაიცვა პიესა. იმავე „კურიერ ლვოვსკიმ“ დაბეჭდა სტატიები სტრუსევიჩისა და „ვ“-სი, რომლებშიც პიესა დადებითად იქნა შეფასებული. „პიესა — ეს ხალხური იდილია კი არაა... იგი რეალისტურ ნიადაგზეა დაფუძნებული, ხოლო მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი — ხალხის ცხოვრების შესანი-

[1] გაზ. „კურიერ ლვოვსკი“, 1893, № 320.

შნავი ცოდნა, სიმართლეა, რომელსაც ჩვენ ასე იშვიათად ვნახულობთ ჩვენს ეგრეთ წოდებულ ხალხურ პიესებში. ესაა ხალხის ცხოვრების ტრაგედია...“.

დრამა „მოპარული ბედნიერება“ აგრძელებდა და ავითარებდა რუსული და უკრაინული კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო რევოლუციურ-დემოკრატიულ ტრადიციებს.

ივ. ფრანკოს უდიდესი დამსახურება იყო ის, რომ მან შეძლო რეალური ცხოვრების, სინამდვილის, მოვლენების სიღრმეში ჩაწვდომა და მათი არსის მხატვრულად მკაფიოდ წარმოჩენა. საოცარი რეალისტური ხედვის უნარით მწერალმა ხალხის ფართო მასიდან გამოარჩია და დაგვიხატა ცხოვრებისეული, მართალი სახეები.

„მოპარული ბედნიერება“ მაღალი, დახვეწილი დრამატურგიული ხელოვნებით გამოირჩევა. დრამაში ყოველ მოქმედ გმირს, ფაქტს, მოვლენას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. ყველაფერი ერთ დრამატულ კონფლიქტს ემსახურება.

პიესაში მოქმედება ვითარდება შეუნელებლად, აღმავალი გზით და თანდათან იძენს დაძაბულობას. ამისათვის ავტორი ახალ და ახალ სცენას, სიტუაციას ქმნის და ამძაფრებს ვითარებას. გმირებიც ასევე თანდათან იკვეთებიან მაყურებლისა თუ მკითხველის თვალწინ, ერთბაშად, უკვე დასრულებული სახით კი არ წარმოგვიდგენს ავტორი. არამედ მოქმედებაში. ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმაში ავლენს მათ თვისებას, ხასიათებს, ძერწავს მხატვრულ სახეებს.

ავტორის მიღწევაა გმირთა სულიერ სამყაროში წვდომა. იგი შესანიშნავად ახერხებს თავისი გმირის მღელვარე სულის ფაქიზად წარმოსახვას. –

გმირების ენა მარტივი და ადვილად გასაგებია. იგი შეფერილია გალიციური დიალექტებით. მრავალი გონებამახვილური ხალხური გამოთქმით. პიესაში ოსტატურადაა გამოყენებული ფოლკლორული მასალა, სიმღერები ქალის ხვედრზე და სხვ.

„რიაბინა“. დრამაზე „მოპარული ბედნიერება“ მუშაობის დროს ივ. ფრანკო ამზადებდა კომედია „რიაბინას“ მეორე რედაქციას. ამ ნაწარმოებში იგი იგივე თემას აშუქებდა, რასაც „მოპარულ ბედნიერებაში“. ეს იყო გალიციური სოფლის ცხოვრების ასახვა.

80-იან წლებში ივ. ფრანკოს ყურადღება მიიპყრო კარპატების ერთ ყრუ სოფელში მომხდარმა ამბავმა. სოფლის წურბელების მიერ შევიწროებულმა გლეხებმა პირი შეკრეს და ერთად გაილაშქრეს მათი მჩაგვრელების წინააღმდეგ. გლეხებმა ამხილეს მამასახლისი, სოფლის მწერალი და მდიდარი მოიჯარადრე უსინდისობაში. მამასახლისმა აღიარა თავისი დანაშაული და დააბრუნა უკანონოდ მითვისებული ფული. სოფლის მწერალი გლეხებმა სამართალში მისცეს, ხოლო მოიჯარადრე სოფლიდან გააძევეს. ივ. ფრანკომ ჩაიფიქრა ამ თემაზე ნაწარმოების შექმნა. თავდაპირველად მან მოთხრობის წერა დაიწყო (შემოგვრჩა მოთხრობის ორი მონახაზი — ო. ბ.), ხოლო 1886 წელს დაწერა კომედია „რიაბინა". მაგრამ, ალბათ, პირველი რედაქცია არ აკმაყოფილებდა ავტორს და ამიტომაც მისი დაბეჭდვა არც უცდია.

1893 წლის დეკემბერში ივ. ფრანკო წერს წერილს „რუსკა ბესიდას" თეატრალურ განყოფილებას. „1894 წლის ხაისს დამდეგამდე, — წერს ივ. ფრანკო, — ვალდებულებას ვკისრულობ თეატრისათვის მოვამზადო სამი ორიგინალური ნაწარმოები, სამივე ცალ-ცალკე აღებული დაიკავებს მთელ საღამოს, და სამი გადმოკეთებული — სხვა ხალხების კლასიკური დრამატურგიის ავტორებიდან. ორიგინალური ნაწარმოებები იქნება:

1. „რიაბინა", კომედია ოთხ მოქმედებად: უკვე მზადაა, ჩემს მიერ წაკითხულია პროფესორ ვახნიანინისა და მსახიობების პოდვისოცკისა და ლოპატინსკის თანდასწრებით".

1893 წლის დასასრულსა თუ 1894 წლის დამდეგს ივ. ფრანკომ დაასრულა „რიაბინას" ახალ რედაქციაზე მუშაობა. პიესა 1894 წელს დაიდგა კოლომიის, სტანისლავის (ივლისში), ლვოვის (სექტემბერში) სცენებზე. იდგმებოდა აგრეთვე პროვინციის თეატრებში. დაბეჭდვა კი ნაწარმოებს ეღირსა მხოლოდ 1928 წელს, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

ივ. ფრანკო თავის სტატიაში „უკრაინელი ხალხის ოცნებები და იმედები გალიციაში" კატეგორიულად უარყოფს ბურჟუაზიულ შეხედულებებს ხალხზე, როგორც ინერტულ, უნებისყოფო მასაზე, რომელსაც არავითარი იდეალები არ აწუხებს.

ფრანკოს მიაჩნია, რომ ხალხს უყვარს თავისუფლება და მისწრაფვის მისკენ, იბრძვის მის მოსაპოვებლად თვით ავსტრია-უნ-

გრეთის მონარქიის უმძიმეს პირობებშიც კი. მწერალი ამტკიცებს, რომ ხალხის წიაღში იბადებიან აქტიური მებრძოლი-პროტესტანტები. გლეხობის მასიდან გამოსული სწორედ ასეთი დადებითი გმირები წარმოაჩინა მწერალმა კომედიაში „რიაბინა“.

სამმოქმედებიანი კომედიის პირველ რედაქციაში მამასახლისის მიერ შევიწროებული გლეხი კაზიდოროგა ცდილობს დაიცვას თავისი უფლებები. მას მხარში ამოუდგება მთელი სოფელი, გარდა სოფლის მყვლეფელებისა. იწყება შეუპოვარი ბრძოლა სოფლის წურბელების წინააღმდეგ, რომელიც ხალხის გამარჯვებით მთავრდება.

ნაწარმოების მეორე რედაქციაში ავტორმა კონფლიქტი ააგო არა მხოლოდ კაზიბროდის (ასე გადაარქვა გვარი კაზიდოროგას) და მამასახლისის დავაზე, არამედ მამასახლისისა და გლეხობის ურთიერთდაპირისპირებაზე, გლეხობისა, რომელსაც სათავეში ჩაუყენა ახალი გმირი, — სოფლის დემოკრატიული ახალგაზრდობის წარმომადგენელი ოლექსა კოვალი. ამდენად სიუჟეტური ხაზი კაზიბროდის ბრძოლისა მამასახლისის წინააღმდეგ დამხმარეა, ხოლო ძირითადი ხაზია მამასახლისის კონფლიქტი გლეხებთან. პიესის მეორე რედაქციაში საზოგადოება იბრძვის არა მხოლოდ მამასახლისის, არამედ სოფლის მწერლისა და მოიჯარადრე მევახშის წინააღმდეგაც.

ავტორმა მოქმედებაში ჩართო აგრეთვე მევახშე რახმილ ცინობერი. ამ და კიდევ სხვა ცვლილებების გამო ნაწარმოები იდეურად უფრო მიზანდასახული და მხატვრულად უფრო დახვეწილი გახდა.

კომედიაში ივ. ფრანკომ ამხილა გალიციის სოფლის ცხოვრების სინამდვილე. „რიაბინა“ იყო გალიციაში თანამედროვე სოფლის რეალისტური ასახვის, მისი სოციალური წინააღმდეგობების ჩვენების, სოფლის წურბელების სატირული ხერხებით მხილების პირველი ცდა. ამიტომაც იყო, რომ კომედიამ მაშინ ვერ იხილა გალიციის სცენა. შესაძლოა, ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა კომედიის ავტოგრაფზე მინაწერმა: „ძალზედ მწვავეა სცენისათვის, თუმცა სრული სიმართლეა“.

გალიციის სოფლებში გლეხთა უუფლებო, ჩაგრულ მდგომარეობას, იმას, თუ როგორ სწოვენ სისხლს ხალხს სოფლის ბობო-

ლები. კარგად ახასიათებს კომედიის პერსონაჟის, გლეხი გრინჩუკის ნათქვამი: „მამასახლისი შენთან მოდის, მომრიგებელი მოსამართლე შენთან მოდის, სასამართლოს განაჩენის აღმსრულებელი შენთან მოდის, ჯანდარმი შენთან მოდის, კომისარი შენთან მოდის, საგზაო ინსპექტორი შენთან მოდის, მასწავლებელი შენთან მოდის და ყოველი მათგანი გეუბნება: მომეცი! არავინ კი არ გეუბნება: აჰა, აიღეო“.

ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირი მამასახლისი პროკოპ რიაბინა მდიდარი და გავლენიანი კაცია. იგი თხუთმეტი წელი იყო მამასახლისად და დიდძალი ქონება და მიწები შეიძინა. როგორც ამ წესით გამდიდრებული ყველა კაცი, ისიც ძუნწი და დაუნდობელია. სულით ხორცამდე აძრობს ტყავს თავის თანასოფლელებს.

რიაბინას გვერდით უდგანან და მასთან ერთად ძარცვავენ გლეხებს და ჯიბეს ისქელებენ სოფლის მწერალი კაჩურკევიჩი და მოიჯარადრე ცინობერი. ლოთი და გაიძვერა კაჩურკევიჩი მაცდურ მელიასავით ჰყავს შეჩენილი რიაბინას და მასთან ერთად აწყობს ათასგვარ ბნელ საქმეებს. ხოლო რახმილ ცინობერი, რომელსაც სოფელში საკუთარი დუქანი აქვს, თავის ქსელში აბამს გულმიმნდობ მშრომელ გლეხობას.

ხალხის მყვლეფელებს ივ. ფრანკომ ღარიბი გლეხობა დაუპირისპირა. კაზიბროდს მწერალმა კომედიის მეორე რედაქციაში გვერდით ამოუყენა სოფლის მოწინავე ახალგაზრდა ოლექსა კოვალი. გლეხობა ერთიანი ძალით ახერხებს მათი სისხლისმსმელი წურბელების: რიაბინას, კაჩურკევიჩისა და ცინობერის დამარცხებას.

„რიაბინას“ მეორე რედაქცია დასრულებული მხატვრული ნაწარმოებია. იგი ხასიათდება მწვავე კომედიური სიტუაციებით, ხერხებით და მეტყველებს მისი ავტორის მხატვრულ ოსტატობაზე.

„მასწავლებელი“. ივ. ფრანკომ ხალხის განათლების საკითხს არა ერთი და ორი სტატია თუ ნარკვევი მიუძღვნა. თავის გამოსვლებში იგი ამხელდა სამღვდელოებას, რომელიც თითქოსდა მფარველობდა სახალხო განათლებას, ფაქტიურად კი სრულიადაც არ ზრუნავდა ხალხის განათლებაზე. ამხელდა სოფლის მევახშეებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას, რომლებიც ასევე თითს თით-

ზე არ აკარებდნენ ხალხს საეკლესიოდ და მხოლოდ ხალხიდან ქაჩავდნენ თავის სიმდიდრეს და სხვ. 1892 წელს ივ. ფრანკომ სვიატინაში ვეჩაზე თავის გამოსვლაში საგანგებოდ ილაპარაკა სახალხო სკოლებისა და მასწავლებლების მძიმე მდგომარეობაზე. იმავე 1892 წელს „ლიტერატურაში „ჩვენი თეატრი" მან მოუწოდა დრამატურგებს ყურადღება მიექციათ სახალხო სკოლებისა და მათი სოფლის მასწავლებლების აუტანელ მდგომარეობაზე. მწერალმა მოუწოდა დრამატურგებს შეექმნათ ამ თემაზე ნაწარმოები და თვითონაც მოკიდა კალამს ხელი.

1894 წელს ფრანკომ დაწერა პიესა „მასწავლებელი", რომელიც პირველად დაიდგა 1894 წლის 16 სექტემბერს ლვოვის უკრაინული სახალხო თეატრის სცენაზე. გამოქვეყნდა კი პიესა 1896 წელს ჟურნალში „ჟიტე ი სლოვო".

პიესას თავდაპირველად ერქვა „Quem di odiere"—„ღმერთებისაგან მოძულებული". სათაურში ერთგვარად გამოსჭვიოდა პიესის ჩანაფიქრი — გალიციაში მასწავლებლის მძიმე ხვედრი. მაგრამ მუშაობის პროცესში ნაწარმოების იდეურ-პოლიტიკურმა აქცენტებმა გადაინაცვლეს. მწერალმა ყურადღება გალიციის სოფელში მასწავლებლის მწარე ხვედრზე როდი გაამახვილა. მისი ნაწარმოების მთავარი თემა გახდა კარპატების მიყრუებულ სოფელში სოფლის ინტელიგენციის, ამ ერთ-ერთი წარმომადგენლის ბრძოლა გლეხობის საზოგადოებრივი შეგნების გაღვიძებისა და კულტურული ძვრებისათვის, ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვისაც ხელს აწყობს გლეხობის „სიბნელე". გაუნათლებლობა, ვინც ხელს უშლის ხალხის გონებრივი განვითარების საქმეს.

ნაწარმოების მთავარი გმირია სოფლის მასწავლებელი ომელიან ტკაჩი. იგი ფიზიკურად სუსტი კაცია, იმ დროის მასწავლებლებისათვის მტკიცე და შეუპოვარი. მან თავისი სიცოცხლე ხალხის განათლების საქმეს მიუძღვნა. ამიტომაც ვერ ეგუებოდა მას სოფლის ადგილობრივი ხელისუფლება, სოფლის წურბელები და სხვადასხვა რამის მომხიზლებით ან ყოველგვარი განმარტების გარეშე ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდათ. ამიტომაც რეაჯერ მოუხდა ომელიანს სამუშაო ადგილის გამოცვლა. მაშინ, როდესაც ნაწარმოებში ვეცნობით ომელიანს, მას უკვე შვიდი სოფელი აქვს გამოცვლილი და მერვეში მასწავლებლობს. ესაა კარპატების

ერთი შორეული სოფელი. პიესის ერთ-ერთი პერსონაჟი გლეხი ტოვკაჩი ასე მოგვითხრობს სოფელში სკოლის გახსნის თაობაზე: „თავდაპირველად ჩვენ გვცემდნენ და გვტანჯავდნენ, რათა სკოლის საფუძველი ჩაგვეყარა. კარგი. ჩავყარეთ საფუძველი. მაშინ სულ გაგვატყავეს, მშენებლობას სჭირდებაო. კარგი. ავაშენეთ. უეცრად აღმოჩნდა, რომ ახალ სკოლას არა ჰყავს მასწავლებელი და სკოლა სამ წელს იყო ცარიელი. ბოლოს მოგვცეს მასწავლებელი, მან ჩვენთან 15 წელი იცხოვრა და არაფერი კი არ გვასწავლა".

ომელიან ტკაჩის სურვილმა — დაეწყო მეცადინეობა სკოლაში, მამასახლისის ღიმილი გამოიწვია. მას არ სჯერა, რომ ხალხი კეთილი განწყობილებით შეხვდება სწავლის დაწყებას. იგი ურჩევს ტკაჩს, იცხოვრეთ ისე, როგორც თქვენი წინამორბედი მასწავლებელი ცხოვრობდაო. ტკაჩის შეკითხვაზე, კი მაგრამ, როგორ ცხოვრობდაო იგი, მამასახლისი უპასუხებს: „როგორ ცხოვრობდა? მუშაობდა თავისთვის მინდორში და ბაღჩაში,ხარ-კამეჩებსა და ღორებს კვებავდა, მწერლობდა, ხოლო ჩვენს ბავშვებს წიგნის კითხვას არ აიძულებდა".

გონებაჩლუნგი მამასახლისის ზურგს უკან გაიძვერა და დაუნდობელი მევახშე და მძარცველი ვოლფ ზილბერგლიანცი დგას. გლეხებმა მას მგელი შეარქვეს. ვოლფს არაფრად სჭირდებოდა სკოლა, თუმც იგი არის სასკოლო საბჭოს თავმჯდომარე. მას აწყობს გლეხის „სიბნელეში" ყოფნა, ხელს აძლევს წერა-კითხვის უცოდინარ ხალხთან ურთიერთობა. ასეთ ხალხს იგი უფრო იოლად ძარცვავს და ჩაგრავს. ამიტომაც არის, რომ მასწავლებელში იგი თავის პირად მტერს ხედავს. „მე უბრალო ებრაელი არა ვარ, — ამბობს ზილბერგლიანცი, — მე სხვადასხვაგვარ ბატონებთან მაქვს საქმე და ყოველთვის პატივს მცემენ".

მასწავლებელი ტკაჩი იწყებს უთანასწორო ბრძოლას. ვერც დევნამ, ვერც დამცირება-შეურაცხყოფამ, რომელსაც ხელისუფლების ერთგული დამქაშები აყენებდნენ მასწავლებელს, ვერ ჩაკლეს მასში სურვილი — ემსახუროს ხალხის განათლების საქმეს. ომელიან ტკაჩს ეს საქმე უკეთილშობილეს და უთუოდ სასარგებლო საქმედ მიაჩნია. იგი მოახერხებს სოფლელების გულის მოგებას, გლეხებს მოახედებს სკოლისაკენ. ტკაჩი არა მარტო ასწავ-

ლის ბავშვებს, არამედ ცდილობს დაიცვას გლეხები უსამართლო ჩაგვრისაგან, ექსპლუატატორებისაგან, ცდილობს მათში გააღვივოს წინააღმდეგობის გაწევის გრძნობა.

ტკაჩი თავდაპირველად გარკვეულ გამარჯვებასაც მოიპოვებს ზილბერგლიანცზე. თავისი სკოლის ამხანაგის, ჟანდარმის დახმარებით დანაწესულებრივი მაქინაციებისათვის ვოლფს აპატიმრებენ, მაგრამ მალე ათავისუფლებენ. სოფელში მიბრუნებული ვოლფი ახერხებს ტკაჩის სხვა სოფელში გადაყვანას მასწავლებლად. „განა არ გეუბნებოდით თავიდანვე, რომ თქვენ ძალზე სუსტი კბილები გაქვთ, მე რომ დამღრღნათ“, — ცინიკურად მიმართავს ვოლფი თავის მოწინააღმდეგეს, მასწავლებელ ტკაჩს.

ვოლფის ამ გამოთქმაში ფრანკომ ჩააქსოვა მთელი სიმართლე კაპიტალისტური სამყაროს ცხოვრებაზე. მწერალს თვითონაც არ სჯეროდა, რომ მხოლოდ განმანათლებლური საქმიანობით და სხვა რადიკალური ღონისძიებების გარეშე, შესაძლებელი ყოფილიყო ხალხის სიბნელიდან ამოყვანა.

ტკაჩი გაისტუმრეს მასწავლებლად კარპატების კიდევ უფრო ყრუ სოფელში. ამჯერად მეცხრედ. „სულ განაპირა სოფელია უნგრეთის საზღვართან, — ამბობს ერთ-ერთი პერსონაჟი, — მიუვალ მთებში, უგზოდ... ათ წელზე მეტია ხელისუფლება იქ სკოლის გახსნას აპირებდაო, ბოლოს გააგზავნეს სამხედრო ექსპედიცია და როგორც იქნა დიდი უბედურებით სკოლა ააგეს. მაგრამ მერე რა? უკვე ხუთი წელია, რაც მასში დუქანია მოთავსებული“.

მაგრამ მაინც ამ ბრძოლაში ვოლფი და მამასახლისი კი არ გაბოდიან გამარჯვებული, არამედ ფიზიკურად სუსტი, ჯანღონე გატეხილი მასწავლებელი და სოფლის გლეხობა. ომილიან ტკაჩი სძლევს ყოველგვარ წინააღმდეგობას, არ უშინდება გაჭირვებას, ხელისუფლების წარმომადგენლებსა მუქარას და მტკიცედ ადგას თავის გზას, ხალხის სამსახურის გზას. მას ასე სწამს, რომ მასწავლებლობის გარეშე „დაიღუპებოდა, როგორც თევზი უწყლოდ“. ამ ნარეკლიან გზაზე მასთან ერთად არიან მისი და იულია, ახალგაზრდა მასწავლებელი ხოროსტოლი და სხვები.

ტკაჩის მოღვაწეობას სოფლად მხოლოდ განმანათლებლობა კი არა, უფრო მეტად პოლიტიკური ხასიათი აქვს. ასე ესმის ეს სოფლის წურბელებს ვოლფსა და მამასახლისსაც. მათ მასწავლებე-

ლი და მისი მეგობრები მიაჩნიათ „ბუნტოვშჩიკებად, სოციალისტებად და მოსკოველ ჯაშუშებად“.

პროგრესული კრიტიკა მიესალმა ნაწარმოებს. მან აღნიშნა, რომ პიესა მართლაც ასახავს მწარე სინამდვილის ფაქტებს, მოქმედი გმირები ცხოვრებისეულნი არიან. ამასთანავე კრიტიკამ აღნიშნა ნაწარმოების ზოგიერთი ნაკლოვანი მხარეც. მაგალითად, ვ. შჩურატი სტატიაში „დორი ფრანკო“ („ზორია“, 1896) ზედმეტად თვლიდა პიესაში სასიყვარულო ინტრიგას და სხვ.

ნაწარმოების წყარო თვით რეალური გალიციური ცხოვრება იყო. ნაწარმოების დადებითი გმირები ავტორმა დამაჯერებლად და მხატვრულად დასრულებულად წარმოგვიდგინა.

ფრანკოს პიესის უდიდესი ღირებულება ის არის, რომ მის ქვეტექსტში აშკარად იგრძნობა მოწოდება ბრძოლისაკენ, მოწოდება იმ სოციალური მიზეზების განადგურებისაკენ, რომელიც საზოგადოებრივ უსამართლობას ბადებს. ფრანკომ შეძლო ექსპლუატატორების ისეთი მხატვრული სახეების შექმნა, რომლებშიც ღრმად იყო გახსნილი ექსპლუატატორების სოციალური ბუნება, მათი სოციალურად განპირობებული ფსიქოლოგია.

ნაწარმოებში „მასწავლებელი“ ფრანკომ პირველად უკრაინულ ლიტერატურაში დიდი სიყვარულით გვიჩვენა სახალხო მასწავლებლის კეთილშობილური შრომა, სოფლის ინტელიგენტის მძიმე ცხოვრება ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში“[1].

მწერალმა დაგვიხატა დადებითი გმირები, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის მიზანს ხალხის საკეთილდღეოდ მოღვაწეობაში ეძიებენ. და თუმცა იმ დროს სასწორი ექსპლუატატორების მხარეს იყო გადახრილი, მწერალს სჯეროდა, რომ სიმართლე მაინც გაიმარჯვებდა. ამ რწმენითაა გამსჭვალული პიესა.

„მთავარ სვიატოსლავის სიზმარი“. პიესებში „მოპარული ბედნიერება“, „რიაბინა“ და „მასწავლებელი“ მწერალმა დაგვიხატა გალიციური სოფლის სურათები. იგი ცდილობდა თეატრისა თუ დრამატურგიის საკუთარი თეორიული მოთხოვნები,

---

[1] უკრაინული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 576.

რომლებიც წამოაყენა სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ წერილებში, განეხორციელებინა მხატვრულ ნაწარმოებებში. დებულება — „თეატრი უნდა იყოს ცხოვრების სკოლა“ — მწერლისათვის სახელმძღვანელო იყო ყოველი დრამატული ნაწარმოების შექმნის დროს. „მან უნდა გვიჩვენოს ჩვენ ცხოვრება, — წერდა ივ. ფრანკო თეატრის შესახებ, — აგვიხსნას და გააანალიზოს მისი მოვლენები, მაყურებელს გაუღვიძოს ამ ცხოვრების კრიტიკა“.

ივ. ფრანკო სავსებით სამართლიანად თვლიდა, რომ „თეატრი, რომელიც საზოგადოებრივი კრიტიკის საგნად ხდის მხოლოდ ზოგიერთ მცირე უმნიშვნელო ნაკლს და გვერდს უვლის, არაფერს ამბობს და სიცრუით ფარავს საზოგადოების მთავარ, ძირითად ნაკლოვანებებს, ვერასოდეს გახდება ეროვნული. ვერ იქნება ცხოვრების სკოლა ან ცუდი სკოლა იქნება“.

პეშმარიტი ხელოვანი თავის პიესებში ცდილობდა ამ დებულების დაცვასა და გატარებას.

პოლიციური ცენზურა ძალზე ავიწროებდა ივ. ფრანკოს. თითქმის ყველა დრამატული ნაწარმოების სცენაზე დადგმა თუ გამოქვეყნება მას ბრძოლით უხდებოდა. მიხაილ სტრუ-ევიჩი გაზეთ „დილოში“ მიუთითებდა, რომ „დ-რ ფრანკოს ნაწარმოებებს პოლიციურ ცენზურასთან ურთიერთობაში ბედი არ წყალობ-ო“.

ივ. ფრანკო შეეცადა შემოვლითი გზით მაინც მოეხერხებინა საცენზურო ბარიერის დაძლევა. მან გადაწყვიტა ნაწარმოების თემა ძველი ისტორიიდან აეღო და ისეთ ჟანრსა თუ სტილში დაემუშავებინა იგი, რომ თანამედროვე ელერადობაც ჰქონოდა და ამავე დროს ცენზურისთვისაც თვალებში ნაცარი შეეყარა. „მინდოდა.— წერს ივ. ფრანკო დრაგომანოვს, — დამეწერა პიესა, რომელიც სცენისათვის გამოდგებოდა. განსაკუთრებით კი ისეთი, რომლის გამოც არ მექნებოდა ცენზურასთან ჩხუბი, რამაც ძნე მომაბეზრა თავი.. “.

ივ. ფრანკომ შორეულ წარსულს მიმართა. 1892 წელს ჟურნალში „ჟიტე ი სლოვო“ ფრანკომ გამოაქვეყნა ლექსად დაწერილი პიესა „მთავარ სვიატოსლავის სიზმარი“. ამ ნაწარმოებში მწერალმა მოქმედება გადაიტანა XII საუკუნის დასაწყისში, ქვესათაურში კი მიუთითა — „დრამა — ზღაპარი“, თუმცა ზღაპრული თუ ფანტასტიკური პიესაში თითქმის არაფერია. სამაგიეროდ, XII სა-

უკუნის ეპოქის კოლორიტი, იმ დროის სოციალურ ურთიერთობათა დახასიათება, პერსონაჟების მხატვრული სახეები გადმოცემულია რეალისტურად და ისტორიული სიმართლით, ამიტომაცაა, რომ პიესას ისტორიული დრამის ჟანრს მიაკუთვნებენ და არცთუ უსაფუძვლოდ. ყურადსაღებია ისიც, რომ პიესაში ფაქტიურად განხორციელებულია ისტორიული ნაწარმოებებისადმი ის მოთხოვნები, რომლებიც ივ. ფრანკოს შეუმუშავება რუსი რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკისა და ისტორიული დრამატურგიის გავლენით. „მთავარ სვიატოსლავის სიზმარს“ მხატვრული ფორმით, აგრეთვე ისტორიაში ხალხის როლის გაგებით უთუოდ აქვს საერთო პუშკინის დრამატურგიასთან, განსაკუთრებით „ბორის გოდუნოვთან“, რომელიც ივ. ფრანკომ უფრო მოგვიანებით უკრაინულად თარგმნა, ხოლო ნაწარმოების იდეის თვალსაზრისით — უძველეს ძეგლთან „ამბავი იგორის ლაშქრობასთან“.

პიესას ღრმა პოლიტიკური აზრი აქვს. მასში გატარებულია რუსული მიწების გაერთიანების იდეა, მხილებულია უკრაინელი ხალხის მოღალატეები. ამ აზრს მით უმეტეს ჰქონდა აქტუალური ჟღერა და მნიშვნელობა, რომ ივ. ფრანკომ სწორედ იმ დროს მიუთითა ძველ რუსეთზე, რუსეთთან განუყოფელ ძმობაზე, როდესაც შემარიგებლები ავსტრიის მონარქიასთან ერთიანდებოდნენ.

პიესაში ივ. ფრანკომ დაგვიხატა მთავარ სვიატოსლავის ბრძოლა ერთიანი რუსული მიწებისათვის. მთავარი გამოყვანილია ჭკვიან ხელმწიფო მოღვაწედ, რუსეთის დიდ პატრიოტად და მამაც მებრძოლად. მაგრამ გაიძვერა მოღალატეებმა შეძლეს მისი სიფხიზლის მოდუნება და აიძულეს იგი განედევნა ყველაზე ერთგული მრჩეველი ოვლური. ბოიარინ დობრინიას მოკვლისათვის მთავარმა იგი კანონგარეშედ გამოაცხადა. მთავარმა მაშინ არ იცოდა, რომ დობრინია მისი მოღალატე იყო და იმიტომ მოკლა ოვლურმა.

ბოიარინი გოსტომისლი და მისი ცოლი ზაპავა მოღალატეების სულისჩამდგმელები არიან. ეს მათი მეშვეობით მოხერხდა ერთგული ხალხის თავიდან მოცილება. მათ კარგად იციან, რომ ხალხს არ სურს რუსულ მიწაზე უთანხმოება და შინაური არეულობა, და თუ მაინც ატყდა შინაური ბრძოლა, ხალხი მთავარს დაუჭერს მხარს, რადგან იგი ერთიანი რუსეთის მომხრეა. ამიტომაც გოსტომისლი

და მისი მომხრეები გადაწყვეტენ ღამით დაესხან თავს მთავრის ციხესიმაგრეს და მოკლან სვიატოსლავი. ოვლურის ცოლი პრედსლავა შეიტყობს შეთქმულების ამბავს და ცდილობს აცნობოს იგი მთავარს, მაგრამ ვერ ახერხებს.

ღამით „ღვთიური ძალების“ შთაგონებით მთავარი თვითონ ტოვებს ციხე-კოშკს. ცხენს მინდობილი მთავარი ღამითვე ტყეში გადაეყრება ყაჩაღებს, მათი მეთაური კი ოვლური აღმოჩნდება. იგი სიბნელეში ვერ შეიცნობს მთავარს.

მოქმედება ისე ვითარდება, რომ მთავარს შესაძლებლობა ეძლევა დარწმუნდეს ოვლურისა და მისი ცოლის ერთგულებაში, დარწმუნდეს, რომ გოსტომისლი და მისი დამჭაშები კუნაში თუ სხვები მთავრისა და რუსეთის მოღალატეები არიან. ოვლურისა და მისი ცოლის პრედსლავას დახმარებით სვიატოსლავმა ამხილა ეოეოდა გოსტომისლი და მისი მომხრეები. თავისი ერთგული ქვეშევრდომებისა და ხალხის მხარდაჭერით მთავარმა დაამარცხა მოღალატეები.

დრამას თითქოს ასეთი კეთილი დასასრული უჩანს. მაგრამ სვიატოსლავი და მისი ხალხი სწორედ ამ დროს შეიტყობენ, რომ კიევისკენ თავისი ლაშქრით მოდის მთავარი ვსესლავი, რომლისთვისაც მოღალატეებს მოუხმიათ.

დრამა მთავრდება დედა-სამშობლოს, ერთიანი რუსეთის მოღალატეებისადმი და გამცემლებისადმი ზიზღით გამსჭვალული მოწოდებით:

სიკვდილი ყველას, ვინც შუღლით, მტრობით ტანჯავს რუსეთს!

თავისი მხატვრული ჩანაფიქრის განსახორციელებლად მწერალმა მოხერხებულ ფორმას მიაკვლია. მან მაქსიმალურად შეამჭიდროვა პერიპეტიებისა და კოლიზიების დრო და სივრცე, მოქმედების განვითარებას მიანიჭა მძაფრი რიტმი.

ამ სიტყვებში ნათლად გამოიკვეთა ივ. ფრანკოს ისტორიული დრამის იდეა.

პიესის მხატვრულ სახეთა ღრმა რეალისტური საფუძველი, ფოლკლორული ხერხების გამოყენება, ისტორიული კოლორიტი, იდეური გადაძახილი „ამბავი იგორის ლაშქრობასთან“, მწერლის თანამედროვე მოვლენებთან ნაწარმოების აქტიური კავშირი —

ივან ფრანკოს დრამას განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და მხატვრულ ძალას ანიჭებენ.

ივ. ფრანკოს ნაწარმოებზე იმ დროს სხვადასხვა აზრი შეიქმნა. ვ. შჩურატი. მაგალითად. ფიქრობდა. რომ პიესა „მთავარ სვიატოსლავის სიზმარი“ დაწერილია შექსპირის დრამების ზეგავლენით. მისი აზრით, ფრანკოს პიესას სცენურობა აკლდა და მხოლოდ წასაკითხად გამოდგებოდა. ვ. შჩურატმა. ისე როგორც ცენზურამ, ვერ ამოიცნო დრამის იდეური საწყისები, მისი იდეური მიმართულება. სხვათა შორის, ასევე ვერ დაინახა პიესის მაღალი იდეურ-პოლიტიკური ღირსება ცნობილმა უკრაინელმა მოღვაწემ მიხაილო დრაგომანოვმაც.

ივ. ფრანკომ შორეული ისტორიული წარსულის თემაზე ღრმა პატრიოტული დრამა შექმნა და იგი ხალხის მტრების წინააღმდეგ მიმართა.

„ქ ვ ი ს ს უ ლ ი“. ისტორიულ წარსულს მიმართა მწერალმა ერთმოქმედებიანი დრამის — „ქვის სული“ — დაწერის დროს. მოქმედება წარმოებს XVIII საუკუნის დასასრულს კარპატების მთებში; გამოთქმა „ქვის სული“ ავტორმა გამოიყენა ნაწარმოების მთავარი გმირის დელიატინის კრაინიკის (ოლქის უფროსი) ცოლის მიმართ. ეს სათაური საგანგებოდ მიგვანიშნებს ქალის ტრაგედიაზე. რომელმაც საყვარელი ადამიანის გულისათვის დასტოვა ქმარი, შვილები და თავისი ბედი დაუკავშირა ოპრიშკების მეთაურს მარუსიაკს.

ოპრიშკობას ივ. ფრანკო თავის პუბლიცისტურ თუ ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებში ახასიათებდა როგორც „იმ დროს (XVIII ს. ო. ბ.) არსებული სოციალური წესების წინააღმდეგ სახალხო პროტესტის ერთადერთ ფორმას“[1]. ამ ასპექტში არის პიესაში წარმოჩენილი „ოპრიშკობა“.

ტყეში გაჭრილმა გლეხებმა და მათმა ატამანმა არ იციან, რომ მარუსია კრაინიკის ცოლია. კრაინიკი თავის ერთგულ მსახურს ბაიურაკს მიუგზავნის მარუსიას, რომ დაიბრუნოს უკან, მაგრამ ბაიურაკი ამას ვერ ახერხებს, სამაგიეროდ უთანხმოებას თესავს აჯა-

[1] ივ. ფ რ ა ნ კ ო, თხზ. ტ. 16, გვ. 143.

ნაებულებში, რის გამოც ბევრი ოპრიშკა მიატოვებს მარუსიაკს. ბაიურაკისაგან შეიტყობს მარუსია, რომ კრაინიკი ჯარისკაცების ასეულით ბანაკს უახლოვდება და სადაცაა ალყაში მოაქცევს მათ. იგი მიხვდა, თუ რა ხიფანგშიც მოემწყვდა, მაგრამ ქმართან დაბრუნების სიკვდილს ამჯობინებს.

გაჭირვების ჟამს მარუსია მტკიცე ნებისყოფას იჩენს. იგი ჭეშმარიტად ქვის სულის მქონე ქალია. მოტყუებული და ხელმოცარული მარუსია მაინც პოულობს ძალას, გულში ჩაიკლას თავისი უბედურება. მარუსია ატამანს აცნობებს მოსალოდნელ საფრთხეს. გამხეცებული მარუსიაკი, რომელმაც ეჭვი მიიტანა კრაინიკთან მარუსიას კავშირზე, კლავს მარუსიას, ხოლო როდესაც ალყაში მოიმწყვდევს მას, თავს იკლავს.

სიკვდილის წინ მარუსია ახერხებს ერთგული მსახურის ხელით შვილებისათვის ოქროს ჯვრისა და განძეულის ნუსხის გადაცემას.

მკითხველს ამახსოვრდება ამაყი, ძლიერი სულისკვეთების მქონე ქალის გმირული სახე, მიმზიდველი და შთამბეჭდავი, რომელიც თავისი გრძნობისა და სოციალური გარემოს მსხვერპლი გახდა. იგი ხომ ძალით გაათხოვეს კრაინიკზე და მისი მორჩილი ცოლი გახადეს. მაგრამ ამაყი სულის მქონე ქალმა გადაწყვიტა ცოლ-ქმრული მონობის ჯაჭვი გაეწყვიტა სიყვარულისათვის და როდესაც აქაც დამარცხდა, შეძლო ღირსეულად მიეღო სიმწრის ეს ფიალაც.

როგორც ვხედავთ, დრამატული კონფლიქტი ამ პიესაშიც „ქალის მონობაა“ თემაზეა აგებული. ამ დრამატულ-ფსიქოლოგიურ ნაწარმოებში ავტორმა ხალხური სიმღერის „პავლო მარუსიაკი და ფოფოდია“ მოტივი გამოიყენა. მაგრამ ივ. ფრანკომ არსებითი ცვლილებები შეიტანა სიუჟეტში და იგი თავისებურად განავითარა.

„ჯიხური № 27“. ქალის მძიმე ხვედრს მიუძღვნა ივ. ფრანკომ ერთმოქმედებიანი დრამა „ჯიხური № 27“. ამ ნაწარმოების ავტოგრაფი არ შემონახულა. იგი დაწერილი უნდა იყოს 1893 — 1896 წწ.

მდიდარი გლეხი ზავადა, ორმოცი წლის კაცი ცდილობს თვრამეტი წლის გოგონაზე ზოსიაზე დაქორწინებას. ზოსიას კი სხვა უყვარს. მას განატ სიროტიუკის ცოლობა უნდა. მაგრამ მშობლებს შიაჩნიათ, რომ მათი ქალიშვილი ქვრივ ზავადას უნდა გა-

თხოვდეს, რადგან ზავადა შეძლებული კაცია და ბედნიერება კი სიმდიდრეშიაო. ზოსია მშობლების ზეგავლენით თითქოს თანხმდება კიდეც, მაგრამ ამ დროს გამოჩნდება ახალი პერსონაჟი ქსენია, რომელიც ზავადას ახალგაზრდობის დროს შეუცდენია და შემდეგ მოუტყუებია. საკუთარი ბავშვის მოკვლის შემდეგ ციხეში ნამყოფი და პატიმრობამოხდილი ქსენია შურს იძიებს ზავადაზე. ქსენია ჯერ ზავადას შეაგდებს და შემდეგ თვითონაც ჩაუვარდება მატარებელს ბორბლებში და იღუპება.

„ჯიხური № 27“ ივ. ფრანკოს სხვა დრამატულ ნაწარმოებებთან შედარებით მხატვრული სრულყოფილებით არ გამოირჩეოდა. შესაძლოა, ამიტომაც არ ჩქარობდა ავტორი მის გამოქვეყნებას თუ სცენაზე დადგმას. საბოლოოდ იგი დაიბეჭდა 1902 წელს და თეატრალურმა კოლექტივებმაც დაიწყეს უკრაინულ სცენაზე მისი წარმოდგენა.

„ოსტატი ჩირნიაკი“ ივ. ფრანკოს ქალამს ეკუთვნის. იგი გამოქვეყნდა 1902 წელს. ამ კომედიაში მწერალი გვიხატავს უკრაინაში კაპიტალიზმის შემოჭრის სურათს, გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება ძველი სამყაროს სახე, როგორ გადაიქცევიან ძველი საამქროს ხელოსნები კაპიტალისტური საწარმოს, ფაბრიკის მუშებად.

ფეხსაცმელების საამქროს ოსტატის ჩირნიაკის შვილი, რომელიც მამამ სახლიდან გააგდო იმისათვის, რომ მან უნივერსიტეტში სწავლას დაანება თავი, რათა ხარაზი გამხდარიყო, საზღვარგარეთ გამგზავრებულა. ივან ჩირნიაკს ინგლისში შეუსწავლია ხარაზის ხელობა და საქმე, ცოლად შეურთავს მდიდარი მრეწველის გოპკინსის ქალიშვილი და სამშობლოში გამომგზავრებულა როგორც ფეხსაცმელების დიდი ფირმის „ჯონ ჩირნიაკი და ვილიამ გოპკინსის“ წარმომადგენელი.

პიესაში ნათქვამია, რომ „ლვოვში რომელიღაც კაპიტალისტი ხსნის ფეხსაცმელების ფაბრიკას. დიდი გაქანების საქმეა, ლვოვში ხუთი საწყობი იქნება. ყველა დანარჩენი — სხვა დიდ ქალაქებში... ეს ჩვენი ოსტატებისათვის სასიკვდილო დარტყმაა“. ამ „უცხოელი კაპიტალისტის“ ივან ჩირნიაკის მიერ წამოწყებული საქმის წინააღმდეგ ილაშქრებენ ოსტატები, უპირველეს ყოვლისა, ნიკიფორ ჩირნიაკი. ტყუილუბრალოდ ფიქრობს ოსტატი, რომ შეძლებს თა-

ვისი საწარმოს—საამქროს გადარჩენას განადგურებისაგან. კაპიტალისტური განვითარების დაუნდობელი ლოგიკა დაუძლეველია. საამქროს ხელოსნები ყადადიან ივან ჩირნიაკის ქარხანაში მუშებად. ოსტატ ჩირნიაკს ტოვებს მეუღლე და ისიც თავის შვილს მიემხრობა. საამქროში მხოლოდ მოხუცი ჩირნიაკი და შეგირდი, პატარა ბიჭი რჩებიან. „შვილო ჩემო, — სასოწარკვეთილი მიმართავს ნიკიფორ ჩირნიაკი შეგირდს, — ჩვენ თვითონ რაღა შეგვიძლია გავაკეთოთ? მე მოხუცი ვარ, შენ კი პატარა! როგორღა ვებრძოლოთ ამ საშინელ ძალას?!“

პიესაში ავტორმა გვიჩვენა ისტორიული გარდუვალობა ფეოდალური ფორმაციის შეცვლისა კაპიტალისტურით, რომელიც ბადებს ახალ საზოგადოებრივ ძალას — პროლეტარიატს.

პიესაში გამოყვანილია მუშა კრიშტოფი, სოციალ-დემოკრატი. „ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, — ამბობს იგი, — ხვეაგვარად ვფიქრობთ... მახარებს საერთო პროგრესი! ინგრევა შუა საუკუნეების ნარჩენები, წვრილმა ხელოსნობამ მოჭამა თავისი დრო — კონცენტრირდება კაპიტალი, კონცენტრირდება წარმოება ფაბრიკებში, ორგანიზდება და იზრდება, — პროლეტარიატიც ორგანიზდება, შეგნებული ხდება, ძალებს იკრებს, ხოლო ძალა პროლეტარიატის ხელშია — ეს ახალი წყობილების, ახალი ეპოქის დასაწყისია, დედამიწაზე საყოველთაო ბედნიერების დასაწყისია“.

ამ და ზოგ სხვა მონაცემებზე დაყრდნობით ზოგიერთ მკვლევარს ივან ფრანკო უკრაინულ დრამატურგიაში ახალი კლასის, პროლეტარიატის წარმომადგენლის მხატვრული სახის პირველ შემქმნელად მიაჩნია, რომელმაც კრიშტოფის მეშვეობით ახალი, სოციალისტური საზოგადოების იდეალები წამოაყენა (ი. კობილეცკი), ზოგს კი კრიშტოფი მოლაყბედ, მხოლოდ მყვირალა ფრაზების ავტორად ესახება, რადგან იგი პიესაში საქმეს კი არ გვაჩვენებს, ლამაზი ფრაზებით შემოიფარგლება (მ. პარხომენკო).

ივ. ფრანკომ „ოსტატ ჩირნიაკში“ ამხილა ავსტრიული პრესის წარმომადგენელი შპიცკოფი, მთავრობის კომისიის წევრი, სტატისტიკური ბიუროს უფროსი, „დასრულებული ვირი“ კლეოფას ციმბალსკი და სხვ. პიესაში ყოველი მათგანი მხოლოდ იმას ფიქრობს, თუ როგორ გაისქელოს ჯიბე, როგორ დასცანცლოს ოსტატს მორიგი ქრთამი. მწერალმა მათ მაგალითზე სატირულ ასპექტში

დაგვანახა ავსტრიის პრესისა და სახელმწიფოებრივი აპარატის გამყიდველობა.

„ოსტატი ჩირნიაკი“ სატირული კომედიაა. თუმცა ჟურნალმა „ზორიამ“ ჯერ კიდევ 1896 წელს აცნობა მკითხველებს, რომ „ფრანკომ სათაურით „ოსტატი ჩირნიაკი“ დაწერა ერთმოქმედებიანი კომედია, რომელიც „უკრაინსკა ბესიდას“ მმართველობამ შეიძინა თეატრისათვის“, მაგრამ 1902 წლამდე ეს პიესა არც სცენაზე დადგმულა და არც ბეჭდური სახით ყოფილა გამოცემული. „ოსტატმა ჩირნიაკმა“ თავისი ადგილი დაიკავა უკრაინული დრამატურგიის ისტორიაში და მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ივან ფრანკო ლიტერატურულ ასპარეზზე იმ დროს გამოვიდა, როდესაც გალიციის სამღვდელოება თეატრალური ცხოვრების, თუ შეიძლება ასე ითქვას, თეატრალური „მოდის“ კანონმდებელი იყო. სამღვდელოება ცდილობდა თეატრისათვის თავს მოეხვია თავისი სურვილები, შეხედულებები, ცდილობდა ხელი შეეწყო ისეთი სპექტაკლების დადგმისათვის, რომლებშიც წინა პლანზე იქნებოდა წამოწეული სანტიმენტალიზმი, დამტკბარი იდილიური სცენები, მისტიკური სენტენციები, ცხოვრების ყოფითი მხარე და სხვ., ერთი სიტყვით, ყურადღება იქნებოდა ჩამოცილებული ხალხის ცხოვრების მტკივნეულ მხარეებზე, გაჭირვებული ადამიანის ყოფაზე, ცხოვრების ავბედობის რეალურ ანალიზზე, ყოველივე იმაზე, რაც არ შეესაბამებოდა ან ეწინააღმდეგებოდა რელიგიურ შეხედულებებს, ძველ ტრადიციებს, სამღვდელოების ინტერესებს.

ამგვარ ვითარებაში ფრანკოს მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ივ. ფრანკოსათვის თეატრი იყო მასებზე იდეურ-მხატვრული ზემოქმედების საშუალება, ხალხის მტრების წინააღმდეგ იდეური ბრძოლის საშუალება, მაშასადამე, პოლიტიკური ბრძოლის მოწინავე რევოლუციური აზრის ტრიბუნა. მწერალი ცდილობდა ეროვნული სცენის მეშვეობით ადამიანებისათვის მოეთხრო მშრომელი ხალხის ცხოვრების მართალი ამბავი, ეთქვა სიმართლე უკრაინელი გლეხობის, ხალხის გაჭირვებულ, მძიმე ცხოვრებაზე; დაეხატა მშრომელი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის, უსამართლობის რეალისტური სურათები. ამიტომაც დრამატურგისათვის ნაწარმოებების თემის წყარო თვით ხალხის ცხოვრება იყო.

ივან ფრანკო თეატრს „ცხოვრების სკოლას“ უწოდებდა. დიდი მწერალი და მოქალაქე გაბედულად და დაუღალავად იღვწოდა და იბრძოდა უკრაინული თეატრისათვის ეროვნული რეპერტუარის შესაქმნელად. მან თავისი კალამი სცადა დრამატურგიის სხვადასხვა ჟანრში. მაღალი დრამატურგიული ხელოვნებით შესრულებული ღრმა სოციალური შინაარსის ნაწარმოებებით გაამდიდრა მწერალმა უკრაინული კლასიკური დრამატურგია. იქნებოდა ეს ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური დრამები („მოპარული ბედნიერება“, „მასწავლებელი“) თუ ხალხური კომედიები („რიაბინა“), ისტორიულ თემებზე შექმნილი რომანტიკული ლეგენდარული დრამატული ნაწარმოებები („მთავარ სვიატოსლავის სიზმარი“, „ქვის სული“) თუ ერთმოქმედებიანი პიესები, დრამები, კომედიები, სცენები („ოსტატი ჩირნიაკი“. „ჯიხური № 27“, „უკანასკნელი კრეისერი“) და სხვ. XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგის უკრაინული დრამატურგიის მშვენებას წარმოადგენდა. ამ ნაწარმოებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს არა მარტო უკრაინული დრამატურგიის განვითარების საქმეში, არამედ უკრაინული თეატრის ეროვნული რეპერტუარით გამდიდრებისა და ეროვნული თეატრის განვითარების საქმეშიც. ივ. ფრანკო ჭეშმარიტად ღრმად ეროვნული მწერალი იყო, რომელიც თავის მხატვრულ ქმნილებებს რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით, მსოფლმხედველობით მსჭვალავდა და თავისი მშობელი ხალხის ჭირ-ვარამზე, სატკივარზე მართლად მოუთხრობდა ადამიანებს.

ამასთანავე ისიცაა აღსანიშნავი, რომ ივ. ფრანკო ცდილობდა ეთარგმნა და უკრაინულ ენაზე მიეწოდებინა თავისი ხალხისათვის რუსული და უცხოური კლასიკური დრამატურგიის ნიმუშები, კალდერონის, ლოპე დე ვეგას, შექსპირისა და სხვათა დრამატურგიული შედევრები.

ივან ფრანკო თავისი შემოქმედებით ეყრდნობოდა მოწინავე უკრაინული და რუსული ლიტერატურის ტრადიციებს. მიხაილო კოციუბინსკის მიღწევები მისი შესწავლისა და შემოქმედებითი ათვისების საგანი იყო. ასეთ ნოყიერ ნიადაგზე აფუძნებდა მწერალი თავის შემოქმედებას და ამიტომაც აგრძელებდა და ავითარებდა იგი წინამორბედთა თუ თანამედროვეთა პროგრესულ ტრადიციებსა და მიღწევებს.

ივან ფრანკოს დრამატული შემოქმედება ნოვატორობით გამოირჩევა. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს ნოვატორობა, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა პიესებში მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული გმირების გაბედულად და ფართოდ შეყვანაში, დრამატული ნაწარმოებებისათვის მწვავე სოციალური მიზანდასახულობის მიცემაში, ამასთან ერთად ეროვნული დრამატურგიის როგორც იდეურ-თემატიკური, ისე ჟანრობრივი ჰორიზონტის გაფართოებაში (ი. ტობილევიჩი). ივან ფრანკომ გაამდიდრა უკრაინული დრამატურგია ფსიქოლოგიური წერის ახალი ხერხებით, ღრმად ჩაიხედა უბრალო გლეხის სულში, გვიჩვენა მისი სულის სიფაქიზე და სიმდიდრე (მ. პარხომენკო).

ივან ფრანკოს დრამებისათვის დამახასიათებელია გმირების შინაგან სამყაროში ღრმად ჩახედვა და მისი ჩვენება, პერსონაჟის ფსიქოლოგიის მხატვრულად დამაჯერებელი სურათის წარმოჩენა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ფსიქოლოგიური დაძაბულობაა ის ძალა, რომელიც ავითარებს, აჩქარებს ნაწარმოების რიტმს, ფრანკოს დრამები გამოირჩევა დინამიკურობით. მათი სიუჟეტი — ღრმა დრამატული კონფლიქტებით, ფრანკოსეული დიალოგი კი, რისიც უდიდესი ოსტატია მწერალი, საოცრად უწყობს ხელს სიუჟეტის დინამიკურობას. მწერლის პიესები სცენურია და ამიტომაც დასადგმელად იოლია.

ივან ფრანკო თელიდა, ისეთი თეატრისათვის, რომელიც ჭეშმარიტად იქნებოდა „ცხოვრების სკოლა“ და თავისი მისიის შესრულებას გალიციის ცხოვრების იმ პირობებში წარმატებით შეძლებდა, საჭირო იყო მისი ამოცანის შესაბამისი რეპერტუარი. ეს რეპერტუარი კი უნდა ყოფილიყო აქტუალური, თავისი იდეური მიმართულებით რევოლუციური და, რა თქმა უნდა, მხატვრულად სრულფასოვანი.

ივან ფრანკოს დრამატურგია, მისი საუკეთესო ნაწარმოებები უპასუხებდნენ მწერლის ამ მოთხოვნებს და სწორედ ამიტომაც გაუძლეს მათ ისტორიის გამოცდას. ივ. ფრანკოს ნაწარმოებები დღესაც იდგმება საბჭოთა თეატრების სცენაზე და სარგებლობს დამსახურებული წარმატებებით.

* * *

...ხალხის შვილი ვარ
წუდიადიდან მზისკენ რომ იღტვის,
მე მოგწოდებთ: ვიყოთ გამრჯე, არვის ვემონოთ.
მეც ხომ გლეხი ვარ, მიწის შვილი, ყოვლის საწყისი,
გლეხი — პროლოგი, ეპილოგი არვის გეგონოთ

(თარგმნა რ. ჰანტურიშვილმა)

წერდა ივან ფრანკო და მთელი თავისი მოღვაწეობით ამართლებდა მხატვრულ სტრიქონებში ჩაქსოვილ აზრს, დიდი მგოსნისა და მოქალაქის მთელი სიცოცხლე მიეძღვნა მშობელი ხალხისათვის ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას.

პოლონელი მწერლის, ელიზა ოჟეშკოსადმი მიწერილ ბარათში ივან ფრანკო წერდა: „70-იანი წლების ნახევარში ჩვენში ასპარეზზე გამოვიდა ახალგაზრდა თაობა, რომელსაც ჩემს თავსაც მივაკუთვნებ. ეს თაობა... მალორუსი ხალხის დამოუკიდებლობის თეორიული დაცვის გარდა, მიიწრაფოდა ხალხის ინტერესების პრაქტიკული დაცვისაკენ. ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში იგი ინტელიგენციისაგან მოითხოვდა მშრომელი ხალხის ინტერესებისადმი სამსახურს, ლიტერატურაში ხალხისა და ინტელიგენციის ცხოვრების რეალურ ასახვას, მათ შორის ნამდვილი, გონიერული განათლების გავრცელებას. მაგრამ, ვაგლახ! ჩვენ ცოტანი ვიყავით, მთავრობის მხრივ დევნამ ბევრს გული აუცრუა, ზოგსაც კიდევ სრულიად მოახრჩვინა ქედი".

ამ ქედმოუხრელებს შორის იყო ივან ფრანკო და არა რიგითი მებრძოლი, არამედ მათი წინამძღოლი, ადამიანის სიკეთისათვის დაუნდობელ ბრძოლაში. იგი როგორც ხალხის ღვიძლი შვილი თავისი არსებობის, სიცოცხლის გამართლებას სწორედ ხალხისათვის ბრძოლას თვლიდა. 1898 წელს მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომაზე, თვითონ მწერალმა შესანიშნავად დაახასიათა თავისი თავი: „როგორც უკრაინელი გლეხ-კაცის შვილი, კლებული ხმელი პურით გაზრდილი, ჩემს მოვალეობად ვთვლი მთელი ჩემი ცხოვრების განძილზე გაწეული შრომა მივუძღვნა ამ უბრალო ხალხს". მკაცრ სკოლაში გამოზრდილმა, პატარაობიდანვე შევითვისე ორი მცნება: პირველი

— ხალხისადმი წმინდა მოვალეობის გრძნობა, მეორე — გამუდმებული მუშაობის აუცილებლობა".

ივან ფრანკოს შემოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო გალიციის, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მწერალი, არამედ უკრაინისა და სხვა ხალხების ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის.

ივან ფრანკოს სახელი მის სიცოცხლეშივე გასცდა მშობლიურ უკრაინას და სხვა ხალხებამდეც მიაღწია. დიდი კამენიარის მოღვაწეობას იმთავითვე მიაქცია ყურადღება და მისი შემოქმედებით დაინტერესდა ქართველი საზოგადოებრიობაც.

ქართველი მკითხველი ჯერ კიდევ მწერლის სიცოცხლეშივე თავის მშობლიურ ენაზე გაეცნო ივან ფრანკოს შემოქმედებას. რუსული თარგმანების კვალდაკვალ, თითქმის მასთან ერთად, ქართულ ენაზე გამოჩნდა უკრაინელი მწერლის ნაწარმოებები. ჟურნალებმა „კვალმა" (1901 — 1902) და „მოამბემ" (1904) გამოაქვეყნეს ივ. ფრანკოს ნაწარმოებები: „კარგი ხელფასი", „მისივე ბრალია", „ცრუნვები", „ნაძირალნი".

მიუხედავად ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების დიდი ტრადიციებისა, უკრაინელი მწერლის ნაწარმოებები ამჯერად ორიგინალიდან არ თარგმნილა. ივ. ფრანკოს ნაწარმოებები ითარგმნა რუსული ენიდან. ქართული თარგმანი თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს რუსულ ტექსტს, მთარგმნელები ცდილობენ ზოგჯერ გადმოაქართულონ უკრაინელი მწერლის ნაწარმოებები, შეიტანონ ტექსტში ქართული ელემენტები უკრაინულის ნაცვლად. აბე მაგალითად, „კარგი ხელფასის" ქართულ თარგმანში (მთარგმნელი — იელი) უკრაინული საჭმელების ნაცვლად დასახელებულია ქართული, დახატულია სურათები, სადაც მოქმედება ქართულ სინამდვილესთან უფროა მიახლოებული და სხვა.

მეოცე საუკუნის დამდეგს უკრაინული ნაწარმოებების თარგმნას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობა, რომელიც ყოველთვის უთმობდა სათანადო ყურადღებას სხვა ხალხების ლიტერატურის გაცნობას და ცდილობდა თავისი მშობლიური ლიტერატურის სხვა, მოწინავე ლიტერატურის შედევრებით გამდიდრებას, ამ შემთხვევაში თარგმნიდა და პროპაგანდას უწევდა იმ უკრაინელ მწერალსა და მის იმ ნაწარმოებებს, რომლე-

ბიც თავისი იდეურ-მხატვრული მიმართულებით შეესაბამებოდნენ მათ ეროვნულ მისწრაფებებს.

ივ. ფრანკოს ნაწარმოებების ქართულ თარგმანებს, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანი მხარეებისა, მაინც ჰქონდათ გარკვეული ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა.

ივან ფრანკოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა და შესწავლა განსაკუთრებით ნაყოფიერი გახდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. საქართველოს მთავრობამ მწერლის დაბადებიდან 85 წლისთავთან დაკავშირებით გამოიტანა საგანგებო დადგენილება ქართულ ენაზე უკრაინელი მწერლის ნაწარმოებების სამტომეულის გამოცემის შესახებ. სამტომეულის გამოცემასთან დაკავშირებით მოსამზადებელ მუშაობაში ჩაბმულნი იყვნენ ისეთი გამოჩენილი ქართველი მწერლები, როგორიც იყვნენ შალვა დადიანი, დენგა შენგელაია, ცნობილი უკრაინისტი ასამანი (მიხეილ კინწურაშვილი) და სხვები. ქართულ ენაზე გამოჩნდა კრებულები და ივ. ფრანკოს ნაწარმოებების ცალკე გამოცემები. მაგალითად, 1942 წელს, ჩვენი ხალხისათვის მძიმე დროს, ქართულ ენაზე გამოიცა ივ. ფრანკოს მოთხრობების პირველი კრებული. წიგნში შევიდა მოთხრობები: „ერთი კონფისკაციის ისტორია", „ტყე და საძოვარი", „სინათლისაკენ", „სამუშაოზე", „ღორული კონსტიტუცია", „სამჭედურში", „მემალაროე", „ნამწყემსარი", „პატარა მირონი", „გრიცკო". წიგნს წამძღვარებული ჰქონდა მცირე (სამგვერდიანი) წერილი, რომელიც ქართველ მკითხველს აცნობდა უკრაინელი მწერლისა და მოღვაწის ივან ფრანკოს ღვაწლს.

1946 წელს ქართულ ენაზე „სახელგამმა" გამოსცა ივან ფრანკოს რომანი „ბორისლავი იცინის". თარგმანი შესრულებული იყო ივ. წულუკიძის მიერ. მანვე რომანს დაურთო ერცელი შესავალი წერილი.

1951 წელს ქართულ ენაზე გამოიცა ივ. ფრანკოს ლექსების კრებული, რომელშიც შევიდა ლექსები ციკლებიდან: „მაღლობებიდან და დაბლობებიდან", „დამჭკნარი ფოთლები", „მწუხარე დღეები" და პოემა „მოსე". ლექსები და პოემა თარგმნეს სახელოვანმა ქართველმა მწერლებმა: ირ. აბაშიძემ, კ. ლორთქიფანიძემ, რ. გვეტაძემ და სხვებმა.

1957 წელს ქართულ ენაზე „სახელგამმა“ გამოსცა ივ. ფრანკოს მოთხრობების მეორე კრებული, რომელშიც შევიდა: „ქეთილ ხალხში“, „ბატონის პური“, „თვითონაა დამნაშავე“, „სარფა“, „კალატოზი“, „ბოშები“, „ტყაპუჭის თავგადასავალი“. თარგმანი ეკუთვნოდა თ. ღვინიაშვილს.

1954 წელს ქართულ ენაზე ცალკე წიგნად გამოიცა ივ. ფრანკოს დრამა „მოპარული ბედნიერება“, რომელიც თარგმნა და ბოლოსიტყვაობა დაურთო გ. სულიკაშვილმა.

1981 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრკ ხალხთა ლიტერატურის, ლიტერატურულ ურთიერთობათა და მხატვრული თარგმანის კათედრამ და კლუბმა „უკრაინამ“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობისა და სტამბის დახმარებით ქართულ ენაზე გამოაქვეყნეს ივან ფრანკოს ლექსების თარგმანები. კრებული მომზადდა ივან ფრანკოს დაბადების ასოცდამეხუთე წლისთავისათვის. კრებულში „ქვისმტეხელნი“ მოთავსებული თარგმანები ეკუთვნის როგორც ახალგაზრდა მთარგმნელებს, უნივერსიტეტის მსატერული თარგმანის სპეციალიზაციის სტუდენტებს, ასევე ქართული მხატვრული სიტყვის ცნობილ ოსტატებს, რომლებმაც უნივერსიტეტში აიდგეს ფეხი როგორც შემოქმედებმა და მეცნიერებმა. მცირე შესავლის შემდეგ მოთავსებულია ივ. ფრანკოს ლექსების თარგმანები, პარალელური, ორენოვანი, უკრაინული და ქართული ტექსტები. თარგმანები შესრულებულია: ნანა გაფრინდაშვილის, გია კვალიაშვილის, რუსუდან ჭანტურიშვილის, თამარ ვეფხვაძის, ქეთევან ბურჯანაძისა და მათთან ერთად იასამანის, ირაკლი აბაშიძის, რევაზ მარგიანის, ალ. ჭუშკუდიანისა და სხვათა მიერ.

ქართველმა მთარგმნელებმა, არსებითად, კარგად გაართვეს თავი მათ წინაშე დასმულ ამოცანებს. ეს ითქმის, განსაკუთრებით, კრებულის „ქვისმტეხელნის“ მთარგმნელებზე. ქართულ ენაზე გადაითარგმნა მწერლის თითქმის ყველა ჟანრის ნაწარმოები: ლექსი, პოემა, მოთხრობა, რომანი, დრამა. თარგმანის დონე, განსაკუთრებით, უკანასკნელ კრებულებში, უფრო მაღალი გახდა. მათში იგრძნობა სათარგმნი მასალისა და მწერლის იდეური კრედოს ღრმა ცოდნა, გათვალისწინებულია მისი ქმნილებების მხატერული თა-

ვისებურებანი. თუმცა ივ. ფრანკოს ნაწარმოებების თარგმნის საქმეში ჯერ კიდევ ყველაფერი როდია მოგვარებული.

ივ. ფრანკოს ცხოვრებას და მოღვაწეობას ქართველმა მწერლებმა და ლიტერატურის მცოდნეებმა საინტერესო სტატიები თუ ნაშრომები მიუძღვნეს. ლ. ასათიანმა, მ. ქართველიშვილმა, პ. ღუდუშაურმა, ივ. წულუკიძემ და სხვებმა სწორი თვალთახედვით განიხილეს უკრაინელი მწერლის შემოქმედების ძირითადი საკითხები, ამასთანავე სათანადო ადგილი დაუთმეს ივ. ფრანკოს როლს ქართველი, რუსი და უკრაინელი ხალხების მეგობრული კავშირის განმტკიცებაში, მისი შემოქმედების ინტერნაციონალურ ხასიათს და აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ამ ბოლო ხანს გამოქვეყნებული ნაშრომებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მაყვალა ქართველიშვილის გამოკვლევა „ივან ფრანკო ქართულ ლიტერატურაში“[1], სადაც ღრმად და საინტერესოდაა წარმოდგენილი და გაანალიზებული დასახელებული პრობლემა.

ივან ფრანკოს ღვაწლი ქართველმა საზოგადოებამ სამართლიანად აღიქვა და შეაფასა როგორც მემკვიდრეობა დიდი კამენიარისა. რომელმაც თავისი შემოქმედებითი გზა დაუკავშირა მშრომელი ხალხის რევოლუციურ მოძრაობას, მისი ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლას.

* * *

ივ. ფრანკოს ლიტერატურულ-სამეცნიერო მოღვაწეობა საოცრად მრავალმხრივი და მასშტაბური იყო. არ იყო მხატვრული ლიტერატურისა თუ ისტორიის თითქმის არც ერთი სფერო ივან ფრანკოს კალამი რომ არ შეხებოდა.

ივან ფრანკოს მთელი შემოქმედება გვიტაცებს იდეური სიღრმით, თემებისა და სიუჟეტების სიუხვით, გამოსახვის ფორმების

---

[1] მ. ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ივ. ფრანკო ქართულ ლიტერატურაში, წიგნში: „ლიტერატურული ურთიერთგამდიდრების სათავეებთან“. თბ., 1975, გვ. 39; მისივე — XIX საუკუნის ქართული და უკრაინული დემოკრატიული მწერლობა, წიგნში „ლიტერატურული პარალელები“, თბ., 1982.

მრავალფეროვნებით. მისი პოეტური, პროზაული თუ დრამატული შემოქმედება მაღალი იდეურობის, მოქალაქეობრიობის, ფართო სოციალურ-ფილოსოფიური განზოგადების ჰეშმარიტი ნიმუშია.

ივან ფრანკო იყო მგზნებარე პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის გულწრფელი მოძღერალი.

მთელი მისი სიცოცხლე, ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა სისხლხორცეულადაა დაკავშირებული გალიციის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. თავის ნაწარმოებებში ივან ფრანკომ არეკლა დასავლეთ უკრაინის გლეხობის დემოკრატიული მოძრაობის სუსტი და ძლიერი მხარეები, მისი ბრძოლა მონობიდან განთავისუფლებისათვის.

უკრაინაში რევოლუციონერ-დემოკრატ მწერალს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, მოაზროვნესა და მეცნიერს ივან ფრანკოს დიდ კამენიარს უწოდებდნენ. ეს სახელი დაიმკვიდრა მან მშობლიურ ხალხში.

ივან ფრანკოს აქვს ნაწარმოები — „კამენიარი“ — „ქვისმტეხელნი“, ღრმა და დიდი სიმბოლიკით დატვირთული: ქვისმტეხელნი დიდი რკინის უროებით ამსხვრევენ უზარმაზარ სალ კლდეს, რომელიც ადამიანებს უკეთესი მერმისისაკენ უკეტავს გზას. ქვისმტეხელნი კვალავენ გზას, რომელიც ადამიანებს მოუტანს ახალ ცხოვრებას, სიკეთესა და ბედნიერებას. ამ ნაწარმოების შინაარსს დაუკავშირა ხალხმა სახელი — დიდი კამენიარი — რომელიც სიყვარულითა და ღრმა მნიშვნელობით შეარქვა მისთვის მრავალგზის ნაწამებ მგოსანსა და მოქალაქეს.

ხალხის გამოღვიძების, ხალხის განათლების დიად საქმეს, ხალხის გაყვანას სიმართლისა და სამართლიანობის მოსაპოვებლად ბრძოლის გზაზე მიუძღვნა მწერალმა მთელი სიცოცხლე. მას ღრმად სწამდა, რომ „ღირს იშრომო ამ ხალხისათვის, და არავითარი შრომა ფუჭად არ ჩაივლის“. დიდ კამენიარს სწამდა სიკეთის გამარჯვებისა ბოროტებაზე, სინათლისა — სიბნელეზე. ამიტომაც მრისხანედ და წინასწარმეტყველურად გაისმის ხალხისადმი მიმართული მგოსნის სიტყვები:

„დადგება ჟამი, წამოდგება ხალხი დაღლილი
და თავისუფალ ხალხთა ოჯახს შეუერთდება,
კავკასს მისწვდება უძლეველი შენი ძახილი.
კარპატის მთებშიც გამარჯვების დილა თენდება,
შენც გაგახარებს საკუთარი ყანის შრიალი
და შენს კერაზე მხიარული ცეცხლი ენთება“.

(„მოსე“ — თარგმნა კ. ლორთქიფანიძემ)

და მართლაც. ფუჭად არ ჩაუვლია ივან ფრანკოს ღვაწლს. ხალხმა აღიარა, ხალხმა შეიყვარა და დღესაც გულით ატარებს მის სიყვარულს.

ახდა ივან ფრანკოს ოცნება. დიადმა ოქტომბერმა ხალხებს თავისუფლება და ბედნიერება მოუტანა. არნახულად აყვავდა საბჭოთა უკრაინა. „ერთიანი ოჯახის გრძნობით“ შეერთებულ მრავალმილიონიან ხალხში ივან ფრანკოს სახელმა ახალი სხივი შეიტანა, ახალი ძალით ახმიანდა მისი სიტყვა.

„კავკასსაც მოსწვდა“ დიდი კამენიარისა და მისი მშობელი ხალხის ხმა, მრავალტანჯულმა უკრაინელმა მშრომელმა ხალხმა დიადი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შვებით ამოისუნთქა და „თავისუფალ ხალხთა ოჯახს“ შეუერთდა.

დღეს ფრანკოს ნაწარმოებები საბჭოთა კავშირში მრავალ ენაზეა თარგმნილი. ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანი ხალხები მშობლიურ ენაზე ეცნობიან მის შემოქმედებას.

დიდი კამენიარის უკვდავსაყოფად მისი სახელი დაერქვა უკრაინის ერთ-ერთ ქალაქს. ლვოვის სახელმწიფო უნივერსიტეტს, კიევის დრამატულ თეატრს, მის სახელს ატარებენ უკრაინისა და მოძმე რესპუბლიკების ინსტიტუტები, სკოლები, ბიბლიოთეკები, მოედნები, ქუჩები და სხვა.

ივან ფრანკო იმ ტიტანებს ეკუთვნის, რომელთა სახელებიც სამუდამოდ დაიმკვიდრებენ ხალხთა გულებში.

პირთა საძიებელი[1]

აბაშიძე ირ. 38, 42, 247
აიზენშტოკი 208
ალექსეევი პეტრე 44
ასათიანი ლ. 249

ბადენი 16, 18, 66
ბაირონი 198, 204
ბალზაკი 106
ბაჟანი მიკოლა 105
ბარუსევიჩი 7
ბაჩინსკი ო. 191
ბელინსკი 12, 14, 31, 198
ბერნსი რობერტ 198
ბილოუსოვი 202
ბროკჰაუზი 24, 65
ბერჯანაძე ქეთევანი 47

ბაპონი 93
გარიში 191
გასკელი ელ. 125
გაფრინდაშვილი ნანა 72
გაჩეჩილაძე დ. 58, 69, 78, 86
გერცენი ა. ი. 9, 33, 50, 197
გვეტაძე რ. 98, 247
გნატუკი ვლადიმერ 19
გოგოლი ნ. ვ. 142, 197
გოეთე 8, 14, 73, 198, 204
გოლოვაცკი ივან 6
გორკი მაქსიმ 26, 33, 90, 95
გრაბოვსკი პავლო 19, 24
გრიბოედოვი 197
გუცკოვი კ. 191

დადიანი შალვა 247
დანტე 54
დეი ო. ი. 208
დიკენსი ჩარლზ 106, 125
დობროლიუბოვი ნ. 31, 33, 196
დრაგომანოვი მ. 172, 196, 235
დუმბაძე ქეთევანი 33

ენგელსი ფრიდრიხ 11, 23, 27, 119, 120, 209

ვიშენსკი ივან 18, 86, 87
ვოვჩოკი მარკო 107
ვორობკევიჩი 53
ვორონი ნიკოლოზ 94, 95

ზოლა ემილ 106, 130, 198

ივაჩიჩი ივანტ 16
იარემა ი. 73
იასამანი (კინწურაშვილი მ.) 44, 47, 50, 94, 247

კალდერონი პ. 191, 198, 243
კარპენკო-კარი ი. 22, 194, 200, 207
კობილეცკი ი. 36, 40
კოროლენკო ვლადიმერ 26
კორნეიჩუკი ა. 70
კორში 24

[1] შეადგინა ლიანა გამცემლიძემ

კოციუბინსკი მ. 24, 65, 67, 68 ,74, 75, 161, 136, 140, 185, 192, 210, 243
კრიმსკი აგათანგელ 65, 201, 241
კროპივნიცკი მ. 194, 199, 200
კრუშელნიცკა ს. 7, 192

ლაოკოონი 47
ლენინი ვ. ი. 22, 23, 89
ლერმონტოვი 197
ლისენკო მ. ვ. 40, 192
ლოპე დე ვეგა 243
ლორთქიფანიძე კ. 97, 247, 255

მაკოვეი ოსიპ 19, 21
მარტოვიჩი ლ. 24
მარქსი კარლ 9, 10, 11, 12, 23, 27, 28, 119, 120, 209
მილი 10
მიცკევიჩი 198
მოსაშვილი ი. 56

ნეკრასოვი ა. 13, 33, 59, 197.
ნეჩიტალიუკი 208
ნეჩუი-ლევიცკი ი. 111, 125
ნიშნიანიძე შ. 49

ოგონოვსკი ემილიან 15, 17, 226
ოვიდიუსი 198
ოქეშკო ელიზა 245
ოსტოია ი. 187
ოსტროვსკი 191, 197, 207, 218

პაელიკი მ. 10, 11, 12, 21, 36, 107, 138, 165, 172
პარხომენკო მ. 36, 201, 204, 205, 244
პატარიძე მ. 79
პატრიცკი ა. 138, 169
პეტრარკა 54
პიპინი 13
პისარევი 198
პლეხანოვი 23
პომიალოვსკი 13
პრუსი ბოლესლავ 161
პუშკინი ა. 9. 26, 33, 191, 197, 203, 201, 236

რადიშჩევი 197
რეშეტნიკოვი 9, 125
რილსკი მაქსიმ 88, 105
როგოშა იუზეფ 178
რომანჩუკი იულიან 20, 78
როშკევიჩი ოლგა 136
როშკევიჩი მ. 207, 208

სალტიკოვ-შჩედრინი მ. ე. 13, 106, 107, 141, 142, 197
საქსაგანსკი პანას 192
სიეიზნიაკი მ. 208
სლოვაცკი ი. 172
სოფოკლე 8, 191
სპენსერი 54
სტარიცკი მიხაილო 194 199, 200
სტეფანიკი ვ. 24
სტრუსევიჩი 226, 235
სუტიე გ. 191

ტელესნიცკი 7
ტერპეცკი ოსტაპ 19
ტიჩინა პაველ 103, 105
ტობილევიჩი ი. 244
ტოლსტოი ლ. 9, 106, 130, 197
ტურგენევი ი. 9, 33, 106, 111, 130, 197

უკრაინკა ლესია 19, 22, 24, 67, 75, 93, 105
ულპენსკი გლებ 33, 59, 106, 125, 197

ფლობერი 106
ფრანკო ანა 84
ფრანკო ივან 5—251

ქალაქელიშვილი მ. 249

ლედეშაური პ. 249

შახმატოვი 24
შევჩენკო ტარას 9, 13, 27, 31, 34, 36, 41, 44, 50, 60, 85, 100, 103, 104, 105, 107, 108
შელი პერსი ბრში 198, 204
შეპტიცკი ა. 93
შენგელაია დემნა 247
შექსპირი 8, 54, 198, 243
შილერი 8
შპილგაგენი ფ. 125
შჩედრინი 33
შჩურატი ვ. 69, 73, 234, 239

ჩურვინსკი ვ. 13

ჩერნიშევსკი ნ. გ. 9, 10, 12, 31, 33, 143, 169, 196, 198
ჩეხოვი ანტონ 161
ჩიკოვანი ს. 48, 67

ცეცხლაძე გრ. 79, 80
ცეგლინსკი 55, 63, 186

წულუკიძე ივ. 247, 249

ჭანტურიშვილი რ. 84, 245

ჭაინე 198, 204
ჭიუგო 106, 198
ჭორაციუსი 198

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 5
პოეზია 35
პროზა 106
ივან ფრანკო და თეატრი 191
საძიებელი 252